

გოდერძი ნარიმანიშვილი
ნინო განგაშვილი
დიმიტრი ნარიმანიშვილი

საქართველოს მეცნიერების კულტურის ძმეულები



საქართველოს მეცნიერების
კულტურის ძმეულები

გოდერძი ნარიმანიშვილი, ნინო შანშაშვილი,
დიმიტრი ნარიმანიშვილი

საქართველოს მეგალიტური კულტურის ძეგლები

საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
მროველი სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

საქართველოს
ეროვნული მუზეუმი



GEORGIAN
NATIONAL MUSEUM

საქართველოს მეგალითური კულტურის ძეგლები

© გ. ნარიმანიშვილი, ნ. შანშაშვილი, დ. ნარიმანიშვილი
ყველა უფლება დაცულია

ფოტო: გოდერძი ნარიმანიშვილი,
გიორგი ნარიმანიშვილი,
დიმიტრი ნარიმანიშვილი.

ნახატი და ანაზომი: გიორგი ტატიშვილი,
შალვა მელიქიძე, ინგა ესვანჯია,
ალექსანდრე თევზაძე.


მარინე კვაჭაძის და გიორგი ტატიშვილის
მონაწილეობით

დაკადონება: იოსებ ქემაშვილი

დაგენერალური გვ. „სეზანი“
CEZANNE
PRINTING HOUSE

ISBN 978-9941-8-2214-8

თბილისი
2020



წიგნში მოკლედაა განხილული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მეგალიტური კულტურის ძეგლები. დიდი, ხშირი შემთხვევაში, დაუმუშავებელი ქვის ლოდებით შექმნილი მონუმენტები ყოველთვის იწვევდა მნახველთა გაოცებას და აღტაცებას. მეგალიტების გრანდიოზულობა ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მათი აგება ადამიანის ძალას ალემატებოდა. იდუმალებით მოცული მეგალიტები გარკვეულ მისტიურ ბურუსში იყო გახვეული. ამიტომ, ჯერ კიდევ ძეველმა ბერძნებმა მათი მშენებლობა ცალთვალა გოლიათებს, მითიურ ციკლოპებს მიაწერეს. მეგალიტები მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში გვხვდება. ისნი დიდი ხანია იქცევენ მკვლევართა და მოგზაურთა ყურადღებას. მიუხედევად იმისა, რომ მსოფლიოში გავრცელებული მეგალიტური ძეგლების კვლევას არაერთი გამოკვლევა და პოპულარული ნაშრომი მიეძღვნა, დღემდე ბურუსითაა მოცული მათი წარმომავლობისა და ქრინოლოგის საკითხები. არ გვაქვს პასუხი კითხვაზე, როდის და სად გაჩნდა პირველი მეგალიტები, ვინ იყვნენ მათი მშენებლები.

წინამდებარე წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა და მიზნად ისახვს მეგალიტური ძეგლების პოპულარიზაციას. ასეთი ნაშრომის შექმნის იდეა 2018 წელს გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში გამართული წიგნის საერთაშორისო ბაზრობის, საქართველოს, როგორც საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილე მხარის, ორგანიზაციონურებს გაუჩდათ.

წიგნის ფორმატიდან გამომდინარე, ნაშრომი სრულად ვერ ასახავს საქართველოს მეგალიტებთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას. ის არც გარკვეული ხარვეზებისაგან არის დაზღვეული. ავტორები ყველა შენიშვნას და წინადადებას მიიღებენ და შემდგომში გაითვალისწინებენ.

შინაარსი

შესავალი.....	6
თავი I. მეგალითების მითიური მშენებლები	14
თავი II. მეგალითების შესწავლის ისტორია	22
თავი III. მეგალითების სახეები და არქიტექტურა	28
§ 1. მენპირები	28
§ 2. მიცვალებულთა მეგალითური სახლები	54
§ 3. მეგალითური სამლოცველოები	76
§ 4. მეგალითური არქიტექტურული კომპლექსები	116
§ 5. გოლიათთა მიწისქვეშა ქალაქები	165
თავი IV. მეგალითები და ბრინჯაოს ხანის საზოგადოება	176
ბოლოთქმა	217

შესავალი

მეგალითი ბერძნული სიტყვაა (მეგაς დიდი, λίθις ქვა) და აღნიშნავს დიდ, დაუმუშავებელ, ან ოდნავ დამუშავებულ ქვის მონუმენტს, ან დიდი ქვებით ნაგებ სტრუქტურას. მეგალითური ძეგლები ძირითადად პრეისტორიული ეპოქისათვის არის დამახასიათებელი.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება უზარმაზარი ლოდებით ნაგები ძველი ნასახლარები და დასაკრძალავები, ვერტიკალურად დაყენებული ოდნავ გათლილი, ან დაუმუშავებელი ქვები და დიდი ზომის გახვრებილი ქვები. ყველა ამ ქვის სტრუქტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში მეგალითები ეწოდება.

მეგალითური ძეგლები გამოიჩინება ფორმების მრავალფეროვნებით: მენპირები, კრომ-ლები, დოლმენები, „ციკლოპური“ ნაგებობები, მეგალითური სამლოცველოები, კაირნები/ყორდანები. ზოგი მათგანი უძველესი დროის საცხოვრებელი და თავდაცვითი, ზოგი — საკულტო და სარიტუალო მნიშვნელობის ნაგებობა, ზოგიც — გარდაცვლილთა საუკუნო განსასვენებელი იყო.

უძველესი მეგალითები გავრცელებულია ყველა კონტინენტზე ავსტრალიის გარდა. მრავლად გვხვდება ატლანტის ოკეანის ევროპულ სანაპიროზე — ბრიტანეთში, ესპანეთში, საფრანგეთში, პორტუგალიაში, აგრეთვე, ხმელთაშუაზღვის კუნძულებზე და სანაპიროებზე. მეგალითური ძეგლები გვხვდება ინდოსტანის ნახევარკუნძულზე და შორეულ აღმოსავლეთში. ძალზე მნიშვნელოვანი მეგალითური კომპლექსები მდებარეობს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში.

სხვადასხვა ტიპის მეგალითური ძეგლები ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზეც (სურ. 1,3).

საქართველოს რელიეფი და გეოლოგიური აგებულება გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით. ქვეყანას ჩრდილოეთიდან საზღვრავს დიდი კავკასიონის ქედი (სურ. 5, 10, 11), რომელიც წარმოადგენს მძლავრ მთათა სისტემას, სადაც აღმართულია მაღალი მწვერვალები (იალბუზი, მყინვარნვერი, შხარა, თეთნულდი). საქართველოს სამხრეთი რეგიონები მცირე კავკასიონის მთანეთზეა გადაჭიმული. ამ ორ მთაზე სისტემას შორის, შავი ზღვის სანაპიროდან აზერბაიჯანის საზღვრამდე, ვრცელდება მთათაშორისი დაბლობების ზონა, რომლის მაქსიმალური სიმაღლე 1200 მ-ს არ აღემატება. დაბლობები ვენახებით და სასოფლო-სამეურნეო მიწებითა მოფენილი.

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. ძირითადად აქ უხვწყლიანი და მთის მდინარეები მოედინება, რომლებიც სათავეს მაღალ მთებში იღებენ. საქართველოს მდინარეების (სურ. 4,7) ერთი ნაწილი (რიონი, ჭოროხი, ცხენისწყალი, კოდორი) შავი ზღვის, მეორე ნაწილი (მტკვარი, თერგი) კი, კასპიის ზღვის აუზს მიეკუთვნება.

საქართველო ტბებითაც (სურ. 8) მდიდარია, რომლებიც სხვადასხვა სიმაღლეებზე, შავი ზღვის დონიდან მოკიდებული კავკასიონის მაღალი მთების მყინვარებამდე, გვხვდება. თავისი წარმომავლობით ტბები გამოირჩევან მრავალფეროვნებით. ზოგი მათგანი ვულკანური წარმოშობისაა, ზოგიც ტექტონიკური, კარსტული, ლაგუნური დ სხვა. ვულკანური წარმომავლობის ტბებით განსაკუთრებით მდიდარია ჯავახეთი. საქართველოში ყველაზე დიდი ტბა — ფარავანი, ჯავახეთში მდებარეობს, ზღვის დონიდან 2073 მ სიმაღლეზე.




სურ. 1. საქართველო და მიმდებარე ტერიტორიები. პოლიტიკური რუკა.



სურ. 2. საქართველო. ისტორიული პროვინციები.

საქართველოს ნიადაგები ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით, რაც გამოწვეულია რელიეფის, კლიმატის და მცენარეული საფარის მრავალსახეობებით. მცენარეული საფარის ნაირგვარობა გამოწვეულია კავკასიის ფლორის განვითარების რთული ისტორიით, რომელიც საქმაოდ გრძელ გეოლოგიურ პერიოდს მოიცავს. აქ გვხვდება როგორც ფლორის უძველესი წარმომადგენლები, რომლებიც ზედამესამეულ პერიოდში გაჩნდნენ, ასევე შედარებით ახალგაზრდა მცენარეები. საქართველოს ტერიტორიის 32% უკავია ტყეებს (სურ. 9). აქ გავრცელებულია როგორც ნესტიანი სუბტროპიკული, ასევე მთის ფოთლოვანი და წინვოვანი ტყეები.



სურ. 3. საქართველო. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფა.

საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე (სურ. 3), ყველა გეოგრაფიულ ზონაში, გვხვდება მეგალითური ძეგლები. ღეგენდების თანახმად, მეგალითური ძეგლები ზოგი გოლიათების/გმირების აშენებულია და თვითონ ცხოვრობენ იქ, ზოგი კი გოლიათების მიერ ჯუჯათა ტომის ხალხისათვის არის აგებული.

მეგალითური ძეგლების გავრცელების მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობა მათ მშენებლებად ზებუნებრივი ძალის მქონე არსებებს თვლის, რის გამოც თავად მეგალითურ სტრუქტურებს მიეწერება განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები, თუ გამანაყოფიერებელი ძალა.



სურ. 4. საქართველოს ბუნება. მდ. მტკვრის ხეობა.



სურ. 5. საქართველოს ბუნება. კავკასიონი. ხადას ხეობა.

ლეგენდების თანახმად, კუნძულ მალტაზე მეგალიტური ტაძრები ააშენეს სიცილიის ციკლოპების შთამომავალმა გიგანტებმა. საბერძნეთში კი უძველესი ქალაქები ტირინთო-სი და მიკენი ცალთვალა გოლიათებმა — ციკლოპებმა ააგეს.



სურ. 6. მცირე კავკასიონი, თრიალეთის პლატო.

XX საუკუნეში პოპულარობა მოიპოვა ახალმა თეორიამ, რომლის მიხედვით, მეგალი-თური ძეგლები უცხოპლანეტელების ნახელავად ითვლება. მეცნიერთა ნაწილი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ადამიანი პრეისტორიულ ხანაში, მძლავრი ტექნიკური საშუალებების გარეშე, მსგავს ძეგლებს ვერ შექმნიდა. ზოგი მეგალითური სტრუქტურა ობსერვატორიად ჩათვალეს, ზოგი — უცხოპლანეტელების საკურთხეველად და ა.შ.



სურ. 7. მდ. არაგვის ხეობა.

უძველესი ისტორიული წყაროებიც იმეორებენ ხალხურ თქმულებებს. მაგალითად, სტრაბონი წერს, რომ ქალაქ ტირინთოსის მძღვრი კედლები ციკლოპებმა ააშენეს. ბრიტანელი ისტორიკოსი ჯეფრი მონმაუთელი სთოუნჰენჯის აგებას ჯადოქარ მერლინს მიაწერს. ვახუშტი ბაგრატიონი, ქვემო ქართლში, ჩხიკვთას სამებასთან არსებულ უზარმაზარი ლოდებით აშენებულ გალავანს, გმირების, ან გოლიათების ნახელავად მოიხსენიებს.

მეგალიტური ნაგებობანი ას წელზე მეტია იქცევენ არქეოლოგების ყურადღებას. პირველი არქეოლოგიური სამუშაოები XIX საუკუნის მეორე ნახევარში საბერძნეთში (ტირინთოსი) და მალტაზე (ჰალ საფლიენი, ტარშიენი, ჰაგარ ქიმი და მნაიდრა) ჩატარდა.

საქართველოს ტერიტორიაზე (სურ. 2,3) მეგალიტურმა ნაგებობებმა მკვლევართა ყურადღება მიიქცია XIX საუკუნის მიწურულს. თუმცა, „ციკლოპური“ ნამოსახლარების შესწავლა პირველად ბორის კუფტინმა¹ სცადა. თრიალეთში (სურ. 2), ბეშთაშენის „ციკლოპურ ნაქალაქარზე“, XX საუკუნის 30-იან წლებში ნარმოებული გათხრების შედეგად მან გამოავლინა ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაოს და შუა საუკუნეების ფენები. მოპოვებული მასალის საფუძველზე, „ციკლოპური“ ნამოსახლარების ქვედა თარიღი ძვ.წ. III ათასწლეულით განისაზღვრა. იმავე წლებში ბ. კუფტინმა ნალკის ტერიტორიაზე გათხარა დიდი ყორლანები, რომელთა გრანდიოზული დასაკრძალავი დარბაზების კედლები ქვითაა ამოყენილი (სურ. 53). მესხეთში (სურ. 48-51) გათხრილი დაუმუშავებული ქვებით ნაგები სამარხი ნაგებობები ქვის დიდი ფილებითა გადახურული. თრიალეთისა და მესხეთის ყორლანები ძვ.წ. III — II ათასწლეულის პირველ ნახევარს მიეკუთვნება.



სურ. 8. ტაბაწყურის ჭბა.

1. ბორის კუფტინი (1892-1953 წწ.) არქეოლოგი და ეთნოლოგი.

XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო დოლმენების არქეოლოგიური შესწავლა საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ზღვისპირა, ისე მთისწინა ზოლში. თითქმის ყველა დოლმენი გაძარცვული იყო, მხოლოდ ზოგიერთ მათგანში აღმოჩნდა კერამიკა, ლითონის და ქვის მასალა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა დოლმენური კულტურა აფხაზეთში (სურ. 2,3, 42-43), ზოგადად, ძვ.წ. III-II ათასწლეულით დაეთარიღებინათ.


საქართველოს მეგალითური ძეგლების გეგმაზომიერი მეცნიერული შესწავლა 1990 წლიდან თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი) დაიწყო თრიალეთში (სურ. 13). ეს სამუშაოები დღემდე გრძელდება. ექსპედიციის მიერ არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარდა დღეისათვის ცნობილ ყველა მეგალითურ ძეგლზე. განსაკუთრეული ყურადღება მიექცა ე.წ. ციკლოპურ ნამოსახლარებსა და სიმაგრეებს (ბარეთი, კარიაკი, საბეჭდავი, კნოლე, ბეშენაშენი, ზემო ბეშენაშენი, ლიპი, უნილო, კოხაჯი, თეზი, ცრიცი, ხევლრმა, ლოშო, აბული, შაორი და სხვ.). ისინი აიგეგმა და აიზომა არქიტექტურულად, შედგა ტოპოგრაფიული გეგმები. ექსპედიციამ არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა საბეჭდავის, ბეშენაშენის (ბეშთაშენის), ზემო ბეშენაშენის (აი-ილია), კნოლეს და უნილოს (სანთა) ნამოსახლარებსა და სიმაგრეებზე. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ „ციკლოპური“ სიმაგრეები ძვ.წ. XVI საუკუნიდან არსებობენ, ძვ.წ. XIII-VII საუკუნეებში კი გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ.

XX საუკუნის მიწურულს მეგალითური ძეგლების კვლევის ახალი ეტაპი დაიწყო: არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობს ინტერდისციპლინარული კვლევები. თანდათან ნათელი ეფინება მეგალითების მშენებლების ყოფა-ცხოვრებას და სულიერ კულტურას.

წინამდებრე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ მკითხველისათვის წარმოგვედგინა საქართველოში გავრცელებული მეგალითური ძეგლები, მათი ნაირსახეობა და ადგილი მსოფლიო მეგალითურ კულტურებში.

წიგნის წინასიტყვაობა გვინდა დაგასრულოთ იმ სიტყვებით, რომლებიც ნიკო მარმა² ამ იდუმალებით მოცული ძეგლების შესახებ გამოთქვა: „ძიება უნდა გაგრძელდეს. ეს ხომ სრულიად სხვა სამყაროა“.

2. ნიკო მარი (1865-1934) - ცნობილი ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე, ლინგვისტი, ეთნოგრაფი და არქეოლოგი. ცნობილი იყო როგორც „ენის შესახებ ახალი სწავლების“, ან „იაფეტური თეორიის“ შემქმნელი.



სურ. 9. საქართველის ტყეები.

თავი I. მეგალითურის მითიური მშენებლები.

მსოფლიოს ხალხთა მითებისა და ლეგენდების თანახმად, მეგალითური ნაგებობები ზებუნებრივი ძალის მქონე არსებების მიერ არის აშენებული. ძველი ბერძნული მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, უძველესი ქალაქების - მიკენის და ტირინთოსის უზარმაზარი ქვებით ნაგები კედლები ციკლოპებმა ააშენეს. ამიტომ, უდუღაბოდ დიდი ქვის ლოდებით ნაგებ შენობებს და გალავნებს „ციკლოპური“ ეწოდება.

ბერძნულ მითოლოგიაში ციკლოპები/კიკლოპები ურანოსის და გეას შვილები არიან. კიკლობი ნიშნავს „მრგვალთვალიანს“. ჰესიოდეს „თეოგონიის“³ მიხედვით ციკლოპები ცალთვალა გოლიათები არიან, მათი სახელებია: ბრონტოსი (მჭექარე), სტეროპი (მანათობელი) და არგი/პირაგმონი (მბრწყინავი). სახელები მიუთითებს მათ კავშირს ბუნების სტიქიურ ძალებთან. ციკლოპები მიეკუთვნებიან ღმერთების უძველეს თაობას. ურანოსმა, ზეცის უძველესმა ღმერთმა, ისინი ჩააგდო ქვესკნელში, მაგრამ ზევსმა ისინი გაათავისუფლა და გამოიყენა ტიტანებთან ბრძოლაში. ზევსის მომხრეებმა გამარჯვება მოიპოვეს ტიტანებზე და ისინი სამყაროს მბრძანებლები გახდნენ. გიგანტომანის დასრულების შემდეგ ციკლოპებმა განაგრძეს ზევსთან სამსახური და უმზადებდნენ იარაღს.⁴ სტრაბონის მიხედვით, ტირინთოსის კედლები ციკლოპების აშენებულია.⁵



სურ. 10. დიდი კავკასიონი. მარჯვნივ ბრუტსაბძელას მთა (გ. მინდიაშვილის ფოტო).

ციკლოპ ბრონტოსის ადგილსამყოფელი, თეიმურაზ ბაგრატიონის⁶ მიხედვით, საქართველოში, ბრუტსაბძელას მთაზე (სურ. 10) ყოფილა, რომელიც შიდა ქართლში, კავკასიონის სამხრეთ ფერდზე მდებარეობს. თეიმურაზ ბაგრატიონი წერს, რომ მთაზე და იმ ადგ-

3. *Hesiodus, Theogony, 139-146.*

4. *Vergilius, Aeneid, VIII, 416-453.*

5. *Strabo, VIII, 6, 11.*

6. თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846 წწ), მეერალი და მეცნიერი.

ილას, სადაც ციკლოპი ბრონტოსი იყო დაბმული, წელიწადში ერთ დღეს იკრიბებოდნენ დემონები და გრძნეულები⁷ მთელი სამყაროდან. ისინი დღესასწაულობდნენ და სწირავდნენ მსხვერპლს.⁸ აღსანიშნავია, რომ ბრუტსაბქელას აღმოსავლეთ კალთაზე დღესაც არის სოფელი საჭიროობება, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ქართულ მითოლოგიურ პერსონაჟ ჭინკასთან.⁹

ცნობილი ქართველი გეოგრაფის, ლევან მარუაშვილის მოგონებებიდან ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში, 1929 წელს, ის ასულა ბრუტსაბქელაზე და იქ ქვის ნაგებობის ნანგრევები უნახავს, რომელიც, მისი აზრით, რაღაც საკულტო ნაგებობა იყო. ათი წლის შემდეგ, როდესაც ის მეორედ ავიდა ბრუტსაბქელაზე, იმ უნიკალური ძეგლისგან არაფერი აღარ იყო დარჩენილი.¹⁰ ზ. კიკნაძე მიიჩნევს, რომ ბრუტსაბქელა ამირანის დასჯის ადგილი იყო.¹¹ არ არის გამორიცხული, რომ ბრუტსაბქელას მთაზე ოდესლაც უძველესი ნარმართული სამლოცველო იდგა.

მეგალიტური ნაგებობების მშენებელთა შესახებ არაერთი ლეგენდა და მითია შემონახული. მაგალითად, ხელთაშუა ზღვაში, კუნძულ მალტაზე, ადგილობრივი მოსახლეობის ლეგენდის თანახმად, გოლიათების ტომმა უზარმაზარი ქვის ლოდებით დიდი ტაძარი ააგო. ისიც შეიძლება გავიხსენოთ, რომ იოანიტების ორდენის ვიცე-კანცლერი, ჯაკომო აშელა, თავის „მალტის აღწერაში“ 1656 წელს წერდა, რომ მალტის უძველესი მოსახლეობა იყო სიცილიელი ციკლოპების შთამომავალი გიგანტები, რომლებმაც ააშენეს მეგალითური ნაგებობები.¹²

ბრიტანული თქმულების თანახმად, სთოუნპენჯის მეგალიტური სამლოცველო გოლიათებმა ირლანდიაში ააგეს, ხოლო ჯადოქარმა მერლინმა ის ბრიტანეთში გადმოიტანა. ბრიტანელი სამდვდელი პირის და მწერლის ჯეფრი მონმაუთელის (1100-1154/55 წწ.) „ბრიტანეთის მეფეთა ისტორიაში“ მოთხრობილია, თუ როგორ გადაწყვიტა მეფე ავრელიუს ამბროსიუსმა აეშენებინა მონუმენტი საქსებთან ომში დალუპული ბრიტანელი მეომრების პატივსაცემად. ჯადოქარმა მერლინმა მას მისცა რჩევა - „თუ გინდა, რომ ამ მეომრების ხსოვნა სამარადისოდ დარჩეს, ჩამოიტანე ირლანდიიდან ქვები, რომლებსაც „გოლიათების ცეკვა“ ჰქვია. უძველესმა გოლიათებმა ეს ქვები ჩამოიტანეს აფრიკიდან, სადაც უნინ ცხოვრობდნენ და დადგეს ირლანდიაში“. ბრიტანელები გაემგზავრნენ ირლანდიაში, მაგრამ ქვები ვერ დაძრეს, მხოლოდ მერლინმა თავისი ჯადოსნობით მოახერხა ქვების ამოღება მიწიდან, ბრიტანეთში გადმოტანა და დალუპული მეომრების საფლავის ირგვლივ დადგმა. ჯეფრი მონმაუთელის თანახმად, იქვე არიან დასაფლავებული ბრიტანელი მეფეები პენდრაგონი და კონსტანტინე.¹³

7. გრძნეული - ჯადოქარი.

8. მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938, გვ. 12; ბაგრატიონი თ. 1848, გვ. 8.

9. ჭინკა, ქართული მითოლოგიის მიხედვით, არის აგსული, მავნე, ბოროტი ჯუჯა არსება, გერმანული გომების, ან სუანდინავიური ტროლების მსგავსი.

10. მარუაშვილი ლ. 1979.

11. კიკნაძე ზ. 2001.

12. Korn W. 2005, S. 21.

13. Korn W. 2005, S. 21-22.

ძველი ქართული ისტორიოგრაფია და ლეგენდები დიდი ლოდებით ნაგები შენობების და ციხე-სიმაგრეების მშენებლობას ზეპუნებრივი ძალის მქონე არსებებს მიაწერს. ჩხიკვთის მეგალითური სიმაგრის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილს ჩანს ლეგენდა. რომელშიც წმ. სამებისა და დევის კამათია გადმოცემული სოფ. ჩხიკვთასთან მდებარე მშვენიერი მწვერვალის (სურ. 12) კუთვნილების თაობაზე.



სურ. 11. დიდი კავკასიონი. მთიულეთი.

წმ. სამება დათანხმდა დაეტოვებინა მწვერვალი დევის სასარგებლოდ, თუ ის ერთი ღამის განმავლობაში, მამლის ყივილამდე, ააშენებდა გალავანს მწვერვალის ირგვლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვერვალი სამებას დარჩებოდა. დევი მიხვდა, რომ ამ სამუშაოს მარტო ვერ გაწვდებოდა და დასახმარებლად დაუძახა თავის დას, რომელიც ძალით არ ჩამორჩებოდა ძმას. დევის და დადგა საწინააღმდეგო მხარეს აღმართულ „საწურბლეს“ მთაზე, რომელიც დაფარულია უზარმაზარი ქვის ლოდებით და ქვებს უგდებდა. ჩხიკვთის მწვერვალზე მდგარ ძმას. დევი ჰაერში იჭერდა ქვებს და ერთმანეთზე ალაგებდა. გალავანი სწრაფად იზრდებოდა სიმაღლეში და მალე ორივე მხარეს ალიმართა. სამება, ხედავდა რა, რომ დევი იმარჯვებდა და არ სურდა მწვერვალის დაკარგვა, ააგდო ზევით წითელი თავსაფარი, რომელიც უცებ მამლად იქცა. მამალმა იყივლა და დევი მიხვდა, რომ დამარცხდა. მან მიატოვა სამუშაო და გაიქცა.



სურ. 12. მდ. ალგეთის ხეობა. ჩხიკვთას სამება.

სამება დაედევნა დევს, რომელმაც თავი ბირთვისის სიმაგრეს შეაფარა. სამების ნასროლმა ისარმა განგმირა დევი და ჩაერჭო ბირთვისის ციხის კლდეს, სადაც სამუდამოდ დარჩა. სამების ნასროლი ისრის კვალი, ლეგენდის თანახმად, დღესაც ჩანს ბირთვისში. ლეგენდის ერთი ვარიანტი მთავრდება ასე, მაგრამ მეორე ლეგენდის თანახმად, დაჭრილი დევი ბირთვისიდან გაიქცა მტკვრისკენ და სოფ. დილომთან ჩავიდა მდინარეზე წყურვილის მოსაკლავად. იქ დადგა მუხლებზე და დაიწყო წყლის სმა. მაგრამ წყალი ვერ განკურნავდა სასიკვდილოდ დაჭრილ დევს. დევი დაეცა მუხლებზე და მოკვდა. იმ ადგილას, სადაც დევი მუხლებზე დაეცა, წარმოიქმნა ჭის მაგვარი ორი ორმო, რომელიც დღემდე ცნობილია „დევის-ნამუხლარის სახელით.“ ე. თაყაიშვილი მიიჩნევს, რომ სამების მწვერვალი, ქრისტიანობის გავრცელებამდე, ზოროასტრიული რელიგიის კულტმსახურების ადგილი იყო. სამების ტერიტორიაზე, მოედნის შუაში აღმართულია გრძელი, ფართო, ბუნებრივი ქვა, რომელზედაც, ე. თაყაიშვილის აზრით, ორმუზდს სწირავდნენ მსხვერეპლს. ის მიიჩნევდა, რომ ლეგენდა დუალისტური ხასიათისაა: აპურამაზდას როლი გადატანილია წმ. სამებაზე, მამალი ზოროასტრიელების წმინდა ფრინველია, ის აპურამაზდას ქმნილება და მსახურია, იცავს ადამიანებს ლამით და თავისი სიმღერით განდევნის ბოროტ სულებს და დევებს — აპრიმანის მსახურებს.¹⁴

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ჩხიკვთის¹⁵ სამხრით არს ეკლესია სამება წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა (სურ. 12) ზედა ნაშენი, არამედ საკვირველი, რამეთუ დიდროენითა ლოდითა შენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელ არს მისი ქმნა, რომელი ავლია ზღუდედ . . . ძველად იწოდა გმირთ-ნაკვეთი და იყო ციხე, ხოლო ან ეკლესია.“¹⁶ ამ

14. *თაკაშავსი 1905, cnp. 15.*

15. მდებარეობს ქვემო ქართლში, ქ. თეთრიწყაროს მახლობლად.

16. ქართლის ცხოვრება 1973, გვ. 326.

გმირთ-ნაკვეთს გულისხმობს XVIII ს-ის ქართული დოკუმენტი ე.წ. ბარათაანთ გუჯარიც, სადაც ის იხსენიება „გმირთ-კვეთილად“; „გმირთ ნასახლარ“-ს უწოდებს ადგილობრივი მოსახლეობა ბაკურიან-თორის მიდამოში არსებულ მეგალითურ შენობებს; „გმირთ ნაშენს“ უწოდებს მოსახლეობა დიდი ლიახვის სათავეში, ზოლდეს პლატოზე მდებარე მეგალითურ სიმაგრეს.¹⁷ „გმირთ ნასახლარის“ ნაცვლად ზოგჯერ ტერმინი „დევის ნასახლარი“ იხმარება, საქართველოში ასევე გვხდება ტოპონიმები „დევის-ხვრელი“,¹⁸ „დევის ნამუხლარი“,¹⁹ „დევის პინები“,²⁰ დევებიანი,²¹ ნანდევუ/ნადევუ - ზემო ჭალადიდსა და თეკლათში.²²

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა (მთიულეთი, გუდაური, ფშავი, ხევსურეთი) უზარმაზარი ლოდებით ნაშენებ ნასოფლარებს ყველგან დევებს უკავშირებს.²³ გურული ფოლკლორის მიხედვით დევები დიდი ტანით გამოირჩევიან. ზოგიერთ დევს ცხრა თავი აქვს, ზოგს შვიდი, ზოგიერთს კი სამი. ისინი დიდ სახლებში ცხოვრობენ. ზღაპრის გმირი თასიე „მიადგა ერ უკაცურ ალაგას. დეინახა, აქანაი დგას უშველებელი შენობა, რომელსაც შემორებული აქ იმფერი მესერაი, რომე რავა ჩავა შით რამე.“²⁴ სამეგრელოში, სოფ. თეკლათში ადგილია ნანდევუ (ნადევარი), სადაც დიდი ქვები ეწყო და ხალხი შიშით უვლიდა გვერდს, აქ დევები იდგნენ და მათი მოტანილია ეს ქვებიო.²⁵ სოფ. ეკის მიდამოებში არის ადგილი ტყა უჩა (შავი ტყე), სადაც ადრე ულრანი ტყე ყოფილა, დევებითა და ქაჯებით სავსე. აქვეა ჭაობიანი ადგილი ნანდუ (ნადევარი).²⁶

ქართველი მთიელების წარმოდგენით, დევები დიდი ზომის, ხშირი ბალნით დაფარული არსებები არიან. სახით ადამიანებს ჰგვანან, მაგრამ საშინელი გარეგნობა აქვთ. დევები დღისით იმალებიან და ღამით კი, სანადიროდ გამოდიან. მათ არაფრის არ ეშინიათ, მხოლოდ მახვილის და ცეცხლის. დევები მთიელების წარმოდგენით დღესაც არიან, მაგრამ იმალებიან და თავის დროს ელოდებიან. დევებს, ისევე როგორც ქაჯებს²⁷ და ეშმაკებს²⁸, ფეხები შებრუნებული აქვთ, ე.ი. კოჭი მოქცეულია წინ, ხოლო ფეხის წვერი თითებით უკანა მხარესაა. დევები უფრო ხშირად ბნელ ხევებში და უდაბურ ადგილებში არიან, ხშირად მიწაში ჩადიან, უჩინარდებიან მიწისქვეშ.²⁹

ქართული თქმულებების თანახმად, ძველად დევები ცხოვრობდნენ ადამიანების გვერდით. ადამიანები ცხოვრობდნენ მიწურ სახლებში, მაგრამ დევების შიშით გარეთ ვერ გამოდიოდნენ, დევები კი მრავლდებოდნენ. სახლებთან ახლოს, ყველგან სამჭედლოებს

17. მელიქესეთ-ბეგი ლ. 1938, გვ. 9,10.

18. ქ. შორაპნის მახლობლად.

19. ქ. მცხეთასთან.

20. ქ. ფასანაურთან.

21. მდ. ქსნის ხეობაში, ქინვალის ნაქალაქართან [რჩეულიშვილი 2001, გვ. 36].

22. ელიავა გ. 1989, გვ. 20, 26.

23. წიკლაური ი. 2001, გვ. 28.

24. ღლონტი ალ. 1937, გვ. 152-158.

25. ელიავა გ. 1989, გვ. 26.

26. ელიავა გ. 1989, გვ. 88,89.

27. ბოროტი არსება ქართული მითოლოგიის მიხედვით.

28. ბოროტი არსება, ქაოსის და ნერვების მომტანი.

29. ცანავა ა. 1992, გვ. 6,7.

აკეთებდნენ. მჭედლობაც მათი მოგონილი ყოფილა.³⁰ მათ გაჭედილ სასოფლო-სამეურნეო იარაღს არაჩვეულებრივი თვისებები მიეწერება.³¹ დევები მიწისზედა სახლებში ცხოვრობდნენ, რომლებსაც ბანიც ჰქონდა და კარიც. დევების სოფლებში ციხე-სიმაგრეებიც იდგა. თქმულებების თანახმად, მათ ხშირად დიდი ოჯახები აქვთ, სადაც დევების დედებიც არიან მოხსენიებული, რომლებიც ჯარასთან სხედან. წყაროსთავის წმინდა გიორგი მოიხსენიება როგორც „დევ-დედაბერთ ამომწყვეტი“. დევები ზოგჯერ მოიხსენიებიან როგორც „დევ-კერპები“. ისინი ცხოვრობდნენ ადგილ საკერპოში³², სადაც სამჭედლოც ჰქონდათ. ზოგი დევი სიკვდილის შემდეგ ჩვეულებრივ იმარხებოდა: ფშავში ერთ ადგილს დევის საფლავი ჰქვია, ზოგჯერ კი, ქვად იქცევა: კოპალამ ავთანდილ დევი რომ მოკლა, ის ქვად იქცა: „ახლაც არაგვში გრძელი ქვა არის და ხალხის რწმენით, ის ქვა მაშინდელი გაქვავებული ავთანდილ დევია“.³³

დევებისაგან შევიწროვებულ მოსახლეობას ღვთისშვილები³⁴ და გმირები ეხმარებიან. საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის გადმოცემების და ანდრეზების³⁵ მიხედვით, შეწუხებულმა ხალხმა ღმერთს მიმართა, რომელმაც მათ დასახმარებლად იახსარი და კოპალა გამოაგზავნა დედამინაზე. იახსარი და კოპალა თავდაპირველად ადამიანები იყვნენ, ხოლო შემდეგ ღვთისშვილებად იქცნენ. იახსარი ბერი ყოფილა, ხოლო კოპალა ბაყშვილი დევებს ჩავარდნია ტყვედ, შემდეგ გამოქცეულა და უფლის სამსახურში ჩამდგარა. მორიგე ღმერთმა დევებთან საბრძოლველად მათ ძალა და იარაღი მისცა. იახსარი მორიგესაგან³⁶ მშვილდ-ისრით იყო დაჯილდოვებული. კოპალამ და იახსარმა ფშავ-ხევსურეთის მიწა-წყალი დევ-კერპებისაგან გაწმინდეს. ალნიშნულია, რომ „კოპალასა და იაღასარის საომარ მოქმედებათა არეალი ... ფშავ-ხევსურეთისა და ერწო-თიანეთის ტერიტორიას არ სცილდება, თუმცა, დევ-კერპთა ნამოსახლარ-ნაბინავრებზე დიდი რაოდენობით მიუთითებენ როგორც მთიულეთში, გუდამაყარში, ასევე ჩეჩინეთ-ინგუშეთში“.³⁷

გურიაში ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით, სოფ. აჭი დევება შეაწუხა. მოსახლეობამ დახმარებისთვის წმ. გიორგის მიმართა, რომელმაც დევი შუბით განგმირა და გააქვავა. მაღლიერმა მოსახლეობამ წმ. გიორგის სახელზე ეკლესია ააშენა. ადგილობრივები, მდ. აჭისწყლის ნაპირზე, დღესაც მიუთითებენ ერთ დიდ ლოდზე, რომელსაც ქვადქცეულ დევად მიიჩნევენ. მეგრული ფოლკლორის მიხედვით მაშუფა/მაშუბა ბოროტ ძალებთან/დევებთან (ნდემი, დემი) მებრძოლი გმირია.³⁸ დევებთან და ბოროტებასთან მებრძოლია დევგმირი ქუთარია.³⁹

ქართულ ზღაპრებში (შავლა, ტარიელი, ვაშლადიმი, თეთრცხენა მონადირე, ირმიშვილი, ცხრა ძმა, ლომკაცა გოლიათი, ჩეთვრიანი ქალი, მენახირე და წითელი თევზი, რო-

30. ცანავა ა. 1992, გვ. 8,9.

31. ოჩიაური თ. 1967, გვ. 170.

32. კერპისთვის განკუთვნილი ადგილი.

33. ცანავა ა. 1992, გვ. 9-11,17,19-20.

34. ქართული ნარმართული ღვთაებები — იახსარი, კოპალა, კვირია, პირქუში.

35. ანდრეზი — რელიგიურ-მითოლოგიური ზეპირი გადმოცემები ფშავ-ხევსურეთში.

36. მორიგე ღმერთი — უმაღლესი ღვთაება, ქართული ნარმართული მითოლოგიის მიხედვით.

37. წიკლაური ი. 2001, გვ. 27-28.

38. ლომაია მ., გერსამია რ. 2012, გვ. 53,97.

39. სამუშავი კ. 1971, გვ. 95-96; გუდავა ტ. 1975, გვ. 173,174.

კაპის ქალი), ადამიანის და დევის (მდევი) ურთიერთობის არაერთი ეპიზოდია აღნერილი. მათ შორის, უმეტესწილად, მტრული დამოკიდებულებაა, თუმცა მშვიდობიანი თანაცხოვრების ეპიზოდებიც გვხვდება.⁴⁰

ქართული თქმულებებისა და ლეგენდების მიხედვით, გამორჩეული არქიტექტურა გმირებს უკავშირდება. მაგ. ბროლის ქვის კოშკი, რომელშიც ყველანაირი განძი მოიპოვება, მოხსენიებულია თქმულებაში ამირანის შესახებ: სანადიროდ წასულ ამირანს და მის ძმებს შეხვდათ ოქროსრქიანი ირემი, რომელმაც ისინი ბროლის ქვის კოშკან მიიყვანა. ძმებმა შემოუარეს კოშკს, მაგრამ კარი ვერ იპოვეს. ბოლოს კოშკმა პირი გააღო და მონადირეებმა კოშკში იპოვეს ოქრო-ვერცხლი, სასწაულებრივი იარაღი, რაში და მზეთუნახავი ქალი.⁴¹ ლეგენდის მეორე ვერსიით, სანადიროდ გამოსული ამირანი და მისი ძმები, ირემმა ბროლის ქვით აგებულ უკარფანჯრო კოშკთან მიიყვანა. ამირანმა კოშკი მუხლის დარტყმით შელენა.⁴² აბესალომ და ეთერის⁴³ თქმულებაში, ბროლის ციხედ იწოდება მიუდგომელი ციხე.⁴⁴ მსგავსი სიუჟეტია გადმოცემული ქართლურ ზღაპარში „ამირანის შვილი“. ზღაპრის გმირი სამ, ხუთ და ათთავიან დევებს (მდევი) ებრძვის. მზეთუნახავის საძებრად წასულმა ამირანის შვილმა „იარა და ერთ ციხეს მიადგა. ცხრა დღე და ღამე უარა გარშემო და კარები ვერ უპოვა.“⁴⁵

საქართველოში გავრცელებული თქმულებების თანახმად, „ბროლის კოშკებში“ ღმერთები, ან ღმერთების სწორი არსებები ცხოვრობენ. სვანური ხალხური ლექსის მიხედვით, კასლედილის⁴⁶ თეთრ ციხეში, რომელიც დგას კლდეზე, ცხოვრობს „ცისკრის თეთრი ვარსკვლავი“. კასლედილის ციხის პატრონი, ცისკრის ვარსკვლავის მამა, რომელიც, სავარაუდოდ, ძველი ღმერთების თაობას მიეკუთვნება და შესაძლოა, ნადირთ პატრონია. მის ადგილ-მამულს გარეული ცხოველები - ჯიხვები, არჩვები, ირმები ამუშავებდნენ.⁴⁷ როგორც ჩანს, ამ თქმულებებში მოხსენიებულ „ბროლის ციხეებსა“ და „გმირთ-ნაკვეთ“ სიმაგრეებში იგულისხმება დიდი ლოდებით, უდუღაბოდ აშენებული მეგალითური ნაგებობები, რომელთა ნანგრევებიც ასე მრავლადაა საქართველოში.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გავრცელებული მეგალითური ნაგებობების — დოლმენების მშენებლობა ზოგიერთი კავკასიელი ხალხის ფოლკლორის თანახმად, მიენერება ჯუჯებს. 1818 წელს ოდესის ისტორიის და სიძველეების საზოგადოების წევრმა დე მარინიშ მდ. ფშადთან აღმოაჩინა დოლმენების ჯგუფი. მანვე პირველად ჩანერა ჩერქეზული ლეგენდა, რომ ეს არის ჯუჯა ხალხის სახლები, რომლებიც მათთვის გოლიათებმა ააშენეს. აფხაზური ფოლკლორის მიხედვით, ჯუჯა აცანები ცხოვრობენ დიდ და მაღალ ქვის სახლებში, რომლებიც გარშემოვლებულია ქვის გალავნით.⁴⁸

40 . ღლონტი აღ. 1948, გვ. 11-219.

41 . ხალხური სიბრძნე 1964, გვ. 11.

42 . ჩიქოვანი მ. 1947, გვ. 282.

43 . ხალხური თქმულების პერსონაჟები.

44 . მელიქსეთ-ბეგი ღ. 1938, გვ. 15.

45 . ღლონტი აღ. 1948, გვ. 11-15.

46 . ადგილი სვანური მითოლოგიის მიხედვით.

47 . ხატაური, 2001, გვ. 25.

48 . ინათ-ითა შ. 1977, სტრ. 97, 164.

აფხაზეთში ჩაწერილი ნართების⁴⁹ ეპოსის მიხედვით, გოლიათების მიერ აგებულ, აულებელ ციხე-სიმაგრეში იზრდებოდა სხვადასხვა ჯიშის მცენარები, რომელიც სას-რიკვამ და ცვიცვამ⁵⁰ ადამიანებისთვის მოიპოვეს.⁵¹ თქმულებების თანახმად, ოდესლაც აფხაზეთის მთებში ცხოვრობდნენ ცანების ტომის ჯუჯები — აცანები. ისინი იმდენად პატარა ტანის იყვნენ, რომ გვიმრის ფოთლებზე ისე ადიოდნენ, როგორც ხეზე და ჩეხა-ვდნენ მას. მიუხედავად ამისა, ისინი დიდი ძალით გამოირჩეოდნენ. თითოეულ მათგანს, სანადიროდ წასულს, შეეძლო მხრებზე მოეგდო და სოფელში მიეტანა ნებისმიერი ნანადი-რევი — ირემი, ჯიხვი, ან გარეული ხარი.⁵² აცანები ცხოვრობდნენ ქვის გალავნით შემოზ-ლუდულ სახლებში, თავიანთი ცხვრები და თხები კი ეყენათ აცანგუარებები - უდუღაბოდ აშენებულ ქვის სადგომებში. ლეგენდის თანახმად, აცანები მთლიანად ამოწყდნენ. თუმ-ცა, აფხაზეთში დღემდე შემორჩა მათი ქვის სადგომები - აცანგუარები. აღსანიშნავია, რომ, აცანებთან დაკავშირებული ტოპონიმი და პიდრონიმი გურიაშიც არის დადასტურე-ბული. ლანჩხეუთის მუნიციპალიტეტში არის სოფელი აცანა, რომელსაც ჩამოუდის მდინ-არე აცაურა.

აფხაზეთში, მეგალითური დასაკრძალავი ნაგებობები, დოლმენებიც გვხვდება. აფხაზ-ები დოლმენებს უწოდებენ „ფსაუნს“ (სულის სახლი, ან ადამიანის სული), ადილეველები „ისპიუნს“ („ისპ“ — ჯუჯა, „უნე“ — სახლი). კავკასიაში საკმაოდ გვიან მოხვედრილი რუსი კაზაკები დოლმენებს უწოდებენ „გოლიათების სახლებს“.⁵³ მიცვალებულთა სახ-ლებს აგრეთვე ნარმოადგენს ყორლანული სამარხების ის ჯგუფი, რომლთა დასაკრძალ-ვი დარბაზების კედლები დიდი ქვეპითაა ამოყვანილი.

49. კავკასიის ხალხთა გმირული ეპოსი.

50. ნართული ეპოსის გმირები.

51. Инал-Ипа Ш. 1977, стр. 23.

52. Инал-Ипа Ш. 1977, стр. 156.

53. Джанхомт И. 2006, стр. 15-16.

თავი II. მეგალითების შესძენების ისტორია.

მეგალითური ნაგებობანი დიდი ხანია იქცევენ მოგზაურთა და სიძველის მოყვარულთა ყურადღებას, მათი მეცნიერული აღნერა კი პირველად XVII საუკუნეში სცადეს.

მეგალითებმა არქეოლოგების ყურადღება XIX საუკუნეში მიიპყრო, პირველი სამოყვარულო არქეოლოგიური გათხრები კი კუნძულ მალტაზე ჩატარდა 1840 წელს.

1884 წელს ტირინთოსის ციკლოპური ნაქალაქარის გათხრა დაიწყო ჰაინრიხ შლიმანმა. არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამაგრებული ნამოსახლარი არსებობდა ადრე ბრინჯაოს ხანიდან, ხოლო აყვავებას მიაღწია გვიანბრინჯაოს ხანაში - ძვ.წ. 1400-1200 წლებში. ეს უძველესი ქალაქი მიკენური ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. მიკენური ცივილიზაციის შემქმნელი ხალხის ეთნიკურ წარმომავლობას ნათელი მოეფინა მ. ვენტრისის და ჯ. ჩედვიკის მიერ ხაზოვანი B დამწერლობის გაშიფრვის შემდეგ. საბოლოოდ გაირკვა, რომ მიკენური ცივილიზაცია აქაველებს, ერთ-ერთ ძველბერძნულ ტომს ეკუთვნოდა.

XX საუკუნის 20-იან წლებში კუნძულ მალტაზე პირველი მეცნიერული არქეოლოგიური გათხრები დაიწყო, რომელსაც წარმოებდა მალტის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი სერ თემისტოკლეს ზამიტი. მან გამოიკვლია ისეთი მნიშვნელოვანი მეგალითური კომპლექსები როგორიცაა ჰალ საფლიერი, ტარშიენი, ჰაგარ ქიმი და მნაიდრა. XX საუკუნის 50-იან წლებში მალტის ნეოლიტური ხანი ძეგლების ქრონოლოგია რადიონახშირბადის მეთოდის გამოყენებით შემუშავა დევიდ ტრამპმა. ამ კვლევის შედეგად მეგალითური ტაძრების მშენებლობა ძვ.წ. 4100-2500 წწ.-ით განისაზღვრა.

მალტის მეგალითური ტაძრების მშენებელთა ვინაობა დღესდღეობით გარკვეული არ არის. თუმცა, ცნობილია, რომ მალტის უძველესი მოსახლეობა სიცილიიდან დაახლოებით ძვ.წ. 7000 წელს ზღვით მოვიდა. ისინი სახლობდნენ ღარ-დალამის გამოქვაბულში, სადაც ნაპოვნია სხვადასხვა ცხოველის, მათ შორის ჯუჯა სპილოს და ბეჭერმოტის ძვლები. დაახლოებით ძვ.წ. 5000 წ. იმ ადგილას, სადაც ათასი წლის შემდეგ ააშენეს მეგალითური ტაძარი სკორპა, გაჩნდა ნამოსახლარი. ტვიფრული ორნამენტით შემქული კერამიკა (იმპრესოს კულტურა) სიცილიაზე აღმოჩენილი სენტინელოს ტიპის კერამიკას ანალოგიურია. ახალი ეტაპი მალტის ისტორიაში იწყება ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში და ასევე დაკავშირებულია სიცილიასთან. სწორედ ამ ეპოქაში იწყება მეგალითური ტაძრების მშენებლობა. დაახლოებით ძვ.წ. 2400 წ. მალტის არქიპელაგი უეცრად ცარიელდება, მიუხედავად იმისა, რომ იქ არც საბრძოლო მოქმედებების და არც სტიქიური უბედურებების კვალი არ დადასტურდა. მოსახლეობის ახალი ნაკადი მალტაზე მოვიდა დაახლოებით ათასი წლის შემდეგ და კვლავ სიცილიიდან. ამჯერად, ახალმოსახლეებს უკვე ბრინჯაოს იარაღი ჰქონდათ და ისინი აშენებდნენ ქვის მაღალი გალავნებით გარშემორტყმულ სოფლებს.⁵⁴ მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ისინი იყვნენ სიკანები — სიცილიაზე მოსახლე უძველესი ტომი.

54. Trump D.H. 1972, pp. 19-20; Korn W. 2005, pp. 90-98.

მეგალითური კულტურების ნიშნებს ატარებს ცნობილი არქეოლოგიური ძეგლი, ლოს მილიარესი, რომელიც აღმოჩნდა 1891 წელს ესპანეთში, ანდალუსიაში. ლოს მილიარესში ცხოვრება ათას წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ძეგლი რადიოკარბონული და-თარილებით ძვ.წ. 3200-2300 წლებში არსებობდა. ლოს მილიარესი წარმოადგენს დიდ გამაგრებულ ნაქალაქარს, რომლის ფართობი თითქმის 2 ჰა-ს შეადგენს. ნამოსახლარი შემოზღუდულია სამი კონცენტრული გალავნით და ოთხი ბასტიონით. რადიონახშირ-ბადულმა დათარილებამ უჩვენა, რომ ერთ-ერთი კედელი დაინგრა და ხელახლა აშენდა ძვ.წ. 3025 წელს. ნაქალაქარის გარეთ მოწყობილი იყო სამაროვანი, რომელიც წარმოდ-გენილია მინაყრილიანი თოლოსის ტიპის მეგალითური სამარხებით. ლოს მილიარესში გათხრები დღესაც მიმდინარეობს.

კავკასიაში მეგალითური ძეგლების შესწავლა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაი-წყო. დოლმენებმა, ყორლანებმა და ცილინდრუმა ნაგებობებმა მკვლევართა ყურადღება კვლევის დასაწყისშივე მიიქცია ყურადღება.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მენპირების შესახებ ინფორმაციები XIX ს-ის მიწურულს გაჩნდა, ინტენსიური შესწავლა კი, XX ს-ის 20-30-იან წლებში მიმდინარეობდა. კვლევის შედეგები შეჯამდა ლ. მელიქსეთ-ბეგის მონოგრაფიაში, რომელიც 1938 წელს გამოიცა.⁵⁵

სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ მეგალითებს პირველად გერმანელმა მოგზაურმა ა. პაქსტაუზენმა მიაქცია ყურადღება. 1909 წელს გელამის მთებში მიკვლეული მენპირე-ბის შესახებ ნ. მარისა და ი. სმირნოვის გამოკვლევა მოგვიანებით გამოქვეყნდა.⁵⁶ ი. მეშ-ჩანინოვმა კავკასიის მეგალითურ ძეგლებს სპეციალური ნაშრომები უძღვნა,⁵⁷ რომელსაც მალე მოჰყვა პ. პიოტროვსკის მონოგრაფია.⁵⁸ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგე-ბული მენპირების არქეოლოგიური შესწავლა არც მელიქსეთ-ბეგის 1938 წელს გამო-ქვეყნებული მონოგრაფიის⁵⁹ შემდეგ განხორციელებულა. მენპირების კვლევა ძირითადად ეთნოგრაფებმა განაგრძეს.⁶⁰ მოგვიანებით მ. ჩხაიძემ დაიცვა დისერტაცია მეგალითური კულტურის ძეგლებზე.⁶¹ 2007 წლიდან მენპირების შესახებ რამდენიმე სტატია ჩვენც გა-მოვაქვეყნეთ.⁶²

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მეგალითური დასაკრძალვი ნაგებობების — დოლმენების შესახებ სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა XX საუკუნის დასაწყისში.

შავიზლვისპირეთში დოლმენების არსებობის შესახებ პირველი ინფორმაცია გაჩნდა

55. მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938.

56. Марр Н., Смирнов И. 1931.

57. Мещанинов И., 1926; Мещанинов И. 1932.

58. Пиотровский Б. 1939.

59. მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938.

60. სიხარულიძე ა. 1970.

61. ჩხაიძე გ. 1997.

62. Нариманишвили Г., Шаншашвили Н. 2007, стр. 164, 165; Narimanishvili G., Shanshashvili N., Narimanishvili D. 2015; ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი დ. 2013.

XVIII საუკუნის ბოლოს, როცა 1794 წელს ნატურალისტმა და მოგზაურმა, პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსმა პ. ს. პალასმა პირველად აღმოაჩინა და აღწერა დოლმენები ტა-მანის ნახევარკუნძულზე, ადგილ ჩოკრაკ-კოიში. XIX ს-ის პირველ ნახევარში დოლმენების ახალ ჯგუფებს მიაკვლიეს და აღწერეს უ., -ვ. ტებუ დე მარინიმ, ჯ. ბელიმ, მ. -ფ. დიუბუა დე მონპერემ. შემდგომ პერიოდში მრავალი დოლმენი აღმოჩნდა ტამანის ნახევარკუნძულზე და მდინარე ყუბანის აუზში. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო დოლმენების შესწავლა, მეტყველებს ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის ბოლოს, 1871 წელს არქეოლოგთა II ყრილობაზე განხილული იქნა დოლმენების საკითხი; აღინიშნა, რომ მეცნიერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ დოლმენების შესწავლის აუცილებლობას.⁶³

1907 წელს შავზღვისპირეთში ჩატარებულმა დაზვერვებმა აჩვენა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე, დოლმენების გავრცელების სამხრეთი საზღვარი ქ. გაგრამდე აღწევდა. 1925 წელს დოლმენები აღმოჩნდა სოფ. აზანთასა და აჭანდარაში. 1930 წელს დოლმენებს მიაკვლიეს სოფ. ეშერაში, რომელთა შესწავლა 1934 წელს დაიწყო. 1946 წელს სოფ. აზანთაში გაითხარა 3 დოლმენი. 1955-1956 წლებში სოფ. ზემო ეშერაში (სურ, 42, 43) სამი და აჭანდარაში კი, ორი დოლმენი გაითხარა. 1964-1965 წლებში სოფ. ხაბიუში ორი დოლმენი იქნა შესწავლილი. 1975 წლიდან არქეოლოგიური ექსპედიცია, ი. წვინარიას ხელმძღვანელობით, მუშაობდა გუდაუთის რაიონის სოფ. ოთხარასა და ხუპში, სადაც გაითხარა 10 დოლმენი.⁶⁴



სურ. 13. თრიალეთის პლატო.

63. Марковин В. 1978.

64. ჯაფარიძე თ. 1959; Марковин В. 1978; Стражев В. 1926; Воронов Ю. 1969; Цвинария И. 1990.

საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ყორდანი 1903 წელს თრიალეთში სოფ. წინ-წყაროსთან დაფიქსირდა, რომლის თავზე ეკლესის ნანგრევები იდგა.⁶⁵ პირველი არ-ქეოლოგიური გათხრები კი 1910 წელს ჩატარდა, როდესაც ე. თაყაიშვილმა საჩერებელი შეისწავლა ყორდანული სამაროვანი და თავისი აღმოჩენის შესახებ სტატიაც გამოაქვეყნა.⁶⁶

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩატარებულ სამუშაოებს, რომელიც სამხრეთ საქართველოში ხრამშესის მშენებლობასთან იყო დაკავშირებული. 1936 წელს შეიქმნა თრიალეთის (წალკის) არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც საველე სამუშაოებს აწარმოებდა 1936-1940 და 1947-1948 წლებში.⁶⁷ პირველ რიგში აღსანიშნავია ტომის ბელადთა თუ მეფეთა დასაკრძალავი გრანდიოზული ყორდანები, რომელთა დარბაზებში მანამდე უცნობი, მდიდრული და უნიკალური მასალა აღმოჩნდა. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ყორდანებიდან მომდინარე ოქროს და ვერცხლის სამკაულებმა, შტანდარტებმა, ჭურჭლებმა, ვერცხლის და ბრინჯაოს იარაღმა, შავპრიალა და მოხატულმა კერამიკამ საფუძვლიანად დაიმკვიდრა ადგილი არა მხოლოდ კავკასიის, არამედ მსოფლიო კულტურის საგანძურში.

1938-1940 წნ. გორის რაიონში, სოფ. ტყვიავთან, გაითხარა სამი ყორდანი, რომლებიც ადრე ბრინჯაოს ხანის ეპოქით დათარიღდა.⁶⁸ XX საუკუნის მეორე ნახევარში ინტენსიურად დაიწყო ყორდანების კვლევა. 1956-1971 წნ. ბედენის პლატოზე გაითხარა სხვადასხვა სიდიდის 11 ყორდანი, რომლებიც ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულით და ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნითაა დათარიღებული.⁶⁹ 1957-1965 წლებში თრიალეთში მუშაობდა ექსპედიცია, რომელმაც წალკაში, ტაბაწყურისაკენ მიმავალი გზის პირას, ადგილ საბიდახჩაზე ხუთი, ხოლო ზურტაკეტში⁷⁰ ცხრა ყორდანი გათხარა.⁷¹ 1965-1968 წნ. ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მარნეულის ველზე ცხრა ყორდანი შეისწავლა, რომლებიც ადრე და შუა ბრინჯაოს ხანით დათარიღდა.⁷² 1978 წელს სოფ. მარტყოფთან რამდენიმე ყორდანი გაითხარა.⁷³ 1973-1975 წნ. კახეთის არქეოლოგოურმა ექსპედიციამ ალაზნის ველზე ორი დიდი ყორდანი გათხარა, ხოლო კიდევ რამდენიმე ყორდანი სოფ. ნუკრიანთან, ანაგასთან, ბაკურციხესთან, ადგილ ზეიანში, ფურცელწყალზე, კაჭრეთან და სხვა.⁷⁴ 2003-2005 წწ.ში ფარავნის ტბის ნაპირზე სოფ. ტამბოვკასთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედიციამ გათხარა ძვ.წ. III ათასწლეულის ყორდანი.⁷⁵ 2012 წელს სოფ. ანანაურთან საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგის კვლევის ცენტრის ექსპედიციამ ორი ყორდანი გათხარა, რომლებიც ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღდა.⁷⁶

65. თაკაშვილი ე. 1913, ცთ. 22; ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 12.

66. თაკაშვილი ე. 1913ა. ცთ. 167.

67. კუფტინ ბ. 1941; კუფტინ ბ. 1936-40, 1947-48; კუფტინ ბ. 1948.

68. მირცხულავა გ. და სხვ. 1992, გვ. 190.

69. გობეჯიშვილი გ. 1980.

70. ადგილი ისტორიულ თრიალეთში.

71. ჯაფარიძე ო. 1969.

72. მირცხულავა გ. და სხვ. 1992, გვ. 202.

73. მირცხულავა გ. და სხვ. 1992, გვ. 210-211.

74. მირცხულავა გ. და სხვ. 1992, გვ. 206-211.

75. Kvavadze E., Kakhiani K. 2010б, p. 470.

76. მახარაძე ზ., კალაძე ნ., მურვანიძე ბ. 2016.

„ციკლოპური“ ნაგებობები პირველად სამხრეთ საქართველოში, თრიალეთში დაფიქ-
სირდა. 1881 წელს სოფ. ავრანლოს სკოლის მასწავლებელმა ა. იოაკიმოვმა სოფლის მახ-
ლობლად ციკლოპური ნაგებობა დააფიქსირა.⁷⁷ მეგალითური ძეგლების მეცნიერულ შეს-
წავლას სათავე დაუდო V არქეოლოგიურმა ყრილობამ, რომელიც 1881 წელს თბილისში
გაიმართა. მრავალ საკითხთან ერთად თრიალეთში არსებული ე.წ. ციკლოპური ნამოსახ-
ლარების შესწავლის აუცილებლობის საკითხიც დადგა.⁷⁸ მიუხედავად ამისა, მეგალითური
ძეგლების შესწავლა დიდი ხნით გადაიდო. ნალკაში პირველი სტაციონარული არქეოლოგი-
ური გათხრები 1896 წელს ე. თაყაიშვილმა ჩატარა, რომელმაც სოფ. კარიაში, ხაჩკოვში,
ბათურთში, სარვანსა და ბეჭთაშენში სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე სამარხი გათხარა.⁷⁹
შემდგომში მან არაერთხელ მოაწყო ექსპედიცია წალკაში. 1913 წელს გამოქვეყნებულ ნაშ-
რომში „Археологические экспедиции, разыскания и заметки“, ე. თაყაიშვილმა ნარდევანის
ციხე აღწერა, როგორც „настоящая циклопическая постройка“.⁸⁰ 1903 წელს სოფ. წინწყ-
აროსა და სოფ. გურია ყალასთან „ციკლოპური“ ნაგებობის ნაშთები დაფიქსირდა⁸¹.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან თრიალეთის მეგალითური ძეგლების კვლევას იწყებს
ლ. მელიქსეთ-ბეგი. 1924 წელს იგი ექსპედიციას აწყობს აღმულახსა (თეთრიწყარო) და
წალკაში; 1929 წელს – ჯავახეთსა და წალკაში; 1932 წელს – ტაბაწყურის რაიონსა და
წალკაში; 1935-36 წლებში აგრძელებს სამუშაოებს წალკის რაიონში. კვლევის შედეგები
საქართველოს ტერიტორიაზე არსებული „ციკლოპური“ ნამოსახლარების პირველ მონო-
გრაფიულ გამოკვლევას დაედო საფუძვლად. მასში მეგალითური ძეგლების შესწავლის
ისტორია და მათი კლასიფიკაცია მოცემული.⁸²

მიუხედავად ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული „ციკლოპური“ ძეგლების
შესწავლას არასისტემატური ხასიათი ჰქონდა და დიდი ხარვეზებით მიმდინარეობდა.⁸³
პირველი, ვინც „ციკლოპური“ ნამოსახლარების არქეოლოგიური შესწავლა სცადა, იყო
ბ. კუფტინი.⁸⁴ მან ბეჭთაშენის „ციკლოპურ“ სიმაგრეზე ოთხი თხრილი გაავლო, სადაც
დადასტურდა მტკვარ-არაქსული, გვიან ბრინჯაოს ხანის და შუა საუკუნეების ფენები.
ამ მონაცემების საფუძველზე „ციკლოპური“ ნამოსახლარების ქვედა თარიღად ძვ.წ. III
ათასწლეული განისაზღვრა. XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, ბ. კუფტინის გარ-
დაცვალების შემდეგ, რეგიონში არქეოლოგიური სამუშაოები რამდენიმე წლით შეწყდა.
1989 წლიდან დღემდე წალკის მუნიციპალიტეტში სამუშაოებს აწარმოებს არქეოლოგიუ-
რი კვლევის ცენტრის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციის ძირითად
მიზანს წარმოადგენს რეგიონის ტერიტორიაზე არსებული „ციკლოპური“ ნამოსახლარე-
ბის და სიმაგრეების აღნუსხვა, ფიქსაცია, ქრონოლოგიის და ტიპოლოგიის გარკვევა.

77. უეაროს ა. 1887.

78. ტруды ... 1887, стр. VII.

79. თაკაშვილი ე. 1896; ჩარკვიანი 2002.

80. თაკაშვილი ე. 1905; თაკაშვილი ე. 1913 стр. 36,37.

81. გრენ ა. 1907.

82. მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938.

83. მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938; ციციშვილი ი. 1998; ციციშვილი ი. 1955; ჯანბერიძე ნ., ციციშვილი ი. 1976.

84. კუფტინ ბ. 1941; კუფტინ ბ. 1948; კუფტინ ბ. 1949.

სომხეთის „ციკლოპური“ ნამოსახლარების და სიმაგრების მეცნიერული კვლევა XIX საუკუნეში დაიწყო და დღემდე გრძელდება.⁸⁵

აზერბაიჯანში „ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და სიმაგრეების შესწავლას გეგმაზომიერი ხასიათი არ ჰქონია, ამიტომაც მონაცემები ამ ტიპის ძეგლების შესახებ მეტად მცირეა. ცნობილია, რომ „ციკლოპური“ ძეგლები ძირითადად სამხრეთ-დასვლეთ აზერბაიჯანშია გავრცელებული.⁸⁶

„ციკლოპური“ ნამოსახლარების და ციხე-სიმაგრეების თარიღის და რაობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ნაწილი⁸⁷ მათ ნარმოშობას ძვ.წ. III ათასწლეულიდან ვარაუდობს. ს. ესაიანის მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთში შესწავლილი „ციკლოპური“ სიმაგრეების ნაწილში მხოლოდ ერთი, ძვ.წ. III ათასწლეულის ფენა დადასტურდა.⁸⁸ ამ ეპოქის ფენები ორიალეთში ბეშქენაშენის და თეზის „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზეც გამოვლინდა.⁸⁹ ბედუნური კულტურის ნამოსახლარის მძლავრი ფენა ბეშთაშენის „ციკლოპურ“ ნამოსახლარზე გაითხარა.⁹⁰ თუმცა ამ ფენებისა და „ციკლოპური“ წყობით აგებული სასიმაგრო სისტემების თანადროულობის საკითხის გადაწყვეტა გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. ნამოსახლარების „ციკლოპური“ კედლით შემოზღუდვა, როგორც ჩანს, ძვ.წ. XVI-XIV სს. იწყება (ბეშქენაშენი). მომდევნო ეპოქაში კი „ციკლოპური“ ტექნიკით ნამოსახლარებისა და სიმაგრეების შენება დიდ მასშტაბებსა აღწევს.⁹¹ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ციკლოპური“ ძეგლების ასეთი ადრეული ხანით დათარიღებისათვის მონაცემები მეტად მცირეა. ჩვენს მიერ სამხრეთ საქართველოს მეგალიტურ ძეგლებზე ჩატარებული სამუშაოების მიხედვით⁹² შეიძლება ითქვას, რომ „ციკლოპური“ სიმაგრეები და ნამოსახლარები ძვ.წ. XVI საუკუნიდან არსებობენ, ძვ.წ. XIII-VII საუკუნეში კი გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ.

85. ადჯან ა., გივალი ლ., პიოტროვსკი ბ. 1932; პიოტროვსკი ბ., გივალი ლ. 1933; პიოტროვსკი ბ. 1949; კუშნარევა კ. 1960, სტ. 139; მარტიროსიან ა. 1964, სტ. 23; ხანვადიან ე. 1969, სტ. 23; მიკაელიან გ. 1968; ჭილინგარიან ს. 1968, სტ. 224; ესაიან ს. 1976.

86. გურკო-კრაქინ ვ. 1926; მეშანინოვ ი. 1932; ჯაფარვაზე ა. 1956; ალიევ ვ. 1983; ახუნდოვ დ. 1986.

87. ხანვადიან ე. 1969, სტ. 23; ესაიან ს. 1976, სტ. 7-18.

88. ესაიან ს. 1976, სტ. 17-18.

89. კუფტინ ბ. 1941, სტ. 108; შანშაშვილი ბ., ნარიმანიშვილი გ. 1996.

90. კუფტინ ბ. 1941, სტ. 115-117.

91. შანშაშვილი ბ. ნარიმანიშვილი გ. 1996; ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ. და სხვ. 1996; ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი ბ. 1997; შანშაშვილი ბ. ნარიმანიშვილი გ. 1998; ხავადიან ე. 1969; ესაიან ს. 1976; ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი ნ. 2000; Narimanishvili G., Shanshashvili N. 1997; Narimanischvili G., Schanschachvili N. 2001; Narimanishvili G., Shanshashvili N. 2001a.

92. 1990-1997 წწ. საბეჭდავი; 2002-2003 წწ. ელო-ბაბა; 1990-1991 წწ. კნოლუ; 1990-1995 წწ. ბეშთაშენი; 1998-2002 წწ. აი-ილია; 1992 წ. სანთა; 1998-2006 წწ. აერანბოლო; 1998-2002 წწ. შაორი; 1998-2002 წწ. აბული; 1998-2002 წწ. კარიაკი. 1998 წლისათვის ცნობილი ამ ტიპის ყველა ძეგლი (ბარეთი, კარიაკი, საბეჭდავი, კნოლუ, ბეშქენაშენი, ზემო ბეშქენაშენი, ლიპი, უნელო, კოხავი, თეზი, ცრიცი, ხევდორმა, ლომბ) აიგეგმა და აიზომა არქიტექტურულად და ტოპოგრაფიულად, გამოყენებული იქნა აეროარქეოლოგიური მეთოდები. 2000 წელს აიგეგმა შაორისა და აბულის კომპლექსები.

თავი III. მეგალითების სახეობი და არქიტექტურა

მეგალითური ძეგლები მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. შესაბამისად, მეცნიერები მათ ტიპოლოგიას სხვადასხვაგვარად წარმოადგენენ. თუმცა, ყველა თანხმდება, რომ მეგალითური ძეგლი არის დიდი ქვით, ან ქვებით შექმნილი ხელოვნური სტრუქტურა ან კომპლექსი.

საქართველოში არსებულ მეგალითურ ძეგლებს მიეკუთვნება: 1. მენპირები; 2. მიცვალებულთა მეგალითური სახლები (დოლმენები და ყორლანები); 3. მეგალითური სამლოცველოები. 4. მეგალითური არქიტექტურული კომპლექსები (საცხოვრებელი და თავდაცვითი);

§ 1. მენპირები

მენპირი (სახელწოდება მიიღო ბრეტონული (საფრანგეთი) სიტყვისაგან *maen* - ქვა და *hir* - გრძელი) ვერტიკალურად დაყვენებული ქვის სვეტია, რომლის ზედაპირი ხშირად ადამიანის მიერ არის დამუშავებული. მენპირების რიგები ზოგჯერ ჰქმნიან ხეივანს, რომელიც რამდენიმე ათეული ქვისაგან შედგება. ყველაზე ცნობილი ქვის ხეივანი სამხრეთ ბრეტონულ (საფრანგეთი) კარნაჟშია, სადაც 2935 მენპირი 3900 მ სიგრძის ხაზზეა განლაგებული.

უძველესი ქვის სტელები ცნობილია სამხრეთ თურქეთიდან, გობეკლი-თეფეს და ნევალი ჩორის საკულტო კომპლექსებიდან, რომლებიც ძვ.წ. IX-VIII ათასწლეულებით თარიღდება.⁹³

ქვის სქემატური ანთროპომორფული გამოსახულებები გავრცელებულია ჩრდილო მესოპოტამიასა და სირიაში (ტელ-ბრაკი, ჯაბლ ალ-ბაიდა, ბოსრა, ტელ ნები მენდი). ყველა ეს გამოსახულება ძალზე არქაული იერისაა. თუმცა ფრანგი მეცნიერის ა. პუადებარის აზრით, ქვის ქანდაკებები ტელ ბრაკიდან და ტელ ნები მენდიდან ხეთური სკულპტურის ადგილობრივ მინაბაძებს წარმოადგენენ.⁹⁴ ანთროპომორფული იერის ქვის მენპირი ალ-მოჩნდა სირიაში, უძველეს ქალაქ მარის მახლობლად, ჯაბლ ალ-ბაიდაში. ის იდგა მთის მწვერვალზე, სამლოცველოში, ლია ცის ქვეშ. იქვე ნაპოვნია სხვა, უფრო მცირე ზომის მენპირები. კომპლექსი ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება.⁹⁵ ბიბლიოსში, ძვ.წ. II ათასწლეულით დათარიღებულ ტაძარში, იდგა მრავალი ქვის სტელა/მენპირი, რომლებიც გარკვეულნილად იჩინენ მსგავსებას ეგვიპტურ ობელისკებთან.⁹⁶ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტელა/მენპირი საკულტო ადგილებში იდგა და თავადაც კულტის ობიექტს წარმოადგენდა. მრავალი ცალკე მდგომი, თუ კომპლექსში არსებული მენპირია ცნობილი ევროპაში.

93. Schmidt K. 2006, pp. 243-258; Schmidt K. 2011, pp. 64-68, 78, 82; Hauptmann 1993, p. 37.

94. Poidebard A. 1930, p. 364.

95. Bunatz D. et all. 1999, p. 77.

96. Carter T. et all. 2004, p. 283.

ყველგან, სადაც კი დადასტურებულია მენპირები, ადგილობრივ მოსახლეობას ბოლო დრომდე სჯეროდა, რომ ეს არის წმინდა ქვები, რომლებსაც შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ადამიანების ჯანმრთელობასა და გამრავლებაზე, რაც დაფიქსირებულია ეთ-ნოგრაფიულ გამოკვლევებში.

მენპირებს გამორჩეულ, განსაკუთრებულ ზებუნებრივ ძალას და სასწაულომოქმედ ბუნებას მიაწერდნენ როგორც დიოფიზიტი და მონოფიზიტი ქრისტიანები, ასევე ისლამის მიმდევრები. მენპირები დღესაც რჩებიან კულტის ობიექტებად. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მათი თავდაპირველი ბუნების შესახებ არაფერია ცნობილი. იმის გამო, რომ ძველი მენპირები დიდ მონუმენტებს წარმოადგენდნენ და მათ გამორჩეული მდებარეობა ჰქონდათ, ისინი დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდნენ მყარი აღნიშვნის წერტილად. საყურადღებოა, რომ სამხრეთ კავკასიის მთელ რიგ რეგიონებში ვერტიკალურად მდგარი ქვები კულტის ობიექტად რჩებოდა დიდი ხნის განმავლობაში.



სურ. 14. თრიალეთი. ხუცის ტამალია /შეპიაკი. მენპირი და სამარხები (გ. ტატიშვილის ნახატი).

ამის ნათელი მაგალითია გერმანიაში დაფიქსირებული ერთი შემთხვევა. საინტერესოა საარბრიუკენთან მდგარი მენპირის ისტორია - მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიაში, საარბრიუკენის მახლობლად იდგა მენპირი, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა აეროდრომი. ოთხმეტრიანი მენპირი დაჭრეს სამ ნაწილად და სანიშნებად დააყენეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით, მენპირის ნანილები შეაწებეს და დადგეს თავის ადგილას.

თრიალეთის კულტურის ყორლანებზე ხშირად გვხვდება ვერტიკალურად აღმართული ქვები. მათი ნაწილი დღემდეა შემორჩენილი, ზოგიერთზე კი მხოლოდ ზეპირი ცნობაა შემონახული. ზოგიერთი მენჭირი უშუალოდ ყორლანის თავზე იდგა, ზოგიერთი კი — ყორლანების ჯგუფის სიახლოვეს. მენჭირი იდგა თრიალეთის V ყორლანზე (ყორულ-თაში), რომელიც შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება. ადგილობრივ მოსახლეობას ახსოვდა, რომ ქვა ვერტიკალურად იდგა და ამიტომ უნიდეს ეს სახელი, რაც „დამცველ ქვას“ ნიშნავს.

წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე, შუა ბრინჯაოს ხანის ყორლანების სიახლოვეს, სოფ. შეპიაკა და სანომერს შორის, იდგა თითქმის 3 მ. სიმაღლის მენჭირი „თეკელი-და-ში“. წყალსაცავის ტერიტორიაზე, ყორლანების სიახლოვეს, კიდევ რამდენიმე მენჭირია დადასტურებული წალკის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ.⁹⁷



სურ. 15. ჭიქიანი / თიქმა-დაშის უღელტეხილი და მენჭირი (გ. ტატიშვილის ნახატი).

თრიალეთიდან ჯავახეთში გადასასვლელ უღელტეხილზე, ყორლანების სიახლოვეს დგას მენჭირი „თიქმა-დაში“. ყორლანზეა მოთავსებული მენჭირი თეთრიწყაროს შესასვლელშიც.⁹⁸ უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ზომის ვერტიკალურად მოთავსებული ქვები შეინიშნებოდა თრიალეთის XIV ყორლანის ყრილში.⁹⁹

97. ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 37-38.


98. მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938, გვ. 87-88.

99. ჯორჯიკაშვილი ლ., გოგაძე ე. 1974, სტრ. 19, თაბ. 14-3.

სამხრეთ კავკასიაში, ვერტიკალურად მდგარი ქვების შესახებ, პირველი ინფორმაცია ქართულ საისტორიო წყაროებში მოგვეპოვება. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“ შეიცავს ინფორმაციას თრიალეთის სამი მენჭირის შესახებ.¹⁰⁰



სურ. 16. ჯავახეთი. მურჯახეთის მენჭირი (ი. ესვანჯიას ჩანახატი).




სურ. 17. ჯავახეთი. განძის მენჭირი.

¹⁰⁰ დოლიძე ი. (რედ.) 1965, გვ. 324.

საქართველოში მენპირები XIX ს-ის მიწურულს დაფიქსირდა. მკვლევართა განსაკუ-
თოებული ყურადღება მიიქცია სოფ. მურჯახეთის ქვის ობელისკმა (სურ. 16) და სოფ.
განძის (სურ. 17) მენპირმა.¹⁰¹

განძის მენპირი პირველად ი. როსტომაშვილმა აღნერა 1898 წელს. მისი აზრით, ქვა-
ზე თევზის ლაყუჩები და თვალია გამოსახული, რომელთა ქვევით რელიეფურად წარ-
მოდგენილია ფრინველები, ალბათ წეროები; ფასადზე კი ამოკვეთილია ხარის თავ-ფეხი,
რომლის ორივე მხარეს ფრინველები დგანან.¹⁰² მურჯახეთის მენპირის სიმაღლე 2.9 მ-ია.



სურ. 18. თრიალეთი. ხუცის ტამალია /შეპიაკის მენპირი (ჩანახატები ი. ესვანჭიასი და
გ. ტატიშვილისა).

თრიალეთში, თანამედროვე წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე, სოფ. სანომერსა და
შეპიაკს შორის, მინდორში იდგა მენპირი (სურ. 14, 18).¹⁰³ ქვის სიგრძე 2.85 მ-ს, დი-
ამეტრი კი 1.15 მ-ს უდრიდა.¹⁰⁴ მენპირი დღესაც წალკის წყალსაცავის ფსკერზეა. ის

101. მელიქშეთ-ბეგი ლ. 1938, გვ. 98-104.

102. Сухарулиძე А. 1970, срп. 13-14.; სიხარულიძე ა. 1970, გვ. 45-48.

103. კუჭიშვილი ნ. 1936, სრ. 48; ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 38.

104. მელიქშეთ-ბეგი ლ. 1938, გვ. 104-105, ტაბ. XLI-XLIII.

მდგარა მცირე ყორლანზე, რომლის სიახლოვეს რამდენიმე მცირე ყორლანი, ქვაყრილ-იანი და კრომლეხიანი სამარხებია გამართული (სურ. 14, 18).¹⁰⁵ მენჭირს სიგარის ფორმა აქვს, ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული, ძირიდან თავამდე ზიგზაგი დაუყვება, თავთან თვალისმაგვარი წრეა ამოკვეთილი.



სურ. 19. თრიალეთი. სანთა /უნყლო. სამარხები და მენჭირი (გ. ტატიშვილის ჩანახატი).

მეორე საინტერესო კომპლექსი, რომელიც მენჭირს (სურ. 19-21) შეიცავს, წყალსა-ცავის ჩრდილოეთ ნაწილში, სოფ. სანთას სიახლოვეს მდებარეობას. კომპლექსი ხუთი ყორლანისაგან, ორი კრომლეხისაგან, ქვაყუთებისაგან და მრავალი მცირე ზომის წრიული ქვაყრილისაგან შედგება (სურ. 19). ერთ-ერთი კრომლეხის ცენტრში მენჭირი დევს (სურ. 20). ბაზალტის მონოლითის სიგრძე 2.1 მ-ია, დიამეტრი 2,0 მ. ქვა ნაკლულია — მოტეხილი აქვს თავი და ძირი. კარგად გაპრიალებულ ზედაპირზე ამოკვეთილია საფეხურებიანი ნაგებობის გამოსახულება, რომლის თავზე სპირალებია დატანილი. ერთ სპირალს გრძელი, სამწვერა ფეხი აქვს.¹⁰⁶ მენჭირი მდგარა თრიალეთის V ყორლანზეც.¹⁰⁷


105. ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 37.

106. ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი ნ., კვაჭაძე გ. 2018, გვ. 90.

107. კუფტინ ნ. 1936, ცმр. 21; ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 37.




სურ. 20. თრიალეთი. სანთა /უნიკლო. მენპირი.



სურ. 21. თრიალეთი. სანთა /უნიკლო. სამარხები და მენპირი. გეგმა.

თრიალეთიდან ჯავახეთისაკენ მიმავალი გზის პირას, უღელტეხილზე დგას მენპირი (სურ. 22), რომელიც ჭიქიანის სახელითაა ცნობილი.

მენპირზე გამოსახულია ხარის თავი.¹⁰⁸ 3.5 მეტრის სიმაღლის მენპირი ჭიქიანის ობსიდიანის საბადოს ცენტრში დგას, რომლის გარშემო ყორლანებია გამართული. აქ, 1940 წელს, ბრინჯაოს ხანის ოთხი ყორლანი გაითხარა.¹⁰⁹



სურ. 22. თრიალეთი. ჭიქიანის მენპირი.

თრიალეთში, სოფ. ავრანლოსა და სოფ. ყიზილ-ქილისას შორის, მინდორში დგას მენპირი (სურ. 23), რომლის ხილული სიმაღლე 2.15 მ-ია. ქვას ოდნავ შესამჩნევი ანთროპო-მორფოლი იერი აქვს, რაც გვიანდელი ნამოქმედარი უნდა იყოს.

108. სიხარულიძე ა. 1969, გვ. 42-43, სურ. 3; სიხარულიძე ა. 1970, გვ. 12.

109. გოგაძე ე. 1972, გვ. 16, 38; ჯორჯიკაშვილი ლ., გოგაძე ე. 1974, ცტ. 26.



სურ. 23. თრიალეთი. ყიზილ-ქილისა /ავლადი. მენჭირი.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მენჭირი წაგრძელებული ცილინდრის ფორმისაა, რომელ-საც თავი მომრგვალებული აქვს, ძირთან ყველა მათგანი ოდნავ დაკუთხულია, ზევით კი თანდათან ვიწროვდება. სამხრეთ კავკასიაში სხვა ტიპის, მართკუთხა ფორმის მენჭირე-ბიც გვხვდება.

მართკუთხა მენჭირი დგას ფარავნის ტბასთან, სოფ. ვლადიმიროვკას დასავლეთით, გრუნტის გზის პირას (სურ. 24).




სურ. 24. ჯავახეთი. სოფ. ვლადიმიროვკა. მენპირი.


ქვის ამ მონოლითებს აქვთ ბრტყელი ზედაპირი, რომელზეც ფანტასტიკური ცხოველია გამოსახული. ერთი ასეთი მენპირი სოფ. რეხას სამხრეთით, ეკლესიის ეზოში დგევს (სურ. 25).¹¹⁰ ქვის სიგრძე 3.2 მ-ია, სიგანე 1.55 მ-ს, სისქე კი 0.42 მ-ს უდრის. მენპირის ზედა ნაწილში ფანტასტიკური ცხოველის თავი და ფეხებია გამოსახული. მსგავსი გამოსახულებაა მოცემული ქ. თეთრინ्पაროს დასავლეთით, 1.0 კმ-ის დაცილებით მდგარ მართკუთხა მენპირზეც (სურ. 26). მენპირი ყორღანზე დგას (სურ. 27), რომლის ქვაყრილის ფორმა საფუძვლიანადაა შეცვლილი.¹¹¹

110. ვაჩეიშვილი ნ. 2003, გვ. 30-33, სურ. 1, 2.


111. ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი ნ., კვაჭაძე გ. 2018. გვ. 261, CCXCV-1.



სურ. 25. თარიალეთი. რეხა. მენტირი.



სურ. 26. თეთრინიწყარო. მენჭირი.



სურ. 27. თეთრინყარო. მენპირი (გ. ტატიშვილის ჩანახატი).

სამხრეთ კავკასიის მენპირების ერთ ნაწილს თევზის ფორმა აქვს. ამ ჭიშის მონოლითები დიდი რაოდენობით დაფიქსირდა სომხეთში.¹¹² მათი უმეტესობა რეალისტურ ქანდაკებებს მიეკუთვნება და ისინი თევზის გამოსახავენ. თევზის ფორმა აქვს სოფ. ბეჭთაშენის სამხრეთით დაფიქსირებულ მენპირს (სურ. 28), რომელიც ყორლანის ქვაყრილში (დმ. 7.0-8.0 მ) დევს.

112. Пиотровский Б. 1939, стр. 3.



სურ. 28. ორიალეთი. ბეჭთაშენი. მენპირი.

მართხულთხა მენპირები დგას თრიალეთში, მდ. ალგეთის ხეობაში, სოფ. კოდისწყაროს სიახლოვეს (სურ. 29) და სოფ. ახალსოფელთან (სურ. 30).



სურ. 29. თრიალეთი. კოდისწყარო. მენპირები.

მენპირების ზოგადი აღნერა გვიჩვენებს, რომ სამხრეთ კავკასიაში დადასტურებული ვერტიკალურად მდგარი ქვის დიდი მონოლითები პირობითად სამ ტიპად შეიძლება დაიყოს: 1. წაგრძელებული მართულთხედის ფორმის მენპირები, რომელთა სიმაღლე ორჯერ ან მეტჯერ აღემატება სიგანეს, სისქე კი სიგანის ნახევარი ან ერთი მესამედია. 2. წაგრძელებული ცილინდრის ფორმის მენპირები, რომლებსაც წვერი ტანთან შედარებით უფრო შევიწროვებული აქვთ. ამ ტიპის მენპირების სიმაღლე რამდენჯერმე აღემატება დიამეტრს. ასეთი ფორმის გამო ამ ტიპის მეგალითებს, „სიგარისებურ“ მენპირებსაც უწოდებენ; 3. მენპირები, რომლებიც თევზის ქანდაკებას წარმოადგენენ.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის მენპირები არაერთხელ გახდა კვლევის ობიექტი და მათ ნაწილზე გარკვეული არქეოლოგიური გათხრებიც ჩატარდა,¹¹³ მათი რომელიმე არქეოლოგიური კულტურისათვის მიკუთვნება, ან რომელიმე კონკრეტულისტორიულ ეპოქასთან დაკავშირება მაინც ძნელია. თუმცა, გარკვეული წინასწარული ვარაუდების გამოთქმა მაინც არის შესაძლებელი.

113. Пиотровский Б., 1939; Мелникес-Берг 1938, гр. 105; Narimanishvili G., Shanshavili N., Narimanishvili D. 2015; ნარიმანიშვილი გ., შანშავილი ნ., ნარიმანიშვილი დ. 2013.



სურ. 30. თრიალეთი. ახალსოფელი. მენპირი.

სამხრეთ თურქეთში (წევალი ჩორი, გობეკლი-თეფე და ჩაიონიუ თეფესი) ნეოლითური სამლოცველოების PPNB (Pre-Pottery Neolithic-B) აღმოჩენის შემდეგ გაჩნდა შესაძლებლობა სამხრეთკავკასიური მენპირები მათან მიმართებაში განვიზილოთ. რეხას და თეთრიწყაროს მართკუთხა მონოლითები ყველაზე მეტად გობეკლი-თეფეს კარგად დამუშავებულ ბრტყელ მონოლითებს ემსგავსება. სამხრეთ კავკასიის მენპირების და ანატოლიის ნეოლითური სამლოცველოების სტელებს შორის მსგავსება ცხოველთა გამოსახულებებშიც შეინიშნება. სამხრეთკავკასიურ ქვებზე მოცემულია ხარის ტყავი და თავ-ფეხი, ცხვარი, გველი და წერო. ეს ცხოველები გვხდება ანატოლიის PPNB სამლოცველოების ქვებზეც, რომლებიც ძ.წ. X-VIII ათასწლეულებით თარიღდება. გობეკლის სტელებზე ფრინველები, გველები, ბუკრანიები, ასევე, ცხოველის ტყავებია გამოსახული.¹¹⁴

114. Schmidt K. 2011, pp. 64-68, 78, 82, pic. 8, 9, 12, 14, 29, 34, 36.



სურ. 31. ხევსურეთი. გველეთი. სამანის ქვები.

სამხრეთ კავკასიის მენპირებზე მოცემული გამოსახულებები სემანტიკურად ახლოს დგას ანატოლიის ნეოლითური ხანის ზოომორფულ სიმბოლოებთან. ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის და ანატოლიის ძველი მოსახლეობა ერთ სიმბოლურ ენას იყენებდა. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ სამხრეთ კავკასიაში მენპირები იმავე დროს გაჩნდა, როდესაც წარმოიშვა ანატოლიის წინაკერამიკული ნეოლითის პერიოდის სამლოცველოები.

იმის გამო, რომ საქართველოში მენპირები ყორღანებზე, მათ სიახლოვეს ან და-საკრძალავი კომპლექსების მახლობლად დგას, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ისინი წინაპართა კულტთან უნდა იყვნენ დაკავშირებული.¹¹⁵ უკანასკნელ წლებში სომხეთში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გელამის მთების და არაგანის მენპირებიც ყორღანების ყრილებზე იყო აღმართული.¹¹⁶ თრიალეთში, ელი-ბაბას ადრერკინის ეპოქის სამაროვანზე, №42 სამარხის თავზე, აღმართული იყო ანთროპომორფული სტელა/მენპირი,¹¹⁷ რომელსაც, შესაძლოა, პორტრეტული მსგავსებაც კი ჰქონდა გარდაცვლილთან. მსგავსი ანთროპომორფული სტელა/მენპირი ნაპოვნია თრიალეთში, სოფ. ავრანლოში, სადაც ბ. კუფტინმა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები გათხარა.

115. ჩარიმანიშვილი გ., შანაშავილი ნ. 2007.

116. Gilbert A., Bobokhyan A. 2012, p. 61.

117. ჩარიმანიშვილი გ., შანაშავილი ნ. 2018, стр.95, рис.24.

ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარ-აუდოთ, რომ მენპირი იყო ღვთაებრივი წინაპრის მატერიალური გამოხატულება. ხშირ შემთხვევაში ქვა იდგა ღვთაებრივი წინაპრის სამარხზე, ან მიმდებარე ტერიტორიაზე. ათასწლეულების განმავლობაში მენპირების სიახლოვეს ნაყოფიერების კულტთან დაკავ-შირებული რიტუალები იმართებოდა. მენპირის აღმართვა ყორლანზე, ან მის სიახლოვეს, დაკავშირებული იყო მეფე-წინაპრის კულტთან.


აღსანიშნავია, რომ დღემდე გათხრილი ყველა ყორლანი, რომელიც მენპირებია დაკავშირებული, შუა ბრინჯაოს ხანის მიეკუთვნება. არ არის გამორიცხული, რომ შუა ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ძველ მენპირებს იყენებდა დაკრძალვის რიტუალში. შეიძლება დავუშვათ, რომ სამარხები ადრე აღმართული მენპირის გარშემო იმართებოდა (მაგ. თიქმა-დაში), უშუალოდ ყორლანის ყრილზე მენპირის აღმართვის შემთხვევაში კი, გამორჩეული რიტუალის შესრულებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ვფიქრობთ, რომ ძველი მენპირების საშუალებით მოსახლეობა ცდილობდა დაემყარებინა კავშირი თავის წინაპრებსა და ძველ ქტონიურ ღვთაებებთან. ამავე დროს ხდებოდა გარკვეულ ტერიტორიაზე თავისი კანონიერი უფლებების ხაზგასმა. კავკასიის მთიელები დღემდე აღმართავენ წაგრძელებული ფორმის ქვებს (სურ. 31), რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება აქვთ. მაგ. მიცვალებულის საფლავზე დადგმული ქვა; ქვის სვეტები, რომლებსაც სამანი ეწოდებოდა, საზღვრის აღსანიშნავად გამოიყენებოდა; წაგრძელებული ფორმის სასაზღვრო ქვები ძვ.წ. III-ი ათასწლეულებში ფართოდ იყო გავრცელებული მესოპოტამიაში. ამ სვეტებს ასურეთში კუდურუ ერქვა და შემკული იყო ღვთაებების გამოსახულებებითა და წარწერებით.¹¹⁸

სამხრეთ კავკასიაში მენპირები დღემდე კულტის ობიექტებს წარმოადგენენ. ადგილობრივი მოსახლეობა თვლის, რომ ეს მონოლითები წმინდა ქვებია და მათ ნაყოფიერების, ჯანმრთელობის და კეთილდღეობის მოტანა შეუძლიათ. მენპირებზე ყველაზე ხშირად ხარის თავი, ფეხები და ტყავი გამოსახული. ეთნოლოგების აზრით, ხარის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც ის ჯერ არ იყო მოშინაურებული. მეცნიერთა ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ საკულტო ცერემონიებში, სადაც ხარის მსხვერპლად შეწირვა ხდება, არასოდეს ფიგურირებს კასტრატი, ხარი-მინათმოქმედი. ყველა რიტუალში მონაწილეობს მხოლოდ ხარი-მწარმოებელი. როგორც ჩანს, ასეთი საკრალური მნიშვნელობისა და საკულტო ღირებულების ჩამოყალიბება წინ უსწრებს მინათმოქმედების განვითარებას, სადაც ხარი გამწევ ძალად გამოიყენება.¹¹⁹ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე შინაური ხარის ნაშთები ნეოლითური პერიოდიდან მოკიდებული ყველა ეპოქაში გვხვდება.¹²⁰ ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხარი დღემდე საკულტო ცხოველს წარმოადგენს. საქართველოს მთიან რეგიონებში შემორჩენილია საკულტო პრაქტიკა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც გარეული, ისე შინაური ცხოველები (სურ. 32).

118. Buccellati G. 1994, pp. 283-291.

119. სურგულაძე ი. 1993, გვ. 35-44.

120. გოგელია დ., ჭელიძე ლ. 1992, გვ. 34.



სურ. 32. თუშეთი. სოფ. დანი. ცხოველის შენირული რქები საქართველოს მთიანეთის სამლოცველოებში (კ. ხიმშიაშვილის ფოტო).


სამლოცველოებისათვის შენირული გარეული ცხოველებიდან დომინირებს ჯიხვი და ირემი (სურ. 32-37), ხოლო შინაური ცხოველებიდან ცხვარი და ხარი. მსხველპრშენირვის ძირითად ობიექტს მაინც ხარი წარმოადგენს, რადგან სამლოცველოების მთავარ ღვთაებას მხოლოდ ხარს წირავენ.¹²¹ შენირული ცხოველების თავს, ტყავს და ფეხებს სამლოცველოებში ან მათ ეზოში ტოვებდნენ; ხშირად კი ხეებზე კიდებდნენ (სურ. 35-37).¹²² სამსხვერპლი ტყავების ან ცხოველთა ფიტულების ხეზე ჩამოკიდება დამონტებულია მთელ საქართველოში და სალოცავებისადმი ერთ-ერთ აუცილებელ შესანირს წარმოადგენდა.¹²³ გარეული რქოსანი ცხოველის თავის საცხოვრებელში ან საკულტო ადგილზე მოთავსება ადრებრინჯაოს ხანის სათხის (სურ. 38) და შუაბრინჯაოს ხანის ჯინისის (სურ. 39) ნამოსახლარებზე არის დაფიქსირებული. შინაური ცხოველების მსხვერპლად შენირვა ხშირია ბრინჯაოს ხანის დაკრძალვის რიტუალში.

არ არის გამორიცხული, რომ მენცირებზე გამოსახული მსხვერპლად შენირული ხარის თავ-ფეხი, ისევე როგორც თავად საქონლის მსხვერპლშენირვა, წარმოადგენდა ღმერთებთან ურთიერთობის საშუალებას. ამდენად, ქვის სვეტი/მენცირი, რომელზეც სამუდამოდ იყო აღბეჭდილი მსხვერპლად შენირული ცხოველი, ქტონიურ, თუ ზეციურ ღმერთებთან დამაკავშირებელი — მედიატორის სიმბოლო იყო.

121. ბარდაველიძე ვ. 1982, გვ. 156.

122. ბარდაველიძე ვ. 1974, გვ. 222, ტაბ. 89.

123. ჩხაიძე მ. 1997, გვ. 31-33.



სურ. 33. თუშეთი. სოფ. დანო. სამლოცველო. ცხოველის შენირული რქები
(კ. ხიმშიაშვილის ფოტო).



სურ. 34. ხევსურეთი. სოფ. უკანახო. სამლოცველო. ცხოველის შენირული რქები (გ. გოგოჭურის ფოტო).


ხარი ძველ ანატოლიაში სიცოცხლისა და მამაკაცური ნაყოფიერების სიმბოლო იყო.¹²⁴ შეიძლება ვიფაიქროთ, რომ სამხრეთ კავკასიის მენპირებზეც გამოსახულია სამსხვერპლო ხარი, რომელიც ნაყოფიერებისა და აღორძინების მამაკაცურ ღვთაებას განასახიერებს. სამხრეთ კავკასიის უძველეს მოსახლეობაში ჩამოყალიბებული ხარის კულტის საკრალური ძალის რწმენა ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდეა შემორჩენილი. სამხრეთკავკა-სიურ მენპირებისა და ანატოლიურ გამოსახულებათა ერთგვაროვნება, შესრულების ტექნიკის მსგავსება, გარკვეული ნორმებისა და პრინციპების დაცვა, ალბათ ერთგვაროვანი ტრადიციების არსებობაზე მიგვითითებს, რაც ერთიანი მსოფლმხედველობის ასახვასაც უნდა წარმოადგენდეს.

მენპირებს გარკვეული სექსუალური დატვირთვა აქვთ, რაც აისახა კულტურის გარკვეულ დონეზე. ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებსა და ხალხურ ფოლკლორში დაუმუშავებელ, ან ოდნავ დამუშავებულ ვერტიკალურად დაყენებულ ქვებს „ქვა-კაცი/ქვაკაცა“, „ქალ-ქვა“, „ქვათა-რძალი“, „დევის-ქვა“, აგრეთვე „ძუძუს-ქვა“ ეწოდება¹²⁵. ხალხური გადმოცემების თანახმად, „ქალ-ქვებს“ შეუძლიათ მოახდინონ გავლენა ბუნებაზე. მურჯახეთის მენპირს ქართველები „ძუძუს-ქვა“-ს უწოდებენ. მიაჩნიათ, რომ ამ ქვაზე ამობურცულად ამოჭრილია მამაკაცის ასო-ფალოსი, რომელსაც სასწაულებრივ ძალას

124. Mellaart J. 1963, p. 52; Gimbutas M. 1992, p. 230.

125. მელიქშეთ-ბეგოლ. 1938, გვ. 17.

მიაწერენ მეძუძური დედებისათვის რძის მოცემა-მომატებაში; ამიტომ, ქალები მას თაყვანს სცემდნენ, საკმეველს უკმევდნენ და ზედ ქონს ან ზეთს სცხებდნენ. მეორე მენჭირი პირველის მახლობლად, მინდორში, იდგა. მას ადგილობრივი მოსახლეობა პირველის ძმას უწოდებს. სოფ. განძის მახლობლად, მინდორში მდგარ მენჭირსაც ისეთ წესებს უკავშირებენ, რომლებიც ფალოსის კულტის გამოძახილს წარმოადგენს.



სურ. 35. ხევსურეთი. სოფ. ზეისტეჩი. სამლოცველო. ცხოველის შენირული რქები (გ. გოგოჭურის ფოტო).

საქართველოში, ჯავახეთის მოსახლეობის გადმოცემით, აბულის მთის წვერზე მდგარ დიდ ქვას სცემდნენ თაყვანს. არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვით, აბულზე ოდესაც აპოლონის ქანდაკება იდგა.¹²⁶

მეცნიერთა აზრით, უძველეს საქართველოში მენჭირები ფალოსის კულტთან იყო დაკავშირებული.¹²⁷ ნიშანდობლივია, რომ ქვის ფალოსი უკანასკნელ დრომდე შემორჩა თუშეთში. სოფ. შენაქოში, ნიშტაყოს გორაზე შესწავლილი სალოცავი კომპლექსის შემადგენლობაში შედის „კვრივი, დარბაზი, სასუფეველ-საკურთხეველი, შიდა გალავანი, გალავნის გარეთ სასაფლაო და სამჭედლო, რომელიც X საუკუნით თარიღდება.“

126. მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938, გვ. 117.

127. მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938, გვ. 98-101.



სურ. 36. ხევსურეთი. სოფ. ამღა. სამლოცველო. ცხოველის შენირული რქები (გ. გოგოჭურის ფოტო).

ამავე კომპლექსში შედის აგრეთვე ვერტიკალურად დადგმული ქვის ფალოსი, და მისი არტიბუტები, მრგვალი ქვა ორივე მხარეს¹²⁸.



სურ. 37. ხევსურეთი. ა). სოფ. ჩირდილი ბ). სოფ. ჭალისსოფელი. სამლოცველოები. ცხოველის შენირული რქები (გ. გოგოჭურის ფოტო).

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში არსებობს რწმენა სხვადასხვა სახის მეგალითების (მენტირების, დოლმენების, ერატიპების), როგორც გამანაყოფიერებელი ძალის შესახებ. ეს რწმენა XX საუკუნის დასაწყისშიც არსებობდა ევროპის სოფლის მოსახლეობაში. საფრანგეთში, ზოგიერთ სოფელში, შვილიერების მსურველი ქალები მონოლითზე ჯდებოდნენ, ან მუცლით ეხებოდნენ ქვას. იგივე დატვირთვა აქვს ლონდონში, წმინდა პავლეს ტაძრის სვეტების ჩახუტებას. 1923 წელსაც დადასტურებული ფაქტია, რომ შვილის გაჩენის მსურველი ქალები, სოფლებიდან ჩადიოდნენ ლონდონში, რათა წმინდა პავლეს ტაძრის სვეტებს ჩახუტებოდნენ. სექსუალური რიტუალი დადასტურებულია კარნაკის (ბრეტონი) მენტირთან. ინდოეთის ზოგიერთ რეგიონში უნაყოფო ქალებს სნამდათ, რომ დოლმენებში წინაპრები სახლობენ, რომლებსაც შეუძლიათ მათთვის შვილიერების მინიჭება. ამიტომ მათ საჩუქრები მიაქვთ დოლმენებთან და ეხახუნებიან ქვას. იგივე რწმენა გავრცელებული იყო საფრანგეთში. კარნაკში ქალები სხდებოდნენ დოლმენ კრეზ-მოკემზე, რათა შვილი ჰყოლოდათ.¹²⁹

128. დოლაბერიძე რ. 2001, გვ. 32-33.

129. ესაძე M. 2000, cnp. 12, 16-18, 112.



სურ. 38. ჯავახეთი. სოფ. სათხე, ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. ირმის რქები.

საქართველოში მენპირებს, როგორც საკრალურ ქვებს, ძირითადად შვილიერებას და ბავშვების ჯანმრთელობას სთხოვდნენ. განსაკუთრებული ძალის ქვებად მიიჩნევდნენ სოფ. მურჯახეთში, განძაში, სანთაში, დიდ აბულში, ავრანლოში, თეჯისში, სანომერში არსებულ მენპირებს.¹³⁰ აბსოლუტურად ანალოგიური რწმენა-წარმოდგენებია დამოწმებული ევროპის და აზიის სხვადასხვა ხალხების (ინგლისელების, ფრანგების, ინდოელების) ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში. ყველგან ვერტიკალურად მდგარი ქვა — მენპირი ითვლებოდა წინაპრის სულის სათავსოდ. იმ სოფლების მაცხოვრებლები, სადაც დგას მენპირი, თვლიან, რომ ქვა, რომელშიც ცხოვრობს წინაპრის სული, უზრუნველყოფს მათ შვილიერებით, უხვი მოსავლით და ზოგადად, ნაყოფიერებით.¹³¹




სურ. 39. თრიალეთი. სოფ. ჯინისი/არნივანი. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. ირმის რქა.

130 . მელიქსეთ-ბეგი ღ. 1938, გვ. 89-117

131 . ელიაშვილი M. 2000, cnp. 10.

დიდი ზომის გახვრეტილ ქვებთან ე.წ. ერატიპებთან, დაკავშირებითაც არსებობს რწმენა-წარმოდგენები, რომ ქვის ხვრელში გაძრომა ადამიანს განკურნავს, ან ქალების შვილიერებას შეუწყობს ხელს. ერატიპა, ანუ ბავშვთა სულების ქვა, ავსტრალიაში მაღალი კლდის სახელია. ავსტრალიური ტომის არუნდას რწმენით, ამ კლდის ნახვრეტი არის გარდაცვლილი ჩვილების სულების ადგილსამყოფელი, რომლებიც ელოდებიან გამვლელ ქალებს, რათა ხელახლა გაჩნდნენ.

საქართველოში, თრიალეთის სოფ. სანთის „ციკლოპური“ ნაციხარის მახლობლად მდგარა გახვრეტილი რვანახნაგოვანი ქვა. ქვაში არსებულ ხვრელში ქალები სამჯერ ძვრებოდნენ შვილს გაჩენის იმედით. ეს ქვა დღეს აღარ ჩანს. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა ერთ ქვაზე (სურ. 40) მიუთითებს, რომელზეც თითქოს მდგარა ერატიპა. გოხნარის მეგალითური კომპლექსის ერთ-ერთ გახვრეტილ ქვაში, გამოჯანმრთელების მიზნით, ძვრებოდნენ ავადმყოფი ადამიანები.¹³² ერატიპა (სურ. 41) დგას თრიალეთის სოფ. განთიადშიც, წმ. ბარბარეს ეკლესიასთან, მთის ძირში, რომელზეც ციკლოპური სიმაგრეა განთავსებული.



სურ. 40. თრიალეთი. სოფ. სანთა /უნიკლო. ერატიპას ჩასადგმელი ქვა.

იგივე რწმენა-წარმოდგენებია გავრცელებული ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. საფრანგეთში, სოფ. ამანსში დგას ე.წ. „გახვრეტილი ქვა“. ქალები მის წინ დგებიან მუხლებზე და ოოცულობენ შვილების ჯანმრთელობაზე, ნახვრეტში კი ფულს აგდებენ. სოფ. ფუვენ ლე-ო-ში კი ახალგაჩენილი ბავშვები მიჰყავდათ „გახვრეტილ ქვასთან“ და ნახვრეტში

132. მელიქსეთ-ბეგილ. 1938, გვ. 126.

აძვრენდნენ, რათა ავი თვალისაგან დაეცვათ და ბედნიერი ცხოვრება დაბედებოდათ. უნაყოფო ქალები საბერძნეთში, კუნძულ პათოსზე ბოლო დრომდე ძვრებოდნენ ე.წ. „გახ-ვრეტილ ქვაში“, რათა შვილი გაეჩინათ. იგივე რწმენა გავრცელებული იყო ინგლისშიც.¹³³




სურ. 41. თრიალეთი. სოფ. განთიადი. ერატიპა.

133. ელიაძე M. 2000, стр. 19.

§ 2. მიცვალებილთა მეგალიტური სახლები

საქართველოში არსებულ მეგალიტურ ძეგლებს მიეკუთვნება მიცვალებულის და-საკრძალავ ნაგებობათა ნაწილი — დოლმენები და ყორღანები.

დოლმენი (ბრეტონული tol – მაგიდა და maen - ქვა) სამარხი ნაგებობაა, რომელიც დგას მიწის ზევით, აგებულია ვერტიკალურად დაყენებული დიდი ზომის ფილებით და გადახურულია ასეთივე ქვებით (სურ. 42). დოლმენები გეგმაში ტრაპეციის ან ოთხკუთხა ფორმისაა, იშვიათად გვხვდება წრიული ფორმის. არქიტექტურულად შედარებით სრულყოფილი ფორმაა ხუთი, ან ექვსი ქვის ფილისგან შედგენილი ქვის ყუთი. დოლმენს (სურ. 43), წინა კედელში, დატანილი აქვს მრგვალი, ან ოვალური ფორმის ნახვრეტი (ხვრელი).




სურ. 42. აფხაზეთი. სოფ. ეშერა. დოლმენი.

დოლმენები გავრცელებულია ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში, ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე. საქართველოში ძირითადად გვხვდება შავი ზღვის სანაპირო ზოლში, იქ სადაც ზღვას მდინარე ერთვის, ხეობების დასაწყისში, ან წყალგამყოფი ქედების კალთებზე.

კავკასიაში დოლმენები პირველად დაფიქსირდა 1794 წელს ტამანის ნახევარკუნძულზე. XIX ს-ის პირველ ნახევარში, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე, დოლმენების ახალ ჯგუფებს მიაკვლიერს. შემდგომ პერიოდში მრავალი დოლმენი აღმოჩნდა ტამანის ნახევარკუნძულზე და მდინარე ყუბანის აუზში. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო დოლმენების შესწავლა, მეტყველებს ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის ბოლოს, 1871

წელს არქეოლოგთა ॥ ყრილობაზე განხილული იქნა დოლმენების საკითხი; აღინიშნა, რომ მეცნიერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ დოლმენების შესწავლის აუცილებლობას.¹³⁴

კავკასიის დოლმენები ფორმათა და კონსტრუქციის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. შესაბამისად სხვადასხვა ტიპოლოგიაც არსებობს. მკვლევართა უმეტესობა დოლმენების ოთხ ძირითად ტიპს გამოყოფს: 1. მასიური ქვის ფილებისაგან აგებული დოლმენები; 2. შედგენილი დოლმენები; 3. ნახევრად მონოლითური დოლმენები; 4. მონოლითური დოლმენები.¹³⁵



სურ. 43. აფხაზეთი. სოფ. ეშერა. დოლმენი (გ. ტატიშვილის ჩანახატი).

საქართველოს ტერიტორიაზე დოლმენები პირველად XX საუკუნის დასაწყისში, აფხაზეთში დაფიქსირდა. 1907 წელს შავი ზღვის სანაპიროზე ჩატარებული დაზვერვების დროს დოლმენები ქ. გაგრის მიდამოებში დაფიქსირდა. 1925 წელს დოლმენები სოფ. აზანთასა და აჭანდარაში (გულრიფშის მუნიციპალიტეტი) აღმოჩნდა.¹³⁶ 1930 წელს ეშერაში მიაკვლიერ თხუთმეტამდე დოლმენს, რომელთაგან უმეტესობა დანგრეული იყო. მოგვიანებით აქ შესწავლილი იქნა დოლმენების ერთი ჯგუფი. ადრებრინჯაოს ხანის დოლმენი თითქოს სოფ. ბედიასთან დაფიქსირდა.¹³⁷ 1934 წელს დაიწყო ეშერის ყორ-

134. Марковин В. 1978.

135. Лавров Л. 1960; Марковин В. 1978; Фелицин Е. 1904.

136. Стражев В. 1926; Воронов Ю. 1969.

137. Иващенко М. 1935, стр. 14.

ლანების შესწავლა, მოგვიანებით გაითხარა აჭანდარას დოლმენების შესწავლის ინტერესი არც შემდგომ განელებულა - 1946 წელს სოფ. აზანთაში გაითხარა 3 დოლმენი, 1955-1956 წლებში სამი დოლმენი გაითხარა სოფ. ზემო ეშერაში და ორი კი, აჭანდარაში. 1964-1965 წლებში სოფ. ხაბიუში შესწავლილი იქნა ორი დოლმენი. 1975 წლიდან გუდაუთის რაიონის სოფ. ოთხარაში დოლმენებს სწავლობდა ო. წვინარია.¹³⁸

აფხაზეთის ტერიტორიაზე დოლმენები 30-მდე პუნქტშია დაფიქსირებული: განთიადი, აჩმარდა, ოთხარა, ხაბიუ, აჭანდარა, მიქელრიფში, ფსხუ, ყულანურხვა, აბგარხუკი, სანჩარი, დოუს ულელტეხილი, ანუხვა აბხაზსკაია, ახალი ათონი, ეშერა, შრომა, გორანა, ახუპაჩი, აზანთა, სული, ჩხალთა, ახუცა ჯგერთა, ბედია და მდინარეების ტროიცკის, რიშევიუს, მჭითშთას, აგურიფსთას, ბაულის, მადენგას, გულრიფშის, ჯამპალას ხეობებში.¹³⁹

აფხაზეთის დოლმენები (სურ. 42,43) ძირითადად მასიური ფილაქვებისგანაა აგებული. გეგმაში ტრაპეციისებური ფორმისაა, წინა კედელი თითქმის ყოველთვის უფრო განიერია, ვიდრე უკანა. ამავე დროს, წინა კედელი უფრო მაღალია ვიდრე უკანა, ამიტომ სახურავი ძირითადად უკანაა დაფერდებული. დოლმენები აგებულია მასიური, უხეშად გათლილი ხუთი ფილაქვისაგან — ოთხი ქვისაგან შედგენილია კედლები, მეხუთე კი სახურავს წარმოადგენს, ზოგჯერ იატაკადაც ერთი მთლიანი ფილაქვაა დადებული. კედლებისა და იატაკის ქვებზე ლარებია ამოკეთილი, რათა კედლის ქვები უკეთ ჩამჯდარიყო ერთმანეთში და იატაკები. დოლმენებს წინა კედელში ხვრელი აქვს გაჭრილი, უმეტესობა ოვალური ფორმისაა, გვხვდება წრიული ნახვრეტიც; მხოლოდ ერთ შემთხვევაშია დაფიქსირებული ორი ხვრელი, წინა და უკანა კედლებში (სოფ. სული). ზოგადად ეს ნახვრეტი მოთავსებულია კედლის ქვედა ნახევარში, შუა ადგილას. ხვრელის შიდა პირი გარეთაზე ოდნავ განიერია ხოლმე. ხვრელს გარედან ქვის საცობი უკეთდებოდა. ამ მეგალითური ძეგლების ფასადი, ძირითადად, მიმართულია სამხრეთით, მცირედი გადახრით აღმოსავლეთით ან დასავლეთით, მხოლოდ აზანთის ერთ დოლმენს აქვს ნახვრეტი ჩრდილოეთის მხრიდან.

დოლმენების შიდა სივრცე, ძირითადად, ამოვსებულია მინით და მასში შერეული ქვიშაქვის ან კირქვის წვრილი კენჭებით. აღნიშნულ მასაში ფიქსირდება მიცვალებულთა თავის ქალები და ჩონჩხის ცალკეული ნაწილები, ასევე დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული მასალა. არტეფაქტები აღმოჩენილია დოლმენების წინ და მის მიმდებარეტერიტორიაზეც.

აფხაზეთის დოლმენებიდან შედარებით უკეთაა შესწავლილი სოფ. ზემო ეშერის დოლმენების ჯგუფი. ისინი ჩრდილოეთ კავკასიის დოლმენებთან შედარებით, უფრო მოზრდილებია. ეშერის დოლმენები ერთ რიგადაა განლაგებული და დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ყველა სამარხი გეგმაში ტრაპეციისებური ფორმისაა და აგებულია მასიური ქვის ფილებისაგან — ოთხი გამოყნებულია გვერდებად და ერთი ფილითაა გადახურული; ზოგიერთს, ასევე, ერთი ფილაქვა ჰქონდა იატაკად.

138. Марковин В. 1978; Стражев В. 1926; Воронов Ю. 1969; Цвицариа И. 1990.

139. პაპუაშვილი რ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი ნ. 2006, გვ. 127-129.

ქვედა ეშერაში, კიურ-დერეს დასახლებაში ბ. კუფტინის მიერ შესწავლილი ადრე-ბრინჯაოს ხანის პირველი დოლმენის სიგრძე 3.68 მ-ია, სიგანე 2.93 მ., სიმაღლე — 2.18. დოლმენი თარიღდება ძვ.წ. 2400-2200 წწ.¹⁴⁰ ეშერაში ო. ჯაფარიძის მიერ 1955-1956 წწ-ში გათხრილი №1 დოლმენის სიგრძე 3.75 მ-ია, ხოლო სიგანე 2.90 მ; სიმაღლე წინა, სამხრეთ კედელთან 1.80 მ, უკანა, ჩრდილოეთ კედელთან 1.60 მ., კედლის ქვის სისქე 0.35-0.25 მ-ს შორის მერყეობს; ხვრელი ოდნავ ოვალური ფორმისაა, მისი ზომებია 0.48 მ X 0.41 მ.; თარიღდება შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით.¹⁴¹



სურ. 44. ყორლანი. საერთო ხედი.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში ი. წვინარიამ შეისწავლა დოლმენების რამდენიმე ჯგუფი სოფ. ოთხარასა და ხუაპში. ძალიან საინტერესო მეგალიტურ სამარხ ნაგებობას წარმოადგენს ათხარას დოლმენები, რომლებიც მდ. ძაგვრიაშის სათავესთან მდებარეობს. 1975 წელს ამ ადგილას გაითხარა ყრილი, რომლის ქვეშ აღმოჩნდა დაზიანებული დოლმენი (№ 1) და მასთან დაკავშირებული ქვაწრე. ყრილის ქვეშ, ცენტრში იდგა დოლმენი, რომელიც ორიენტირებულია სამხრეთით. დოლმენს წინამხრიდან აქვს კარგად გათლილი კირქვის კედლით შემოზღუდული სივრცე, ე.წ. ეზო, რომელიც გვერდით ფილებს უერთდება და წრიული ფორმა აქვს. ამ კონსტრუქციას ირგვლივ შემოსდევს ოვალური ფორმის ქვის წრე, შედგენილი გათლილი კირქვის შედარებით დიდი ზომის ქვებისაგან. ოვალურ ქვაწრეს შემოუყენება წრიული ფორმის კრომლეხი, რომელიც ნაგები იყო დიდი ზომის ქვებისაგან. კრომლეხებს შორის სივრცე შევსებული და მოსწორებული იყო წვრილი ქვით. დოლმენს ჰქონდა შემოვლებული ქვით შედგენილი კიდევ ერთი წრე, რომლისაგან შემორჩა სამი დიდი ზომის დამუშავებული ქვის ბლოკი, სამხრეთ-დასავლეთით. დოლმენი ორჯერ დაიფარა ქვის ყრილით, პირველად, როცა დოლმენური კულტურის მატარებელმა ხალხმა დატოვა ეს ადგილი, მეორედ, გვიან შუასაუკუნეებში, როცა შიგნით გამართეს

140. კუფტინ ნ. 1949, ცტР. 266-277; ჯაფარიძე ო. 1959.

141. ჯაფარიძე ო. 1959; კუფტინ ნ. 1949.

სამარხი. არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა დოლმენის წინ არსებულ ეზოში, რადგან გვიან შუასაუკუნეებში გამართული სამარხისათვის დოლმენი მთლიანად გამოასუფთავეს საფუძვლამდე. მიცვალებულთა ძვლების გარდა აქ აღმოჩნდა მრავალფეროვანი მასალა, რომელიც ხანგრძლივ პერიოდს, ნეოლითის ხანიდან შუა საუკუნეებამდე, მოიცავს. ოთხარის დოლმენების მასალების შესწავლის შედეგად, მათი თარიღი ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანიდან ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულამდე განისაზღვრა.¹⁴²

ყორლანი. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის დასაკრძალავი ნაგებობები ძირითადად ყორლანების სახითაა წარმოდგენილი. ყორლანი, ანუ გორასამარხი წარმოადგენს ხელოვნურ ბორცვს, მთას (სურ. 44), რომლის ქვეშ გამართულია დასაკრძალავი ნაგებობა, ან სამარხი კამერა. ყორლანის ყრილს ხშირად დიდი ქვებით შედგენილი კრომლეხი (სურ. 45) შემოუყვება.



სურ. 45. ორიალეთის L ყორლანის კრომლეხი.

საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული ბრინჯაოს ხანის ყორლანები წარმოადგენს წრიული ან კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის გეგმარების და 1.5 — 12.0 მ სიმაღლის ბორცვებს, რომელთა არქიტექტურული სახე წაკვეთილი კონუსის ან პირა-მიდის მსგავსია. ყორლანის ბორცვი წარმოადგენს ხელოვნურ ზვინულს, რომელიც ქვის, მიწის ან ქვამიწაყრილისაგან შედგება (სურ. 45, 46).


142. ცვინარია И. 1990.



სურ. 46. ორიალეთი. კრომლეხები.

ყრილის ქვეშ გამართულია დასაკრძალავი კამერა, რომლის ფართობი 6 კვ. მეტრი-დან - 200 კვ. მეტრამდე მერყეობს. დიდი ზომის დასაკრძალავი კამერები წარმოადგენენ დარბაზებს, რომელთა კედლები უმეტეს შემთხვევაში დიდი ქვების მშრალი წყობითაა ნაგები (სურ. 53). კედლების სიმაღლე 5-8 მ-ს უდრის. ასეთი დარბაზები გადახურულია ხის ძელების კონსტრუქციებით და ქვამიწაყრილით (სურ. 47). ამ ტიპის ყორლანებს აღმოსავლეთის მხრიდან გრძელი (10-50 მ.) დრომოსები აქვთ, რომელთა სიგანე 4-7 მ-ს მორის მერყეობს. დრომოსის კედლებიც დიდი ქვებითაა ნაგები და გადახურულია. ხშირ შემთხვევაში დრომოსის გაგრძელება წარმოდგენილია ქვით მოგებული სარიტუალო გზის სახით (სურ. 48). ასეთი გზების სიგრძე ყორლანის ზომაზეა დამოკიდებული და 50-დან 800 მეტრამდე მერყეობს (სურ. 49).¹⁴³


143. ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 28-44.



სურ. 47. ზურტაკეტი. № 6 ყორლანი
(რეკონსტრუქცია. გ. ნარიძანიშვილი, შ. მელიქიძე, გ. ტატიშვილი).



სურ. 48. თრიალეთი. LI ყორლანი და სარიტუალო გზა.



სურ. 49. ორიალეთი. XV ყორდანი და სარიტუალო გზა.

საქართველოში ყორდანული ყრილის ქვეშ ქვით ნაგები აკლდამებიც გვხვდება. უძველესი აკლდამა მარტყოფის №1 ყორდანული ყრილის ქვეშ დაფიქსირდა. დასაკრძალავი კამერის ქვით ნაგები კედლები თხელი ფილებით არის ამოყვანილი, კედლის წინ კი ქვით მოგებული მოედნია მოწყობილი.¹⁴⁴ ასეთივე ტექნიკითაა ნაგები კავთისხევის (კატრიანი) ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული ყორდანის დასაკრძალავი ნაგებობა.¹⁴⁵ დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით აგებული აკლდამები (სურ. 51) სამხრეთ საქართველოში, მესხეთში, გათხრილი ყორდანების ყრილის ქვეშ დაფიქსირდა (სურ. 50).

144. ჯაფარიძე ო. 1998, გვ. 12, სურ. 2, ტაბ. 1, 2.

145. Makharadze Z. 2008, p. 67, pic. 35, 33.



სურ. 50. მესხეთი. ბერთაყანები. ყორღანის ყრილი.


ეს აკლდამები იმითაც გამოირჩევა, რომ ქვის დიდი ფილებითაა გადახურული.¹⁴⁶ მესხეთის ქვაყრილიანი ყორღანების დიამეტრი 40 მ-ს აღწევს, სიმაღლე კი 3-4 მ-ია. თითქმის ყველას დიდი ქვებით ნაგები კრომლეხი და დასაკრძალავი კამერა აქვს.¹⁴⁷ მესხეთის ყორღანებს შორის გამოირჩევა ახჩიის №1 დიდი ყორღანი, რომელსაც მაღალი ქვაყრილი ჰქონდა. ყორღანს გარს შემოუყვება 2 მ სიმაღლის ქვამინიანი ფუძე, რომელზეც მოწყობილია დიდი ქვებით ნაგები კრომლეხი. ამ ყორღანის დრომოსის სიგრძე 3.5 მ-ია. ის აშენებულია დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით უდუღაბოდ. დრომოსის სიმაღლე დასაწყისში 1.1 მ-ია, ხოლო კამერის შესასვლელთან — 2.25 მ. დრომოსიდან კამერაში შესასვლელს ჩამკეტად დიდი ზომის ქვის ფილა ჰქონდა.¹⁴⁸ დიდ ყორღანებში კამერის სიგრძე 6 მ-ს აღწევდა, სიგანე — 3 მ-ს, სიმაღლე კი 3 მ-ს. კამერის ქვედა რიგზე, როგორც წესი ძალიან დიდი ზომის ქვები დევს.¹⁴⁹ სამარხი კამერა აშენებულია დიდი ზომის დაუმუშავებული ქვებით, მშრალი ნყობით (სურ. 52).

146. ჯაფარიძე ო. კიკვიძე ი. და სხვ. 1981, გვ. 21, 24, 32, სურ. 1, 4, 7.

147. ჯაფარიძე ო. 1992, გვ. 175.

148. ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი. და სხვ. 1981.

149. ჯაფარიძე ო. 1992, გვ. 175; ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი. და სხვ. 1981, გვ. 19, 33-39, სურ. 9.



სურ. 51. მესხეთი. ახჩია. ყორღანის ქვით ნაგები კედლები.


გრძივი კედლები ისეა ნაგები, რომ მათ შორის მანძილი ზევით ვიწროვდება. სახურავად გამოყენებულია დიდი ზომის ფილები, რომელთა სიგრძე 2 მ-ს აღემატება. ყველა ყორღანს აღმოსავლეთის მხრიდან მოკლე დრომისი ჰქონდა და კამერისაგან მოზრდილი ქვებით მშრალად აშენებული ტიხრით იყო გამოყოფილი. დიდ ქვაყრილიან ყორღანებში კამერა მინის ზემოთ იყო გამართული, დანარჩენ ყორღანებში კამერა ან ორმოში იყო ჩადგმული, ან ტერასში შეჭრილი.

ქვით ნაგები მინისზედა დასაკრძალავები თრიალეთის კულტურაში უფრო მრავლადაა გამოვლენილი და მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა.¹⁵⁰ როგორც ჩანს, ქვის დიდი ფილებით იყო შემოზღუდული თრიალეთის III ყორღანის დასაკრძალავი მოედანი. XLV ყორღანის მინისზედა სამარხ მოედანს ქვის დიდი ფილებითა და ფლეთილი ქვით ნაგები კედლები ჰქონია.¹⁵¹ ხის ძელებით გადახურული ქვის ზღუდე ჰქონდა სომხეთში გათხრილ ყარაშამბის მდიდრულ ყორღანსაც.¹⁵² ქვით ნაგები კედლები აქვს თრიალეთსა და ზურტა-აეტში გათხრილი ყორღანების გრანდიოზულ დასაკრძალავ დარბაზებს (სურ. 53).


150. კუფტინ ბ. 1941, стр. 100; კუფტინ ბ. 1948, стр. 14, 15; ჯორჯიკაშვილი ლ., გოგაძე ე. 1974, стр. 15, таб. 3-9.

151. კუფტინ ბ. 1941, стр. 83. таб. XIII - 2.

152. Օგանեսյան Բ. 1990; Օգանեսյան Բ. 1993; Կუშნარევა Կ. 1993, стр. 116.



სურ. 52. მესხეთი. ახჩია. ყორლანის გადახურვა.



სურ. 53. ზურტაკეტი. ყორლანების დასაკრძალავი დარბაზები (ო. ჯაფარიძის მიხედვით).

ზურტაკეტის № 4 ყორლანის დასაკრძალავი დარბაზის ფართობი 100 კვ. მ-ია, თრიალეთის XLV, ზურტაკეტის № 3 და № 6 ყორლანების დასაკრძალავი დარბაზის ფართობი 150 კვ. მ-ს, თრიალეთის XXXVI ყორლანისა კი 175 კვ. მ-ს უდრის. ამ ყორლანთა ყრილის

სიმაღლე 4.0 — 12.0 მ-ია.¹⁵³ „დასაკრძალავი დარბაზი“ ჰქონდა საბიდახჩას № 1 ყორდანს.¹⁵⁴ ქვით აშენებული აკლდამები ძირითადად მესხეთის ყორდანებშია დაფიქსირებული.¹⁵⁵ გვხვდება ყორდანის სამარხ ორმოში ჩადგმული ქვის ფილებით შეერული ქვაყუთიც.¹⁵⁶

საქართველოში ზემოთ აღნერილი ყორდანებისაგან განსხვავებული ტიპის ყორდანებიც გვხვდება, რომელთა დასაკრძალავი კამერებიც სხვადასხვაგვარად არის მოწყობილი. ყორდანთა მრავალფეროვნება მიცვალებულთა განსხვავებულ სოციალურ სტატუსზე უნდა მიუთითებდეს. როგორც ჩანს, სხვადასხვა სოციალურ ფენას განსხვავებული დაკრძალვის წესი შეესაბამებოდა და საზოგადოების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე იყო დაფუძნებული.¹⁵⁷

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ზურტაკეტისა და, საერთოდ, თრიალეთის დიდი ყორდანები ეკუთვნოდათ ტომთა ბელადებს, რომლებსაც უკვე საკმაოდ დიდი ძალაუფლება უნდა ჰქონოდათ. მომცრო ყორდანები კი, ცალკეული გვარის ბელადების ან დაწინაურებულ წევრთა სამარხებს წარმოადგენდნენ.¹⁵⁸ საქართველოს სხვადასხვა მხარეებში - თრიალეთში, ზურტაკეტში, ჯავახეთში, ქვემო ქართლში, ალაზნის ველზე, მესხეთში გვხვდება ყორდანული ველები, სადაც, ცალკეულ ჯგუფში, გამოიყოფა ცენტრალური, დიდი ქვაყრილიანი ყორდანი, რომელშიც, შესაძლოა, ტომის წინამძღვარი იყო დაკრძალული. აღსანიშნავია, რომ ამ ყორდანებში ჩვეულებრივ ერთი მიცვალებულია დაკრძალული და თანაც ხანშიშესული. ცენტრალურ ყორდანთან ქვამიწაყრილიანი საშუალო ზომის ყორდანებია განთავსებული, რომლებიც სავარაუდოდ ცალკეული გვარის, თუ თემის წინამძღვართა სამარხებია. ყორდანების თითოეულ ჯგუფში შედიოდა მომცრო, დაბალი, თითქმის უყრილო ყორდანები ქვის სარტყელით, რომლებშიც ზოგჯერ სამზე მეტი მიცვალებული იყო დაკრძალული. სავარაუდოდ, ეს ყორდანები პატარა ოჯახების კოლექტიურ დასაკრძალავებს წარმოადგენდნენ.¹⁵⁹

საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილი შუა ბრინჯაოს ხანის ყორდანების „დასაკრძალავი დარბაზების“ ქვით ნაგები კედლების სამშენებლო ტექნიკა ჯავახეთის ზეგანზე არსებული შაორისა და აბულის „ციკლოპური“ არქიტექტურული კომპლექსების მსგავსია (ამ ძეგლების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. ქვემოთ). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შაორის კომპლექსის გზა დიდი მსგავსებას იჩენს შუა ბრინჯაოს ხანის ყორდანებთან დაფიქსირებულ სარიტუალო-საპროცესიო გზებთან.

153. კუფტინ ბ. 1941, ცმр. 83, რიც. 90, თაბ. LXII- 2, LXIII- 1; კუფტინ ბ. 1948, ცმრ. 13, თაბ. XI; ჯორჯიკაშვილი ლ., გოგაძე ე. 1974, ცმრ. 25, 27, თაბ. 8-2, 3, 9-3, 9, 17- 1, 3; ჯაფარიძე მ. 1969, გვ. 25, 47, სურ. 6, 8, 41; ტაბ. IX.

154. ჯაფარიძე მ. 1961, გვ. 7; ჯაფარიძე მ. 1969, გვ. 68.

155. ჯაფარიძე მ., კიკვიძე ი. და სხვ. 1981.


156. ჯაფარიძე მ. 1998, გვ. 30, 39; Makharadze Z. 2014, p. 226, 227, tab. I.

157. კუფტინ ბ. 1941, ცმრ. 100, 148; გოგაძე ე. 1972, გვ. 93; ჯაფარიძე მ., კიკვიძე ი. და სხვ. 1981, გვ. 161- 164; ძებაბრიშვალი შ. 1979, ცმრ. 69, 70; მინდიაშვილი გ. 1980, გვ. 175-186; მინდიაშვილი გ. 1981, გვ. 27-28; მინდიაშვილი გ. 1983, გვ. 185-198; მინდიაშვილი გ. 2002, გვ. 15-21; მინდიაშვილი გ. 2003, გვ. 5-8.

158. ჯაფარიძე მ. 1969, გვ. 66-67; ჯაფარიძე მ. 2003, გვ. 158-159.

159. ჯაფარიძე მ., კიკვიძე ი. და სხვ. 1981, გვ. 161-164.

ყორღანებისკენ მიმავალი სარიტუალო-საცერემონიო გზები (სურ. 54) საქართველოში XX ს-ის ბოლოს აღმოჩნდა. 1999-2000 წლებში თრიალეთში ბ. კუფტინის მიერ XX ს-ის 30-იან წლებში გათხრილ ზოგიერთ ყორღანთან (III, VI, VIII, XV, XVII) ბაზალტის ქვებით მოშანდაკებული გზა დაფიქსირდა. ასეთივე გზები დაფიქსირდა ზურტაკეტის, ყარაშამბის და ანანაურის ყორღანებთანაც.¹⁶⁰



სურ. 54. თრიალეთი. II ყორღანის სარტუალო გზა.

160. ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 44-45.

გზები უმეტესწილად განსაკუთრებულ, ხელოვნურ სუბსტრუქციებზეა დაფუძნებული, მათი მაქსიმალური სიმაღლე 1.0 მ-ს უდრის. გზის სავალი ნაწილის ქვეშ მოქცეული სუბსტრუქცია უფრო დიდი ზომის ქვებითაა შედგენილი და რამდენიმე ფენას შეიცავს. გზების ზედაპირი წვრილი ქვითაა მოსწორებული, ორივე კიდეზე კი ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი ბორდიური მიუყვება.




სურ. 55. თრიალეთი. XV ყორდანი

(რეკონსტრუქცია. გ. ნარიძანიშვილი და გ. ტატიშვილი).

სამხრეთ კავკასიის დიდი ყორდანები აშკარად მიუთითებენ, რომ ხდებოდა დაკრძალვის ცერემონიის ორგანიზება. თრიალეთის კულტურის ყორდანების ყველა სარიტუალო-საპროცესიო გზა აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა დამხრობილი და მზეზეა ორიენტირებული. ამ გზით მიემგზავრებოდა გარდაცვლილი თავის მარადიულ სასუფეველში. დაკრძალვის ცერემონიის ერთი ნაწილი სარიტუალო გზაზე მიმდინარეობდა. ყველა ყორდანთან, ქვით მოკირნებული გზა, უშუალოდ ყორდანის ყრილს აღმოსავლეთიდან ებჯინება. მის უშუალო გაგრძელებას, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს გრძელი დრომოსი, რომელიც გზის დასასრულს, ყორდანის ყრილიდან იწყება და სამარხ ნაგებობაში შედის (სურ. 55). ქვით მოკირნებული გზები ყორდანთა ორგანული ნაწილია. ისინი, როგორც ჩანს, მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალთანაა დაკავშირებული და საპროცესიო მსვლელობისათვის იგებოდა (სურ. 56).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დიდ ყორლანებში მიცვალებული, ეტლში შებმული ხარებით შეჰქონდათ (სურ. 57). ალბათ, ეტლი სარიტუალო გზაზე პროცესიასთან ერთად მიემართებოდა.¹⁶¹ სამარხი კამერის დრომოსები, მათში დაკრძალული ურმები და ხარები აღმოსავლეთით არის მიმართული. ზოგიერთი მდიდრული ყორლანის დასაკრძალავი კამერის ფორმა მიწაში გამოჭრილ ურმის იმიტაციას წარმოადგენს. ისიც არის აღსანიშნავი, რომ შეუძლია ბრინჯაოს ხანის რიგით ყორლანებში თუ სამარხებში დაფიქსირებული ხარის თავები სამარხი კამერის აღმოსავლეთ კედელთან ანუ ან ბაქანზეა (წინწყაროს ყორლანი) მოთავსებული.



სურ. 56. დაკრძალვის რიტუალი

(რეკონსტრუქცია. დ. ნარიმანიშვილი, გ. ნარიმანიშვილი და ი. ესვანჯია).


ისევე, როგორც მესოპოტამიის და ანატოლიის „მეფეები“, თრიალეთური ელიტა, სტატუსის აღსანიშნავად, თავის სიმდიდრეს სამარხებში წარმოაჩენდა. საპრძოლო კამპანიებში, თუ შორეულ ქვეყნებში მოვაჭრეების მეშვეობით მოპოვებული ძალაუფლების სიმბოლოებით, ძველი აღმოსავლეთის ელიტა იმყარებდა და იმაღლებდა სტატუსს საკუთარი მოსახლეობის თვეალში.¹⁶²

მარადიულ სასუფეველი მიცვალებულს ატანდნენ თიხის და ლითონის ჭურჭელს, ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნაწარმს, იშვიათად საპარადო იარაღს. თითქმის ყველა

161. ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 44-45, 65.

162. Aruz J. 2003, p. 239.

მდიდრულ ყორლანში შავპრიალა, მდიდრულად ორნამენტირებული კერამიკის გარდა, ნა-პოვნია შავი საღებავით მოხატული წითელი ჭურჭელი. ადგილობრივ ნაწარმთან ერთად თრიალეთის კულტურის ყორლანებში აღმოჩნდა შორეული ქვეყნებიდან ჩამოტანილი ეგ-ზოტიკური ნივთები. მაგალითად, როგორიცაა ფეხის და გულის ფორმის ეგვიპტური ამუ-ლეტები და ეგვიპტური ლურჯი ფაიანსის გოჭის ფორმის საკიდი. კონუსის ტიპის ნიჟარები და თეთრი პასტით ინკრუსტირებული სერდოლიკის მძივები კი, ახლო აღმოსავლეთში ინდოეთიდან და სპარსეთის ყურის სანაპიროდან შემოჰკონდათ.¹⁶³



სურ. 57. დაკრძალვის რიტუალი

(რეკონსტრუქცია. დ. ნარიმანიშვილი, გ. ნარიმანიშვილი და ი. ესვანჯია).

გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე პირს განსაზღვრული დასაკრძალავი, რიტუალი და არტეფაქტები შეესაბამებოდა. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული ის მრავალფეროვნება, რაც სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის დასაკრძალავების ფორმაში, რიტუალში და არტეფაქტების ჩატანებაში გამოიხატა.¹⁶⁴

ამდენად, თრიალეთის ყორლანებთან აღმოჩნილი სარიტუალო-საპროცესიო გზები, შეიძლება ყორლანის, როგორც ხანგრძლივმოქმედი საკულტო არქიტექტურული ნაგებობის ერთ-ერთ დადასტურებად ჩაითვალოს. თუ რა რიტუალები სრულდებოდა გალმერ-

163. Нариманишвили Д. 2010, стр. 221-224; ნარიმანიშვილი დ. 2015, გვ. 149-156; შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გოდერი, ნარიმანიშვილი გიორგი 2016, გვ. 61.

164. ნარიმანიშვილი დ. 2015, გვ. 96.

თებული მეფე-წინაპრის დაკრძალვის ადგილას, დღესდღეობით ძალზე ქნელია საუბარი. თუმცა, ძველი აღმოსავლეთის ხალხების წერილობით ძეგლებში, რომლებიც საკულტო პრაქტიკას ეხება, ეს სიტუაცია კარგად აისახა. „ეს ნათლად ჩანს მეფე-დედოფლის გარდაცვალების ხეთურ გამოთქმაში — ღმერთი გახდა, და ეს უკვე არ იყო ერთი ცალკე ოჯახის კულტის საგანი, არამედ მთელი ქვეყნის, მოცემული საზოგადოების კულტის საგანი, ხეთი მეფე-დედოფლის მავზოლეუმი, ქვის სახლი, ხომ იგივე ტაძარი იყო.“¹⁶⁵



სურ. 58. ზურტაკეტი. № 6 ყორდანი

(რეკონსტრუქცია. გ. ნარიმანიშვილი, შ. მელიქიძე, გ. ტატიშვილი).

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოითქვა მოსაზრება, რომ ყორდანები, ანუ ხელოვნური მთები — გორა-სამარხები, წარმოადგენენ კოსმიურ მთას, ღერძს.¹⁶⁶ დიდი ყორდანები იგებოდა მასში დაკრძალულის სიცოცხლეშივე. ის, ასეთივე, საკულტო ნაგებობად მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგაც რჩებოდა.¹⁶⁷

თრიალეთური ყორდანების არქიტექტურა და მათთან დაკავშირებული, თუ გარშემო არსებული, სხვადასხვა სტრუქტურები (სარიტუალო-საპროცესიო გზები, ყორდანის ყრილზე მიდგმული თუ გზასთან განლაგებული ოთხკუთხა და ნრიული სტრუქტურები,

165. ბერიაშვილი მ. 1988, გვ. 189.

166. ბერიაშვილი მ., თორთლაძე ზ. 2001, გვ. 32.

167. ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 89-90.

ყორლანებთან და ყორლანების თავზე, ან მათ სიახლოვეს აღმართული ქვის სტელა-მენ-პირები) საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ის იყო საკულტო ადგილი, სადაც ხან-გრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა საკულტო ცერემონიები.

თრიალეთის ყორლანებთან დაკავშირებულ სარიტუალო გზებს სამხრეთ კავკასიის გარდა ყორლანული კულტურების არეალში ანალოგები არ მოეძებნება. ისინი დიდ მსგავსებას იჩენენ ძველ სამყაროში დადასატურებულ სარიტუალო-საპროცესიო გზებთან, რომელთაგან განსაკუთრებულ სიახლოვეს ეგვიპტის პირამიდებთან არსებულ „აღმავალ გზებთან“ ამჟღავნებენ.¹⁶⁸ ამდენად, თრიალეთის ყორლანების სარიტუალო-საპროცესიო გზები შეიძლება ყორლანის, როგორც ხანგრძლივმოქმედი საკულტო არქიტექტურული ნაგებობის ერთ-ერთ დამადასტურებლად ჩაითვალოს.


არქიტექტურული ფორმით და იდეური დატვირთვით საქართველოში გათხრილი ყორლანების ერთი ნაწილი მსგავსებას იჩენს ეგვიპტურ პირამიდებთან და მესოპოტა-მიურ ზიკურატებთან. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზურტაკეტის №6 ყორლანი, რომლის დასაკრძალავ დარბაზზე საფეხურებიანი ნაგებობაა დადგმული (სურ. 47,58). ნაგებობა წრიულია. მისი ქვედა, პირველი საფეხურის სიმაღლე 3.0 მ-ს აღნევს. ზედა საფეხურებისა სიმაღლე კი 1.0-1.5 მ-ს შორის მერყეობს. ყორლანის საერთო სიმაღლე 9-10 მ უნდა ყოფილიყო. კედლები ნაგებია საშუალო და მოზრდილი ბაზალტის დაუმუშავებელი ქვებით. დასაკრძალავი დარბაზის და დრომოსის კედლები კი ქვის ფილებითა ამოყვანილი. ზურტაკეტის №6 ყორლანი შუაბრინჯაოს ხანის უნიკალურ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს. ის ერთადერთია და მას სამხრეთ კავკასიაში ანალოგი არ მოეპოვება. დიდი ყორლანები იგებოდა მასში დაკრძალულის სიცოცხლეშივე და შეიძლება გარკვეული კულტმსახურების ობიექტიც იყო. როგორც ჩანს, ის საკულტო ნაგებობად მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგაც რჩებოდა. საკულტო ცერემონიების გამართვის პერიოდულობაზე სარიტუალო გზები, გზებზე და მათი კრომლეხთან, თუ დრომოსთან მიერთების ადგილზე, აღმოჩენილი ნივთები მიუთითებენ. ყორლანი ხანგრძლივი დროის განმავლობაში საკულტო ცერემონიების ადგილი რომ იყო, ამაზე სარიტუალო-საპროცესიო გზების გარდა ყორლანებთან და ყორლანების თავზე, ან მათ სიახლოვეს აღმართული ქვის სტელა-მენპირებიც მიუთითებენ.¹⁶⁹

საქართველოში გათხრილი ყორლანების დასაკრძალავი დარბაზების და დრომოსის კედლებში ჩაშენებულ ქვებზე გვხვდება ამოკანტული გამოსახულებები (სურ. 59). მაგ-ალითად, ზურტაკეტის №3 ყორლანში 70 ნიშნიანი ქვა აღმოჩნდა. №4 ყორლანში — 117, ხოლო №6-ში — 78. ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ „დასაკრძალავი დარბაზების“ კედლებში ამ ქვების განლაგების არავითარი კანონზომიერება არ შეინიშნება. ქვები სხვადასხვა ზომისაა, განლაგებული არიან სხვადასხვა დონეზე და ერთმანეთისაგან სხვადასხვა მანძილით არიან დაშორებულნი. გამოსახულებები ძირითადად ფილაქვებზეა მოცემული, რიყის ქვებზე კი შედარებით იშვიათია. ო. ჯაფარიძის აზრით, ნიშნები ქვებზე კედლის

168. Stadelmann R. 1991, pp. 123-126, 136-138, 150-178, 189-214, pic. 42-43, pic. 29, 52-68; Замаровский В. 1986, cmp. 111, 285-296, 313-325.

169. ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 67, 89-90.

წყობის ამოცვანამდე უნდა ყოფილიყო შესრულებული. გამოსახულებები ძალზე აპსტრაქტული და სქემატურია. ხშირად ერთ ქვაზე სხვადასხვა რთული გეომეტრიული მოტივია გამოსახული. ყველაზე ხშირად ურთიერთგადამკვეთი ხაზებია გამოსახული.



სურ. 59. ზურტაკეტი. ყორღანებში დაფიქსირებული ნიშნიანი ქვები
(ო. ჯაფარიძის მიხედვით).

ორ ქვაზე სხვადასხვა ტიპის ნაგებობაა გამოსახული. ოთხ ქვაზე აშკარად ცხოველია ამოკვეთილი.¹⁷⁰ მსგავსი ნიშნებია დატანილი გომარეთის პლატოზე, სოფ. სარკინეთთან მდგარი ეკლესიის კედელში ჩაშენებულ ქვაზეც (სურ. 60). თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილი კერამიკის ორნამენტული მოტივები ზურტაკეტის ყორღანების ქვებზე დაფიქსირებული გამოსახულებების იდენტურია.

170. ჯაფარიძე ო. 1969, გვ. 178-184, ტაბ. XXVIII, XXX, სურ. 68, 69, 70, 72.



**სურ. 60. ზურტაკეტი. სოფ. სარკინე. ნასოფლარი.
ეკლესიის კედელში ჩაშენებული ნიშნიანი ქვა.**

ზურტაკეტის ქვებზე, ისევე როგორც თრიალეთის კულტურის კერამიკაზე, გვხვდება ჭადრაკული მოტივი, ერთმანეთში ჩახაზული რომბები, სამკუთხედები, ბადისებური ორნამენტი, ნერტილებით შეგსებული მართკუთხედები, წინვოვანი ორნამენტი, ვერტიკალური კლაკნილი ხაზები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს პრიმიტიული ფიგურა არქაულ დამწერლობებში (შუმერული, პროტოელამური, ეგვიპტური, ხეთურ-ლუვიური) დაახლოებით ერთსა და იგივე ცნებას გამოხატავდა. მაგალითად, კლაკნილი ხაზი წყლის აღმნიშვნელი იყო, წინვოვანი მოტივი — მარცვლეულს, ჭადრაკული და ბადისებური ორნამენტი — დამუშავებულ მინას აღნიშნავდა. იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონიდა ამ ნიშნებს თრიალეთის კულტურის მატარებელი საზოგადოებისათვის. თ. ჯაფარიძის აზრით, „შესაძლოა, რომ ზურტაკეტის ყორლანების ზოგიერთი ნიშნიან ქვაზე უკვე აზრის გადმოცემის, დამწერლობის ცდასთან გვქონდეს საქმე“, თუმცა, არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ ზურტაკეტის ნიშნებიდან ზოგიერთს რიტუალური, მაგიური მნიშვნელობაც ჰქონდა.¹⁷¹

აღსანიშნავია ირმის გამოსახულება ქვაზე ზურტაკეტის №6 ყორლანიდან¹⁷². ცხოველი გამოსახულია ქვის ზედა ნაწილში. ის დგას სამკუთხედების რიგზე, რომლებიც, სა-

171. ჯაფარიძე თ. 1969, გვ. 196.

172. ჯაფარიძე თ. 1969, ტაბ. XXXII, სურ. 73.

ვარაუდოდ, მთაგრეხილს უნდა გამოხატავდეს. სამკუთხედების რიგის ქვეშ გამოსახულია დაშტრიხული მართკუთხედები, რაც არქაულ დამწერლობით სისტემებში დამუშავებულ მინას აღნიშნავს. ირემი თითქოს ყველაფრის ზემოთ, ადამიანის მიერ ათვისებული მინის, მთებს ზემოთ დგასა და რქებით ცას ეპჯინება. შესაძლოა, ირემი, ამ შემთხვევაში, კოსმიური ღერძის ერთ-ერთი გამოხატულებაა, ხოლო მთლიანად გამოსახულება წარმოადგენს სამყაროს სივრცობრივ სტრუქტურას, რომლის ურყების გარანტი გაღმერთებული მეფე-წინაპარია.¹⁷³ სამარხი კამერების მხატვრობით შემკობა დამახასიათებელია ეგვიპტის ძველი სამეფოსათვის (ძვ.წ. 2686 - 2181 წ.). კედლების მოხატულობაში გადმოცემული იყო ეგვიპტელების რეალური სამყარო. ამ გამოსახულებებს სხვა დანიშნულება ჰქონდათ. მათ უნდა უზრუნველეყოთ გარდაცვლილისათვის მოწესრიგებული არსებობა, სიცოცხლე სიკვდილის შემდგომ. ძველი სამეფოს მეოთხე დინასტიიდან სამარხებში ჩნდება ცალკეული ამონანერები „მიცვალებულთა წიგნიდან“.¹⁷⁴ შესაძლოა, ისევე, როგორც თანადროულ ეგვიპტეში, თრიალეთის მმართველებისათვის, რომლებიც ზურტაკეტის ყორდანები იყვნენ დაკრძალულნი, სამარხების კედლებზე გამოსახავდნენ მათი სიმდიდრის სიმბოლოებს: ვრცელ დამუშავებულ მინდვრებს, მდინარეებს, მთებს, ცხოველების ჯოგებს და რაც მთავარი იყო — მოწესრიგებულ სამყაროს, რომლის გარანტი მეფე-წინაპარი იყო.

ამოკანირული ნიშნები ჩრდილოეთ კავკასიის დოლმენების კედლებზეც არის აღმოჩენილი.¹⁷⁵ სამარხების კედლებზე ამოკანირული ნიშნები დადასტურებულია აზერბაიჯანსა და სომხეთში.¹⁷⁶ თუმცა ეს სამარხები გვიანი ბრინჯაოს ხანისაა.

სხვადასხვა სახის სიმბოლური გამოსახულებებით შემცულია ნეოლით-ბრინჯაოს ეპოქის მეგალიტური დასაკრძალვების კამერები საფრანგეთიდან და ბრიტანეთიდან. განსაკუთრებულად მდიდრული შემცულობა ახასიათებს ყორლანებს ლოქმარიაკები, მორბიჟანში, კნოქმანსა და ნიუგრეინჯში.¹⁷⁷ ორლანდიდაში, მდ. ბოინის დაბლობში, ბრუჯ-ნა-ბოინის კომპლექსში შემავალი ყორლანები იყო ნიუგრეინჯი, კნოუტი და დოუტი. მეგალიტური დასაკრძალვი კნოუტი უმდიდრესია დასავლეთ ევროპაში მეგალიტური ხელოვნების ნიმუშების მხრივ¹⁷⁸. 200-ზე მეტი ორნამენტირებული ქვა იყო ნაპოვნი ამ სამარხის გათხრებისას. ყველაზე ხშირია სპირალების, რომბების და გველისებური ფიგურების გამოსახულებები. არქეოლოგების აზრით, ყორლანის ტერიტორია დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა როგორც საკულტო სივრცე.¹⁷⁹ აღსანიშნავია, რომ ნიუგრეინჯის და კნოუტის გამოსახულებებში ხშირად ფიგურირებს რელიეფური სპირალი, რაც ასე დამახასიათებელია საქართველოში დადასტურებული ადრე ბრინჯაოს ხანის კერამიკისათვის.

ირლანდიური თქმულებების მიხედვით, ნიუგრეინჯში, ისევე როგორც სხვა ხელოვნურ ბორცვებში, ანუ უძველეს მეგალიტურ სამარხებში, ცხოვრობენ ძველი თაობის ღმერთე-

173. ნარიმანიშვილი დ. 2015, გვ. 220.

174. ნაძე მ. ა. უ. 2003, ცმр. 31.

175. ჯაფარიძე მ. 1969, გვ. 189.

176. ჯაფარიძე მ. 1969, გვ. 189; მურადიან ფ. 1993, თაბ. CIII-CXV.

177. Reden S. von, 1989, pp. 225, 282, 286.

178. Monaghan P. 2004, pp. 62, 113-114, 419.

179. May J. 2003.

ბი. კელტური მითები მოგვითხრობენ, რომ მოკვდავებმა დაამარცხეს ძველი ღმერთები, რის გამოც ისინი საცხოვრებლად ქვესკნელში უნდა ჩასულიყვნენ. თუმცა ზოგიერთი ძველი ღმერთი არ დარჩა სამშობლოში და გაემგზავრა ზღვის გაღმა, შორეულ დასავლეთში, სადაც ეგულებოდათ მარადიული სიტკბოს კუნძული, რომელსაც სხვადასხვა წყაროს თანახმად, ეწოდებოდა მაგ მელ (განცხრომის დაბლობი), ტირ-ნამ ბეო (მარადიული სიცოცხლის ქვეყანა), ტირ-ნა-ოგ (სიჭაბუკის ქვეყანა), ჰაი-ბრეზალ (ბრეზალის კუნძული). ჰაი-ბრეზალი ხშირად იყო გამოსახული ძველ რუკებზე, როგორც რეალური კუნძული, ამიტომ, ამერიკის აღმოჩენისთანავე, ზოგიერთი მეზღვაური დარწმუნებული იყო, რომ იპოვა მითიური კუნძული და ახლადაღმოჩენილ ქვეყანას ბრაზილია უწოდა.

იმ ძველ ღმერთებს კი, რომლებმაც არ მიატოვეს სამშობლო, მეფე დაგდამ უბოძა სიდჰი, ანუ ხელოვნური ბორცვი/ყორღანი. ყველა სიდჳს ჰქონდა განსაკუთრებული კარი, საიდანაც იყო გასასვლელი უსასრულო სიტკბოს და ფუფუნების მიწისქვეშა სამეფოში.¹⁸⁰ სიდჳებში მცხოვრებ ღმერთებს აეს სიდჳი ეწოდება, ანუ „ხალხი ბორცვიდან“, ან სიდი. ირლანდიაში სიდჳების ადგილმდებარეობა დღესაც კარგადაა ცნობილი. დღემდე მათ შემოიხახეს ძველი კელტური ღვთაებების სახელები.¹⁸¹ კელტური მითოლოგიის თანახმად, ნიუგრეინჯში ცხოვრობდა მდინარის ქალლმერთი ბოანდი, მისი ქმარი დაგდა და მათი ვაჟი აონგუსი.

კელტური მითოლოგიის თანახმად, ძველ ღმერთებს არ დაუკარგავთ თავიანთი ღვთაებრივი ატრიბუტები და შეეძლოთ დახმარებოდნენ ადამიანებს, ან ევნოთ მათთვის. მოკვდავებმა და ძველმა ღმერთებმა დადეს ურთიერთშეთანხმება, რომლის მიხედვით, ტუატა დე დანანის ღმერთები საცხოვრებლად ქვესკნელში ჩადიოდნენ, მაგრამ მემკვიდრეებისაგან უნდა მიეღოთ შენირულობები. შუასაუკუნეების ირლანდიელმა პოეტმა მაკ ნიამ ნიუგრეინჯს მიუძღვნა ლექსი: შეხედე სიდჳს, რომელიც შენს წინაშეა და შენ მიხვდები, რომ ეს არის მეფის სახლი.¹⁸²

როგორც ჩანს, საქართველოში, ისევე როგორც ირლანდიაში და ყველგან, სადაც მეგალითური დასაკრძალავებია, გავრცელებული იყო წინაპრის, ან მეფე-წინაპრის კულტი, რომლის ნებაზე იყო დამოკიდებული მემკვიდრეების კეთილდღეობა. მისი დასაკრძალავი და მიმდებარე ტერიტორია კი, დიდი ხნის განმავლობაში საკულტო არეალს წარმოადგენდა. ყორდანებთან დაკავშირებული არტეფაქტების ორნამენტის სიმბოლიკა მაგიურაპოთობეული ხასიათის იყო. ტრადიციული საზოგადოების ადამიანისათვის „წინაპრის სამარხი იყო წმინდა ადგილი, საიდანაც მისი მფარველი წინაპარი ღვთაება ავრცელებდა თავის ძალას და ამ აზრით ეს წინაპარი-ღვთაება იყო მიკროსამყაროსეული კულტურის წესრიგის დამამყარებელი.“¹⁸³

180. Геддес Д., Гроссет Р. 2002.

181. Monaghan P. 2004, pp. 50-51, 62, 176.

182 . Геддес Д., Гроссет Р. 2002.

183. ბერიაშვილი მ. 1988, გვ. 190.




სურ. 61. თრიალეთი. თეჯიხი / ლიპი.

§ 3. მეგალიტური სამლოცველოები.

საქართველოს სამხრეთ რეგიონებში მდებარეობს ძალზე შთამბეჭდავი მეგალიტური კომპლექსები, რომლებსაც, ჩვენი აზრით, საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა. მეგალიტების ამ ჯგუფს მივაკუთვნებთ „ციკლოპური“ მშენებლობის ტექნიკით ნაგებ კომპლექსებს, რომლებიც მაღალი მთის მწვერვალზე მდებარეობენ და აქვთ გამაგრებული, ცენტრალური ნაწილი. ამ კომპლექსების დიდ სასიმაგრო სისტემებთან დაკავშირებულია მცირე ზომის, წრიული გეგმარების სენაკები. აქ დაფიქსირებული ათეულობით ნაგებობება იმდენად მცირე ზომისაა (1.5-4 კვ.მ.; სიმაღლე 1.0-1.2 მ-ია), რომ მათი საცხოვრებლად ან სამეურნეო მიზნებით გამოყენება, ჩვენი აზრით, გამორიცხულია.¹⁸⁴

უძველეს სამლოცველოებს წარმოადგენდა, ასევე, მცირე კომპლექსები, რომლებიც შედგებოდა დიდი კრომლეხისა და მის ცენტრში მდგარი მაღალი მენტირისაგან.

184. ნარიმანიშვილი გ., შანშაძეილი ნ., კვაჭაძე მ. 2018, გვ. 274.



სურ. 62. თრიალეთი. თეჯისი /ლიპი. კარიბჭეები.


სამლოცველოთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება სამხრეთ საქართველოში, თრიალეთში, სოფ. თეჯისის (ძველი სოფ. ლიპი) დასავლეთით, მაღალ პლატოზე განლაგებული მცირე კომ-პლექსი, რომელიც შედგება კრომლეხისა და მენპირისაგან (სურ. 61).

კრომლეხი შედგენილია ბაზალტის დიდი, დაუმუშავებელი ქვებით (სურ. 65). მისი დი-ამეტრი 27-28 მეტრია, მაქსიმალური სიმაღლე 2.2 მ-ს უდრის. კრომლეხს ორი შესასვ-ლელი აქვს, სამხრეთიდან (სურ. 62) და ჩრდილოეთიდან (სურ. 63). ორივე შესასვლელი გადახურულია უზარმაზარი ქვის ფილით.




სურ. 63. თეჯისი /ლიპი. ჩრდილო-აღმოსავლეთი კარიბჭე. ხედი გარედან.


კრომლეხის ცენტრში დგას დიდი მენტირი (სიმაღლე 3.8 მ, ძირის გარშემოწერილობა 2.5 მ). მენტირი ჩასმულია კლდეში ამოკვეთილ ღრმულში (სურ. 64). IX-X საუკუნეებში, მენტირზე ეკლესია დაუშენებიათ, მოგვიანებით კი ჯვარი ამოკვეთიათ. ეკლესია არაერთხელაა გადაკეთებული, დღეს წმ. კონსტანტინეს სახელზეა ნაკურთხი. უკანასკნელად XX საუკუნეში შეუკეთებიათ. აღსანიშნავია, რომ კრომლეხის სიახლოვეს არანაირი ნაგებობის ნაშთი ან სამარხი არ დასტურდება. დღეს არსებული მონაცემებით ჩანს, რომ ეს სამლოცველო ძველი დასახლებებისაგან მოშორებით, განცალკევებით იდგა და ის რამდენიმე სამოსახლოს კულტის ობიექტი იყო.



სურ. 64. თევზისი /ლიპი. მენჭირი.




სურ. 65. თრიალეთი. თეჯიხი / ლიპი. სამლოცველოს გეგმა (შ. მელიქიძის ანაზომი).



სურ. 66. თრიალეთი. თეჯიხი / ლიპი. სამლოცველოს რეკონსტრუქცია (გ. ტატიშვილის ჩანახატი).

თევზისის მცირე კომპლექსისაგან განსხვავებით, მეორე, მცირე სამლოცველო კომპლექსი ბარეთის „ციკლოპური“ ნამოსახლარის ტერიტორიაზე დგას (სურ. 69).

ბარეთის ნამოსახლარი თრიალეთშივე, სოფ. ბარეთსა და სოფ. ლივადს შორის მდებარეობს. ის შედგება ციხე-სიმაგრის, ციტადელისა და დასახლებისაგან. ნამოსახლარი რამდენიმე ფენისაგან შედგება. თუმცა, მოპოვებული მასალები მხოლოდ ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილში გამართულია ოვალური ფორმის კრომლეხი (აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 64 მ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 56 მ), რომელიც ნაგებია დიდი ზომის ბაზალტის ქვებით (სურ. 67).



სურ. 67. თრიალეთი. ბარეთის საკულტო კომპლექსის რეკონსტრუქცია
(გ. ტატიშვილის ჩანახატი).

კედლების შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1.5 მ-ს უდრის. მასიურ კედელში ორი კარის ღიობია გაჭრილი, ერთი აღმოსავლეთით, მეორე სამხრეთით. კრომლეხის ცენტრში დგას 2.2 მ. სიმაღლის მენტირი (სურ. 68), რომლის გვერდით დევს ბაზალტის დიდ ლოდი. ლოდის ცენტრში სითხის მოსაკავებელი ღრმულია ამოკვეთილი.



სურ. 68. თრიალეთი. ბარეთი. მენპირი.



სურ. 69. თრიალეთი. ბარეთი. საკულტო კომპლექსი.

თრიალეთის მთებში განლაგებულია კიდევ ერთი მცირე სამლოცველო კომპლექსი, რომელსაც გამორჩეული გეგმარება აქვს (სურ. 70). არქიტექტურული კომპლექსი მდებარეობს სოფ. გედაკლარის (კლდეკარი) განაპირას. კომპლექსი გამართულია შემაღლებაზე, რომლის კლდოვანი მასივის მოსწორებულ ფართობზე (600 — 700 კვ.მ.) ექვსი სათავსოა აგებული (სურ. 72).



სურ. 70. ორიალეთი. კლდეკარის (სოფ. გედაკლარი) საკულტო კომპლექსის საერთო ხედი.

ოთხი მათგანი ერთმანეთს ებჯინება და ერთ ხაზზეა განლაგებული. მათ გასწვრივ იმავე ხაზზე, ოდნავ მოშორებით კი, კიდევ ორი სათავსო მდებარეობს. სათავსოები კლდეში ჩაკვეთილ მოედნებზეა ნაგები, ისე რომ ნახევრად მიწურებს წარმოადგენენ. კედლების შემორჩენილი სიმაღლე ჩაკვეთილი კლდის მასივის სიმაღლეს შეესაბამება და 1.0-2.8 მ-ს აღწევს. სათავსოების კედლების ეს ნაწილი ამოყვანილია ბაზალტის ოდნავ დამუშავებელი ქვებით. კედლების გასწვრივ, მათგან 0.5 მ-ის დაცილებით, ქვის მონოლითებია ჩამნკრივებული (სურ. 71). ზოგიერთი მათგანი მიწაზე გდია. ისინი წარმოადგენენ კარგად გათლილ, ოთხუთხა ფორმის სტელებს. ყველა მათგანს ეტყობა, რომ ნაკლულია, თავი აქვს მოტეხილი. მათი შემორჩენილი სიმაღლე 1.1-1.6 მ-ს აღწევს. ასეთი სტელები მხოლოდ ორ სათავსში ფიქსირდება ვიზუალურად.



სურ. 71. ორიალეთი. კლდეკარი/გეღაკლარი. სტელები საკულტო კომპლექსის სენაკებში.

ძეგლი არქეოლოგიურად არ არის შესწავლილი, ამდენად მისი დანიშნულებისა და აგების თარიღზე საუბარი ძნელია. თუმცა უნდა აღინიშნის, რომ ქვის საკმაოდ მასიური და მდგრადი კედლების გასწვრივ აღმართული ქვის სტელები თრიალეთის არცერთი ეპოქის ნაგებობის შიდა სივრცეში დღემდე დადასტურებული არ ყოფილა. სწორედ ამის გამო მიიქცია ჩვენი ყურადღება გედაკლარის კომპლექსმა.



სურ. 72. თრიალეთი. კლდეკარი /გედაკლარი. საკულტო კომპლექსის სენაკების ხედი.

ჩვენი აზრით, ქვის სვეტები გადახურვის კონსტრუქციას არ ეკუთვნის, რადგან კლდე-ში ჩაკვეთილ სივრცეში ამოყვანილი მყარად ნაგები ქვის კედლები და სათავსოთა ზომები ასეთ მასიურ საყრდენებს, მით უმეტეს ამგვარი განლაგებით, არ ითხოვს. გასათვალ-ისწინებელია ისიც, რომ თრიალეთში (და არა მხოლოდ აქ) გათხრილ ბრინჯაოს ხანის სახლებსა და ყორღანებში დაფიქსირებულია გადახურვის კონსტრუქციები, რომლის შემადგენელი ნაწილია კედლის გასწრივ ჩამნკრივებული, კედელზე მიბჯენილ სვეტები. თუმცა, თავისუფლად მდგარი საყრდენი ბოძები შიდა სივრცეშიც არის განთავსებული და ისინი თავებების ზომებზე ისეა მორგებული, რომ ინტერიერს თანაბარ ნაწილებად ყოფს. ალსანიშნავია ისიც, რომ გადახურვის კონსტრუქციის ძირითადი ნაწილი და საყ-დრენი ბოძები ყველა შემთხვევაში ხისაა. ქვის ფილებით ნაგებობათა გადახურვა შაორის და აბულის კომპლექსებისა და მათი ტიპის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ არცერთ შემთხვევაში კედლის გასწრივი ან თავისუფალად მდგარი საყრდენი ბოძები არ არის დაფიქსირებული. გედაკლარის კომპლექსი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ვერტიკალურად მდგარი მონოლითები (სტელა, მენტირი და ვეშაპი) სამხრეთ კავკასიაში ძირითადად კონკრეტულ დასაკრძალავ ნაგებობას ეკუთვნის და მის ყრილზე დგას, ან სამარხთა გარემოცვაშია აღმართული. ჩვენ მხოლოდ ორი შემთხვევა ვიცით, როდესაც სამარხ კამერაში იდგა სტელა//მენტირები. ორივე ყორღანი (XIV და XVIII) თრიალეთშია და უორმოო ყორღანების ჯგუფს მიეკუთვნება. XIV ყორღანის სამარხი კამერაში დაახლოებით 1.5 მ-ის სიმაღლის ოთხი (?) მენტირი იდგა. XVIII ყორღანის ქვის ფილებით შემოსაზღვრული ოთხკუთხა სამარხი კამერის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ორი, დაახლოებით 1.0 მ-ის სიმაღლის მონოლითი დგას.¹⁸⁵


185. კუფტინ ბ. 1941, თაბ. LXIII-2; ჯორჟიკაშვილი ლ., გოგაძე ე. 1974, თაბ. 8-2, 14-3, 15-3, 19-22.

შაორი. ყველაზე დიდი საკულტო კომპლექსი თრიალეთის მეზობლად, ჯავახეთის პლატოზე, ფარავნის ტბის პირას, შაორის მთის (2775 მ) წვერზეა გაშენებული (სურ. 73).



სურ. 73. ჯავახეთი. შაორის მთის საერთო ხედი.

შაორის კომპლექსი დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ჯერ კიდევ ვახ-უშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა - „ფარავნის ტბას ერთვის წყარო შაორისა, მდინარად გამომდინარე კლდიდამ და სავსე არს კალმახითა, ხოლო შაორის მთის თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანისა ლოდითა ნაშენი“.¹⁸⁶ საყურადღებოა 1895 წელს ჩაწერილი გადმოცემა, რომლის მიხედვით, ციხის სამხრეთ კედლის ერთ-ერთ კამაროვან უბეში მოთავსებული იყო ადამიანის ქანდაკება. მამაკაცის ფიგურას არ ჰქონია იარაღი, არც ჭუდი ხურებია, ტანსაცმელი კი მუხლებამდე სწვდებოდა თურმე. ქანდაკებას ორივე მხარეს ჰქონია წარ-ნერა, რომელიც ვერ წაუკითხავთ. სამწუხაროდ, ქანდაკება დღეს აღარ ჩანს.¹⁸⁷





**სურ. 74. ჯავახეთი. შაორის კომპლექსი. გენგეგმა
(შეადგინეს ა. თევზაძემ, შ. მელიქიძემ, გ. ნარიძანიშვილმა).**

შაორის კომპლექსი ორი ნაწილისგან შედგება და მთის ორ, მაღალ და დაბალ წვერზეა გაშენებული (სურ. 74). თვით მთა გამოყოფილია სამსარის ქედისაგან და განმხოლოებულად დგას. კომპლექსის ცენტრალური, ძირითადი ნაწილი, კი, მთის ყველაზე მაღალ წერტილზეა განლაგებული (სურ. 75). იგი წარმოადგენს არაწესიერი ოთხკუთხედის ფორმის, მძლავრი კედლით შემოზღუდულ ადგილს (მიდა ფართობი 28 X 36 მ-ს უდრის). კომპლექსის კედლები ნაგებია ადგილობრივი (შაორის მთა წარმოადგენს ბაზალტის ქანებისგან შედგენილ მასივს) ბაზალტის ფიქალისაგან, მშრალად.

186. ქართლის ცხოვრება 1973, გვ. 43.

187. მელიქიშვილ-ბეგი ლ. 1938, გვ. 71, 72.



სურ. 75. ჯავახეთი. შაორის კომპლექსის ცენტრალური ნაწილის გეგმა
(შეადგინეს ა. თევზაძემ, შ. მელიქიძემ, გ. ნარიმანიშვილმა).

კედლის სიგანე ქვედა ნაწილში 3-4.5 მ-ს, ზედა ნაწილში 1-2 მ-ს უდრის. კედლის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 5 მ-ია. შიდა სივრცის უდიდესი სიგრძე ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 49 მეტრია, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე - 40 მ. კედელზე, შიდა მხრიდან, მთელ პერიოდზე მიდგმულია მცირე ზომის (სურ. 76-78) სენაკები (უმცირესის ფართობია 1.5 კვ.მ. უდიდესის 5 კვ.მ.). არცერთი სენაკის სიმაღლე 1.2 მეტრს არ აღემატება, რომლებიც ორ სართულად ყოფილა განლაგებული. სიმაგრის ჩრდილოეთ ნაწილში მეორე სართული კარგადაა შემორჩენილი (სურ. 75, 76).




სურ. 76. ჯავახეთი. შაორის კომპლექსის ცენტრალური ნაწილის ქვის ზღუდე.




სურ. 77. ჯავახეთი. შაორის კომპლექსის ცენტრალური ნაწილის კარიბჭე.

სიმაგრეში დღეისათვის 31 სენაკი აღირიცხება. პირველი სართულის სენაკები ბაზალტის ბრტყელი ფილებითაა გადახურული, რაც თავისთავად მეორე სართულის სენაკების იატაკი იყო. სიმაგრეს ერთი, 1.0 მ სიგანის შესასვლელი აქვს აღმოსავლეთის მხრიდან (სურ. 75-77). მისი სიმაღლე 1.3 მ-ს უდრის.



**სურ. 78. ჯავახეთი. შაორი. მცირე ზომის სენაკები ზღუდის შიგნით
(გ. ტატიშვილის ჩანახატი).**

ცენტრალური კომპლექსის კარიბჭეს უშუალოდ ებჯინება ბაზალტის დიდი ფილებით მოგებული გზა (სურ. 80), რომელიც შაორის მთის ორ მწვერვალს შორის არსებული ტაფონბიდან იწყება. გზის დასაწყისი და ზედა კომპლექსის შესასვლელი აღმოსავლეთითაა მიმართული. გზა სერპანტინისებურად მიემართება აღმოსავლეთისკენ, ცენტრალური კომპლექსის კარიბჭისაკენ. მისი სიგრძე 310-315 მ-ია, სიგანე 2-4.5 მ-ს შორის მერყეობს. გზა ბაზალტის დიდი ლოდებითაა მოგებული. მისი ზედაპირი ადგილ-ადგილ სწორია, ზოგან კი საფეხურებია შექმნილი. გზის ორივე მხარეს სამი მოედანია გამართული, რომელთა იატაკები ბაზალტის ფილებითაა მოგებული. სამივე მოედანზე (სიგრძე 22-25 მ, სიგანე 12-14 მ) მენპირია (სურ. 81) აღმართული.



სურ. 79. ჯავახეთი. შაორი. მცირე ზომის სენაკები ზღუდის შიგნით.



სურ. 80. ჯავახეთი. შაორი. კომპლექსის ცენტრალური ნაწილისაკენ მიმავალი გზა. დეტალები.

ერთი მენტირი გზის პირზე დგას, ერთიც ცენტრალური კომპლექსის შესასვლელთან ყოფილა აღმართული (სურ. 85). ეს უკანასკნელი დღეს არ ჩანს, ყველა დანარჩენი კი დღესაც ადგილზეა. გზის დასაწყისში, ტაფობთან, მის ორივე მხარეს მცირე ზომის 15 სენაკია (№№ 3-17) გამართული.



სურ. 81. ჭავახეთი. შაორი. მენტირი № 1 საკულტო მოედანზე.

შაორის მთის წვერზე ასასვლელი გზის დასაწყისი მთის ძირშია შემორჩენილი. როგორც ჩანს, კომპლექსისაკენ ორი გზა ადიოდა. ერთი იწყებოდა მთის ჩრდილოეთი ფერდის ძირში, სადაც ბაზალტის ქვებით შემოზღუდული მცირე მოედანია გამართული. მოედნიდან გამოდის ქვის ფილებით გამართული ბილიკი, რომელიც ფერდობს მიუყვება. თუმცა, 50 მ-ის შემდეგ იკარგება და მის კვალს ვეღარ მივაკვლიეთ. ამ გზის გასწვრივ, ჩრდილოეთით კიდევ ერთი, დიდი მენტირი დგას (სურ. 84).

მეორე გზა სამხრეთი ფერდის ძირში იწყება და ზიგზაგურად მიემართება მთის წვერისაკენ. ეს გზა უფრო ვიწროა ვიდრე პირველი. მისი სიგანე 1.2 — 1.5 მ-ს შორის მერყეობს. ეს გზაც ქვის ფილებითაა მოგებული. გზა ალაგ-ალაგ იკარგება, თუმცა, მისი კვალი მაინც კარგად იყითხება. გზის კარგად შემორჩენილი ნაშთები მთის ფერდობის შუა ნაწილში ჩნდება. აღმართის დასასრულს კი ქვით მოგებული ვიწრო ბილიკია გამართული, რომელიც მშრალი წყობით აგებულ კედელში გაჭრილ 1.1 მ სიგანის კარიბჭეში გადის და მთის ორ წვერს შორის მოქცეულ ტაფობზე სრულდება. მინდვრის აღმოსავლეთით ქვედა „სიმაგრეა“ გამართული, დასავლეთ კიდესთან კი ზედა სიმაგრისაკენ მიმავალი გზა იწყება.

მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი არქეოლოგიურად არ არის შესწავლილი და ამდენად, მისი დათარიღება ჭირს, მაინც შესაძლებლად მიგვაჩინია ზოგიერთი შეხედულება გამოვთქვათ.

შაორის კომპლექსის სამშენებლო ტექნიკა და არქიტექტურა დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ზურტაკეტში გათხრილი ყორღანების დასაკრძალავ დარბაზებთან, რომლებიც ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. შაორის კომპლექსის და თრიალეთის ყორღანების (თოფ-კარი 1 და 2, ზურტაკეტის ყორღანები) დასაკრძალავ დარბაზებს¹⁸⁸ მშენებლობის ტექნიკის და სამშენებლო მასალის იდენტურობის გარდა, საერთო არქიტექტურული სახეც აკავშირებს. ახლა ძნელია მათ ქრონოლოგიურ თანხვედრაზე საუბარი, მაგრამ საერთო ნიშნები არ გამორიცხავს ამ შესაძლებლობას.




სურ. 82. ჯავახეთი. შაორი. № 1 საკულტო მოედანი და მენტირი. რეკონსტრუქცია (გ. ტატიშვილის ჩანახატი).

შაორის კომპლექსის მდებარეობა, აგებულება, არსებული სათავსების იმდენად მცირე ზომები, რომ მათი საცხოვრებლად და სამეურნეოდ გამოყენება ეჭვს იწვევს, ასევე, სარიტუალო გზის, „საკულტო“ მოედნებზე და ცენტრალური კომპლექსისაკენ მიმავალი გზის პირას აღმართული მენტირები ამ ძეგლის საკულტო ხასიათზე მიუთითებს. შაორის კომპლექსის ქვის ფილებით ნაგები გზა, ისევე როგორც თრიალეთის ყორღანებთან დაფიქსირებული გზები¹⁸⁹, სარიტუალო პროცესისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

188. კუფტინ ნ. 1948, ცტР. 11-15, თაბ. XI; ჯაფარიძე თ. 1964; ჯაფარიძე თ. 1969, გვ. 24-30, 45-47, ტაბ. I, II, IV-VI, VIII, IX, XVIII, XXII, XXIII, სურ. 2, 4, 28, 40.


189. ნარიმანიშვილი გ. 2000; ნარიმანიშვილი გ. 2003; Narimanishvili G. 2004.



სურ. 83. ჯავახეთი. შაორი. გზის გასწვრივ არსებული მცირე ზომის სენაკები
(შ. მელიქიძის ჩანახატი).



სურ. 84. ჯავახეთი. შაორი. ქვედა დასახლება. მენპირი.



სურ. 85. ჯავახეთი. შაორი. მენტირების განლაგება კომპლექსის ცენტრალური ნაწილისაკენ
მიმავალი გზის გასწვრივ (რეკონსტრუქცია. გ. ნარიძანიშვილი და გ. ტატიშვილი).

აბული. სამლოცველოს უნდა წარმოადგენდეს მეორე მეგალითური კომპლექსი, რომელიც შაორის კომპლექსიდან პირდაპირი ხაზით 15 კმ-ით, ხოლო გრუნტის გზით 35 კმ-ით არის დაშორებილი.¹⁹⁰ აბულის „ციკლოპური“ კომპლექსი (სურ. 86) ფარავნის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მცირე აბულის მთის ფერდობზე მდებარეობს (სურ. 87).



სურ. 86. ჯავახეთი. აბული. ციკლოპური კომპლექსის საერთო ხედი.

აღსანიშნავია, რომ აბულის კომპლექსის ტერიტორიაზე, შაორის საკულტო კომპლექსისაგან განსხვავებით, მკვეთრად გამოხატული რელიგიური ნიშნები არ შეინიშნება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აბულის კომპლექსისაკენ მიმავალ სამივე გზაზე (ფოკა-ფარავანი-აბული; განძა-აბული; ეშტია-აბული) აღმართულია მენჭირები, რაც შეიძლება აბულის საკულტო დანიშნულებაზე მიუთითებდეს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ კასტორიუსის რუკაზე (*Tabula Peutingeriana*) დატანილი პუნქტი *Apulum*, დღევანდელი აბული უნდა იყოს. „*Tabula Peutingeriana*“ სამხრეთ კავკასიაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების, სავაჭრო ცენტრების და გადამანანილებელი პუნქტების შესახებ უმნიშვნელოვანეს წყაროა. ეს არის საგზაო რუკა, რომელიც ახ.წ. IV საუკუნის II ნახევარშია შედგენილი რომაელი გეოგრაფიული კასტორიუსის კასტორიუსის მიერ და წარმოადგენს ამ ეპოქის მსოფლიოს რუკას. მასზე დატანილია საგზაო ბადე ბრიტანეთიდან ჩინეთამდე გეოგრაფიული პუნქტების და მათ შორის მანძილის აღნიშვნით. კასტორიუსის რუკაზე სამხრეთ კავკასიაში ორი საგზაო მაგისტრალია დატანილი. ორივე მათგანის შეერთების ადგილად ანტიკური ხანის ქალაქი არტაშატია აღნიშნული. აქედან ერთი გზა მიემართება ჩრდილო-დასავლეთისაკენ. გზაზე შემდეგი პუნქტებია აღნიშნული: *Artaxata* (არტაშატი) – *Strangira* (აშტარაკი) – *Condeso* (კონდაქსაზი) – *Misium* (ჯულიჯანი) – *Gaulita* (კალინჯა) – *Pagas* (ფოკა) – *Apulum* (აბული) – *Caspiae* (ხოსპია) – *Ad merkurium* (ახალციხე) – *Ad fontem felicem* (როდოპოლისი-ვარციხე) – *Sebastopolis* (სოხუმი ნ. ლომოურის მიხედვით. ფაზისი-ფორთი ი. მანანდიანის და ს. ერემიანის მიხედვით).

190. ამ ნაშრომის ერთ-ერთი თანაავტორი დ. ნარიმანიშვილი ფიქრობს, რომ აბულის კომპლექსი წარმოადგენს ციხე-ქალაქს.



სურ. 87. ჯავახეთი. აბული. კომპლექსის გეგმა
(შეადგინეს ა. თევზაძემ, შ. მელიქიძემ, გ. ნარიმანიშვილმა).

ყურადღებას იქცევს ის, რომ “Tabula Peutingeriana”-ს Apulum-ი დღესაც ცოცხალი ტოპონომით ფარავნის ტბასთან. ძველი სავაჭრო გზის მარშრუტი ამ გეოგრაფიული პუნქტის აბულის მთისა და სოფ. აბულის მიდამოებში ლოკალიზებაზე ეჭვსგარეშე მიუთითებს.

აბულის „ციკლოპური“ კომპლექსი ი. როსტომაშვილმა აღწერა: „მცირე აბულზე აქამომდე დაცულია კარგა მოზდრილი ციხე, უქვითეიროდ ნაგები“. რუსულად გამოქვეყნებულ ნაშრომში იგი აღნიშნავს: „მცირე აბულის სამხრეთ კალთაზე აქამდე შემონახულია ძველი, დიდი სიმაგრე რომელიც შესახედავად სრულიად განსხვავდება ყველა სხვა სიმაგრისაგან“. ციხე-სიმაგრეს კი ასე აღწერს: „Сложена она вся из огромных плитневых саженных камней и достигает высоты до 3-х саженей, при толщине стен до 5-6 аршин. ... Как стены крепости, так и стены самых домиков сложены без всякого цемента и глины. ... Кругом крепости, как о том свидетельствует множество жилищ, искусно сложенных и крытых плоскими камнями, со множеством ходов, переходов и улиц, существовало обширное поселение. Это поистине киклопическая постройка“.

სიმაგრის გარშემო არსებულ ქვების მასას როსტომაშვილი „კარკნალ“-ს უნდებს და მიუთითებს, რომ ქვების გროვების ქვეშ მეგალითური სისტემის შენობებია დამარხული. ამ ადგილს ასევე მოიხსენიებს ლ. მელიქშეთ-ბეგი. კომპლექსს კი მცირე აბულის „ქოროლის“ უნდებს. მისი აზრით, კომპლექსი ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს, რომელსაც სამი შესასვლელი აქვს. ამასთან აღნიშნავს, რომ „ციხე-სიმაგრე ისევე, როგორც მასში და მის გარშემო ნაშენი ბინები მხოლოდ ვეებერთელა ლოდებით არ არის აგებული, არამედ ნატეხი ქვებითაც, რაიც მაინცა-და-მაინც ამ სადგომს ციკლოპურ ნაგებობათა სისტემას აშორებს“.



სურ. 88. ჯავახეთი. აბული. ცენტრალური კომპლექსი.

დასახლებას შუაზე კვეთს ბილიკი, რომელიც კომპლექსის სამხრეთ აღმოსავლეთით, მცირე აბულის მთის ძირში არსებული დელის პირას იწყება. ბილიკი დასახლებას სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე კვეთს და კომპლექსისაკენ მიმავალ მთავარ გზას კომპლექსის ცენტრალურ ნაწილში შესასვლელის წინ უერთდება. ბილიკი ბაზალტის ნაშალშია გამართული. ადგილ-ადგილ, ბილიკის ორივე მხარეს ყორეებია ამოყვანილი, რომელთა შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1.2 მ-ს არ აღემატება. ბილიკს არაერთი განშტოება აქვს, რომლებიც კონკრეტულ სახლებთან მთავრდება.

მთავარი გზა კომპლექსს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ადგება. ის იწყება აბულის მთის ძირში არსებული დელის პირას, მიუყვება ქედის ფერდს და კომპლექსის ცენტრალურ შესასვლელთან სრულდება. მისი სიგრძე დელედან კომპლექსამდე დაახლოებით 2.0 კმ-ია. გზას, შუა ნაწილში, უერთდება განძა-ახალქალაქის დამაკავშირებელი ძველი გზიდან მომავალი კიდევ ერთი გზა. ეს უკანასკნელი სერპანტინად ადის მცირე პლატოზე, რომლის სამხრეთ კიდეზე პირველად აღნერილ გზას უერთდება.

აბულის კომპლექსის სახლები ბაზალტის ნაშალშია გამართული. ყველა ნაგებობის კედლები მშრალი წყობითაა ამოყვანილი. სახლებს ძირითადად ნახევარწრიული გეგმარება აქვთ. ასევე გვხვდება წრიული სახლები, ოთხკუთხა გეგმარებისა კი - იშვიათია. გადახურვა ძირითადად ცრუთალოვანია, გვხვდება ბანურსახურავიანი ნაგებობებიც. იშვიათია ცალკე მდგომი ერთსენაკიანი სახლები. ისინი ძირითადად მრავალსენაკიანია. ყველა სენაკი მცირე ზომისაა. სახლის წინ ლია ეზოებია, რომლებიც ლიობით ბილიკთან არიან დაკავშირებული.



სურ. 89. ჯავახეთი. აბულის კომპლექსი. რეკონსტრუქცია (გ. ტატიშვილის ჩანახატი).

აბულის „ციკლოპური“ კომპლექსის ცენტრალური ნაწილი რთული გეგმარებისაა. ძირითადი ნაწილი მძლავრი კედლითაა შემოსაზღვრული. ნაგებია ბაზალტის ფილებით, მშრალად. კედლების შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 7.0 მეტრია. კედლის სიგანე საფუძველთან 3.5 — 5.0 მ-ია, ზედა ნაწილში 2.0 — 2.5 მ-ს აღწევს. ცენტრალური კომპლექსის გრანდიოზულობის, გეგმარების და მშენებლობის ტექნიკის მიხედვით ის თითქოს თავდაცვით ნაგებობას მოგვაგონებს. თუმცა, მნიშვნელოვანი დეტალები თითქოს ამ ვარაუდს გამორიცხავს.


პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალურ კომპლექსს სამი შესასვლელი აქვს - აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. კედლები შესასვლებთან მძლავრი ბურჯებითაა გამაგრებული.



სურ. 90. ჯავახეთი. აბული. ციკლოპური კომპლექსის ცენტრალური ნაწილის ზღუდე. ქვის კედლების წყობა.

ცენტრალური კომპლექსის შიდა ტერიტორია მთლიანად ნაგებობებს უკავია, რომ-ლებიც ორ ან სამ სართულადაა განლაგებული. სასიმაგრო კედლის პერიმეტრზე გან-ლაგებული სენაკები მცირე ზომისაა და თავისი ხასიათით შაორის საკულტო კომპლექსის სენაკებს მოგვაგონებს. ცენტრალური ნაწილი შედარებით მოზრდილ ნაგებობებს უკავია. ცენტრალურ კომპლექსს შუაზე კვეთს ვიწრო ქუჩა, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავ-ლეთის კარიბჭების დამაკავშირებელიც არის.

ცენტრალურ კომპლექსს გარშემოსავლელების ორი სარტყელი აკრავს. ორივე მათ-განი კედლითაა გაყოფილი, ისე, რომ მათ შორის გასასვლელი არსად არის დატოვებული. გარშემოსავლელების კედლებში მცირე სენაკებია მოწყობილი.



სურ. 91. ჯავახეთი. აბული. ციკლოპური კომპლექსის ცენტრალური ნაწილის გეგმა (შეადგინა შ. მელიქიძემ).

კომპლექსი ნაგებია ბაზალტის ფილებით, უდუღაბოდ (სურ. 88). იგი ნარმოადგენს რთულ კომპლექსს, რომელიც შედგება ცენტრალური, გამაგრებული ნაწილისა და მის გარშემო არსებული დასახლებისაგან (სურ. 89). დასახლების ძირითადი ნაწილი კომპლექსის ცენტრალური ნაწილის აღმოსავლეთითაა გამართული. სახლები მცირე ზომისაა და ქვის ფილებით, უდუღაბოდაა ნაშენი (სურ. 90). ცენტრალურ ნაწილს ბურჯებით (სურ. 92) გამაგრებული თავდაცვითი კედელი ზღუდავს.



სურ. 92. ჯავახეთი. აბული. კომპლექსის ცენტრალური ნაწილის ზღუდე. დეტალი.

კედელი დიდი ზომის ბაზალტის ქვითაა ნაგები. კედლის სისქე საფუძველთან 4.0 მ-ია, ზევით კი 3.0 მ-დე იკლებს. კედლის შემორჩენილი სიმაღლე 5.0 მეტრია. ცენტრალურ ნაწილს ორი გარშემოსავლელი აკრავს, რომლებიც ჩრდილოეთიდან სიმაგრეზე მიდგმულ მომრგვალებულბურჯებიან, დიდ ნაგებობას ეკვრიან. ცენტრალურ კომპლექსს სამი შესასვლელი აქვს - აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. მისი კედლები მძლავრი ბურჯებითაა გამაგრებული, რომლებიც ძირითადად შესასვლელებთანაა აღმართული.

ცენტრალური, გამაგრებული ნაწილის შიდა ტერიტორიაზე მთლიანად ნაგებობებია განთავსებული, რომლებიც ორ ან სამ სართულადაა განლაგებული (სურ. 91).



სურ. 93. ჯავახეთი. აბული. კომპლექსის ცენტრალური ნაწილის ზღუდე. დეტალი. ბურჯი და კარიბჭე.


სასიმაგრო კედლის პერიმეტრზე განლაგებული სენაკები მცირე ზომისაა და თავისი ხა-
სიათით შაორის საკულტო კომპლექსის სენაკებს მოგვაგონებს. ცენტრალური ნაწილი შე-
დარებით მოზრდილ ნაგებობებს უკავია. ცენტრალური კომპლექსი ვიწრო გასასვლელით ორ
ძირითად ნაწილადაა გაყოფილი. აღმოსავლეთისა (სურ. 97, 98) და დასასვლელის (სურ. 93-98)
კარიბჭების დამაკავშირებელი გზის ცენტრიდან სამხრეთისაკენ გასასვლელია მოწყობილი,
რომელიც სამხრეთის კარიბჭესთან მიდის. რაც შეეხება სამხრეთ კედელში გაჭრილ კარიბჭეს
(სურ. 119), იგი, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა მხოლოდ ცენტრალური კომპლექსის სამხრე-
თით მდებარე მოედანზე გასასვლელად, რადგან ამ მოედანს სხვა მხრიდან შესასვლელი არ
უჩანს. კომპლექსის ცენტრალური, მძლავრი კედლით გამაგრებული ნაწილის აღმოსავლე-
თით მდებარე დასახლება (სურ. 100), ამ მონაკვეთში, ბაზალტის ფილებით, მშრალად ნაგე-
ბი სახლებით ყოფილა გამართული. სახლებს, ძირითადად, კონუსური ფორმა და წრიული
გეგმარება ახასიათებს (სურ. 101-102). რითაც, ისინი, შაორის კომპლექსის ცენტრალური
ნაწილისაკენ მიმავალი სარიტუალო გზის გასწვრივ გამართულ, წრიული გეგმარების, მცირე
ზომის სათავსოებს გვაგონებს.¹⁹¹



სურ. 94. ჯავახეთი. აბული. კომპლექსის ცენტრალური ნაწილი. ჩრდილო-დასასვლელი კარიბჭე.

191. ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 48-49, ტაბ. XL-2.

ახლა ძნელია იმაზე საუბარი, თუ როდის ჩამოყალიბდა წრიული გეგმარების ქვის არქიტექტურა სამხრეთ კავკასიაში და როდემდე არსებობდა. სამხრეთ საქართველოს მთიანეთში ქვით ნაგები, წრიული გეგმარების სახლების არაერთი ნიმუშია შემორჩენილი.



სურ. 95. ჯავახეთი. აბული. კომპლექსის ცენტრალური ნაწილი. წრდილო-დასავლეთი კარიბჭე.

წრიული გეგმარების ნაგებობები ჯავახეთშივე, სამსარის ქედის რამდენიმე მთის წვერზეც დაფიქსირდა. მაგალითად, შავ მთაზე, რომელიც ერთის მხრივ, ტაბაწყურის ტბას დაჰყურებს, მეორე მხრივ კი, ფარავანს და რომლის სიმაღლე 3100 მეტრამდეა, უშუალოდ მზვერვალზე აღმოჩნდა ნაყარი ვულკანური ქვების მშრალი წყობით ნაგები 150-ზე მეტი გაურკვევლი დანიშნულების ნაგებობა. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ დიდია — სიმაღლე 2.5 მ. იატაკის დიამეტრი 4.0-4.5 მ. ნაგებობების უმეტესობა წრიული ან ოვალურია, რამდენიმე მათგანს თითქოს შესასვლელი (დრომოსი) გააჩნია, რომელიც ნაწილობრივ ჩაქცეულია. ასეთივე ნაგებობანი, ოლონდ უფრო მცირე მასშტაბის, აღმოჩნდა სამსარის ქედის კიდევ ორ აღგილას, დაახლოებით 3000 მ-ის სიმაღლეზე. ქვის წრიულ ნაგებობებს მიაკვლიეს ჯავახეთის ქედის დასავლეთ ფერდზეც.¹⁹²


192. ქიქმაძე ზ., ქორიძე ი. 1978, გვ. 25-26.




სურ. 96. ჯავახეთი. აბული. კომპლექსის ცენტრალური ნაწილი. დასავლეთი კარიბჭე.



სურ. 97. ჯავახეთი. აბული. კომპლექსის ცენტრალური ნაწილი. აღმოსავლეთი კარიბჭე.



სურ. 98. ჯავახეთი. აბული. კომპლექსის ცენტრალური ნაწილი. აღმოსავლეთი კარიბჭე (ანაზომი გ. ტატიშვილის და შ. მელიქიძის).



სურ. 99. ჯავახეთი. აბული. კომპლექსის ცენტრალური ნაწილი
(დ. ფუტკარაძის ჩანახატი).

ერთ-ერთ უნიკალურ მეგალიტურ კომპლექსს, რომელიც წრიული გეგმარების ნაგებობებს შეიცავს, გოგიჩაანთლელე¹⁹³ წარმოადგენს. მეგალიტური ნამოსახლარი მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ჭობისხევთან. ძველ ნამოსახლარს დიდი ტერიტორია უკავია და რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან გამორჩეულია ორი უბანი, ნადიკრები I და ნადიკრები II. გოგიჩაანთლელეს ნამოსახლარის მრავალრიცხოვანი კომპლექსური ნაგებობები ტერასებზეა განლაგებული (სურ. 104). ნაგებობებს შორის წამყვანია წრიული გეგმარების კონუსური სენაკები (სურ. 105).




სურ. 100. ჯავახეთი. აბული. კომპლექსის ცენტრალური ნაწილის ზღუდის გარეთ არსებული დასახლება.

გოგიჩაანთლელეზე სწორკუთხა ნაგებობების კომპლექსიც გაითხარა. ცრუგუმბათიანი ნაგებობები მეორე, ძირითად ტერასაზე განთავსებული.¹⁹⁴ ნადიკრები I ნამოსახლარის ქვედა ტერასაზე მდებარეობს. ამ უბანზე გაითხარა საცხოვრებელი კომპლექსი, რომელ-შიც შედის ერთმანეთთან კარგად მორგებული ქვის დიდი ლოდებით უდუღაბოდ ნაგები ორი, წრიული გეგმარების ცრუთაღოვანი ნაგებობა, ორი ოთხკუთხა სენაკი, სამზარეუ-

193. ადგილი სოფ. ჭობისხევთან, მდ. მტკვრის ხეობაში.

194. ნასიძე გ. კილურაძე ნ. 1973, გვ. 104-107; Насиძе Г. 1976, стр. 106; Насиძе Г. 1976а, р. 79; Насиძе Г. 1987, стр. 97.

ლო, ორი მარანი, სატრაპეზო, სამეურნეო ნაგებობა და წინაოთახი. ცრუგუმბათიანი სენ-აკების კედლები დამრეცია (სურ. 106), რადგან საძირკვლის დონიდანვე იწყება ყოველი ზედა რიგის შევიწროვება. ქვების ზომები ზედა რიგებში უფრო და უფრო იზრდება და კონუსის ფორმის ცრუ თაღს ქმნის.




სურ. 101. ჯავახეთი. აბული. სახლები კომპლექსის ცენტრალური ნაწილის ზღუდის გარეთ არსებულ დასახლებაში (გ. ტატიშვილის ჩანახატი).

პირველი წრიული სენაკის დიამეტრი 4.8 მ-ია, სიმაღლე 3.0 მ-ს აღწევს. ამ სენაკის ზედა ფენაში აღმოჩნდა XI-XIII სს მოჭიქული კერამიკა. მეორე ფენა, რომელიც თიხატკეპნილი იატ-აკითაა წარმოდგენილი VIII-X სს კერამიკას შეიცავს. ქვედა, მესამე ფენაში, წრიული ღუმელი დაფიქსირდა. აქვე აღმოჩენილი კერამიკა კი, IV-V სს. დათარიღდა. ნაგებობის წინ გაითხარა ოთხკუთხა „დარბაზი“, რომელიც III-IV სს დათარიღდა. მეორე ცრუგუმბათიანი სენაკის სიმაღლე 3.5 მ-ია. მის გარშემო განლაგებულია ორი მარანი და სამზარეულო. აქ მოპოვებული მასალა XI-XIII სს განეკუთვნება.¹⁹⁵ ნადიკრები I უბაზზე მდებარე წრიულ-კონუსური ფორმის სენაკი აგებულია დიდრონი, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი დამუშავებული ქვებით. წყობა მშრალია და ერთი შეხედვით ფსევდო-ციკლოპურ წყობას წააგავს. სენაკის საძირკველიდანვე იწყება სწრაფვა ცრუ კამარის შეკვრისადმი, რომელიც ზევით ერდოთი მთავრდება. სენაკი კონუსური ფორმისაა. საძირკვლის ქვების პირველი მწერივი მცირეა, ხოლო რაც ზევით მიიწევს კედელი, მით უფრო მატულობს ქვების ზომა და წყობაც იცვლება.¹⁹⁶

195. Насиძე Г. 1976а, срт. 80-81.

196. ნასიძე გ. 1972, გვ. 57-58, 81.

ნადიკრები II ნადიკრები I-ის სიახლოვეს, შემაღლებულ ადგილზეა გაშენებული. ამ დასახლებისათვისაც წრიული გეგმარების კონუსური ფორმის სენაკებია დამახასიათებელი. ნადიკრები II დასახლების სენაკები უკეთესი სამშენებლო ტექნიკით გამოირჩევა, ვიდრე ნადიკრები I-ის ნაგებობები. საცხოვრებელი კომპლექსი შედგება 14 სენაკისაგან. ცენტრალურ ნაგებობას ნარმოადგენს ცრუგუმბათიანი სენაკი, რომლის დო 5.8 მ-ია და მისი სიმაღლე 4.3 მ-ს უდრის.¹⁹⁷



სურ. 102. ჯავახეთი. აბული. კომპლექსის ცენტრალური ნაწილის ზღუდის გარეთ არსებული დასახლება. გეგმა (გ. ტატიშვილის ანაზომი).

გოგიჩანთლელეს მეგალითური კომპლექსების დათარიღება მეტად რთულია. ერთი ცხადია, რომ ამ ტერიტორიაზე ინტენსიური ცხოვრება III-IV სს-დან ჩანს და ის სამშენებლო ტექნიკა, რომელიც წრიული გეგმარების სახლებს ახასიათებს, დღეისათვის ცნობილ ყველაზე ძველ ფენაშიც ფიქსირდება.¹⁹⁸ როგორც ჩანს, VIII-XIII საუკუნეებში გოგიჩანთლელეს დასახლებას მასშტაბური რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ძველმა ნაგებობებმა ახალი ფუნქცია შეიძინეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წრიული გეგმარების სენაკები უფრო ძველია და ისინი შეიძლება დასახლების სიახლოვეს არსებული გვიანი პრინჯაოს ხანის სამარხების თანადროული იყოს.

აღსანიშნავია, რომ წრიული გეგმარების მშრალი წყობით ნაგები ქვის არქიტექტურა ფართოდაა გავრცელებული უძველეს კულტურებში.¹⁹⁹ ეგეოსურ სამყაროში მსგავსი არქიტექტურა (თოლოსი) ნეოლითის ხანიდან გვხვდება. დასავლეთ ევროპაში კი ასეთი ნაგებობები უკანასკნელ ხანებამდე იყო ყოფაში. მეცნიერთა ნაწილი სამხრეთკავკასიური

197. Насидзе Г. 1976, стр. 106-107; Насидзе Г. 1976а, стр. 81-82; Насидзе Г. 1987, стр. 98.

198. Насидзе Г. 1976, р. 107; Насидзе Г. 1976а, р. 82.

199. Джавахишвили А. 1973, стр. 348-349.

წრიული გეგმარების სახლებს და თესალიურ ოვალურ საცხოვრებლებს შორის გარკვეულ მსგავსებას ხედავდა და მტკვარ-არაქსის კულტურისა და ხმელთაშუაზღისპირეთის უძველესი კულტურების სავარაუდო კავშირზეც მიუთითებდა.²⁰⁰



სურ. 103. ჯავახეთი. აბული. კომპლექსის ცენტრალური ნაწილის ზღუდის გარეთ არსებული დასახლება. დეტალი (გ. ტატიშვილის ჩანახატი).

მ. ელიადეს აზრით, ზოგიერთი მეგალიტური კომპლექსი, როგორიცაა მაგალითად კარნაკი, ან ეშდაუნი, უეჭველია მნიშვნელოვან ცერემონიალურ ცენტრებს ნარმოადგენდნენ. დღესასწაულების დროს იმართებოდა მსხვერპლშენირვები და სარიტუალო პროცესიები. დღესასწაულების დიდი უმრავლესობა დაკავშირებული იყო წინაპრების კულტთან. სთოუნხენჯის კრომლეხი, ისევე როგორც ინგლისის ანალოგიური მონუმენტები, ყორღანების ველის ცენტრში იდგა. ეს ცნობილი საკულტო ცენტრი, თავის პირვანდელ ფორმაში, იყო სამლოცველო, რომელიც აშენებული იყო სპეციალურად წინაპრებთან კავშირის დასამყარებლად.²⁰¹

შესაძლოა, სამხრეთ საქართველოში გამოვლენილი მცირე ზომის მეგალიტური სამლოცველები (თეჯისი, ბარეთი, შავი მთა, სამსარი), ასევე ყორღანულ ველებზე და უშუალოდ ყორღანებზე მდგარი მენშირები თემის/გვარის სამლოცველოებს ნარმოადგენდნენ. რთული მეგალიტური კომპლექსები (შაორი, აბული, გოგიჩანთლელე) კი დიდი ცერემონიალური ცენტრები იყო.

200. კუფტინ ნ. 1948 ცტР. 27-29.

201. ელიაძე მ. 2000, ცტР. 113.



სურ. 104. მესხეთი. გოგიჩაანთლელე. კომპლექსის ხედი. დეტალი.

მეგალიტური სამლოცველოების დათარიღება ჭირს, რადგან არქეოლოგიური გათხრები პრაქტიკულად არ ჩატარებულა. კვლევის დღევანდელ ეტაპზე შეიძლება ითქვას, მეგალიტური სამლოცველოები სამხრეთ კავკასიაში მტკვარ-არაესის ეპოქიდან ფუნქციონირებს. ამის დასტურია საქართველოს მეზობლად, სომხეთში, ერმიანინის მახლობლად გათხრილი ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლი მოხრაბლური. ამ ნამოსახლარის ცენტრში არქეოლოგებმა გათხარეს ქვით ნაგები „ციკლოპური“ ნაგებობა. ის შედგებოდა 4-6 მ სიმაღლის და 8 მ სიგრძის პლატფორმისა, თუ კოშკისაგან და მასზე აღმართული 4.0 მ სიმაღლის „ობელისკისაგან“. ეს ნაგებობა ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნით დათარიღდა. მეცნიერთა აზრით, მონუმენტური საკულტო ნაგებობა წარმოადგენდა სარიტუალო ცენტრს არა მხოლოდ ერთი ნამოსახლარის მოსახლეთათვის, არამედ მეზობელი თემებისათვის. მოხრაბლურს დომინანტური პოზიცია ეკავა მტკვარ-არაესის კულტურის სხვა ნამოსახლარებს შორის, რომლებიც მდ. ყაზახის ნაპირებზე იყვნენ განლაგებულნი (ადაბლური, შრეშ-ბლური, კახუნენი და სხვა). შესაძლოა, ის აკონტროლებდა პოლიტიკური, იდეოლოგიური და სამხედრო თვალსაზრისით ახლომდებარე ნამოსახლარებს.²⁰²

202. Areshian G. 2005. pp. 71-88.



სურ. 105. მესხეთი. გოგიჩაანთლელე. ნრიული გეგმარების სახლი. დეტალი.

საქართველოს საზღვართან, სომხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მეც სეპასარის მთის (სიმაღლე 2081 მ) თხემზე აღმოჩნდა ძალზე საყურადღებო, ქვით ნაგები საკულტო კომპლექსი. მეც სეპასარის მთის დასავლეთ ფერდობზე 1.5 მ სიმაღლის მენჰირი დგას. მართკუთხა ფორმის (5.5 X 4.7 მ) ნაგებობის დასავლეთ ნაწილში განთავსებულია შავპრიალა ჭურჭლისგან გაკეთებული კერა. კარის მოპირდაპირე მხარეს, შვიდი ქვისგან შემდგარი წრის მეოთხედზე, დალაგებული კიდევ ერთი კერა დადასტურდა. ამ უკანასკნელთან შვიდი მგლის ჩონჩხი გამოვლინდა. ყველა თავის ქალა ქვედა ყბის გარეშე იყო. ყბები ცალკე ელაგა იატაკზე, სამლოცველოს სხვადასხვა კუთხეში. მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქის სამლოცველო ძვ.წ. XXVIII-XXVI სს. თარიღდება.²⁰³


სამხრეთ კავკასიაში გამოვლენილი საკულტო ნაგებობები და სამლოცველოები გარკვეულ მსგავსებას იჩენენ გობეკლი-თეფეს (თურქეთი) უძველეს მეგალითურ სატაძრო კომპლექსთან, კომპლექსი წარმოადგენს წრიული ფორმის ნაგებობას და ძვ.წ. IX ათასწლეულით თარიღდება. არქეოლოგიური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ სატაძრო კომპლექსის მშენებლობა დაიწყო მეზოლითში და გრძელდებოდა რამდენიმე ათასი წელი. არქეოლოგიური კომპლექსი შედგება სამი ძირითადი ფენისგან, რომლებიც ძირითადად ნეოლითის ეპოქისაა. უძველეს ფენაში აღმოჩნილია მონოლითური, 3 მ სიმაღლის სვეტები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია დაუმუშავებელი ქვებით ნაგები კედლებით და ქმნიან მომრგვალებული, ან ოვალური გეგმის ნაგებობებს. მსგავსი სვეტები ნაგებობის ცენტრშიც არის დადასტურებული. ტაძარში ტახების და მელიების ქანდაკებებია ნაპოვნი. სულ აღმოჩნილია ოთხი ამგვარი ნაგებობა, 10-30 მ დიამეტრის. შემდეგ ფენაში ნაპოვნი სვეტები შემკულია ცხოველების და აბსტრაქტული გამოსახულებებით. გავრცელებულია ლათინური T-ს ფორმის სვეტები, რომლებზეც გამოსახულია ადამიანის ხელები. ტაძრის მშენებლობა დაიწყეს მონადირე-შემგროვებლებმა, ხოლო დაასრულეს ადრეულმა მიწათმოქმედებმა²⁰⁴.

ნეოლითის ეპოქაში დაიწყო მეგალითური ტაძრების მშენებლობა მაღტის არქიპელაგზე. ხმელთაშუა ზღვის ცენტრში მდებარე ამ არქიპელაგის კუნძულებზე განლაგებულია უძველესი მეგალითური ტაძრები, სულ 22 სამლოცველო, რომლებიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში იყო აგებული. შედარებით კარგადა შემონახული ოთხი ტაძარი: ჯანტია, ჰაგარ ქიმი, მნაიდრა და ჰალ ტარშიენი. მათ შორის უძველესია ჯანტია, რაც ითარგმნება როგორც გოლიათის კოშკი. ჯანტიის კომპლექსი ორი სამლოცველოსგან შედგება. დიდი სამლოცველოს წინ მომრგვალებული ღია მოედანია, სადაც ვერტიკალურად დგას ნახერეტიანი ქვები. შესასვლელთან დგას ორი დიდი ვერტიკალური ქვა — ორთოსტატი. ჯანტიის შემორტყმული აქვს გალავანი, რომლის ზოგიერთი ქვის სიმაღლე 5.5 მ-ს, ხოლო წონა — 50 ტონას აღწევს. ჰაგარ ქიმი შედარებით დიდი სატაძრო კომპლექსია, რაც აისხება იმით, რომ დროის განმავლობაში ის არაერთხელ გაფართოვდა და დაემატა სხვადასხვა ნაგებობა. ჰალ ტარშიენი შედარებით ცუდადა შემონახული. ის შედგება სამი

203. ეგანიან ლ. 2012, ცმр. 272-290.

204. Schmidt K. 2006.

სამლოცველოსგან. მესამე ტაძრის აფსიდაში შემონახულია ქალღმერთის უზარმაზარი ქანდაკების ქვედა ნაწილი. მეცნიერთა გამოკვლევით, ქანდაკების სიმაღლე 2.7 მ-ს აღწევდა. მის გვერდით აღმართულია ქვის საკურთხეველი, შემკული შესანიშნავი სპირალური ორნამენტით²⁰⁵.



სურ. 106. მესხეთი. გოგიჩაანთლელე. ნრიული გეგმარების სახლი. დეტალი.

საქართველოს მეგალითური სამლოცველოების კვლევა საწყის ეტაპზეა. მრავალი საკითხი ბურუსითაა მოცული. საქართველოსა და კავკასიის უძველესი საზოგადოების იდუმალი სულიერი კულტურა, კულტი, რიტუალი და მათთან დაკავშირებული მატერიალური ძეგლები, დღემდე ისტორიის „თეთრი ლაქად“ რჩება. გაქვავებული ქალაქები ელიან არქეოლოგების ნიჩაბს.

205. Trump D.H. 1972, pp. 19-20; Korn W. 2005, pp. 90-98.

§ 4. მეგალითური არქიტექტურული კომპლექსები

მეგალითურ არქიტექტურულ კომპლექსებში ვაერთიანებთ თავდაცვით და საცხოვრებელ ნაგებობებს. ამ ჯგუფის ძეგლები ორად იყოფა: 1. „ციკლოპური“ ციხე-სიმაგრეები და ნამოსახლარები; 2. დარნები, რომლებსაც ორმაგი - თავდაცვითი და საცხოვრებელი ფუნქცია გააჩნდათ.

„ციკლოპური“ ციხე-სიმაგრეები და ნამოსახლარები. ციკლოპურ ნამოსახლარებში ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ უძველეს დასახლებებს, რომელთაც დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვით ნაგები გალავანი აკრავთ. ციკლოპურ სიმაგრებს, დასახლებათა თავდაცვით კედლებთან ერთად, მივაკუთნებთ ყველა იმ ნაგებობას, რომლებიც აგებულია ასეთივე ტექნიკით და თავდაცვითი ფუნქცია გააჩნია. ამდენად, „ციკლოპურ“ ნამოსახლარს ან სიმაგრეს ვუწოდებთ მხოლოდ იმ ძეგლს, რომელსაც მშრალი წყობით ნაგები თავდაცვითი კედლები გააჩნია.

ტერმინი „ციკლოპური“ სრულად ვერ ასახავს ამ ნამოსახლარებისა და სიმაგრეების ყველა თავისებურებას, ამიტომ, იგი პირობითია. „ციკლოპურ“ ნამოსახლარს ჩვენც პირობითად ვუწოდებთ დიდი ზომის დაუმუშავებელი ან იდნავ დამუშავებული ქვებით მშრალი წყობით ნაგებ პრეისტორიული ხანის კომპლექსებს. „ციკლოპური“ ნაგებობები მეგალითური მშენებლობის ერთ-ერთი ფორმა.²⁰⁶ „ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და სიმაგრეების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია როგორც საცხოვრებელი, ისე დასახლებათა სასიმაგრო კედლების ან ცალკე მდგომი სიმაგრეების დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით შენება. დაუმუშავებელი ქვებით, უდუღაბოდ შენება სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულიდანაა გავრცელებული, თუმცა ამ ეპოქის დასახლებებს „ციკლოპური“ წყობით ნაგები თავდაცვითი კედლები არ გააჩნია. ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების შემდეგ მშენებლობის ეს ტექნიკა თითქმის აღარ გვხვდება. ქვა გამოიყენება მხოლოდ ნაგებობათა კედლის საფუძვლის გასამართად, რომელზეც ზემოდან ალიზის აგურია დაწყობილი. ამავე დროს წინა პლანზე გამოდის ხის არქიტექტურა. ხე გამოიყენება როგორც კედლის არმირებისათვის, ისე პერანგული წყობისათვის. შემავსებლად გამოყენებულია წვრილი ქვა და ალიზის მასა. ამავე დროს ფართოდ გამოიყენება დამუშავებული ქვები, ე.წ. კვადრები. შუა საუკუნეებში, სამხრეთ კავკასიის მთელ რიგ რეგიონებში სოფლებს და მსხვილ დასახლებებსაც ახასიათებთ მშრალი წყობა, მაგრამ არ გააჩნიათ მშრალი წყობით ნაგები სიმაგრეები ან სასიმაგრო სისტემები, რის გამოც ამ ეპოქის მშრალი წყობით ამოყვანილ კედლებს ჩვენ „ციკლოპურ“ ძეგლებში არ ვაერთიანებთ.

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. III-I ათასწლ.) არქიტექტურა სამი ძირითადი ტიპითაა ნარმოდგენილი: ძელური, თიხის და ქვის. ქვით ნაგებ ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი „ციკლოპურ“ არქიტექტურას უკავია. ნაგებობების მონუმენტურობა და ნამოსახლართა დიდი მასშტაბები აშკარად გამოარჩევს მათ სამხრეთ კავკასიის სხვა ძეგლებისაგან. „ციკლოპური“ ნაგებობები ფართოდ იყო გავრცელებუ-

206. Mohen J.-P. 1989, p. 295; Reden S. von. 1989.

ლი ხმელთაშუაზღვისპირეთში (წურაგა, ნაგეტა, ტალაიოტი, ტორე). ამ ტიპის ნაგებობები ხშირია სამხრეთ ამერიკის უძველეს ცივილიზაციებში.²⁰⁷ საბერძნეთში „ციკლოპური“ წყობით ნაგები სიმაგრეები ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩნდება. მათი უმრავლესობა განლაგებული იყო იმ ადგილებში, სადაც გვიანდელი ბერძნული ტრადიცია ათავსებდა იმ სამეფოების ცენტრებს, რომელთა დაარსებაც წინ უსწრებდა ტროას ომს (პილოსი, მიკენი, ტირინთოსი, ათენი, თებე, იოლკოსი და სხვ.).

საქართველოს „ციკლოპური“ ნაგებობები განსხვავდება ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველესი ცივილიზაციებისათვის დამახასიათებელი მეგალიტური ნაგებობებისაგან, რომლებსათვისაც უფრო დიდი ქვებით მშენებლობაა დამახასიათებელი, ვიდრე სამხრეთ კავკასიის ამ ტიპის ნაგებობებისათვის.

„ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და სიმაგრეების კვლევის ისტორია. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული „ციკლოპური“ ნამოსახლარების პირველი მონოგრაფიული კვლევა 1938 წელს გამოქვეყნდა.²⁰⁸ „ციკლოპური“ ნამოსახლარების არქეოლოგიური შესწავლა 1936 განხორციელდა,²⁰⁹ როდესაც ბეჭთაშენის „ციკლოპურ“ სიმაგრეზე მტკვარ-არაქსული, გვიან ბრინჯაოს ხანის და შუა საუკუნეების ფენები დადასტურდა. ამ მონაცემების საფუძველზე „ციკლოპური“ ნამოსახლარების ქვედა თარიღად ძვ.წ. III ათასწლეული განისაზღვრა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული „ციკლოპური“ ძეგლების შესწავლას არასისტემატური ხასიათი ჰქონდა და დიდი ხარვეზებით მიმდინარეობდა.²¹⁰

საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან „ციკლოპური“ ნამოსახლარები და სიმაგრეები გავრცელებულია სომხეთში,²¹¹ აზერბაიჯანში²¹² და თურქეთში.²¹³

„ციკლოპური“ ნამოსახლარების და სიმაგრეების თარიღის და რაობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ნაწილი მათ ნარმოშობას ძვ.წ. III ათასწლეულიდან ვარაუდობს.²¹⁴ ამ ეპოქის ფენები თრიალეთში ბეშქენაშენის და თეზის „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზეც გამოვლინდა.²¹⁵

საქართველოს ტერიტორიაზე XX საუკუნის 30-40-იან წლებში მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩატარდა ბეშთაშენის, ავრანლოს, ნარდევანის და სანთის „ციკლოპურ“ სიმაგრეებსა და ნამოსახლარებზე. 1990 წელს ციკლოპური სიმაგრეების არქეოლოგიური შესწავლა განაახლა თრიალეთის არქეოლოგიურმა ექპედიციამ, რომელმაც სოფ. ბეშთაშენთან, ელი-ბაბას მთაზე საბეჭდავის ნამოსახლარის გათხრა დაიწყო. მომდევნო

207. Mohen J.-P. 1989, p. 295; Reden S. von. 1989; Брей У., Трамп Д. 1990, стр. 278.

208. მელიქ ქეთ-ბეგი ლ. 1938.

209. Күфтин Б. 1941; Күфтин Б. 1948; Күфтин Б. 1949.

210. მელიქ ქეთ-ბეგი ლ. 1938; ციციშვილი ი. 1998; ციციშვილი ი. 1955; ჯანხეიძე ნ., ციციშვილი ი. 1976.

211. Аджян А., Гюзалиян Л., Пиотровский Б. 1932; Пиотровский Б., Гюзалиян Л. 1933; Пиотровский Б. 1949; Кушнарёва К. 1960; Мартirosyan A. 1964, p. 23; Ханзадян Э. 1969; Микаелян Г. 1968; Чилингарян С. 1968; Есаян С. 1976.

212. Мещанинов И. 1932; Джакафарзаде И. 1956; Алиев В. 1983; Ахундов Д. 1986.

213. Koroğlu K. 2005, pp. 99-106; Topaloğlu Y. 2006.

214. Ханзадян Э. 1969, стр. 23; Есаян С. 1976 стр. 7-18.

215. Күфтин Б. 1941, стр. 108, 115-117; შანშაძეილი ნ. ნარიმანიშვილი გ. 1996.

წლებში, სამუშაოები ჩატარდა ბეჭთაშენის, კნოლეს, სანთის და ავრანლოს ციკლოპურ ნამოსახლარებზე. თრიალეთის „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დასახლებათა თავდაცვითი კედლით შემოზღუდვა ძვ.წ. XVI ს-ში იწყება (ბეჭენაშენი). ძვ.წ. XIII-VII საუკუნეებში კი „ციკლოპური“ სასიმაგრო კედლებით დაცული ნამოსახლარები (საბეჭდავი, კნოლე, ცრიცი, ბარეთი, ახალდაბა, ლოშო და სხვ.) გაბატონებულ მდგომარეობას იკავებუნ. ამავე ეპოქას მიეკუთვნება ცალკე მდგომი სიმაგრეებიც.²¹⁶

„ციკლოპური“ ნამოსახლარების და სიმაგრეების ტიპოლოგიისათვის. აღსანიშნავია, რომ „ციკლოპური“ ნამოსახლარები და სიმაგრეები ძირითადად ძნელად მისასვლელ ადგილებში - ბორცვებზე, კლდეებზე, კონცხებზეა აგებული და მათი პერიოდი ადგილმდებარეობის კონფიგურაციას ემთხვევა. მშენებლები კარგად იყენებდნენ ბუნებრივად გამაგრებულ ადგილებს. იშვიათი გამონაკლისის გარდა, თავდაცვით სისტემებს და მარტივ სიმაგრეებს კოშკები არ გააჩნიათ.

საქართველოში დღეისათვის (ცნობილი „ციკლოპური“ ძეგლების შესწავლის შედეგების მიხედვით (გეგმარება, დასახლების ხასიათი) შეიძლება ითქვას, რომ ისინი ოთხი ძირითადი ტიპითაა წარმოდგენილი:

1. „ციკლოპური“ ნამოსახლარები, რომლებიც გამართულია მდინარეთა ხერთვისში და არა აქვთ მთლიანი ზღუდე. მათ ორი მხრიდან იცავს მდინარისპირა მაღალი და ციცაბო ფლატეები, ღია ნაწილი კი გამაგრებულია მძლავრი კედლითა და ღრმა თხრილით (ბეჭენაშენი-ბეჭთაშენი). შეიძლება ამ ტიპის იყო დაშბაშის ნამოსახლარიც.

2. ნამოსახლარები, სადაც დასტურდება ციტადელი და მის გარეთ არსებული, თავდაცვის სისტემას მოკლებული, დასახლება (საბეჭდავი, კნოლე, უნყლო, ბარეთი ახალდაბა, თეზი, ლოშო).

3. ცალკე მდგომი სიმაგრეები, რომელთა შიგნით საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობებია და მათ გარშემო დასახლება არ შეინიშნება (ცრიცი, ზემო ბეჭენაშენი).

4. ცალკე მდგომი სიმაგრეები, სადაც, არც ციტადელის შიგნით და არც გარეთ, ნაგებობების კვალი არ შეინიშნება (კოხაჯი, ჩხიკვთა, ხევლრმა).

სამხრეთ კავკასიის „ციკლოპური“ ძეგლების უმრავლესობა არქეოლოგიურად არ არის შესწავლილი, ამდენად, გათხრების შედეგებმა შეიძლება სრულიად სხვაგვარად წარმოაჩინოს მათი ტიპოლოგია.

საქართველოს ისტორიული მხარეებიდან ყველაზე უკეთაა შესწავლილი თრიალეთის „ციკლოპური“ სიმაგრეები და ნამოსახლარები. არქეოლოგიური გათხრებიც პრაქტიკულად ამ რეგიონშია ჩატარებული, ამიტომ, ციკლოპური ძეგლების ტიპოლოგიურ დახასიათებას, ძირითადად, ამ რეგიონში არსებული ძეგლების მიხედვით წარმოვადგენთ.

216. შანშაშვილი გ. ნარიმანიშვილი გ. 1996; ნარიმანიშვილი გ., მახარაძე გ. და სხვ. 1996; ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი გ. 1997; შანშაშვილი გ. ნარიმანიშვილი გ. 1998; ხანვაძე გ. 1969; ესაჟ გ. 1976; ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი გ. 2000; Narimanishvili G., Shanshashvili N. 1997; Narimanischvili G., Schanschashvili N. 2001; Narimanishvili G., Shanshashvili N. 2001a.

პირველი ტიპის „ციკლოპური“ ნამოსახლარები და ციხე-სიმაგრეები.

ბეშქენაშენი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი მდებარეობს თრიალეთში (სურ. 2), წალკის მუნიციპალიტეტის²¹⁷, სოფ. ბეშთაშენის ჩრდილო-დასავლეთით 0,2 კმ-ის დაცილებით, მდ. ბეშქენაშენის ხევისა და მდ. ბარეთის ხერთვისში (სურ. 107) არსებულ კონცხზე (ზღვის დონიდან 1550 მ).



სურ. 107. თრიალეთი. ბეშთაშენი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. საერთო ხედი.


დასახლება გაშენებული ყოფილა 4 ჰა ფართობზე. ხერთვისის ყელი გადაკეტილია „ციკლოპური“ წყობის კედლით და ხელოვნური თხრილით. კულტურული ფენები არ იფარგლება მხოლოდ ხერთვისის ტერიტორიით. უშუალოდ მდინარეების ნაპირების გაშიშვლებაში და ნამოსახლარის გარშემო მიკვლეულია ძველი ქვის ხანის, მეზოლითის, ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა ეტაპის, ანტიკური და შუა საუკუნეებთა ნამოსახლარები და სამაროვნები. სხვა-დასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები დაახლ. 20 ჰა ფართობზე ვრცელდება (სურ. 108).

ნამოსახლარზე პირველი არქეოლოგიური გათხრები ბ.კუჭტინმა 1939 წელს ჩაატარა, სა-დაც შუასაუკუნეების, ანტიკური, გვიანი, შუა და ადრე ბრინჯაოს ეპოქების ნამოსახლარები და სამაროვნები გაითხარა.²¹⁸ ძეგლი მნიშვნელოვნადაა დაზიანებული 30-იანი წლების შემდეგ (ბ. კუჭტინის მიერ შედგენილ გეგმაზე დატანილი კედლები დღეს აღარ შეიმჩნევა).

217. თანამედროვე ადმინისტრაციული ერთეული ისტორიულ თრიალეთში.

218. კუჭტინ ბ. 1941, სტ. 41-50, 106-118.

ნამოსახლარზე სამუშაოები 1991 წელს განახლდა. გათხრების მიზანი იყო ნამოსახლარი ფენებისა და „ციკლოპური“ ზღუდის ურთიერთმიმართების გარკვევა.²¹⁹ გაითხარა გვიანი ბრინჯაოს ხანის სახლები და თავდაცვითი კედლის ერთი მონაკვეთი. ბეშქენაშენის თავ-დაცვითი კედელი ძლიერაა დაზიანებილი. ჩატარებული გათხრების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ თავდაცვითი კედლის სიგანე 3.0-4.2 მ-ს შორის მერყეობს. თავდაცვითი კედლის ჩრდილოეთით ღრმა თხრილი ყოფილა, რომელიც მდ. ბარეთის ნაპირიდან მდ. ბეშქენაშენის ხევის ნაპირამდეა გაჭრილი. თხრილის სიღრმე 3.0 მ მაინც უნდა ყოფილიყო. თავდაცვით სისტემას აძლიერებდა თხრილის ჩრდილოეთით არსებულ შემაღლებაზე გამართული კედელი, რომელიც დღეს აღარ არსებობს.²²⁰ მიუხედავად მცირე მონაცემებისა, ვფიქრობთ, რომ თავდაცვითი თხრილი ადრებრინჯაოს ხანაშია გაჭრილი, ხოლო „ციკლოპური“ კედელი ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში აიგო და ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე ფუნქციონირებდა.




სურ. 108. თრიალეთი. ბეშთაშენი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. გეგმა
(შემდგენელი ვ. წილოსანი).

მეორე ტიპის „ციკლოპური“ ნამოსახლარები და ციხე-სიმაგრეები.

საპეტავი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ბეშთაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ-ის დაცილებით, მდ. ბეშქენაშენის ხევის მარცხენა ნაპირზე, მთა ელი-ბაბას (ზღვის დონიდან 1674 8 მ) თხემზე და ფერდობებზე.

219. ნარიმანიშვილი ვ., მახარაძე ზ. და სხვ. 2004, გვ. 26, ტაბ. CCXI-CCXII.

220. კუფტინ ნ. 1941, срп. 109, 108.




სურ. 109. თრიალეთი. საბეჭდავი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. ქვედა სიმაგრის და სახლების გეგმა.

სამხრეთიდან მშრალი ხევი საზღვრავს. მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს XII-XVIII საუკუნეების ნასოფლარი საბეჭდავი. „ციკლოპური“ სიმაგრე და ნამოსახლარი მთის თხემზე და დასავლეთ კალთაზეა განთვალისწინებული. ნამოსახლარი წარმოადგენს კომპლექსს (სურ. 114), რომელიც სასიმაგრო სისტემების (ზედა და ქვედა სიმაგრეები), მათ შიგნით და გარეთ არსებული უბნებისაგან შედგება.




სურ. 110. თრიალეთი. საბეჭდავი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. ბაზალტის ქვებით გაწყობილი „ხეივანი“.

ქვედა სიმაგრის სიგრძე 162 მ-ია, სიგანე 90 მ. (სურ. 109). გალავნის კედლები ნაგებია ბაზალტის დიდი დაუმუშავებელი ლოდებით უდუღაბოდ. კედლების სისქე 3-4 მ-ს აღწევს. გალავნის მთელ პერიმეტრზე მიდგმულია სხვადასხვა ზომის 30-მდე საცხოვრებელი სახლი, რომელთა შორის დატოვებულია გასასვლელები და ქუჩები. სიმაგრის ცენტრალური ნაწილი ნაგებობებისაგან თავისუფალი ჩანს.



სურ. 111. ორიალეთი. საბეჭდავის „ციკლოპური“ ნამოსახლარი. მეორე უბანი. გეგმა.


ქვედა სიმაგრე ორი ნაწილისაგან შედგება და ორი შესასვლელი აქვს. დასავლეთი ნაწილი პატარაა და როგორც ჩანს დაუსახლებელი იყო. ქვედა სიმაგრის (II უბანი) ტერიტორიაზე 1990-92 წლებში გაითხარა ცხრა სახლი (№№ 1-5, 26, 27, 28, 29). ყველა მათგანი მიშენებულია სიმაგრის კედელზე (სურ. 109). ნაგებია დაუმუშავებელი ქვებით. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 0.6-1.8 მ უდრის. იატაკი უმეტეს შემთხვევაში თიხატკეპნილია (სახლი № 1, 4, 26, 27, 28, 29). №5 სახლის იატაკს მოსწორებული ბაზალტის დედაქანი წარმოადგენს. №№ 2, 26, 28 სახლებში დადასტურდა კერძი. ისინი წარმოადგენენ თიხისაგან გამოძერნილ სტაციონარულ კერძს, რომელთა დიამეტრი 0.3-0.4 მ-ია. ქვედა სიმაგრის აღმოსავლეთით, მთის ფერდობზე და წვერზე განლაგებულია ცალკეული საცხოვრებელი უბნები, სასიმაგრო სისტემები (II და III უბნები) და გალავნით შემოზღუდული საკულტო მოედანი (სურ. 115).




სურ. 112. თრიალეთი. საბეჭდავის „ციკლოპური“ ნამოსახლარი. მეორე უბანი. ჭრილი (რეკონსტრუქცია. შ. მელიქიძე, გ. ნარიმანიშვილი).

საცხოვრებელ უბნებში გამოვლენილი სახლები თავისი გეგმარებით განსხვავდებიან სიმაგრის შიგნით გათხრილი სახლებისაგან. თუ სიმაგრეში გათხრილი სახლები მცირე ზომისაა და ძირითადად ერთი ოთახისაგან შედგება, კვარტლებში უმეტესად ორსათავ-სიანი, დიდი ზომის სახლებია (სურ. 136).

სახლები ნახევრად მიწურებს წარმოადგენდნენ და როგორც ჩანს, ბანური გადახურვა ჰქონდათ (სურ. 112,113). საბეჭდავის „ციკლოპური“ სიმაგრე და ნამოსახლარი ძვ.წ. XIII — VI სს ფუნქციონირებდა.²²¹




სურ. 113. ორიალეთი. საბეჭდავის „ციკლოპური“ ნამოსახლარი. მეორე უბანი. №1 სახლი (რეკონსტრუქცია. ი. ესვანჯია და გ. ნარიმანიშვილი).




სურ. 114. ორიალეთი. საბეჭდავი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. გენგეგმა (შეადგინეს ვ. მასხარაშვილმა, შ. მელიქიძემ და გ. ნარიმანიშვილმა).

²²¹ ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ. და სხვ. 2004; Narimanischvili, Schanschachvili 2001; Нариманишвили Г., Шаншашвили Н. 2018, срп. 97-78.



სურ. 115. თრიალეთი. საბეჭდავის „ციკლოპური“ ნამოსახლარი
(რეკონსტრუქცია გ. ტატიშვილის და გ. ნარიმანიშვილის).


კნოლე. მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ბეჭთაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთით 1.5 კმ-ის დაცილებით, „საბეჭდავის“ ნამოსახლარის სამხრეთით 500 მ-ის დაცილებით, უსახელო მთის თხემზე, ზღვის დონიდან 1601 მ სიმაღლეზე. კნოლეს „ციკლოპური“ ნამოსახლარი შედგება სიმაგრისა და მის გარშემო არსებული ნამოსახლარისაგან (სურ. 116).



სურ. 116. თრიალეთი. კნოლე. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. გეგმა შედგინეს ა. თევზაძემ, ქ. მელიქიძემ და გ. ნარიმანიშვილმა.

სამხრეთ-აღმოსავლეთით სამაროვანია გამართული. სიმაგრეს გეგმაში წაგრძელებული ოვალის ფორმა აქვს (დაახლ. 50.0×45.0 მ). კედლები, რომელთა სიგანე 1.2 - 2.0 მ-ია, ნაგებია დიდი ზომის დაუმუშავებელი ბაზალტის ქვებით. სიმაგრე გაყოფილია ორად. დამცავი კედლის თითქმის მთელ პერიმეტრზე მიდგმულია სახლები. გაითხარა ერთ-ერთი მათგანი (სურ. 117). მისი კედლები შედგენილია დიდი ზომის (2.0×1.0 მ) ცერზე დაყენებული ბაზალტის ლოდებით (სურ. 118). ნამოსახლარი გაშენებულია სიმაგრის სამხრეთით. სახლები განლაგებულია ცალკეულ ჯგუფებად, რომლებიც როგორც ჩანს, დამოუკიდებელ კომპლექსებს წარმოაგენენ. სამაროვანზე გაითხარა 19 სამარხი. სამარხები წარმოადგენენ ქვაყუთებს, რომელთაც შემოუყვებოდა 5-7 მ-ის დიამეტრის ქვანრეები (კრომლეხები). არქეოლოგიური მასალის მიხედვით ძეგლი ძვ.წ. VII-VI სს. თარიღდება.²²²

222. ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ. და სხვ. 2004, ტაბ. CCIX; ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი გ. 2016, გვ. 224-262.



სურ. 117. თრიალეთი. კნოლე. № 1 სახლის კედლები.



სურ. 118. ორიალეთი. კნოლე. № 1 სახლის არქეოლოგიური გათხრები.


უწყლოს „ციკლოპური“ ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. სანთის (უწყლო) ჩრდილოეთით აღმართული მთის თხემზე (სურ. 119), ზღვის დონიდან 1739 მ სიმაღლეზე, ბუნებრივი ტბის პირას. მას რამდენიმე ათეული ჰარატობი უკავია (სურ. 120).



სურ. 119. ორიალეთი. სანთა/უწყლო. „ციკლოპური“ ნამოსახლარის საერთო ხედი სამხრეთიდან.

ნაგებობები და დამცავი კედლები აშენებულია ბაზალტის დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით (სურ. 122). ნამოსახლარი ერთ-ერთი დიდი დასახლებაა, რომლის სიგრძე 1300 მ-ია, სიგანე 70-130 მ. ნამოსახლარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა წაგრძელებული და რამდენიმე უპნისაგან შედგება (სურ. 121), მათ შორის გამოკვეთილი ადგილი უკავია ერთიან ზღუდეში მოქცეულ ცენტრალურ დასახლებას (430 X 140 მ). სიმაგრის აღმოსავლეთით და დასავლეთით გაუმაგრებელი უბნებია განთავსებული. სასიმაგრო სისტემა ცენტრალურ ნაწილში მძლავრი კედლითაა (სიგანე 3.5-4.0 მ) გადაკეტილი (სურ. 122), რომელშიც ვინრო (1.4 მ სიგანის) კარია გაჭრილი. მისი სიგრძე 100 მ-მდეა, სიგანე 5-6 მ. შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 2 მ-ს უდრის. კედელში კარიბჭეა დატოვებული, რომლის ერთ მხარეს კიბეებიანი კოშკი ყოფილა აგებული. სიმაგრის ტერიტორიაზე კარგად ჩანს სახლების კონტურები. 1991 წელს გაითხარა ერთი სახლი. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ზედა სიმაგრე ძვ.წ. XIII-XII სს თარიღდება.

ნამოსახლარის ცენტრალური ნაწილის სამხრეთით, პირველივე ტერასაზე დგას დიდი ზომის ბაზალტის ქვების მშრალი წყობით ნაგები ციხე-სიმაგრე (სურ. 123), რომლის გეგმარება და მშენებლობის ტექნიკა განსხვავდება თხემზე მდებარე სიმაგრისაგან (სურ. 124). ქვედა სიმაგრე გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, რომლის სამხრეთ კედელში სამი კოშკია გამართული. სიმაგრის სიგრძე 30 მ, სიგანე 14 მეტრია, კედლის სისქე 2.5-3.0 მ-ს უდრის. კოშკების დიამეტრი 9 მ-ია.²²³ ქვედა ციხეზე 1936 წელს მცირე სამუშაოები ჩატარდა. მოპოვებული კერამიკის დიდი ნაწილის კეცი ნაცრისფერია და კარგადა გამომწვარი. ზედაპირი გაპრიალებულია. ზოგიერთი მათგანი ჭადრაკული ორნამენტითაა შემკული. კერამიკის მეორე ჯგუფის კეცი უხეშია და ობსიდიანის მინარევებს შეიცავს. ამ ფენაში მოპოვებული მასალა ზედა სიმაგრეზე, აგრეთვე სხვა „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი კერამიკის მსგავსია და ძვ.წ. XIII-XII სს მიეკუთვნება; ქვედა, მეოთხე ფენა ყველაზე მძლავრია. ამ ფენაში გამოვლინდა დიდი ქვებით ნაგები მძლავრი კედელი,²²⁴ რომელიც ძვ.წ. XV-XIV სს მიეკუთვნება.




სურ. 120. თრიალეთი. სანთა. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. გეგმა (შემდგენელი ვ. ნილოსანი).

223. მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938, გვ. 55, 56, ფაბ. X, XI, XII.

224. კუფტინ ნ. 1936.



სურ. 121. ორიალეთი. სანთა /უწყლო. ნამოსახლართან მისასვლელი გზა. დეტალი.



სურ. 122. ორიალეთი. სანთა /უწყლო. სასიმაგრო კედელი და კარიბჭე.
გეგმა შედგენილია ვ. ნილოსანის მიერ.



სურ. 123. თრიალეთი. სანთა /უნიკლო. დეტალი.




სურ. 124. თრიალეთი. სანთა /უნიკლო. ქვედა ციხე-სიმაგრე. ხედი სამხრეთიდან.

ახალდაბას ნამოსახლარი სოფ. კარიაკის (ახალდაბა) ჩრდილოეთით აღმართული მთის თხემზე და სამხრეთ კალთაზე, მდ. ჩილ-ჩილის (გერიაკ-ჩაი) მარცხენა კლდოვანი ნაპირის თავზე, ზღვის დონიდან 1750 მ სიმაღლეზე მდებარეობს (სურ. 125). ნარმოადგენს ცენტრალური გეგმარების ქალაქური ტიპის გამაგრებულ დასახლებას, 3.5-4 მ-ის სიგანის დიდი ქვებით მშრალად ნაგები გალავნით (სურ. 126), რომელშიც ოთხი კარიბჭე და ერთი მცირე კარია დატანებული. დიდი კარიბჭეები დასახლების ქუჩებს აბოლოებს, მათი სიგანე 4-5 მ-ს შორის მერყეობს.



სურ. 125. ორიალეთი. კარიაკი /ახალდაბა. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. დეტალი.

ძეგლზე გამოიყოფა დასახლება და ციტადელი (სურ. 126). შენობები ერთმანეთზე მჭიდროდაა მიდგმული, კედლები საზიაროა და მშრალი წყობით ნაგები. დასახლება სიმაგრის შიგნით მძლავრი კედლით ორ დამოუკიდებელ ნაწილადაა გაყოფილი. ციტადელიც ორადაა გაყოფილი. იგი კარიბჭით დასახლებასთანაა დაკავშირებული, აღმოსავლეთის კედლები კი, მცირე კარია გაჭრილი. ნაქალაქარის აღმოსავლეთით განსხვავებული ტიპის, შედარებით მეჩერი, დასახლებაა, რომელიც სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ზღუდითაა დაცული. მშენებლობის ტექნიკა ამ შემთხვევაშიც მშრალი წყობითაა ნარმოდგენილი.




სურ. 126. თრიალეთი. კარიაკი /ახლდაბა. დასახლების გეგმა (შეადგინეს ა. თევზაძემ, შ. მელიქიძემ და გ. ნარიმანიშვილმა) და სასიმაგრო კედლის ნაშთი.

ბარეთის ნამოსახლარი სოფ. ბარეთისა და ლივადს შორის აღმოსავლეთიდან დასავ-ლეთისაკენ განლილი ქედის თხემზე, სამხრეთ კალთაზე და მიმდებარე ვაკეზე ყოფილა გაშენებული (სურ. 127). თხემის მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 1726.8 მ-ია, მინი-მალური — 1675 მ. ნამოსახლარის სიგრძე 1100 მ-ს სიგანე 500 მ-ს უდრის. ძეგლი შეიცავს სხვადასხვა პერიოდის და სხვადასხვა ხასიათის „მეგალითურ“ ნაგებობებს (სურ. 128).



სურ. 127. თრიალეთი. ბარეთი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. საერთო ხედი.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს თხემზე განლაგებული სამი, ერთმანეთი-საგან დამოუკიდებელი გალავნით შემოზღუდული უბანი. გალავნები ნაგებია ბაზალტის დიდი ლოდებით მშრალად. კედლების სისქე 3.0-2.2 მ-ს შორის მერყეობს.



სურ. 128. თრიალეთი. ბარეთი. ნამოსახლარი. გეგმა (შეადგინეს ა. თევზაძემ, შ. მელიქიძემ და გ. ნარიძანიშვილმა).

გალავნის შიგნით უმეტეს შემთხვევაში გარკვევით ჩანს ბაზალტის ქვის მშრალი წყობით ამოყვანილი კედლების ნაშთები. სასიმაგრო სისტემის გარეთ მდებარე ნამოსახლარის ნაწილი განლაგებულია ხუთ ტერასად დაყოფილ სამხრეთ კალთაზე. ტერასები გამაგრებულია ბაზალტის ქვის კედლებით რომელთა სიგანე — 0.5-1.8 მ-ს შორის მერყეობს. ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილში გამართულია დიდი ქვებით შედგენილი კრომლეხი, რომლის ცენტრში მენტირი დგას. მის გვერდით კი დიდი მონოლითია, რომლის ზედაპირზეც სითხის მოსაკავებელი ღრმულია ამოკვეთილი.

თეზი. ძეგლი მდებარეობს სოფ. ავრანლოს ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1640 მ სიმაღლეზე (სურ. 129). სასიმაგრო კომპლექსი აგებულია მდინარის ტერასის ფრიალო ნაპირთან, რომლის მკვეთრად დაქანებული კალთები დამატებითაა გამაგრებული მშრალი წყობის კედლების საფეხურებიანი სისტემით.




სურ. 129. თრიალეთი. თეზი/ავრანლო. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. საერთო ხედი.

ციხე შედგება ციტადელისა და მასთან დაქვემდებარებული ცალკეული გამაგრებული ადგილებისა და მცირე ტერასების სისტემისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ვიწრო გასასვლელებითა და კარიბჭეებითაა დაკავშირებული (სურ. 130). კომპლექსი გამართულია ოდნავ შემაღლებულ კონცხზე, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ქმნის მდ. ქციის მარცხენა შენაკადი (სურ. 133,134). ციტადელი გეგმაში იმეორებს კონცხის მოყვანილობას. მას ორი კარი აქვს (სურ. 131). კედლები ნაგებია ბაზალტის დიდი ზომის დაუმუშავებელი ლოდებით (სურ. 131), რომლის შიდა და გარე პირს შორის დარჩენილი სივრცე შეესებულია ქვებით. ციტადელის ჩრდილო-დასავლეთის კედელს კუთხებში და ცენტრში მკვეთრად გამოყოფილი ბურჯები აქვს (სურ. 132,134). მდინარის ნაპირთან ფრიალო კლდის ძირში გამართულია დამოუკიდებელი გალავანი (სურ. 133), რომლის შიგნითაც

შუა საუკუნეებში ეკლესია აუგიათ. მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე, კომპლექსის აღმო-სავლეთით და დასავლეთით მდინარის გაყოლებით, ფრიალო კლდეებში გამოკვეთილია გამოქვებულები. სასიმაგრო კომპლექსის ჩრდილოეთით განფენილ ვაკეზე, ხევის მარცხ-ენა მხარეს, დადასტურდა მტკვარ-არაქსის კულტურის და გვიანი ბრინჯაოს ხანის ვრცე-ლი ნამოსახლარები. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით უშუალოდ სოფ. ავრანლოს თავზე დადასტურდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მცირე გორანამოსახლარი. აქვეა ამავე ეპოქების სამაროვნები. ამდენად, შეიძლება ითქვას რომ სასიმაგრო კომპლექსი და მიმ-დებარე ტერიტორია მტკვარ-არაქსის ეპოქიდან ძვ.წ. ॥ ათასწლეულის დასასრულამდე ინტენსიურად ყოფილა ათვისებული.




სურ. 130. ორიალეთი. თები/ავრანლო. „ციკლოპური“ ნამოსახლარი და სიმაგრე (მხატვარი გ. ტატიშვილი).




სურ. 131. ორიალეთი. თები /ავრანლო. ზედა სიმაგრე. კარიბჭე
(ჩანახატი შ. მელიქიძის).



სურ. 132. თორიალეთი. თები /ავრანლო. ნამოსახლარი. გეგმა (შეადგინეს ა. თევზაძემ,
შ. მელიქიძემ და გ. ნარიმანიშვილმა).



სურ. 133. თრიალეთი. თები /ავრანლო. კომპლექსის ხედი სამხრეთიდან.



სურ. 134. თრიალეთი. თები / ავრანლო. კომპლექსი (გ. ტატიშვილის ჩანახატი).

ლოშო. „ციკლოპური“ სიმაგრე მდებარეობს თრიალეთში სოფ. ოზნის სამხრეთ-დასავლეთით, მაღალ პლატოზე, ზღვის დონიდან 1660 მ სიმაღლეზე (სურ. 135). ქეგლი წარმოადგენს კომპლექსს, რომელიც შედგება გამაგრებული ცენტრალური ნაწილისაგან, მის შიგნით და გარეთ არსებული დასახლებისაგან (სურ. 136).




სურ. 135. თრიალეთი. ოზნი / ლოშო. „ციკლოპური“ ნამოსახლარი და სიმაგრე. საერთო ხედი.


სიმაგრე გეგმაში ოთხეუთხა მოყვანილობისაა, რომელსაც დღეისათვის სამი შესასვლელი აქვს. ორი შესასვლელი ჩრდილოეთ კედელშია დატოვებული, ერთი კი — დასავლეთის კედელში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავდაპირველად კარიბჭე მხოლოდ დასავლეთის კედელში უნდა ყოფილიყო გაჭრილი. სიმაგრის კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ბაზალტის ლიდებით და ე.ნ. პერანგული წყობა ახასიათებს. შიდა ტერიტორია მთლიანად დასახლებას უკავია. ძირითადი დასახლება სიმაგრის აღმოსავლეთით ტერასულადაა განლაგებული. სიმაგრის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერასებზე მტკვარ-არაქსული ნამოსახლარის მძლავრი ფენები შეინიშნება. ტერასების ძირშიც მტკვარ-არაქსული კულტურის მძლავრი ნამოსახლარი დადასტურდა.²²⁵

სიმაგრის დასავლეთით, კარიბჭის პირდაპირ კიდევ ერთი სიმაგრეა გამართული. იგი, მშენებლობის ტექნიკით, აშკარად განსხვავდება ცენტრალური გამაგრებული ნაწილისაგან. მისი კედლები დაუმუშავებელი დიდი ზომის ბაზალტის ქვებითაა ნაგები. დიდი ქვები ერთმანეთზე იმდენად მჭიდროდაა მორგებული, რომ მათ შორის ცარიელი სივრცე არ რჩება. ასეთივე ტექნიკითაა ნაგები იმ დასახლების სახლები, რომელიც მეორე სიმაგრეს უშუალოდ სამხრეთიდან ეკვრის და, ასევე, ტერასულად ეშვება სოფლისაკენ. სიმაგრეთა კედლების მშენებლობის ტექნიკის ეს განსხვავება, ალბათ, მათი ქრონოლოგიური სხვაობით უნდა აიხსნას.

225. Կյֆտին Բ. 1948, սոր. 26-43.



სურ. 136. თრიალეთი. ოზნი/ლომო. გეგმა (შეადგინეს შ. მელიქიძემ და გ. ნარიმანიშვილმა).



სურ. 137. თრიალეთი. ზემო ბეჭენაშენი. „ციკლოპური“ სიმაგრე. გეგმა.
(შეადგინეს შ. მელიქიძემ, გ. ტატიშვილმა და გ. ნარიმანიშვილმა).

მესამე ტიპის „ციკლოპური“ ნამოსახლარები და ციხე-სიმაგრეები.

ზემო ბეშქენაშენის „ციკლოპური“ სიმაგრე მდებარეობს თრიალეთში, სოფ. სა-ფარ-ხარაბას დასავლეთით 3 კმ-ის დაცილებით, წმ. ილიას მთის წვერზე, ზღვის დონი-დან 1683 2 მ სიმაღლეზე (სურ. 137). წარმოადგენს ბაზალტის დიდი ლოდებით მშრალად ნაგებ (სურ. 138), წაგრძელებული გეგმის მქონე, სასიმაგრო სისტემას. მის გარშემო მცირე დასახლება შეინიშნება (სურ. 139).




სურ. 138. თრიალეთი. ზემო ბეშქენაშენი. „ციკლოპური“ სიმაგრე. თავდაცვითი კედელი. დეტალი.



სურ. 139. თრიალეთი. ზემო ბეშენაშენი. № 1 სახლი.

ცრიცი. ძეგლი მდებარეობს თრიალეთში, სოფ. აშკალას ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმ-ართული მთის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1770 მ სიმაღლეზე (სურ. 140). ძეგლი წარმოადგენს ბაზალტის დიდი ლოდების მშრალი წყობით ნაგებ სიმაგრეს. ძლიერაა და-ზიანებული (სურ. 141). სიმაგრეს წაგრძელებული ფორმა აქვს (სიგრძე — 80 მ სიგანე — 40 მ) და სამ ნაწილადაა გაყოფილი. კედლების სისქე 2-4 მ-ს შორის მერყეობს. სიმაგრის სამხ-რეთი კედელი მორდვეულია და გაშიშვლებულია კულტურული ფენა. ამ ფენასა და ძეგლის ზედაპირზე შეგროვებული მრავალრიცხოვანი მასალა მხოლოდ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება.



სურ. 140. თრიალეთი. აშკალა. პირველი „ციკლოპური“ სიმაგრე. გეგმა
(შეადგინეს ქ. მელიქიძემ და გ. ნარმანიშვილმა).

სოფ. აშკალას ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარისპირა ქედის თხემზე და ფერდობებზე გაშენებული ყოფილა მეორე „ციკლოპური“ სიმაგრე. სიმაგრის კედლები ბაზალტის დიდი ლოდებითაა ნაგები (სურ. 142).



სურ. 141. თრიალეთი. აშკალა. პირველი „ციკლოპური“ სიმაგრე. დეტალი.




სურ. 142. თრიალეთი. აშკალა. მეორე „ციკლოპური“ სიმაგრე.

მესამე ტიპის „ციკლოპური“ ნამოსახლარები გვხვდება საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. არაგვის ხეობაში. ისინი ძირითადად მთიულეთის არაგვის ხეობაშია მიკვლეული.



სურ. 143. მთიულეთი. ხადას ხეობა. დიდველი. „ციკლოპური“ კედელი.



სურ. 144. მთიულეთი. ხადას ხეობა. დიდველი. „ციკლოპური“ კედელი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მდ. ხადას ხეობა, სადაც „ციკლოპური“ ნა-მოსახლარების მთელი წყებაა შემორჩენილი. რამდენიმე ასეთი ნამოსახლარი დიდველის ტერიტორიაზეა მიკვლეული. დიდველი ადრეული ბრინჯაოს ხანიდან ჩანს დასახლებული. „ციკლოპური“ ტიპის დასახლებათა ნაშთები (სურ. 143-146) კი, სავარაუდოდ, გვიანბრინ-ჯაოს ხანას ეკუთვნის.




სურ. 145. მთიულეთი. ხადას ხეობა. დიდველი. „ზურგიანი“ კოშკი.



სურ. 146. მთიულეთი. ხადას ხეობა. დიდველი. „ზურგიანი“ კოშკი.

მთიულეთის არაგვის ხეობაში კიდევ რამდენიმე „ციკლოპური“ ნამოსახლარია მიკვლეული. დიდ ტერიტორიაზე გადაჭიმული კაიშაურების ტბის დასავლეთით არსებული „ციკლოპური“ ტიპის ნამოსახლარი (სურ. 147). მეგალითური ნანგრევები შემორჩენილია სოფ. ზაქათვართან, რომლის ცენტრში ზურგიანი კოშკი დგას (სურ. 148).



სურ. 147. მთიულეთი. კაიშაურების პლატო. „ციკლოპური“ ნამოსახლარი.

ზურგიანი კოშკები, რომელთა აგება IX-X სს-ში იყარაუდება, „ციკლოპური“ სატილის ნაგებობებს მიეკუთვნება. ისინი ნაგებია დიდი ლოდების სწორხაზოვანი რიგებით (სურ. 148-150) და 3-5 სართულიანი ყოფილა. ი. წიკლაურის მიხედვით, ზურგიან კოშკებში ორი ტიპი გამოიყოფა: უზარმაზარი ლოდებით მშრალად ნაშენებ ნაგებობათა ნაშთები და მტკიცე დუღაბზე საშუალო სიდიდის ქვებით აგებული 4-5 სართულიანი კოშკები. უზარმაზარი ლოდებით ნაშენებ ნასოფლარებს მოსახლეობა ყველგან დევებს უკავშირებს (მთიულეთი, გუდაური, ფშავი, ხევსურეთი, ჩეჩენეთ-ინგუშეთი). ამასთან, მშრალი წყობით ნაგებ კოშკებს ე.წ. ციკლოპურ ნაგებობებს მიაკუთვნებს.²²⁶

ჩვენი აზრით, ეს კოშკები უფრო ადრეა აგებული და შუა საუკუნეებში გამოყენებული. მათ თავდაპირველად საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. ამაზე, შესაძლებელია, მიუთითოთ ის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კოშკის ზედა სართულები მორდვეულია და მასზე ეკლესია გამართული (სურ. 150). მაგ. სოფ. სუნგრის მიმდებარედ არსებულ ნამოსახლარზე მდგარი ზურგიანი კოშკის მხოლოდ პირველი, ყრუ სართულია შემორჩენილი (სიმაღ-

226. წიკლაური ი. 2001, გვ. 28.

ლე – 5.5 მ), რომელზეც, მოგვიანებით (XVII–XVIII სს.), პატარა ქრისტიანული სამლოცველო დაუდგამთ. ეს ფაქტები შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ კოშკები წარმართული კულტის ობიექტებს წარმოადგენდნენ და ისინი დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდნენ ძველ ფუქციას. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ, მშრალი წყობის მქონე ზურგიანი კოშკების აგების თარიღად საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის (IV საუკუნე) წინა ხანა უნდა მივიჩნიოთ.



სურ. 148. მთიულეთი. კაიშაურების პლატო. ზაქათვარი. „ზურგიანი“ კოშკი.



სურ. 149. ხევი. თრუსოს ხეობა. მნა. ნასოფლარი. კოშკი (ფოტო გ. გოგოჭურისა).

ფიქრობენ, რომ კოპალასა და იახსარის მიერ დევ-კერპთა ფშავ-ხევსურეთიდან (ფხოვი) განდევნის შესახებ არსებული გადმოცემები მთაში ქრისტიანობის დაწერგვის ისტორიულ მომენტზე მიუთითებს.²²⁷ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მშრალი წყობით ნაგები ზურგიანი კოშკები და ნამოსახლარები დევებს მიეწერება, ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება, შეიძლება, ისტორიულ სინამდვილეს ასახავდეს.




სურ. 150. მთიულეთი. სუნგი. „ზურგიანი“ კოშკი.

227. წიკლაური ო. 2001, გვ. 27.

მეოთხე ტიპის „ციკლოპური“ ნამოსახლარები და ციხე-სიმაგრეები.

ხევლრმა. ძეგლი მდებარეობს ორიალეთში, სოფ. ნარდევანის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას, პატარა მდინარის მარჯვენა ნაპირზე (სურ. 152), ზღვის დონიდან 1610 მ სიმაღლეზე. ძეგლი წარმოადგენს „ციკლოპური“ წყობით ნაგებ კვადრატული ფორმის ციხე-სიმაგრეს (სურ. 151), რომლის დამცავი კედლების სისქე 3.5-4.0 მ-ია (სურ. 153). სიმაგრის კუთხეები და კედლები შეუძლია შესქელებულია და კოშკის (სურ. 154) ხასიათს ატარებს.



სურ. 151. ორიალეთი. ხევლრმა/ნარდევანი. „ციკლოპური“ სიმაგრე. გეგმა (შეადგინეს შ. მელიქიძემ და გ. ნარიმანიშვილმა).



სურ. 152. თრიალეთი. ხევლორმა /ნარდევანი. „ციკლოპური“ სიმაგრე.



სურ. 153. თრიალეთი. ხევლორმა /ნარდევანი. „ციკლოპური“ სიმაგრე. კედელი.




სურ. 154. თრიალეთი. ხევლრმა /ნარდევანი. „ციკლოპური“ სიმაგრე. ბურჯები.

კოხაჯი. ძეგლი მდებარეობს თრიალეთში, სოფ. გუმბათის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. გუმბათის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1650 მ. სიმაღლეზე. ძეგლი წარმოადგენს კომპლექსს, რომელიც შედგება ნამოსახლარისა და ციტადელისაგან (სურ. 156).



სურ. 155. თრიალეთი. კოხაჯი / გუმბათი. „ციცლოპური“ სიმაგრე.

ნამოსახლარი განვითარებულია მთის ფერდობზე, ციტადელი კი მთის თხემზე რომელიც აღმოსავლეთის მხარეს ციცაბოდ ეშვება მდინარის ნაპირამდე. სასიმაგრო კომპლექსი ორი ნაწილისაგან შედგება - მთავარი ციხისა (ციტადელი) და მასზე სამხრეთიდან მიშენებული გალავნისაგან (სურ. 155). ქვედა გალავანს ორი შესასვლელი უნდა ჰქონოდა - სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან. ციტადელში შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობს. კომპლექსის ყველა კედელი ნაგებია დიდი ზომის ლოდების ორპირა წყობით, რომელთა შორის არ ქვებითაა ამოვსებული. ციტადელის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში არსებულ ბურჯში ნიშისებური შეღრმავებაა გამართული. ნამოსახლარი უშუალოდ ებმის სასიმაგრო სისტემას სამხრეთის მხრიდან და თავისი მცირე ზღუდით ერთიანი სისტემის ნაწილის წარმოადგენს (სურ. 157). ციტადელს ჩრდილოეთის მხრიდან მოგვიანებით მიღებული აქვს საქონლის შესარეკი ბაკი.



სურ. 156. თრიალეთი. კოხაჯი /გუმბათი. „ციკლოპური“ სიმაგრე. გეგმა (შეადგინეს შ. მელიქიძემ და გ. ნარიმანიშვილმა).



სურ. 157. თრიალეთი. კოხაჯი /გუმბათი. „ციკლოპური“ სიმაგრე (გ. ტატიშვილის ჩანახატი).

ჩხიკვთა. მეგალიტური კომპლექსი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, მდ. ალგე-თის მარჯვენა ნაპირზე აღმართული მაღალი მთის წვერზე. მთის თხემი მოსწორებულია და შემოსაზღვრულია დიდი, დაუმუშავებელი ლოდებით (სურ. 158,159).



სურ. 158. ალგეთის ხეობა. ჩხიკვთა. „ციკლოპური“ სიმაგრე.


შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. გალავანის შიგნით დგას დარბაზული ეკლესია, რომლის გარშემო შეინიშნება ნამოსახლარის ნაშთები, რომელიც ეკლესიის თანადროული უნდა იყოს. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „ჩხიკვთის სამხრით.... . მაღალს გორასა ზედა ნაშენი, არამედ საკვირველი, რამეთუ დიდროენითა ლოდითა შენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელ არს მისი ქმნა, რომელი ავლია ზღუდედ . . . ძველად იწოდა გმირთ-ნაკვე-თი და იყო ციხე, ხოლო ან ეკლესია“.²²⁸ ამ გმირთ-ნაკვეთს გულისხმობს XVIII ს-ის ქართული დოკუმენტი ე.წ. ბარათაანთ გუჯარიც, სადაც ის იხსენიება „გმირთ-კვეთილად“.²²⁹

ციკლოპური წყობით ნაგები ცალკეული ნაგებობები თუ კომპლექსები საქართველოს არაერთ რეგიონში გვხვდება. მათი სიმრავლე მესხეთ-ჯავახეთში შეინიშნება. ორივე რეგიონის ამ ტიპის ძეგლების კვლევა ახალი დაწყებულია²³⁰ და შესაბამისად მონაცემები მათ შესახებ ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. ამდენად, ამ რეგიონის ძეგლების მხოლოდ მცირე ნაწილზე გავამახვილებთ ყურადღებას.

228. ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 326.

229. მელიქსეთ-ბეგილ. 1938, გვ. 9.

230. ნარიმანიშვილი დ. 2019.



სურ. 159. ალგეთის ხეობა. ჩხიოკვთა. სასიმაგრო კედელი. დეტალი.

ვარძია. ძეგლი ისტორიულ მესხეთში, მდ. მტკვრის ხეობაში მდებარეობს. დიდი „ციკლოპური“ სიმაგრე ვარძიის დასავლეთით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე (სურ. 160) მაღალი მთის წვერზეა გაშენებული, საიდანაც მტკვრის ხეობა დიდ მანძილზე მოჩანს.



სურ. 160. მესხეთი. ვარძია. „ციკლოპური“ სიმაგრე.

სიმაგრის კედლები საშუალო ზომის ბაზალტის დაუმუშავებელი ფილებით არის ნაგები (სურ. 161). მშენებლობის ამ ტექნიკით ის შაორის „ციკლოპურ“ კომპლექსთან ამჟღავნებს დიდ მსგავსებას, რაც, შესაძლებელია, მათ თანადროულობაზე მიუთითებდეს.



სურ. 161. მესხეთი. ვარძია. „ციკლოპური“ სიმაგრე.

ბერთაყანა. მდებარეობს სოფ. თმოგვის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაწოლილი მაღალ ქედებს შორის მოქცეულ ტაფობში. გაშენებული ყოფილა მცირე ტბის ნაპირებზე. ზეგანზე სხვადასხვა ეპოქის არაერთი არქეოლოგიური ძეგლი შეინიშნება.



სურ. 162. მესხეთი. ბერთაყანა. „ციკლოპური“ სიმაგრე.

მათ შორის მხოლოდ შუაბრინჯაოს ხანის რამდენიმე ყორლანია გათხრილი. ამ ტერიტორიაზე კარგად იყითხება შუა საუკუნეების ორი ნასოფლარი და მინისქვეშა სამალავი-დარწები. დიდი რაოდენობითაა ყორლანები. ყურადღებას იქცევს „ციკლოპური“ წყობით ნაგები კომპლექსი (სურ. 162, 163), რომელიც რამდენიმე მცირე ბორცვზეა განთავსებული. აშკარაა, რომ ნაგებობათა კედლები სხვადასხვა ეპოქაშია გამოყენებული, რაზეც არაერთი შეკეთება-გადაკეთების კვალი მიუთითებს. ნამოსახლარზე კარგად ჩანს ძველი გზის ნაშთიც, რომლის ორივე მხარეს „ციკლოპური“ კედლებია ამოყვანილი. ასეთი გზები უმეტესწილად ფართო ჭიშკართან მიდის (სურ. 164). ნამოსახლარის ტერიტორიაზე შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები გვხვდება. აქვეა შუა საუკუნეების კერამიკის ნატეხებიც.



სურ. 163. მესხეთი. ბერთაყანა. „ციკლოპური“ სიმაგრე.



სურ 164. მესხეთი. ბერთაყანა. „ციკლოპური“ სიმაგრე. ქუჩა.

„ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და სიმაგრეების დათარიღებისათვის. პირველი ტიპის ნამოსახლარების არქეოლოგიური შესწავლა კუფტინის მიერ იყო დაწყებული ბეჭთაშემი და ჩვენს მიერ გაგრძელებული.²³¹ უძველესი კულტურული ფენები ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება. გათხრებით დადასტურდა, რომ ამ ეპოქაში დასახლებას ჩრდილოეთიდან ხელოვნური, ღრმა თხრილი იცავდა. არის მონაცემები, რომელთა მიხედვით შეიძლება იმის თქმა, რომ თხრილი „თრიალეთის კულტურის“ (ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი) ეპოქაშიც ფუნქციონირებდა.²³² ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულისათვის თხრილი შეესტული ჩანს. ეს ფართობი ამ პერიოდში დასახლებას უკავია. იმის დასამტკიცებლად, რომ ძვ.წ. III ათასწლეულში დასახლებას ხელოვნური თხრილის გარდა სხვა თავდაცვითი ნაგებობაც ჰქონდა, დღეისათვის მონაცემები არა გვაქვს. 1990-92 წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ „ციკლოპური“ სასიმაგრო სისტემა ძვ.წ. XVI ს-დან მოკიდებული, მრავალი საუკუნის მანძილზე, ძვ.წ. VII ს-ის მიწურულამდე ფუნქციონირებდა.²³³ მეორე ტიპის ნამოსახლარების არქეოლოგიური მონაცემები საშუალებას გვაძლევს მათი ფუნქციონირების პერიოდი ძვ.წ. XIII-VI სს. შემოვფარგლოთ.²³⁴ მესამე და მეოთხე ტიპის ძეგლები არქეოლოგიურად არ არის შესწავლილი და მათი დათარიღება ჭირს. ამ ტიპის ძეგლებზე ზედაპირულად აკრეფილი მასალები ძირითადად ძვ.წ. II ათასწლ. მეორე ნახევარსა და ძვ.წ. I ათასწლ. პირველ ნახევარს განეკუთვნება.

„ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და სიმაგრეების ტოპოგრაფიისათვის. „ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და ციხე-სიმაგრეების კარტოგრაფირება გვიჩვენებს, რომ ისინი ძირითადად სამხრეთ საქართველოში,²³⁵ სამხრეთ-დასავლეთ აზერბაიჯანში,²³⁶ სომხეთში,²³⁷ ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში,²³⁸ ვანისა და ურმიის ტბისპირეთში²³⁹ და ჩრდილოეთ ერაყშია²⁴⁰ გავრცელებული.

ვანისა და ურმიის ტბისპირეთში მიკვლეული „ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და ციხე-სიმაგრეების უმრავლესობა არქეოლოგიურად სუსტადაა შესწავლილი, თუმცა, ყველა მკვლევარი (ვ. კლაისი, ს. კროლი, ო. ბელი), ვინც არქეოლოგიური მასალა მოიპოვა,

231. კუფტინ ბ. 1941; Shanshavili N., Narimanishvili G. 1996; Narimanischvili G., Schanschachvili N. 2001; Нариманишвили Г., Шаншавили Н. 2000.

232. კუფტინ ბ. 1941, стр. 108.

233. ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ. და სხვ. 2004; ნარიმანიშვილი გ., შანდაშვილი ბ. 1997, გვ. 68.

234. ნარიმანიშვილი გ., შანდაშვილი ბ. 1996; ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ. და სხვ. 1996; შანდაშვილი ბ. ნარიმანიშვილი გ. 1998; Нариманишвили Г., Шаншавили Н. 2000; Narimanischvili G., Schanschachvili N. 2001; Narimanishvili G., Shanshashvili N. 2001a.

235. მელიქშეთ-ბეგი ლ. 1938, გვ. 43-73; კუფტინ ბ. 1941, стр. 108; (ჰიციშვილი ი. 1998; ჯანბერიძე ნ., ციკლიშვილი ი. 1976; მშვენიერაძე დ. 1959; ციკლიშვილი ი. 1955; Mepisaschvili R., Zinzadze V. 1986, p. 31; Нариманишвили Г., Шаншавили Н. 2000, стр. 64); ნარიმანიშვილი გ., მგელაძე ბ. 2000.

236. Мещанинов И. 1932; Джагафарзаде И. 1956; Алиев В. 1983; Ахундова Д. 1986.

237. Тороманян Т. 1921; Гурко-Кряжин В. 1926; Аджян А., Гюзалиян Л., Пиотровский Б. 1932; Пиотровский Б., Гюзалиян Л. 1933; Есаян С. 1976; Микаелян Г. 1968; Микаелян Г., Есаян С. 1968;

Пиотровский Б. 1949; Чилингарян С. 1968; Badalian R., Kohl P., Stronach D., Tonikian A. 1994.

238. თავუაშვილი გ. 1991, გვ. 337, 338; მელიქშეთ-ბეგი ლ. 1938, გვ. 67; Ивановский А. 1911, стр. 84-54; Koroğlu K. 2005, pp. 106-99; Topaloğlu Y. 2006.

239. Kleiss W. 1969, pp. 20-8; Kleiss W. 1972, pp. 144-135; Kroll S. 1984, pp. 101-99, 16; Ingram M.I., Summers G. 1979, pp. 71-70; Belli O. 1993, pp. 265-255; Koroğlu K. 2012, pp. 166-149.

240. Brown T.W. 1958, pp. 124-122.

მიუთითებს, რომ მათი ნაწილი წინაურარტულ ეპოქაშია აგებული და ყველა მათგანი ურარტულ ხანაშიც ფუნქციონირებდა. შეინიშნება აშკარად არაურარტული არქიტექტურა. ზოგიერთი სიმაგრე, რომელთა აგების თარიღად ძვ.წ. XIII ს მიიჩნევა, ურარტუს მეფის არგიშტი I-ის დროს ინგრევა,²⁴¹ ზოგიერთი კი სარდური II-ის დროსაა დანგრეული და გვიანანტიკურ ხანაში აღდგენილი.²⁴²



სურ. 165. ჯავახეთი. დიდი ხანჩალი. „ციკლოპური“ სიმაგრე. ქუჩა და კარიბჭე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ ანატოლიაში ჩატარებული კვლევის შედეგები. ვანის ტბის სამხრეთით მიკვლეული „ციკლოპური“ ხასიათის ძეგლები, ძირითადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარილდა. 2500-2650 მ სიმაღლეზე მდებარე ეს ძეგლები აგებულია უზარმაზარი ქვებით მშრალად. ამ ძეგლების შესწავლის შედეგად სამი ტიპი გამოიყო: 1. სიმაგრე, რომელთა ფუნქცია საზღვრების დაცვა იყო. ისინი განლაგებული არიან ან ციხე-ქალაქებში ან ცალკე. 2. ციხე-ქალაქები, რომლებიც გამოირჩევიან მონუმენტური კედლების წყობით. 3. დირჰე – ციკლოპური ნაგებობები. ციხე-ქალაქების დახასიათებისას ო. ბელის აზრით ციკლოპური ციხე-ქალაქები საგრძნობლად განსხვავდებიან ურარტული ქალაქებისაგან, რომლებიც უფრო გვიან განვითარდნენ, ვიდრე ციკლოპური ქალაქები. დირჰეებს კი, რომლებიც, როგორც წესი, მეტალურგის ცენტრების, წყაროების, ტბების, უფსკრულის პირას, გადასასვლელებში და ძველ გზებთან იდგნენ, მათ დაცვის ფუნქცია ჰქონდათ.²⁴³

241. Kroll S. 1984, p. 43.

242. Kroll S. 1984, p. 100.


243. Belli O. 1993, pp. 262-258.

§ 5. გოლიათთა მიწისქვეშა ქალაქები.

საცხოვრებელ და თავდაცვით კომპლექსებს მიეკუთვნება მიწისქვეშა ნაგებობები. ამ ტიპის კომპლექსებს დარნებს უწოდებენ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, დარანი არის „კლდეში ანუ მიწის ქვეშ შესასვლელი, სახლი მიწას ქვეშ ნაგები, გინა მიწა და კლდე შეთხრილი უჩინრად“.²⁴⁴

ამ ტიპის კომპლექსები გავრცელებულია მთელ საქართველოში.²⁴⁵ გვხდება ორი ტიპის მიწისქვეშა კომპლექსები: 1. დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე გამართული დარნები; 2. დასახლებული პუნქტებიდან საკმაოდ მოშორებით მდებარე დარნები.

დასახლებული პუნქტებში მოწყობილი დარნები უშუალოდ მიწისზედა საცხოვრებელი სახლების ქვეშა მოქცეული. ისინი ძირითადად გამოკვეთილია მიწაში, კედლები ნაწილობრივ, ან მთლიანად ამოყვანილია ქვით; თუმცა, გვხვდება დიდი ზომის ქვებით ნაგები დარნებიც.




სურ. 166. თრიალეთი. გარყულუპი. გეგმა (შეადგინეს შ. მელიქიძემ და გ. ნარიმანიშვილმა).

ასეთი დარნების კედლები ნაგებია დიდი ქვებით და გადახურულია ქვის ფილებით, რომელთა წონა რამდენიმე ტონას უდრის. მათში თიხის მილებით მოწყობილია სავენტილაციო სისტემა. არქეოლოგიური შესწავლის შედეგად დარნებში დაფიქსირებულია სანოვაგის შესანახი თიხის ჭურჭელი და ქვევრები.²⁴⁶ მაგ. ნასოფლარ გარყულუპის დასავლეთ კიდეზე დარანია გამართული (სურ. 167). იგი ნარმოადგენს მიწაში ჩაჭრილ ნაგებობას, რომლის კედლები ამოშენებულია საშუალო და დიდი ზომის ქვებით (სურ. 166), გადახურულია ბაზალტის დიდი ფილებით. დასახლებულ პუნქტებში მოწყობილი დარნების მხოლოდ ნაწილი იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. როგორც ჩანს, სოფლის ცალკეულ უბანს საკუთარი, სხვა უბნებისაგან, იზოლირებული, მიწისქვეშა საცავი/სამალავები ჰქონდა.

244. ორბელიანი ს.ს., 1991, გვ. 78.

245. ტატიშვილი თ. 1970, გვ. 18-22.

246. ამირანაშვილი ჯ., ღამბაშიძე გ. 2001, გვ. 55, 56.



სურ. 167. თრიალეთი. გარეულუპი. დარანი. საერთო ხედი.

დასახლებული პუნქტების გარეთ არსებული დარნები კლდეში ან მიწაშია ნაკვეთი და წარმოადგენენ დიდ კომპლექსებს, რომლებიც რამდენიმე ათეული სათავსოსაგან შედგება. კომპლექსები აერთიანებს მცირე სათავსოებს, დარბაზებს და კორიდორებს. კომპლექსები ერთმანეთს გვირაბებით უკავშირდება. ერთი მონაკვეთიდან მეორეში გასასავლელი დერეფნის ბოლოს ერთიანი ქვის დიდი ფილისაგან დამზადებული კარია გამართული, რომელიც დიდ მონოლითში გამოკვეთილ ჩარჩოშია ჩასმული. ამ ტიპის ნაგებობები მდებარეობს მდინარისპირა გორაკებისა და მთის ფერდობების კალთებზე, აგებულია დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებისაგან. თუმცა, მაგარი კლდოვანი ქანის შემთხვევაში კედლები მოუპირკეთებელია. დარნების ჭერი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1.0 — 2.0 სილიმეტრი მდებარეობს (სურ. 167,171). ასეთი კომპლექსების ძირითადი შესასვლელი ყოველთვის შენიღბულია და დიდი ლოდისაგან დამზადებული კარით არის დახშული (სურ. 172,173).



**სურ. 168. ჯავახეთი. ლეპისის დარანი. ქვით ამოშენებული დარბაზი. დეტალი
(პ. გაფრინდაშვილის ფოტო).**

ასეთი დარნები ძირითადად მიკვლეულია სამხრეთ საქართველოში, მესხეთ-ჯავახეთის მხარეში, მდ. მტკვრის ხეობაში, სადაც 1954-55 წლებში სოფ. თმოგვსა და ახჩიას შორის რამდენიმე ათეული მიწისქვეშა ნაგებობა დაფიქსირდა. დარნები განლაგებული იყო, როგორც ჯგუფებად, ასევე ცალკე მდგომი ნაგებობის სახით; გეგმაში ოვალური ფორმ-

ის შენობები აგებულია ბაზალტის დიდი ზომის დაუმუშავებელი ლოდებისგან მშრალი წყობით და მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მაგალითად, საინტერესოა სოფ. აგარიდან სამხრეთ-დასავლეთით 1.5-2 კმ-ის დაშორებით მდ. დუმეილას მარჯვენა ნაპირზე მდებარე დარნები; კომპლექსი 60-მდე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაგებობისაგან შედგება და მინის ქვეშ მდებარე სოფლის შთაბეჭდილებას ტოვებს. შედგება ორი — აღმოსავლეთისა და დასავლთის უბნისაგან. დარნებში შესვლა მხოლოდ აღმოსავლეთიდან დატანილი ჩასასვლელი ხვრელიდანაა შესაძლებლი. შენობები აგებულია დიდი ზომის ქვებით, კედლების პირველი სამი-ოთხი რიგი ვერტიკალურად დადგმული ქვებისაგან შედგება, რომლის ზემოთ, ქვის წყობა ცრუ თაღში გადადის და სულ ბოლოს, დიდი ზომის ბრტყელი ქვის ფილებითაა გადახურვის ფილებს ზემოდან აყრია წვრილი ნატეხი ქვების გროვა. სათავსოების სიგრძე 3.5 — 5.5 მეტრს შორის მერყობს, ხოლო სიგანე 2.5-3.5 მ-ს შორის. სათავსოთა სიმაღლის გარკვევა შეუძლებელია, რადგან დარანის იატაკი დაფარულია მინის სქელი ფენით და დამსხვრეული გადახურვის ქვებით.²⁴⁷ დარნების კომპლექსები ლეპისში (სურ. 168-171), გელსუნდასა (სურ. 172,173) და სამცხე-ჯავახეთის მრავალ სოფელთან თუ ნასოფლართან გვხვდება.



სურ. 169. ჯავახეთი. ლეპისი. დარანი. ქვის კარი (პ. გაფრინდაშვილის ფოტო).

²⁴⁷ ტატიშვილი თ. 1970, გვ. 18-22.

ასეთივე ტიპის დარნებს უნდა მიეკუთვნებოდეს თრიალეთში, სოფ. ბეჭაშენთან არ-სებული „ლოდოვანის“ მეგალითური კომპლექსი. „ლოდოვანი“ წარმოადგენს დიდ მეგალითურ სადგომს, რომელიც მდ. ბეჭენაშენის მარცხენა ნაპირზე, ბაზალტის კლდოვან მასივშია გამართული. კომპლექსი დარნების ჯგუფებისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან გასასვლელებითა და დერფნებითაა დაკავშირებული.²⁴⁸

გოხნარის „ციკლოპური“ წამოსახლარი მდებარეობს თრიალეთში, სოფ. გოხნარის ჩრდილოეთით. ის წარმოადგენს კომპლექსს, რომელიც გამართულია ბაზალტის კლდოვან მასივში (სურ. 177). შედგება მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობებისაგან. მიწის ზევით განლაგებულია მეგალითური სიმაგრე, რომლის ცენტრში დიდი ზომის სვეტისებრი მონოლითებია აღმართული. სიმაგრე გეგმით არანესიერი ფორმის ოთხკუთხედს წარმოადგენს, რომელიც ნაგებია დიდი ზომის დაუმუშავებელი ანდეზიტის კლდის ლოდებისგან. შიდა ტერიტორია საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს უკავია.²⁴⁹ მიწისქვეშა ნაგებობები კლდოვან ნაპრალებშია გამართული (სურ. 176), რომლის ღია ნაწილები დიდი ქვებითაა ამოშენებული და გადახურულია ბაზალტის დიდი ფილებით (სურ. 175). ამგვარად აგებული დარნები ზევიდან ქვებისა და მიწის მასითაა დაფარული ისე, რომ დარნები რთულად შესამჩნევია.




სურ. 170. ჯავახეთი. ლეპისი. კლდეში გამოკვეთილი დარნების კომპლექსი (პ. გაფრინდაშვილის ფოტო).

248. მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938, გვ. 55.

249. მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938, გვ. 49-51.

მიწისქვეშა „ქალაქი“ განლაგებულია სოფ. გოხნარის სამხრეთით, ბედენის ქედზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ლოდოვანს“ უწოდებს. ბედენის „ლოდოვანი“ წარმოადგენს მეგალითურ ნამოსახლარს. ის ბედენის მთის ჩრდილოეთ კალთის რთულ რელიეფზე ტერასულადაა განლაგებული. კომპლექსის პირველი, ქვედა დონე, მდებარეობს ნამოსახლარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და წარმოადგენს მოედანს. დანარჩენ სამ დონეზე განლაგებულია ცილინდრული ფორმის სენაკები, რომლებიც ერთმანეთს გასასვლელებით უკავშირდება (სურ. 174). სადგომების გარშემო, სამივე დონეზე, განლაგებულია ათამდე სხვადასხვა ზომის დარანი. ნაგებობების კედლები 3 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, აგებულია დაუმუშავებელი, დიდი ზომის ანდეზიტ-ბაზალტის ნაცრისფერი ლოდებით. ფიქრობენ, რომ სადგომები გადახურული იყო ხის ძელებით, ზემოდან კი მცირე ლოდები და მიწა ეყარა.²⁵⁰



სურ. 171. ლეპისი. დარნების კომპლექსი. ჭრილი (პ. გაფრინდაშვილის ფოტო).

დარნების განსხვავებულ ტიპს მიეკუთვნება ზემო ბეშქენაშენის (წმ. ილიას მთაზე) ციკლოპური სახლი (სურ. 178), რომელიც სრულიად განცალკევებით დგას. ის მდებარეობს სოფ. ბერთაშვილიდან ჩრდილო-დასავლეთით 5 კმ-ზე, აი-ილიას მთიდან 2 კმ-ის დაცილებით ჩრდილო-დასავლეთით, ქედის დასავლეთ ნაწილში, იქ სადაც სოფ. ახალდაბიდან სოფ. სანთისაკენ მიმავალი გრუნტის გზა გადის. სახლი გამართულია ქედის კლდოვან მასივში,

250. მელიქსეთ-ბეგოლ. 1938, გვ. 51-52.

ხელოვნურ მაღალ ტერასაზე. კედლებად გამოყენებულია ბუნებრივ კლდეში დარჩენილი ფართო ნაპრალი. ნაპრალში დარჩენილი ღიობები ამოქოლილია ბაზალტის წვრილი ქვით. სახლი გადახურულია ბაზალტის დიდი ზომის დაუმუშავებელი ფილებით. შესასვლელი და-სავლეთიდან აქვს, რომლის წინაც ფართო ლია ეზოა მოწყობილი. ამ ტიპის დარანი/სახლი ჯერჯერობით ერთადერთია და რთულია მისი რომელიმე ტიპისათვის მიკუთვნება.

დასახლებულ პუნქტებში არსებული დარნების მცირე ნაწილი არქეოლოგიურად არის შესწავლილი. იქ აღმოჩენილი არტეფაქტები შუა საუკუნეებს მიეკუთვნება.²⁵¹ თუმცა, ეს არ გამორიცხავს ვარაუდს, რომ ისინი, შესაძლებელია, უფრო ადრეულ ეპოქას მიეკუთვნება. მით უმეტეს, რომ ყველა იმ პუნქტში, სადაც დარნები დაფიქსირდა, გვხვდება როგორც ბრინჯაოს, ისე ანტიკური ხანის ნამოსახლარები.

რაც შეეხება, დასახლებთა გარეთ არსებულ დიდ, მიწისქვეშა კომპლექსებს, არსებობს მოსაზრება, რომ ეს ნაგებობები მათი მდებარეობისა და აგებულების მიხედვით უფრო ადრეულ ეპოქას მიეკუთვნება და შუასაუკუნეებში მათი მეორადი გამოყენება მოხდა.²⁵²


ამრიგად, დარნებს ორი ფუნქცია ჰქონდა — სამეურნეო და თავდაცვითი. დარნებში, წლის ყველა დროს, თანაბარი ტემპერატურა იყო. ამდენად, ის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი ადგილი იყო; მტრის შემოსევის დროს კი, დარნებში მშვიდობიანი მოსახლეობა იხიზნებოდა.



სურ. 172. მესხეთი. გელსუნდა. დარნის კარი (გ. მაღრაძის ფოტო).

251. ჩიქოვანი თ. 1975; ბურდილაძე ი. 2010, გვ. 74-76; ამირანაშვილი ჯ., დამბაშიძე გ. 2001, გვ. 55, 56.

252. ტატიშვილი თ. 1970, გვ. 18-22.



სურ. 173. მესხეთი. გელსუნდა. დარნის კარი (გ. მაღრაძის ფოტო).



სურ. 174. ორიალეთი. გოხნარი. „ლოდოვანის“ დარნების გეგმა (ლ. მელიქეთ -ბეგის მიხედვით).



სურ. 175. ორიალეთი. გოხნარი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. დარანი.



სურ. 176. თრიალეთი. გოხნარი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. დარანი.



სურ. 177. თრიალეთი. გოხნარი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. სასიმაგრო კედლები.



სურ. 178. თრიალეთი. ზემო ბეჭედნაშენი. „ციკლოპური“ სახლი/დარანი.

თავი IV. მეგალიტები და ბრინჯაოს ხანის საზოგადოება.

მეგალიტური სტრუქტურები საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ძვ.წ. II ათასწლეულიდან ჩნდება. თუმცა, ისეთი მეგალიტური ძეგლები, როგორიცაა მენჰირი, შესაძლოა გაცილებით უფრო ადრეული ხანიდან იყო საკულტო ობიექტი. ამის დასტურად მიგვაჩინა სამხრეთ კავკასიაში (სომხეთში, არარატის ველზე), მოხრაბლურის ძვ.წ. IV-III ათასწლეულების ნამოსახლარზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, გამოვლენილი სამლოცველო, რომლის ცენტრში 4.0 მ. სიმაღლის მენჰირია აღმართული²⁵³.



სურ. 179. ჯავახეთი. მოდეგა. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ბორცვი.

სამხრეთ კავკასიის მთელ რიგ რეგიონებში ვერტიკალურად მდგარი ქვები კულტის ობიექტად რჩებოდა დიდი ხნის განმავლობაში. მენჰირებს განსაკუთრებულ ზებუნებრივ ძალას და სასწაულთმოქმედ ბუნებას მიაწერდნენ როგორც დიოფიზიტი და მონოფიზიტი ქრისტიანები, ასევე მუსლიმები. თუმცა, სამხრეთ კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობისათვის მათი თავდაპრველი ბუნების შესახებ არაფერია ცნობილი.

საქართველოში მენჰირები ყორდანებზე, მათ სიახლოვეს ან დასაკრძალავი კომპლექსების მახლობლად დგას. ამის გამო, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ისინი წინაპართა

253. Areshian G. 2005. pp. 71-88.

კულტთან უნდა იყვნენ დაკავშირებული.²⁵⁴ უკანასკნელ წლებში სომხეთში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გეღამის მთების და არაგანის მენცირებიც ყორდანების ყრილებზე იყო აღმართული.²⁵⁵ დღემდე გათხრილი ყველა ყორდანი, რომლებთანაც მენცირებია დაკავშირებული, შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ შუა ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ყორდანებს ადრე აღმართული მენცირის გარშემო აგებდნენ (მაგ. თიქმა-დაში). უშუალოდ ყორდანის ყრილზე მენცირის აღმართვის შემთხვევაში კი, გამორჩეული რიტუალის შესრულებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ვფიქრობთ, რომ ძველი მენცირების საშუალებით მოსახლეობა ცდილობდა დაემყარებინა კავშირი თავის წინაპრებსა და ძველ ქრონიურ ღვთაებებთან. ამავე დროს ხდებოდა გარკვეულ ტერიტორიაზე მათი კანონიერი უფლებების ხაზგასმა.



სურ. 180. გომარეთი. მუსის ციხე. „ციკლოპური“ სიმაგრე და დასახლება.

როგორც აღვნიშნეთ, მენცირები სამლოცველოებში უკვე ადრე ბრინჯაოს ხანაში, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე (მოხრაბლური, მეც სეპასარი) დადასტურებული, რაც სავარაუდოს ხდის მათ გაცილებით ადრეულ ეპოქაში კულტმსახურების ადგილად გამოყენებას, ვიდრე შუა ბრინჯაოს ხანის ყორდანებია.

ჩვენი აზრით, სამხრეთ კავკასიის მენცირებზე მოცემული გამოსახულებები დიდ მსგავსებას იჩენენ სამხრეთ ანატოლიაში აღმოჩენილ წინაკერამიკული ნეოლითური ხანის (ძვ.წ. X-VIII ათასწლეული) სამლოცველოების (გობეკლი თევზე, ნევალი ჩორი) სტელებთან. სამხრეთ კავკასიის მენცირებსა და ანატოლიის ნეოლითური სამლოცველოების სტელებზე ხარის ტყავი და თავ-ფეხი, ცხვარი, გველი და წეროა გამოსახული.²⁵⁶ არაერთხელ იყო აღნიშნუ-

254. Нариманишвили Г., Шанашавили Н. 2007.

255. Gilbert A., Bobokhyan A. 2012, p. 61.

256. Schmidt K. 2011, pp. 64-68, 78, 82, pic. 8, 9, 12, 14, 29, 34, 36.

ლი მსგავსება გობეკლი თეფეს ქვის რელიეფებისა და სამხრეთ ანატოლიაში აღმოჩენილი ძვ.წ. VIII-VI ათასწლეულებით დათარიღებული ჩათალ-ჰუიუქის სამლოცველოების კედლის მხატვრობას შორისაც.²⁵⁷ ჩათალ ჰუიუქის კედლებზე ხარის და ცხვრის თავებია გამოსახული.²⁵⁸ „მონადირეთა“ სამლოცველოს კედლის ფრესკაზე გამოსახულია წეროები,²⁵⁹ რომლებიც ახლო მსგავსებას ამჟღავნებენ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მიკვლეულ აუდაპა-იურტის, ტოკმაგან-გელის, განძის, მურჯახეთის და იმირზეკის მენჭირებთან.²⁶⁰



სურ. 181. ჯავახეთი. ბარალეთის გორა. საერთო ხედი.

მეცნიერთა აზრით, გობეკლი თეფე დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა რეგიონში მცხოვრები მონადირე-შემგროვებლების მთის სამლოცველოს.²⁶¹ სტელებზე გამოსახული ცხოველები, როგორც ჩანს, ადამიანთა გარკვეული ჯავფების ტოტემური ემბლემები იყო. სავარაუდოდ, ადამიანები საკულტო ცერემონიების გამართვის დროს თავისი ტოტემების გამოსახულებებთან იკრიბებოდნენ.²⁶² გობეკლი თეფეს მშენებლობა მონადირე-შემგროვებლებმა დაიწყეს, ხოლო სამლოცველოს დასრულების დროისთვის მეგალითური კომპლექსის მშენებლები უკვე მინათმოქმედები იყვნენ. მეცნიერთა ვარაუდით, გობეკლი თეფეს კულტი საკვანძო როლს ასრულებდა მინათმოქმედების განვითარებაში, რადგან გენეტიკური გამოკვლევებით, კულტივირებული ხორბალი წარმოიშვა გარეული ჯიშისგან, რომელიც იზრდება ყარაჩადაღის მთაზე, გობეკლი თეფედან 30 კმ-ის დაშორებით.²⁶³

257. Sagona A., Zimansky 2010, p. 92; Erdogan 2009, p. 133.

258. Mellaart J. 1963, pp. 71,72, pic. 14,15; Mellaart J. 1964, p. 54, pic. 7,13.


259. Mellaart 1966, tab. LXII.

260. Пиотровский Б. 1939, симр. 9.

261. Schmidt K. 2000, p. 48.


262. Peters, Schmid 2004, p. 209-212.

263. Heun et al., 1997, pp. 1312—1314.



სურ. 182. ორიალეთი. საბეჭდავი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი (ი. ესვანჯიას ჩანახატი).

სამხრეთ კავკასიის მენპირების და ანატოლიის ნეოლითური სამლოცველოების სტელებს შორის მსგავსება ცხოველთა გამოსახულებებშიც შეინიშნება. სამხრეთკავკასიურ ქვებზე გამოსახული ცხვარი, გველი, წერო, ხარის ტყავი და თავ-ფეხი გვხდება ანატოლიის PPNB სამლოცველოების ქვებზეც. გობეკლის სტელებზე ფრინველები, გველები, ბუკრანიები, ასევე ცხოველის ტყავებია გამოსახული. ეს ცხოველები სკნელებს შორის დამაკავშირებელი ცხოველებია. ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სტელები, არა მხოლოდ წინაპართა კულტთან იყო დაკავშირებული, არამედ სკნელების დამაკავშირებელ სიმბოლოსაც წარმოადგენდა.



სურ. 183. თრიალეთი. საბეჭდავი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. ქვედა სიმაგრე (რეკონსტრუქცია. შ. მელიქიძე და გ. ნარიმანიშვილი).

სამხრეთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის დასახლებები მდინარეთა ნაპირებზე, მაღალ ბორცვებზე (სურ. 180, 182) ყოფილა გაშენებული. პალინოლოგიური კვლევა უჩვენებს, რომ დასახლებების ახლომდებარე მინდვრების ნახევარი სახნავ-სათესად, ნაწილი კი საძოვრად გამოიყენებოდა (სურ. 181); ნამოსახლარების სიახლოვეს იზრდებოდა კაკალი და თხილი; მაღალმთიან რეგიონში კი გავრცელებული იყო ტყეები ან დიდი კორომები, სადაც მუხა, მურყანი და თელა იზრდებოდა. ნიშანდობლივია, რომ დღეს არსებული დასახლებული პუნქტები მდინარეთა ნაპირებზე, დაბალ ფერდობებზე ისეა განთავსებული, რომ მათ, ერთის მხრივ საძოვარი და სათიბი, მეორე მხრივ, კი სახნავ-სათესი ფართობები აკრავს.

მეგალითური ნამოსახლარების და სიმაგრეების მშენებლობის დასაწყისს სამხრეთ კავკასიაში მეცნიერები ძვ. წ. IV ათასწლეულიდან ვარაუდობენ. თუმცა, ამ თარიღის და მათი რაობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. საქართველოში ადრე ბრინჯაოს ეპოქის ფენები თრიალეთში, ბეშქენაშენის და თეზის „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე გამოვლინდა, თუმცა, ამ ეპოქის დასახლებებს „ციკლოპური“ წყობით ნაგები თავდაცვითი კედლები არ გააჩნია.

საქართველოში, არქეოლოგიურად დადასტურებულ, უძველეს მეგალითურ ძეგლებს მიეკუთვნება მიცვალებულთა დასაკრძალავი ნაგებობები — ყორდანები და დოლმენები. მეგალითური დასაკრძალავები ცნობილია ძვ.წ. III ათასწლეულიდან. ადრე ბრინჯაოს ეპოქით დათარიღებული დოლმენები გავრცელებულია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლზე, აფხაზეთში. მაგ. ქვედა ეშერაში გათხრილი ერთ-ერთი დოლმენი ძვ.წ. 2400-2200 წწ. თარიღდება, ხოლო ოთხარას დოლმენი ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულით.

მსგავსად ევროპის მეგალითური დასაკრძალავებისა, სამხრეთ კავკასიის ზოგიერთი ყორდანის დასაკრძალავი კამერის კედლები შემკულია სიმბოლური გამოსახულებებით. რელიეფური სიმბოლოებით შემკულია აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროზე დადასტურებული დოლმენების კედლებიც. როგორც ჩანს, ადამიანებს შორის ურთიერთობა, მიუხედავად მანძილისა და ენობრივი თუ კულტურული განსხვავებებისა, გაცილებით უფრო მჭიდრო იყო.

გვიანი ბრინჯაოს ხანის დასაწყისიდანვე (ძვ.წ. XVI ს.) საქართველოს ტერიტორიაზე მეგალითური ძეგლების სიმრავლე დასტურდება. ადრე არსებულ მეგალითურ ძეგლებს (მენცირები, დოლმენები, ყორდანები) ემატება ე.წ. ციკლოპური ნამოსახლარები და ციხე სიმაგრეები. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი მასალები მიუთითებს, რომ ამ ეპოქაში უფრო ინტენსიური ურთიერთობები ყალიბდება გარე სამყაროსთან. გვიანი ბრინჯაოს ხანა ეგვიპტეს, ლევანტს, მესოპოტამიას, ანატოლიას, დასავლეთ ევროპის კულტურებს, კვიპროსსა და ეგეოსის აუზს შორის ინტენსიური საერთაშორისო ინტერაქტივობით ხასიათდება, რაც სხვადასხვა ფორმით გამოიხატა. ამ ეპოქის ინტერნაციონალური ატმოსფერო მუდავნდება ხელოვნების ნიმუშების ისეთ თვისებებში, რომელიც გასაგები და მისაღებია სხვადასხვა რეგიონებში. სამხრეთ კავკასია გზების და კომუნიკაციების ფართო ქსელში აქტიურად იყო ჩაბმული, რაზეც მიუთითებს აქ არქეოლოგიურად დადასტურებული სხვადასხვა სახის იმპორტი.²⁶⁴ არტეფაქტების გაცვლას თან სდევდა იდეოლოგიის შეცვლაც. ადსანიშნავია, რომ „ციკლოპური“ დასახლებების და ციხე-სიმაგრეების მშენებლობა თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში დაიწყო მიკენურ საბერძნეთში და საქართველოს ტერიტორიაზე, რაც შესაძლოა ამ რეგიონების სოციალური განვითარების თანაბარ დონეზე მიუთითებდეს.

ჩვენ მიერ, სამხრეთ საქართველოში, თრიალეთის „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დასახლებათა თავდაცვითი კედლით შემოზღუდვა ძვ.წ. XVI ს-ში იწყება. ძვ.წ. XIII-VII საუკუნეში კი „ციკლოპური“ სასიმაგრო კედლებით დაცული ნამოსახლარები გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ.²⁶⁵ თრიალეთში ჩატარებული არქეოლოგიური და ინტერდისციპლინარული (პალეობოტანიკა, პალეოზოოლოგია, პალინოლოგია, ანთროპოლოგია და სხვ.) კვლევების საფუძველზე შევეცადეთ აღგვედგინა ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების და მეორე ნახევრის „ციკლოპურ“ დასახლებებში მცხოვრები ადამიანების ყოფა-ცხოვრება.

თრიალეთში, ჩვენ მიერ, არქეოლოგიურად რამდენიმე „ციკლოპური“ ნამოსახლარი და ციხე სიმაგრე იქნა შესწავლილი. გაითხარა თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო

264. ნარიმანიშვილი გ. 2010, გვ. 301-302.

265. ნარიმანიშვილი გ. 2010, გვ. 282.

ნაგებობები და სამაროვნები. გვიანი ბრინჯაოს ხანის საზოგადოების ყოფისა და ცხოვრების შესახებ ყველაზე მეტ მასალას გვაწვდის საბეჭდავისა და ბეშქენაშენის „ციკლოპური“ ნამოსახლარები, სადაც გაითხარა როგორც თავდაცვითი სისტემები, ისე საცხოვრებელი უბნები და სამაროვნები. ნიშანდობლივია, რომ ორივე ნამოსახლარი ხანგრძლივი დროის მანძილზე ფუნქციონირებდა. მაგ. ბეშქენაშენის ნამოსახლარის უძველესი ფენა ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება და აქ ცხოვრება გვიან შეა საუკუნეებამდე გრძელდება. დიდხანს ცხოვრების კვალი სამაროვნებზეც აისახა. მაგ. ბეშქენაშენის ნამოსახლარს სხვადასხვა ეპოქის ხუთი სამაროვანი აკრავს გარშემო, საბეჭდავის ნამოსახლართან ოთხი სამაროვანია დაფიქსირებული.

საბეჭდავის ნამოსახლარი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, თრიალეთში, სოფ. ბეშთაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთა ელი-ბაბას (ზღვის დონიდან 1674 მ) თხემზე და ფერდობებზე (სურ. 182).



სურ. 184. თრიალეთი. საბეჭდავი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. სამზარეულო (რეკონსტრუქცია. გ. ტატიშვილი და გ. ნარიმანიშვილი).

ნამოსახლარი წარმოადგენს კომპლექსს, რომელიც სასიმაგრო სისტემების ქვედა და ზედა სიმაგრეების, მათ შეგნით და გარეთ არსებული უბნებისაგან შედგება (სურ. 182). ქვედა სიმაგრე (A უბანი) კომპლექსის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს (სურ. 183). გალავნის მთელ პერიმეტრზე მიღვმულია 30-მდე საცხოვრებელი სახლი, რომელთა შორის დატოვებულია

გასასვლელები და ქუჩები. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 0.8-1.5 მ უდრის. სიმაგრის ცენტრალური ნაწილი ნაგებობებისაგან თავისუფალი ჩანს. ქვედა სიმაგრე ორი ნაწილისაგან შედგება და ორი შესასვლელი აქვს. სიმაგრის მთლიანი სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 162 მ-ს, ჩრდილოთ-სამხრეთის ხაზზე კი 90 მ-ს უდრის. ქვედა სიმაგრეში გათხრილია 9 სახლი, რომელთა იატაკი უმეტეს შემთხვევაში თიხატკეპნილია. სახლებში დადასტურდა თიხისაგან გამოძერნილი სტაციონარული კერპი, რომელთა დიამეტრი 0.3-0.4 მ-ია. ქვედა სიმაგრის მეორე, აღმოსავლეთი შესასვლელიდან, რომლის სიგანე 6 მ-ია, აღმოსავლეთით მთის წვერისაკენ მიემართება ბაზალტის დიდი ქვებისაგან გაწყობილი „ხეივანი“, რომელიც 100 მ-ის შემდეგ ორად იყოფა და ელიბაბას მთას გარშემო უვლის (სურ. 110). მისი საერთო სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 1200 მ-ია. მთის ფერდობზე და წვერზე, „ხეივნის“ შიგნით განლაგებულია ცალკეული საცხოვრებელი უბნები, სასიმაგრო სისტემები და გალავნით შემოზღუდული საკულტო მოედანი.




სურ. 185. ორიალეთი. საბეჭდავი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. ღუმელი (რეკონსტრუქცია. გ. ტატიშვილი და გ. ნარიმანიშვილი).

პირველ უბანში 40-მდე სახლი დასტურდება, რომელთაგან ოთხია გათხრილი. ოთხივე სახლი დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებითაა ნაგები, მშრალად. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 1.0-1.5 მ-ს უდრის. კედლების მაქსიმალური სიგანე 3.0 მ უდრის. სახლები ერთდროულადაა აგებული, ერთმანეთზეა მიდგმული და მათ საერთო კედლები აქვთ.

სახლების კარის ღიობები სამხრეთ-დასვლეთითაა მიმართული. ნაგებობების შიდა საერთო ფართობი 150-160 კვადრატული მეტრია. თითოეული სახლი ორი – მცირე და დიდი სათავსისაგან შედგება. სახლები ნახევრად მიწურებს წარმოადგენდნენ და როგორც ჩანს, ბანური გადახურვა ჰქონდათ, რომელიც ხის ბოძებს ეყრდნობოდა (სურ. 112, 113).

სახლების მცირე სათავსოების იატაკი თიხატკეპნილია, დიდი სათავსოს იატაკი ბაზალტის ბრტყელი ფილებითაა მოგებული. მცირე სათავსოში გამართულია კერა ან ღუმელი (სურ. 184). ჩანს, რომ სახლის ეს ნაწილი სამზარეულოს და საძინებელს წარმოადგენდა (სურ. 111). დიდი სათავსო კი სამეურნეო იყო, სადაც საქონელი უნდა ყოფილიყო დაბინვებული. დიდი სათავსო სანოვაგის შესანახიც იყო. ყველა დიდი სათავსოს გრძივ კედელთან ქვით ნაგები და თიხით შელესილი მერხი იყო გამართული, რომელზეც დიდი სამეურნეო თიხის ჭურჭლები იდგა (სურ. 186).



სურ. 186. თრიალეთი. საბეჭდავი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი. სახლის ინტერიერი (რეკონსტრუქცია. გ. ტატიშვილი და გ. ნარიძანიშვილი).

თიხის ჭურჭელი იატაკზეც ენყო. მაგ. № 1 სახლის დიდი სათავსოს იატაკზე, კედლის გასწვრივ თიხის რვა დიდი ზომის ჭურჭელი იდგა. № 2 სახლის დიდი სათავსოს იატაკზე და კედლების გასწრივ მოწყობილ თიხის თაროებზე 21 თიხის ჭურჭელი დადასტურდა. № 3 სახლის დასავლეთი კედლის გასწვრივ გამართულ მერხზე სამი ჭურჭელი

იდგა. №3 სახლის მცირე სათავსოს ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ, ჩამწკრივებული იყო დიდი ზომის ხუთი დერგი. აქვე აღმოჩნდა ორი სადღვებელი. №5 სახლის №1 სათავსოში აღმოჩნდა სადღვებლები, ჯამები, ტოლჩები, დერგები, ქოთნები, კოჭები. ჭურჭლის უმრავლესობა დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, ხელითაა ნაძერწი და არათანაბრადა გამომწვარი. დიდი ნაწილი ქოთნებსა და დერგებს ნარმოადგენს. აღსანიშნავია ოთხი სადღვებელი, რომლებიც დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. სახლებში აღმოჩნდა ბაზალტის და რიყის ქვისაგან დამზადებული სანაყები, სასრესები, ხელსაფქვავები. სახლებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ობსიდიანის ნუკლეუსები და ანატკეცები, რომელთა ნაწილზეც მუშაობის კვალია შემორჩენილი. სახლების კუთხეში ან გრძივი კედლის ცენტრში მოწყობილი იყო ღუმელი (სურ. 185).

ყველა შემთხვევაში ის მიდგმული იყო კედელზე. ღუმელები თითქმის ერთი ზომისაა ($0.8 \times 0.7 \times 0.6$ მ) და ბაზალტის ფლეთილი ქვით და ტალახითაა ნაგები (სურ. 184). სახლი კულტმსახურების ადგილიც ყოფილა. რიტუალი ძირითადად კერასთან და ღუმელთან ჩანს დაკავშირებული. სახლების ამ ნაწილში იატაკი თიხატკეპნილია და ნაცრით არის მოლესილი. სახლებში სანაცრე ორმოებიც დაფიქსირდა. საბეჭდავის ნამოსახლარის ამ ნაწილში აღმოჩნდილი მასალა ძვ.წ. XIII-XII სს. თარიღდება. საბეჭდავის ოთხი სამაროვნიდან ერთია გათხრილი და იქ ძვ.წ. VII-VI სს მასალებია აღმოჩნდილი.

ბეშენაშენის „ციკლოპური“ ნამოსახლარი მდ. ჩილ-ჩილისა (ბეშთაშენის ხევი) და მდ. ბაქვივ-სუს (ბარეთი) ხერთვისში მდებარეობს (სურ. 107). ამ მდინარეთა ღრმა კანიონებს შორის მოქცეული ფართობი (დაახლ. 20 ჰა) ჩრდილოეთით ხელოვნური თხრილითაა გამოყოფილი, რომლის სამხრეთ კიდესთან „ციკლოპური“ კედელია აშენებული. ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო 1936 წელს და დღემდე გრძელდება. ჩვენ მიერ გამოვლენილი ნაგებობებიდან ორი სახლი (№1, 3) მთლიანად გაითხარა, №2 სახლის კი მხოლოდ ნაწილი იქნა შესწავლილი. სახლების კედლები ნაგებია ბაზალტის ნატეხი ქვით, რომელთა მაქსიმალური, შემორჩენილი სიმაღლე 0.8 მ აღწევს. №1 სახლის სამხრეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში შესავლელი კარის ღიობია დატოვებული. დასავლეთი კედლის გასწვრივ შემორჩენილია ქვის ფილებით მოგებული საქონლის ბაგა. №2 სახლი მიდგმულია №1 სახლზე, მათ საერთო კედელი გაჩნიათ. №3 სახლი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. სახლის ძირითადი ნაწილი ეროზიის შედეგადაა მონგრეული. შემორჩენილია რიყის ქვის ცალპირი წყობით ნაგები ჩრდილო-დასავლეთ კუთხე. კედლის პირიდან 0.2 მ სიღრმეზე თიხატკეპნილი იატაკის ნაშთი დაფიქსირდა, რომლის ფართობი 5.5X6.5 მ-ს უდრის (A დონე). იატაკს და კედლებს ეტყობა ძლიერი ცეცხლის მოქმედების კვალი. თიხატკეპნილ იატაკს, ალაგალაგ, ნაცრით მოლესვის კვალი ეტყობა. A დონე მთლიანად შევსებული იყო ნაცრითა და ნახშირით, რომელშიც შერეული იყო ცხოველის (მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის) ძვლები და კერამიკის ფრაგმენტები. B დონის იატაკიდან 0.2 მ სიღრმეზე კლდოვანი დედაქანია, რომლის უსწორმასწორო ზედაპირი ნაცროვანი მასითაა მოსწორებული და გადალესილი (C დონის იატაკი). ქვის კედელი ამ დონემდე ჩადის და საფუძვლად კლდოვანი დედაქანი აქვს. C დონის იატაკი კარგად ყოფილა მოსწორებული და დატკეპნილი. იატაკზე დიდი რაოდენობით ნაცარი ყრია, რომელშიც კერამიკის ფრაგმენტები, მსხვილფეხა და

წვრილფეხა საქონლის, აგრეთვე ცხენის ძვლები და თევზის ფხების ნაშთები ურევია. როგორც ჩანს სახლი რამდენჯერმე იყო გადაკეთებულ-განახლებული. №3 სახლში აღმოჩენილი მცირერიცხოვანი კერამიკული მასალა ძვ.წ. XVI-XIV სს თარიღდება.



სურ. 187. თრიალეთი. კრომლეხი, საფარ-ხარაბას სამაროვანი.

საყურადღებოა, რომ ბეჭედის ნამოსახლარის ჩრდილოეთით, სოფ. საფარ-ხარაბასთან გათხრილ ვრცელ სამაროვანზე მოპოვებული თიხის ჭურჭელი იდენტურია № 3 სახლში აღმოჩენილი კერამიკისა. ამ ფაქტისა და ამ ორი ძეგლის ერმანეთთან ახლოს მდებარეობის გამო მიგვაჩნია, რომ ბეჭედის „ციკლოპური ნაქალაქარის“ (სურ. 108) მოსახლეობა საფარ-ხარაბას სამაროვანზე იკრძალებოდა.

სამლოცველოები, საკულტო ადგილები და რიტუალი.

რიტუალი (ლათინური *ritualis*) არის რთული სიმბოლური ქცევის ფორმა, ძლიერ სტილიზებული, მოწესრიგებული, საგულდაგულოდ დაგეგმილი მოქმედებათა სისტემა. არქაული საზოგადოებების ცხოვრებაში რიტუალს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან სწორედ რიტუალი განსაზღვრავდა ადამიანთა ცხოვრების არსა და მიზანს, აძლევდა მიმართულებას საზოგადოების არსებობის გადამწყვეტ მომენტში. არქაული საზოგადოების ცხოვრება რეგულირდებოდა რიტუალებით და წეს-ჩვეულებებით, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ტრადიციულ საზოგადოებაში სამყაროს სივრცობრივ მოდელად საცხოვრებელი აღიქმება. შესაბამისად მისი ორგანიზაცია ასახავს სამყაროს სტრუქტურას მთლიანობაში. ცნობილია სამყაროს სტრუქტურის ორი ძირითადი გეომეტრიული ტიპი: ოთხეუთხა და ნრიული. არქაულ საზოგადოებაში ნებისმიერი არქიტექტურული ნაგებობა, საცხოვრებელი შენობის ჩათვლით, რელიგიური რემენა-წარმოდგენების კუთხით არის აღქმული. მ. ელიადეს მიხედვით, ტრადიციულ საზოგადოებებში არქიტექტურულ ნაგებობებს გარკვეულ საკრალურ დატვირთვას ანიჭებდნენ. უსასრულო და ერთგვაროვან სივრცეში, სადაც არ არსებობს არა-

ნაირი ორიენტირი, ძალზე მნიშვნელოვანი იყო „ათვლის წერტილის“, „ცენტრის“ დადგენა. ადამიანისთვის „ცენტრის“ დადგენა სამყაროს შექმნის ტოლფასია. სამყაროში ცხოვრები-სათვის საჭიროა მისი „შექმნა“. არქაული ადამიანი ტერიტორიის დაუფლებას რიტუალების საშუალებით ცდილობს. საკურთხევლის აგებით გარკვეული ტერიტორია ნაკურთხი და, შესაბამისად რელიგიური ადამიანისათვის სივრცეც არაერთგვაროვანი ხდება. კურთხევის შემდეგ ჩნდება საკურალური, ნაკურთხი, „მყარი“ სივრცე და არსებობას განაგრძობს ამორ-ფული სივრცე, რომელსაც თითქოს არ გააჩნია სტრუქტურა და შინაარსი. ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ათვისებული სივრცის - საცხოვრებელის, ნაკურთხი ტერიტორიის დაპირისპირება უცნობ, მის გარშემო არსებულ, გაუთვითცნობიერებულ სივრცესთან. პირველი „ჩვენი სამყაროა“, კოსმოსი, ყველაფერი დანარჩენი კი — „სხვა სამყარო“, უცხო და ქაოტური სივრცე, დემონებით და „სხვებით“ დასახლებული. ამიტომ რელიგიური ადამიანი ცდილობდა „სამყაროს ცენტრში“ განლაგებას.²⁶⁶

არქეოლოგიური მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის მოსახლეობა საცხოვრებელი სივრცის (საარსებო გარემოს) ორგანიზებას სამყაროს მოდელზე მათი წარმოდგენის მიხედვით ეწყოდა. ამ ეპოქების ნამოსახლარები, სამაროვნები, სამეურნეო ნაგებობები და წარმოების ნაშთები მიუთითებენ, რომ ამ ეპოქების არქეოლოგიური კულტურების მატარებელი საზოგადოება სივრცეს აღიქვამდა კოსმოსის შემადგენელ ნაწილად.

სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი საზოგადოება კულტთან დაკავშირებულ რიტუალებს საცხოვრებელ ნაგებობებში, დასახლებების ტერიტორიაზე და დასახლებების გარეთ არსებულ სამლოცველოებში ატარებდა.

საოჯახო საკულტო რიტუალები სრულდებოდა საცხოვრებელ შენობებში, კერასთან. კერაში, ან კერასთან ზოგჯერ დადასტურებულია პატარა ქანდაკება ან ზოო, ან ანთროპომორფული სადგარი. საოჯახო კერპების მნიშვნელოვან ნაწილს თიხის ანთროპომორფული სადგრები წარმოადგენს.²⁶⁷ ოჯახის მფარველ ღმერთებთან, თუ გაღმერთებულ წინაპრებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სახლების თიხის მაკეტები, რომლებიც აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე. სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი სახლის მაკეტები, ისევე როგორც ახლო აღმოსავლური ეგზემპლარები, საგარაუდოდ გამოიყენებოდა რიტუალებში, რომლებიც საოჯახო კულტს ემსახურებოდა.

დასახლებათა საკურალური სივრცის და ცალკეული ოჯახების საცხოვრებელ სახლებში არსებული სამლოცველოების გარდა ჩნდება საზოგადოებრივი სათემო მნიშვნელობის კულტმსახურების ადგილები.²⁶⁸ მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე სამლოცველოები მდებარეობდა როგორც ნამოსახლარების ტერიტორიაზე (გუდაბერტყა, ართიკი), ისე მის ფარგლებს გარეთ (ბაბადერვიში II, ამირანის გორა).²⁶⁹

266. ტლადე M. 1994, cтр. 28-27, 23-22.

267. კუშარება K., ტბილისი T.1970, cтр. 164.

268. Areshian G. 2005, pp. 80-79.

269. კუშარება K., ტბილისი T.1970, cтр. 165.

სამლოცველო დასახლების ფარგლებში. ცალკეული ოჯახების საცხოვრებელ სახლებში არსებული სამლოცველოების გარდა, ადრებრინჯაოს ხანაში ჩნდება საზოგადოებრივი სათემო მნიშვნელობის კულტმსახურების ცენტრები, რომლებიც დასახლების ფარგლებშია განთავსებული.

ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ცენტრია მოხრაბლური, რომელიც მდებარეობს არარატის ველზე, ეჩმიაძინის მახლობლად. ნამოსახლარის ცენტრში, ქვით ნაგებ „ციკლოპურ“ პლატფორმაზე, თუ კოშკზე, აღმართული იყო 4 მ სიმაღლის „ობელისკი“. როგორც ჩანს, ეს საკულტო ნაგებობა არა მხოლოდ ერთი ნამოსახლარის მოსახლეობის, არამედ მეზობელი თემებისათვის წარმოადგენდა სარიტუალო ცენტრს.²⁷⁰

სავარაუდოდ, სამლოცველოს წარმოადგენდა ქვაცხელები C1 ფენის №1 შენობა, რომელიც რელიგიური ცერემონიების დროს დაიწვა.²⁷¹ სამლოცველოს ნაშთები გაითხარა გუდაბერტყას ნამოსახლარზე, რომელიც მდებარეობს ქ. გორიდან 7.0 კმ-ის დაცილებით. სამლოცველო წარმოადგენს სარ-ლასტით ნაგებ კომპლექსს, რომლის კედლები პოლიქრომული მხატვრობით იყო შემკული.²⁷² თრიალეთში, ოზნის ნამოსახლარზე გამოვლინდა საცხოვრებელ შენობებთან დაკავშირებული სამსხვერპლო ადგილები/მოედნები, სადაც ბ. კუფტინის ვარაუდით, საოჯახო-საგვარეულო რიტუალები სრულდებოდა.²⁷³

სამლოცველო ნამოსახლარის გარეთ. ცალკე მდგომი, მტკვარ-არაქსის კულტურის სამლოცველოები სამხრეთ კავკასიაში არაერთ ადგილზე დაფიქსირდა (ამირანის გორა, თალინი, მეც სეპასარი, ბაბა-დერვიში). ამირანის გორის ადრე ბრინჯაოს ხანის სამლოცველო მდებარეობს მთის წვერზე, რომელიც ნამოსახლარის არსებობის მთელ მანძილზე ფუნქციონირებდა.²⁷⁴

მეც სეპასარის სამლოცველო (ძვ.წ. XXVIII-XXVI სს) სომხეთის ჩრდილო-დასავლეთით, მთებით გარშემორტყმულ აშოცკას პლატოზე, მთის თავზე დაფიქსირდა. ძეგლზე დადასტურდა ორი კერა. ერთ-ერთ კერასთან შვიდი მგლის ჩონჩხი გამოვლინდა. სამლოცველოს სიახლოეს მენპირებია აღმართული.²⁷⁵

ადრებრინჯაოს ხანის, დასახლებიდან გარეთ მდებარე საკულტო მოედანი სომხეთში, ქ. თალინთან, მტკვარ-არაქსის კულტურის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. საკულტო მოედანი გამოვლინდა 1.5 მ. სიმაღლის და 23 მ. დიამეტრის ხელოვნურ ბორცვის ქვეშ. ის წარმოადგენდა ორი ერთმანეთის პარალელურად განლაგებული მართკუთხა ფორმის პლატფორმას, რომლის კედლები ქვით იყო ნაგები.²⁷⁶ მტკვარ-არაქსულ ნამოსახლარებზე, ან მათ სიახლოეს ზოგჯერ დასტურდება ორმოები, რომლებშიც საკულტო ხასიათის მასალა იყო შენახული. შესაძლოა, ამ ორმოებში სატაძრო

270. Areshian G. 2005, pp. 80-79.

271. ჯავახიშვილი ალ., ღლონგტი ლ. 1962, გვ. 52.

272. ნალიმაშვილი ს. 1963, გვ. 148-152.

273. Կոփտին Բ. 1948, ստ. 42.

274. ჩუბინიშვილი ტ. 1963, გვ. 43, 45 ტაბ. I-3. Կաշիպერე Կ., Կუբինիաშვili Տ. 1970, ստ. 62.

275. ეგანյან Լ. 2012, ստ. 272.

276. Badalyan R., Avetisyan P. 2007, p. 243.

საგანძურო იყო გადამალული. ერთ-ერთი ასეთი ორმო გამოვლინდა ბაბა-დერვიში II ნამო-სახლართან. მასში აღმოჩნდა ხარის ქანდაკება და ორმაგი სპირალით შემკული ქვის სტე-ლის ფრაგმენტი.²⁷⁷ ტ. ჩუბინიშვილის ვარაუდით, ეს სტელა იყო „უძველესი ვეშაპონიდური მენჭირის ნატეხი.“²⁷⁸

მოტანილი მაგალითები მიუთითებს, რომ საქართველოს მეგალითური ძეგლების შემ-ქმნელ საზოგადოებას დევთაებათა მრავალფეროვანი პანთეონი და რთული რიტუალები ახასიათებდა, რაზეც სამლოცველო კომპლექსები, ცალკეული საკულტო ადგილები და სამაროვნები მეტყველებენ. სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის საზოგადოების რწმე-ნა-ნარმოდგენები, სამლოცველობთან ერთად სამაროვნების მოწყობაში და დაკრძალვის რიტუალშიც გამოიხატა.

სამაროვნები და დაკრძალვის რიტუალი. საცხოვრებელი სივრცის განაწილების და ათ-ვისების დროს ადამიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მიცვალებულისათვის შესაბამისი ადგილის მიჩენას. ადრებრინჯაოს ხანაში, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე სამა-როვანი უმეტესწილად ნამოსახლარის მოცილებითაა გამართული (ბეჭთაშენი, სამშვილ-დე, ხაშურის ნაცარგორა, ამირანის გორა, ქვაცხელები, თალინი, ელარი, შენგავითი და სხვ.), გვხვდება შემთხვევები, როდესაც ჩვილ ბავშვთა სამარხები სახლების იატაქს ქვემაა გამართული (ამირანის გორა). ზოგიერთი სამარხი მიტოვებული სამოსახლოების ტერი-ტორიაზეც არის დადასტურებული (ამირანის გორა, ქვაცხელები). ბავშვების ქვაყუთები ოზნის ნამოსახლარზეც აღმოჩნდა.²⁷⁹ შეუა ბრინჯაოს ხანაში სამაროვნები უფრო დიდ სივრცეზეა განლაგებული. ამ ეპოქაში იგება დიდი ყორლანები, რომლებიც მხოლოდ საცხოვრებელ სივრცეს კი არ უკავშირდება, არამედ, ისნინ ადამიანთა ჯგუფის მიერ უფრო დიდი საარსებო სივრცის ათვისების მაჩვენებელია. მიცვალებულთა გრანდიოზუ-ლი დასაკრძალავების გამართვით საზოგადოება, კონკრეტული თემი, თავის საარსებო სივრცეს შემოსაზღვრავს.

277. კუშნარევა კ., ტუბინიშვილი თ. 1970, ცთ. 165.

278. ტუბინიშვილი თ. 1971, ცთ. 105.

279. ჩუბინიშვილი ტ. 1963, გვ. 36; ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ღლ. 1962, გვ. 24-25; კუშნარევა კ., ტუბინიშვილი თ. 1970, ცთ. 72-70, 66.



სურ. 188. ორიალეთი. სარეცელი. საფარ-ხარაბას სამაროვანი, № 90 სამარხი.

გვიანბრინჯაოს ხანაში, ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებსა და მეორე ნახევარში გარდაცვლილები იქრძალებოდნენ ნამოსახლარებისაგან მოშორებით, სპეციალურად მოწყობილ სამაროვანებზე. საფარ-ხარაბას სამაროვანზე გათხრილი ყველა სამარხი ორმოსამარხს წარმოადგენს. დასაკრძალავი კამერები შემოფარგლულია ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი წრეებით (კრომლეხებით), რომელთა დიამეტრი 4-18 მ შორის მერყეობს (სურ. 187). სამარხი კამერები ძირითადად ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა დამხრობილი. მიცვალებულები დასვენებულია ხელ-ფეხ მოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით. მიცვალებულისათვის განკუთვნილი ინვენტარი გარკვეული კანონზომიერებით არის განაწილებული. სამარხეული კერამიკა (თითოეულ მიცვალებულს 1-8 ჭურჭელი აქვს ჩატანებული) ძირითადად მიცვალებულის თავის ქალასთანაა განლაგებული (სურ. 190), საპრძოლო იარაღი კი, სახის წინ უწყვია. სამაროვანზე დაკრძალულ მიცვალებულთა ნაწილი შემკულია სხვადასხვა სახის (ოქროს, ფაიანსის, ნახევრადძეირფასი ქვების) მძივ-სამკაულით. მძივები გვხვდება როგორც გულსაკიდების, ასევე სამაჯურების და თავსამკაულის სახით. მიცვალებულისათვის ჩატანებული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ნაშთები ყველა სამარხში გვხვდება (სურ. 188). ისინი, ცალკეული ნაწილების სახით, დაწყობილია სამარხის იატაკზე. ზოგიერთ სამარხში აღმოჩენილია ცხვრის ან თხის მთლიანი ჩონჩხები (სურ. 189).



სურ. 189. თრიალეთი. წვრილფეხა საქონლის ჩატანება სამარხში. საფარ-ხარაბას სამაროვანი.

დაკრძალვის წესი. კრემაცია. შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. III-II ათასწლეული) თრიალეთის და ზურტაკეტის დიდ ყორდანებში ადამიანის ძვლები თითქმის არ აღმოჩენილა. თრიალეთის დიდ ყორდანებში ადამიანის ძვლები არ იყო აღმოჩენილი, ამავე დროს იგივე ყორდანებში კარგად იყო შემორჩენილი საქონლის ძვლები. ამ ფაქტმა ბ. კუფტინს ავარაუდებინა, რომ მიცვალებულის კრემაციასთან ჰქონდა საქმე. მაგრამ არც დამწვარი ძვლები დაფიქსირდა და არც ფერფლი თიხის ურნებში. ბ. კუფტინის აზრით, მიცვალებულს კრემაცია უტარდებოდა ყორდანის გარეთ, სამარხში კი მოთავსებული იყო მისი დამწვარი ნეშტი, რადგან ნახშირის მცირე ზომის ფრაგმენტები დაფიქსირებული იყო სამარხის ფსკერზე. ბ. კუფტინის ვარაუდით, მიცვალებულის ფერფლი იდო პირდაპირ სარეცელზე, ისევე როგორც ეს აღწერილი იყო ხატუშაშში აღმოჩენილ ხეთური რიტუალის აღწერაში მეფეთა კრემაციის შესახებ.²⁸⁰ მიცვალებულის კრემაცია თრიალეთის გარდა შეინიშნება სამთავროს ყორდანულ სამარხში. ადამიანის ძვლები არ დადასტურდა შიდა ქართლში, მეტეხთან და გრაკალთან გათხრილ ყორდანებშიც. კრემაცია დადასტურებულია კიროვაკანის და ლჭაშენის მეორე ჯგუფის ყორდანებში.²⁸¹ საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში მიცვალებულის კრემაციის ფაქტები იმდენად უმნიშვნელოა და დოკუმენტურად, პრაქტიკულად, არ დასტურდება, რომ დაკრძალვის ამ წესის არსებობის შესახებ რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია.

ინჰუმაცია. თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ზოგიერთ ყორდანში დადასტურებული იყო ადამიანის კბილების ფრაგმენტები, რაც შესაძლოა ინჰუმაციის შემთხვევებზე მეტყველებს.²⁸² განსხვავებით თრიალეთის ყორდანებისაგან, მესხეთის შუა ბრინჯაოს ხანის თითქმის ყველა ყორდანში ადამიანის ჩინჩხის ნაწილებია დამოწმებული. დიდ ქვაყრილიან ყორდანებში, როგორც ჩანს, ერთი მიცვალებული იყო დასაფლავებული, ხოლო მომცრო ყორდანები, თითქმის ყველთვის კოლექტიურია. ზოგ ყორდანში მიცვალებულის პოზის დადგენაც გახდა შესაძლებელი: № 10 ყორდანში სამივე მიცვალებული მოკრუნჩხულ პოზაში იწვა, თავით სამხრეთით, ხოლო №9 ყორდანში ორ ფეხმოკეცილ მიცვალებულს თავი ჩრდილოეთით ჰქონდა. გვიანდრინჯაო-რკინის ხანის ბეშთაშენის, საფარ-ხარაბას, საბეჭდავის, კნოლეს და ავრანლოს სამაროვნებზე მხოლოდ ინჰუმაციური დაკრძალვის წესია დადასტურებული. მიცვალებულები მარცხენა ან მარჯვენა გვერდზეა დაკრძალული. დაკრძალულთა დამხრობაში რაიმე კანონზომიერება არ შეინიშნება. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამაროვნებზე მიცვალებულებს თავი ჩრდილოეთით ან სამხრეთით უდევთ, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევრაში კი, მიცვალებულებს, უმეტესად, თავი დასავლეთით უდევთ.²⁸³

თრიალეთში, გვიანი ბრინჯაოს ხანის საფარ-ხარაბას სამაროვანზე გათხრილი სამარხებიდან მხოლოდ 31-შია აღმოჩენილი ადამიანის ძვლოვანი ნაშთი, რომელთა იდენტიფიკაცია სქესისა და ასაკის მიხედვით შესაძლებელია. დაკრძალულთა 28.2% მამაკაცია, 41.0%

280. კუფტინ ბ. 1941, ცმр. 81.

281. ჯაფარიძე მ. 1969, გვ. 71.

282. კუფტინ ბ. 1941, ცმრ. 81.

283. ნარიმანიშვილი გ. 2010, გვ. 284; ნარიმანიშვილი გ. და სხვ. 2010, გვ. 372-374.

დედაკაცს და 25.6% ბავშვს შეადგენს. მამაკაცებში სხეულის სიმაღლე ცვალებადობს 154.5-175.0 სმ ფარგლებში. დედაკაცების სხეულის სიმაღლე კი 151.3-165.3 სმ-ის ფარგლებში ვარირებს. საფარ-ხარაბას მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მაღალი ცხოვრების დონით ხასიათდებოდა, გამოირჩეოდა დაბალი სიცოცხლის ხანგრძლივობით. მამაკაცების (30.7) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 5.7 წლით მეტია, ვიდრე ქალების (25.0), ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ბავშვთა სიკვდილიანობის გათვალისწინებით 23.7 წელს შეადგენდა. უკანასკნელზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის აღნარმოება ძალიან ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა.²⁸⁴



სურ. 190. ორიალეთი. ჭურჭლების განლაგება სამარხში. საფარ-ხარაბას სამაროვანი.

²⁸⁴ ბითაძე ლ. 2010, გვ. 543-553.

ადამიანის თავების ცალკე დასვენება და უთავო მიცვალებულები. დაკრძალვის ეს რიტუ-
ალი იშვიათად გვხვდება. ადამიანის თავის დაკრძალვის რიტუალი დადასტურდა სამხრეთ
საქართველოს სამაროვნებზე. მესხეთში, ახჩის შუა ბრინჯაოს ხანის ზოგიერთ ყორლან-
ში (№№ 7, 14) მიცვალებულების თავები იდო თიხის ჭურჭლებში, ხოლო ერთი თავის
ქალა ახჩის № 14 ყორლანიდან, კედელთან, ქვაზე იდო.²⁸⁵ თრიალეთში, ბეჭთაშენის სა-
მაროვნის ძვ.ნ. IX-VII სს. დათარილებულ №46 სამარხში მიცვალებულის თავი ლანგარზე
იყო დასვენებული.²⁸⁶ თავის გარეშე იყო დაკრძალული ისტორიულ თრიალეთში, ბეჭენის
პლატოზე გათხრილ და ძვ.ნ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარილებულ, №2 ყორ-
ლანში დასვენებული წარჩინებული მიცვალებული.²⁸⁷ ბეჭთაშენის გვიანბრინჯაო-ადრერკი-
ნის ხანის სამაროვანის №43 სამარხში კი ორი უთავო მიცვალებული იყო დაკრძალული.²⁸⁸

მიცვალებულისათვის ადამიანის მსხვერპლად შენირვა. იშვიათად, მაგრამ მაინც დადა-
სტურდა მიცვალებულისათვის ადამიანის მსხვერპლად შენირვა. ცხოველის (ძირითადად
ხარი და ცხვარი) შენირვის პარალელურად გვხვდება მიცვალებულისათვის ადამიანის
მსხვერპლად შენირვის ფაქტები. მაგალითად, ბეჭენის № 5 ყორლანში ძირითადი მიც-
ვალებულისათვის ორი ადამიანი - ახაგაზრდა ქალი და 15-16 წლის ბიჭი შეუნირავთ.²⁸⁹
ბეჭენის № 10 ყორლანში ახალგაზრდა კაცი მეტყველება ან მეხრედ გაუყოლებიათ მთავარი
მიცვალებულისათვის.²⁹⁰ შ. დედაბრიშვილის აზრით, წნორის № 1 ყორლანში ძირითად
მიცვალებულთან ერთად მსხვერპლად შენირული ადამიანების ჩონჩხებიც აღმოჩნდა. შ.
დედაბრიშვილი მიიჩნევს, რომ დაკრძალვის შემდეგ, დასაკრძალავი ორმოს თავზეც რა-
ღაც რიტუალი შესრულდა, სადაც ადამიანის მსხვერპლშენირვას ჰქონდა ადგილი.²⁹¹

მიცვალებულისათვის ადამიანის მსხვერპლად შენირვის რიტუალი დაფიქსირებულია თრე-
ლის სამაროვაზე, შუა ბრინჯაოს ხანის № 43 სამარხში. რ. აბრამიშვილი აღნიშნავს, რომ
გადახურვის ძელების ზემოთ, მსხილფეხა საქონლის ნეკნები, ლულოვანი ქვალი და ადამია-
ნის დამწვარი ჩონჩხია დადასტურებული. მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, თავით
ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ჩონჩხის მეტ-ნაკლებად უძრავად შემორჩენილი ნანილების მი-
ხედვით, მიცვალებული დაუკრძალავთ ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში. იქმნებოდა შთაბეჭ-
დილება, რომ ის წინასწარ იყო შეკოჭილი. თვით დასაკრძალავ ორმოში მიცვალებულის ჩონ-
ჩხი არ აღმოჩნდა. სავარაუდოა, რომ ნეშტის კრემაციის შემდეგ ფერფლი მოათავსეს დიდი
ზომის დერგში, რომელსაც ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა სამი სადგარი. მიცვალებულს
თან ჩაატანეს ორი წვრილფეხა საქონელი და ორი მსხილფეხა საქონლის თავ-ფეხი. საფი-
ქრებელია, რომ წვრილფეხა საქონელი დაკლული იყო ერთ-ერთი მათგანის კისრის მალებში
აღმოჩნილი ობიექტისათვის ანატკეცით. მიცვალებულისათვის იმქვეყნად გატანებულ ნივთებსა
და საგზალს განზრახ აყრიან მიწას იმისათვის, რომ ისინი დაიცვან დაკრძალვის რიტუალში

285. ჯაფარიძე ო. და სხვ. 1981, გვ. 50, 68.

286. Narimanishvili D. et al. 2018, p. 125.

287. გობეჯიშვილი გ. 1981, გვ. 24.

288. Narimanishvili D. et al. 2018, p. 124.

289. გობეჯიშვილი გ. 1981, გვ. 38-39.

290. გობეჯიშვილი გ. 1981, გვ. 99, 120.

291. დედაბრისაშვილი შ. 1979, სტრ. 23.

გათვალისწინებული ხანძრისაგან. დასაკრძალავი ორმოს ხის ძელებით გადახურვის შემდეგ სამარხის თავზე იმართება ქელები, რომლის დროსაც სრულდება ადამიანის მსხვერპლად შენირვის რიტუალი. მსხვერპლად შენირული ადამიანი ისე მკვეთრად იყო მოხრილი, რომ სა-ვარაუდოა მისი წინასწარ საგანგებოდ გათოვა, რის შემდეგაც მას წვავენ სამარხთან ერთად (მსხვერპლად შენირული ადამიანის ჩონჩხი აღმოჩნდა გადახურვის ძელებზე).²⁹²

კ. ფიცხელაურის აზრით „მდიდრულინენტარიანი მიცვალებულის გვერდზე სრულიად უინვენტარო ჩონჩხების აღმოჩენა ბელადის გარდაცვალების შემდეგ მისთვის შენირულ ადამიანებს (მცველებს, მსახურებს) უნდა ეკუთვნოდეს. ადამიანის მსხვერპლშენირვა კი უფრო კლასობრივი საზოგადოების არსებობას უნდა გულისხმობდეს.“²⁹³

მიცვალებულის ცხვარზე დაკრძალვა. წინამურთან გათხრილ შუა ბრინჯაოს ხანის № 13 ყორლანში ხელ-ფეხ მოკეცილი მიცვალებული დასვენებული იყო ცხვარზე. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით. შენირული ცხვარი ბრინჯაოს სატევრით იყო დაკლული, რაზეც მიუთითებს ცხვრის კისრის მალებში ჩატოვებული სატევარი. ჯერ ცხვარი დაუსვენებიათ მარცხენა გვერდზე, ყელთან და ცხვირთან ობი-დიანის ანატკეცები დაუწყვიათ, შემდეგ ზედ დაუკრძალავთ მდიდრულად მორთული მიც-ვალებული. ცხვრის კეფასთან დაწყობილია მსხვილფეხა საქონლის, ხოლო მიცვალებულის ზურგს უკან წვრილფეხა საქონლის ძელები. მიცვალებულის ფეხების არეში, სამარხი კა-მერის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დადასტურდა ცეცხლის კვალი. საინტერესოა სამარ-ხის აღნაგობაც: სამარხ კამერას შემოუყვება ორ რიგად დაწყობილი რიყის დიდი ქვებით შედგენილი კრომლები, რომლის დიამეტრიც 16 მეტრს უდრიდა. წრის სიგანე 0.7 მეტრია. უშაუალოდ კამერის თავზე 6 მეტრი დიამეტრის წრიული ქვაყრილია გამართული. დასაკ-რძალავი კამერა წარმოადგენს ოთხუთხა, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს, რომლის ზო-მებია 2.4×2.5 მ. კამერის სიმაღლე 3.0 მ. კამერა მთლიანად შევსებული იყო რიყის მოზრდი-ლი ქვებით. კამერის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში შეჭრილია 0.5×0.7 მ. ფართობის ორი ნიში, რომლებშიც შენწყობილი იყო ხარის თავ-ფეხი. ძირითადი კამერის სამხრეთ-დასავლეთ კედელში გამოჭრილია 2.1 მ. სიგრძის, 0.6 მ. სიგანის და 1.0 მ სიმაღლის თახჩა, სადაც დაწყობილი იყო თიხის ჭურჭელი და მსხვილფეხა საქონლის ნეკნების და ფეხის ძვლები. სამარხი კამერის კედლებში აშკარად შეიმჩნევა ფოსოები ძელე-ბისათვის, რომლებიც აღბათ გადახურვის კონსტრუქციასთანაა დაკავშირებული.²⁹⁴

წინამურის № 13 სამარხის გვერდით გაითხარა კატაკომბური სამარხი №16, რომელ-შიც ცხვარი იყო დაკრძალული. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი დამოუკიდებელ სამარხს არც კი წარმოადგენდა და დაკავშირებული იყო №13 სამარხში დაკრძალული მიცვალე-ბულისათვის ჩატარებულ რიტუალთან.

მიცვალებულის ცხვარზე დაკრძალვის, ან სამარხში ცხვრის სრული ჩონჩხის ჩატანე-ბის ფაქტები, საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ

292. აბრამიშვილი რ. 1978, გვ. 50, 61.

293. ფიცხელაური კ. 1980, გვ. 7-8.

294. მანშამებილი ნ., ნარიმანიშვილი გ. 1989, გვ. 56.

ძეგლებზე არცოუ ისე დიდი რაოდენობითაა დადასტურებული. დაკრძალვის ეს რიტუალი ძირითადად „დიდი მცხეთის“ ტერიტორიიდანაა ცნობილი: წეროვანის №47 სამარხი, ნატახტარი III სამაროვანის №28 სამარხი და ნატახტარი I სამაროვანზე გათხრილი კატაკომბური ტიპის სამარხები. გვხვდება აგრეთვე თრიალეთში, გვიანი ბრინჯაოს ხანის საფარ-ხარაბას სამაროვანის №90 სამარხში.²⁹⁵

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი რიტუალი იშვიათია, გარკვეული მოსაზრების გამოთქმა დღეს შესაძლებელია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს სხვადასხვა ხალხების ფოლკლორში დადასტურებული ცხვართან (ერკემალთან) დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები.

ქართული ხალხური ზღაპრის „ფაშგუნდის“ მიხედვით, გმირი ქვესკნელში დევის სახლში მოხვდა, სადაც ერთ ოთახში ორი ცხვარი იყო დაბმული — შავი და თეთრი. თუ გმირი თეთრ ცხვარს შეაჯდებოდა, ქვეცას წავიდოდა, თუ შავს — იქვე, დევის სახლში, დარჩებოდა.²⁹⁶ მსგავსი სიუჟეტისაა კიდევ ერთი ქართული ხალხური ზღაპარი: შავ-თეთრი რომ არ ამოსულიყო. მანამდე კი ცოლმა ასწავლა: ქვესკნელში სამ თხას (ვარ. ერკემალს) ნახავ: თეთრს, შავს და წითელს. თუ თეთრს შეაჯდები, ზევით ამოგიყვანს, თუ წითელს — აქეთიქით გატარებს, თუ შავს — მეორე ქვესკნელში ჩაგიშვებსო. შავ-თეთრი მხოლოდ შავი თხის დაჭრა შესძლო და მეორე ქვესკნელში ჩაეშვა.²⁹⁷ ქართული ხალხური ზღაპრის „ნაბოლარას“ გმირი ჭიდან ქვესკნელში ხვდება. ცოლმა ჩასძახა: როდესაც სამი თხა - ლურჯი, წითელი და შავი, გამოივლის, წითელს მოკიდე ხელი და ზევით ამოგიყვანსო. მაგრამ ნაბოლარამ მხოლოდ შავისთვის შეძლო ხელის მოკიდება და ქვედა სკნელში მოხვდა.²⁹⁸

თურქული ხალხური ზღაპრის „ქვესკნელის არწივის“ მიხედვით, უფლისწული ჭაში ჩავიდა წყლის ამოსატანად. ჭის ფსკერზე ორი ერკემალი გაჩნდა — თეთრი და შავი. თუ უფლისწული თეთრ ერკემალს შეაჯდებოდა, ზევით ამოვიდოდა, თუ შავს — ქვესკნელში მოხვდებოდა. უფლისწული ქვესკნელში მოხვდა, საიდანაც ის ამოიყვანა არწივმა, რომლის ბარტყებიც მან გველისგან გადაარჩინა.²⁹⁹ მსგავსი სიუჟეტისაა სპარსული ზღაპარი, რომლის მიხედვით გმირი ქვესკნელში სამი ჭის გავლით ჩაეშვება. მესამე ჭის ფსკერზე ორი ერკემალი მოვიდა, თეთრი და შავი. როდესაც მათ ჩხუბი დაინყეს, ზღაპრის გმირი შავ ერკემალს შეაჯდა და მიწისქვეშ შვიდი იარუსით ჩავარდა. იქიდან ის ფრინველმა სიმურგმა ამოიყვანა, რომლის ბარტყებიც ვაჟმა გველეშაპისაგან გადაარჩინა.³⁰⁰ პოლონურ ზღაპარში „ხუთი ცხვარი“, უფლისწული ქვესკნელიდან თეთრ ცხვრებს ამოჰყავთ.³⁰¹

ყველა ამ ზღაპრის მიხედვით, გმირის ქვესკნელში ჩასვლა ორ ეტაპად იყოფა: ის ჯერ ორმოში, ან ჭაში ჩადის, იქიდან კი ქვესკნელში ჩასვლა სხვადასხვა საშუალებით ხდება. ერთ-ერთი საშუალებაა ერკემალი (ცხვარი), ან თხა (ცხვარი და თხა სემანტიკურად ახ-

295. ნარიმანიშვილი გ. 2010, გვ. 284.

296. ქართული ხალხური ზღაპრები 1986, გვ. 62.

297. ქართული ხალხური ზღაპრები 1938, გვ. 94-95.

298. Грузинские народные сказки 1988, стр. 32.

299. Турецкие сказки 1986, стр. 61-60.

300. Персидские сказки. 1987, стр. 57-56.

301. Сказки народов мира 1987, стр. 231-227.

ლობელი ცხოველები არიან და ხშირად ცვლიან ერთმანეთს).³⁰² მნიშვნელობა ცხოველის ფერს აქვს. თეთრი ფერის ცხოველებს ზევით ამოჰყავთ, შავი ფერისას კი, ქვესკნელში ჩაჰყავთ ზღაპრის გმირები.

სხვადასხვა ხალხების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ცხვარი/ვერძი ჯადოსნური გადაადგილების საშუალებადაა წარმოდგენილი: ოდისევსმა და მისმა მგზავრებმა ციკ-ლოპ პოლიფერმეს გამოქვაბულიდან ცხვრების მეშვეობით დააღწიეს თავი; ოქროს ვერძზე შემჯდარი ფრიქსე და ჰელე ჩაფრინდნენ კოლხეთში; ირანული მითოლოგიის მიხედვით, ცხვარს გადაჰყავს მიცვალებულის სული იმ ხიდზე, რომელიც აკავშირებს საიქიოს და სააქაოს. ქართული ხალხური ზღაპრების მიხედვითაც, ცხვარს გადაჰყავს ზღაპრის გმირი ერთი სკნელიდან მეორეში.³⁰³

შუა აზიაში ბოლო დრომდე არსებობდა წარმოდგენა მსხვერპლად შეწირულ ცხვარზე, რომელიც მიცვალებულს ეხმარება საიქიოში გადასვლაში. მას გადაჰყავს მიცვალებულის სული იმ ხიდზე, რომელიც საიქიოს სააქაოსაგან ჰყოფს.³⁰⁴ იგივე მიზანს უნდა ემსახურებოდეს ხორეზმის თურქმენებთან დადასტურებული ჩვეულება ცხვრის მსხვერპლად შეწირვა იმ მომენტში, როდესაც მიცვალებული გამოჰქონდათ სახლიდან, რადგან მათი სულები შეერთებულიყვნენ და ერთად გამგზავრებულიყვნენ საიქიოში.³⁰⁵

ირანელების რწმენა-წარმოდგენებით, მსხვერპლად შეწირული ცხვარი მკვდრეთიდან აღდგომის დღეს შესთავაზებს მიცვალებულს ზურგზე შეჯდომას და „სერატის ველით“ (ხიდი ჯოჯოხეთის უფსკრულზე) გადაყვანას სამოთხეში.³⁰⁶

მითოლოგიურ აზროვნებაში, როგორც ჩანს, ცხვარი ჯადოსნური გადაადგილების საშუალებადაა წარმოდგენილი. სხვადასხვა ხალხების ფოლკლორსა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ცხვარი (ვერძი)/თხა (ერკემალი) სკნელებს შორის მედიაციის და გადაადგილების საშუალებას წარმოადგენდა.³⁰⁷ ცხვრების დაკრძალვა სამარხებში ასევე დადასტურებულია ბრინჯაოს ხანის შუა აზიასა და ავღანეთში. ისინი დაკრძალული იყვნენ იმ წესით, როგორითაც იკრძალებოდნენ მამაკაცები — მარჯვენა მხარეს თავით ჩრდილოეთით. ყველა შემთხვევაში სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მდიდარი იყო. მეცნიერთა აზრით, ამგვარად დაკრძალული ცხვრები წარმოადგენდნენ ე.წ. გამოსასყიდ სამსხვერპლოს. გამოსყიდვის რიტუალი მდგომარეობდა შემდეგში: ავადმყოფი ადამიანის მაგიერ ღვთაებას სწირავდნენ ცხვარს, ადამიანს კი კისერზე დანას გაუსვამდნენ. რიტუალის შესრულების შემდეგ ცხვარი იკრძალებოდა ისე, როგორც ადამიანი. შესაძლოა, ამგვარ გამოსასყიდ სამსხვერპლოს წარმოადგენდა წინამურის № 16 სამარხში დაკრძალული ცხვარი,³⁰⁸ ხოლო ცხვარზე დაკრძალვის რიტუალი დაკავშირებული იყო წარმოდგენებთან მიცვალებულის სულის მოგზაურობაზე საიქიოში, სადაც ცხვარი იყო გამცილებელი, მეგზური, საიქიოს და სააქაოს დამაკავშირებელი.

302. Антонова Е. 1984, стр. 84.

303. შანბაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ. 1989, გვ. 57-60.

304. Антонова Е. 1984, стр. 12.

305. Снесарев Г. 1969, стр. 116-115.

306. Антонова Е. 1984, стр. 218.

307. შანბაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ. 1989, გვ. 57-60.

308. შანბაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ. 1989, გვ. 57-60.

კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიული მონაცემებისა და მითოლოგიური წარმოდგენების მიხედვით დედამიწა წრიულია, გარშემორტყმულია წყლით ან მთებით. ქვეყნიერების დასასრულს დგას სიცოცხლის ხე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ცას, მიწას და მიწისქვესა სამყაროს (ჩეჩინებისა და ინგუშების მიხედვით ქვესკნელი კიდევ შვიდი სხვა სამყაროსაგან შედგება). კოსმოგონიური წარმოდგენების განვითარება კარგად ჩანს ქართულ მითოლოგიაში, რომლის მიხედვითაც კოსმოსი (მოწერიგებული სამყარო) შედგება სხვა-დასხვა სამყაროსაგან (სკნელი). ადამიანს სკნელის გადალახვა შეუძლია მხოლოდ ღმერთის ნებართვით, ისიც „იერის შეცვლის“ შემთხვევაში, ე.ი. გარდაცვალების - სიკვდილის შემთხვევაში. ყველა სამყაროს (სკნელებს) ერთმანეთთან აკავშირებს მსოფლიო (სიცოცხლის) ხე, რომელიც დედამიწის დასალიერში დგას (სიცოცხლის ხის ვარიანტებია - ბოძი, რომელსაც ეყრდნობა ზეცა, კოშკი, ციდან ჩამოშვებული ჯაჭვი, ორემი, რომლის რქების საშუალებითაც შეიძლება ზესკნელში ასვლა) და მასზე ცხოველია მიბმული. სკნელებს შორის კავშირს ასევე ახორციელებენ სასწაულმოქმედი ცხოველები, ფრინველები, ფანტასტიური არსებები (გმირის ცხენი, თეთრი ან შავი ცხვარი, დევი, ქაჯი და სხვ.). კავკასიის ხალხების მითოლოგიაში დიდი ადგილი ეთმობა მზეს და მთვარეს, ვარსკვლავებს, მრავლადაა დაფიქ-სირებული ცნობები ბუნების მოვლენების პატრონებსა და მფარველი ღვთაებების შესახებ. კავკასიელი ხალხების მითოლოგიაში ჩანს ტოტემიზმის გადმონაშთებიც. სამონადირეო ეპოსში და მონადირეების შესახებ არსებულ მითოლოგიურ სიუჟეტებში კი მოთხოვობილია ნადირთპატრონის და ღვთაებების შესახებ. მითებში ასევე ხშირად გვხვდება ჭექა-ქუხილის, მინათმოქმედებისა და მეცხოველეობის ღვთაებები. კავკასიელთა მითოლოგიასა და რწმენა-წარმოდგენებში შემორჩენილია შეხედულებები კეთილ და ავ სულებზე.³⁰⁹

სამსხვერპლო ცხოველები. თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის თითქმის ყველა ყორლანში (I, V, VI, VII, VIII) აღმოჩნდა მსხვერპლად შენირული შინაური ცხოველების ნაშთები.

V ყორლანში ცხოველის ძვლები იდო შავპრიალა დიდ ორყურა ჭურჭელში, აგრეთვე სპილენძის ქვაბში, რომლის მახლობლადაც დამწვარი ხის ნაშთები დადასტურდა. ყორლანებში, სამარხი ორმოს სხვადასხვა მონაკვეთში დადასტურდა წვრილფეხა და მსხვილ-ფეხა საქონლის მთლიანად ან ცალკეული ნაწილების შენირვის ფაქტები. ზოგ შემთხვევაში შინაური ცხოველების ნაწილები დაფარული იყო მსხვილფეხა საქონლის ტყავით. თრიალეთის VIII ყორლანშიც არის დაფიქსირებული ხარის, ცხვრის და ღორის ძვლები, რომლებიც ელაგა გროვებად.

XV ყორლანში დაფიქსირდა ორი ხარის ჩინჩხის ფრაგმენტები, რომელთა თავის ქალები და ჩილიქებიანი კიდურები პარალელურად იდო, თუმცა დანარჩენი ძვლები არ ჰქონდათ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სამარხი ორმოს იატაკზე დაფენილი იყო ორი ხარის ტყავი, რომელიც ისე იყო დამუშავებული, რომ თავი და კიდურები ტყავში იყო დატოვებული. მსგავსი შემთხვევა დადასტურდა VII ყორლანშიც.³¹⁰ ბ. კუფტინის აზრით, ხარის ტყავი იყო მიცვალებულის საიქიოსკენ შორეული მოგზაურობის გამცილებლის იმიტაცია, მას შემდეგ,

309. Օчиაუրი Տ., სურგულაძე И. 1980, стр. 603-606.

310. კუფტინ ბ. 1941, стр. 83.

რაც ხარები დაკლულ იყვნენ და მათი ხორცი დაკრძალვის ტრაპეზს მოხმარდა. ხორცის ნაწილი მიცვალებულსაც გაატანეს, რასაც მოწმობს სპილენძის ქვაბსა და დიდ თიხის ჭურჭელში აღმოჩენილი ნეენების ძვლები.³¹¹

XV, XVII, XXXIV ყორლანებში, გარდა ხარის თავ-ფეხისა, რომლებიც სამარხი კამერის აღმოსავლეთ ნაწილში ეწყო, დადასტურდა ხარის მთლიანი ჩონჩხები. ხარების დაუნაწილებელი ჩონჩხები დრომოსის იატაკზე იდო. ისინი თავით აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული.³¹² ზურტაკეტის ყორლანების „დასაკრძალავი დარბაზების“ სხვადასხვა ადგილას ხშირად ჩნდებოდა საქონლის ძვლები, უპირატესად მსხვილფეხა საქონლისა. მსხვილფეხა საქონლის ძვლები, უფრო კი კიდურები, გვხვდება აგრეთვე დრომოსებში, დარბაზში შესასვლელი კარის მახლობლად. ო. ჯაფარიძის აზრით, „შესაძლოა ეს მართლაც ეტლში შებმული ხარების ნაშთები იყოს, რომლებიც მიცვალებულის დარბაზში შეტანის შემდეგ დაუკლავთ და მათი ხორცი, რიტუალის დროს, სათანადო გამოყენებიათ“. ზურტაკეტის ყორლანებში აღმოჩენილი მსხვილფეხა საქონელი, ეტყობა, მიეკუთვნება თრიალეთის ყორლანებში ნაპოვნ მსხვილფეხა ჯიშს. პროფ. ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის განსაზღვრით, თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ყორლანებში უფრო ხშირად გვხვდება ტანდიდი ჯიში *Bos taurus primigenius*. დიდ ყორლანებში შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება წვრილფეხა საქონელის ძვლებიც.³¹³ „მესხეთის ყველა დიდ-პატარა ყორლანში დადასტურებულია შინაური ცხოველების ძვლები. განსაკუთრებით ბევრია ცხოველის ნაშთები დიდ ყორლანებში, უპირატესად მსხვილფეხა საქონლისა. ახჩის ველის №9 და №11 ყორლანებში და ნაკალოების დიდ ქვაყრილიან №2 ყორლანში წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლებთან ერთად აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის თავის ქალები. კოურების №2 ყორლანში საქონლის ძვლებთან ერთად ძალის თავის ქალა აღმოჩნდა. ჩვეულებრივ კი ყორლანში სჭარბობს მსხვილფეხა საქონლის ძვლები, უპირატესად კიდურებისა. საფიქრებელია, რომ ეს ძვლები დაკრძალვის რიტუალისთვის გამოყენებული ცხოველების ნაშთები იყო“.³¹⁴

ცხოველთა მთელი და დანანილებული ძვლები მიუთითებს, რომ რიტუალი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგაც გრძელდება. როგორც ჩანს, საფლავთან მიცვალებულის სულის მოსახსრიებელი რიტუალი იმართებოდა, რომელიც სააღაპე ცერემონიალს და სამგლოვიარო სუფრის მოწყობას ითვალისწინებდა.

ურემზე დაკრძალვა. თრიალეთის კულტურის ზოგიერთ ყორლანში დადასტურებულია კარგად შემორჩენილი ურმები და ურმის ფრაგმენტები. ოთხბორბლიანი ურმები აღმოჩნდა საბიდახჩას (საპიტიახო) ორ ყორლანში. ერთი ოთხბორბლიანი ურემი აღმოჩნდა 1939 წელს, XXIX ყორლანში,³¹⁵ ხოლო მეორე - № 5 ყორლანში.³¹⁶ ურმების ცალკეული ნაწილები დაფიქსირებულია თრიალეთის სხვა ყორლანებშიც. ბ. კუფტინის აზრით, მიცვალებულის ნებტი ყორლანში შეჰქონდათ დრომოსით და კრძალავდნენ ხის ეტლზე, რომელიც ხეთურ დაკრძალვის რიტუალში მოხსნიებულია შუმერული იდეოგრამით GIS MAR. GID. DA, რაც საზიდ ურემს აღნიშნავდა, განსხვავებით დასაჯდომი ეტლისგან, რომელიც იწოდებოდა GIS

311. კუფტინ ნ. 1941, ცტР. 83.

312. კუფტინ ნ. 1941, ცტР. 83.

313. ჯაფარიძე ო. 1969, გვ. 68-69.


314. ჯაფარიძე ო. და სხვ. 1981, გვ. 160.

315. კუფტინ ნ. 1941, ცტР. 95, რუ. 102.

316. ჯაფარიძე ო. 1969, გვ. 75, სურ. 47, ტაბ. XXIV.

GIGIR. თრიალეთის XV ყორდანში, დასაკრძალავი ორმოს ნაპირებზე იდო ორი ხარის ჩონჩხის ფრაგმენტები: თავის ქალები და კიდურების ძვლები, დანარჩენი ძვლები არ იდო. ბ. კუფტინის აზრით, სამარხში ჩადეს ხარების ტყავი, რომელზეც დატოვეს თავი და ფეხები. შესაძლოა, მიცვალებულის ნეშტის დაბინავების შემდეგ, ხარები დაკლეს და მათი ხორცი დაკრძალვის სარიტუალო ტრაპეზისათვის მოიხარშა. ხარის ძვლები დადასტურდა დიდ სპილენძის ქვაბში, რომელიც სამარხი ორმოს შუაში იდგა. თავიანი და კიდურებიანი ტყავი იდო აგრეთვე VII ყორდანში.³¹⁷ ურმის ნაშთები დაფიქსირდა საფარ-ხარაბას სამაროვანზეც (სურ. 191), რომელიც ძვ.წ. XV-XIV სს-ით თარიღდება.

სამხრეთ კავკასიაში უძველესი დასაკრძალავი ურემი ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. სამხრეთ საქართველოში, ბედენის მაღალმთიან პლატოზე ძვ.წ. III ათასწლეულის ყორდანებში აღმოჩნდა ხის მთლიანი ურემი და ურმების დეტალები, რომელებიც მიცვალებულისთვის ჩაეტანებინათ.³¹⁸ ურემზე დაკრძალვის რიტუალი განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულიდან და თრიალეთის კულტურის ბრნყინვალე ყორდანების ერთ-ერთ დამახასიათებელ ატრიბუტს წარმოადგენს. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული დასაკრძალავი ურმები მრავალფეროვებით გამოიჩინა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ თრიალეთის ყორდანებში აღმოჩნილი ურმები არაპრაქტიკულია და საკულტო ეკიპაჟთა რიცხვს უნდა მიეკუთვნებოდეს.³¹⁹



სურ. 191. თრიალეთი. ურემი. საფარ-ხარაბას სამაროვანი, № 30 სამარხი.

317. კუფტინ ბ. 1941, სტრ. 83-81.

318. გობეჯიშვილი გ. 1981, 99.

319. გეგემიძე მ. 1956, გვ. 22; ჯაფარიძე თ. 1969, გვ. 76.

ძ.წ. III ათასწლეულის დასასრულისა და II ათასწლეულის დასაწყისის ყორღანში ურემზე დაკრძალვის რიტუალის შედარებით სრულყოფილად აღდგენის შესაძლებლობა თრიალე-თის ყორღანებთან დაკავშირებული სარიტუალო-საპროცესო გზების აღმოჩენის შემდეგ მოგვეცა. როგორც ჩანს, ხარებშებმულ თოხთვალა ურქმს სხვადასხვა ატრიბუტებით მდიდრულად რთავდნენ. შემდეგ ზედ მიცვალებულს ასვენებდნენ. პროცესია იწყებოდა აღმოსავლეთიდან და ყორღანისაკენ, დასავლეთით მიემართებოდა. ო.ჯაფარიძის აზ-რით, „თრიალეთის როგორც ორმოიან, ისე „დასაკრძალავ დარბაზიან“ დიდ ყორღანში მიცვალებული ან მისი ფერფლი, ალბათ დრომოსით, უკვე გადაურულ დასაკრძალავ დარბაზში, ეტლში შებმული ხარებით შექვენდათ“.³²⁰ როგორც ჩანს, ხარებშებმული ეტლი, რომელზეც მიცვალებული იყო დასვენებული, სარიტუალო გზაზე პროცესიასთან ერთად მიემართებოდა.³²¹ დასაკრძალავ დარბაზში მიცვალებულის დასვენების შემდეგ ხდებოდა დრომოსის ამოქოლვა. ყორღანის სარიტუალო გზა და მიცვალებული აღმოსავლეთით, მზის ამოსვლისაკენ იყო ორიენტირებული.³²²

ცნობილი შვეიცარიელი ფსიქოანალიტიკოსის კ. გ. იუნგის აზრით,³²³ ეტლი/ურემი არის მიწიერი ცხოვრების სიმბოლური გამოხატულება. საილუსტრაციოდ მოჰყავს ქართული ხალხური ლექსი, რომელიც, მისი აზრით, საუკეთესოდ ასახავს ეტლის/ურმის არქეტიპულ სახეს:

მთას ურემი ავიტანე,

ამოვიდა გორებითა,

აქ ცხოვრებით გამიძეხით,

საიქოს - ცხონებითა.

ეს ლექსი, ჩვენი აზრით, ყორღანში ურმით დაკრძალვის რიტუალის ახსნის გასაღებს წარმოადგენს: მთაში (ყორღანში) შეგორებულ ურემს, მასზე დასვენებული ადამიანი გადა-ჰყავს სხვა სამყაროში, ცხონებულ საიქოში.

ყორღანი, ანუ ხელოვნური მთა კოსმიურ ღერძს, სამყაროს ღერძს — axis mundi-ს წარმოადგენს.³²⁴ სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის საზოგადოების რელიგიური რწმენა-წარმოდგენები ყველაზე ნათლად დაკრძალვის რიტუალში არის ასახული. რელიგიური რიტუალები განსაზღვრავენ პრეისტორიული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას. რელიგიურ ადამიანს სურს ნაკურთხ სამყაროში ცხოვრება, რომელიც ერთდროულად რეალური, მყარი და ნაყოფიერია. ამისთვის ის მიმართავს სხვადასხვა საშუალებას სივრცის კურთხევისათვის. სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით შემუშავებული იყო ორიენტირის მოძებნა, რომელიც საბოლოო ჯემში საკრალური სივრცის შესაქმნელად იყო საჭირო.³²⁵ რელიგიური ადამიანისათვის სივრცე არაერთგვაროვანია. არსებობს საკრალური, ნაკურთხი, „მყარი“ სივრცე და არსებობს ამორფული, რომელსაც თითქოს არ გააჩნია სტრუქტურა და შინაარსი. ერთგვაროვან, უსასრულო სივრცეში, სადაც არ არსებობს არანაირი ორიენტირი,

320. კუფტინ ნ. 1941, სტ. 81-83, 143; ჯაფარიძე ო. 1969, გვ. 68.

321. ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 76.

322. ნარიმანიშვილი გ. 2009, გვ. 44.

323. იუგ გ. 2003, სტ. 206-205.

324. ბერიაშვილი მ., თორთლაძე ზ. 2001, გვ. 32.

325. ელიაძე მ. 1994, სტ. 26.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო „ათვლის წერტილის“, „ცენტრის“ დადგენა. ამიტომ რელიგიური ადამიანი ცდილობდა „სამყაროს ცენტრში“ განლაგებას. „ცენტრის“ დადგენა სამყაროს შექმნის ტოლფასია. სამყაროში ცხოვრებისათვის საჭიროა მისი შექმნა.³²⁶ სხვადასხვა კულტურაში მითოსური, თუ რეალური მთები „სამყაროს ცენტრში“ იგულისხმებიან: მერუ ინდოეთში, ხარაბერეციტი ირანში, „ქვეყნიერების მთა“ მესოპოტამიაში, გერიზიმი — პალესტინაში. მთასთან მიმდებარე ტერიტორია „ჩვენს სამყაროს“ წარმოადგენს. ყველა ეს რწმენა ერთ რელიგიურ გრძნობას ასახავს: „ჩვენი სამყარო“ წმინდა მიწა, იმიტომ რომ ყველაზე ახლოსაა ზეცასთან, ე.ი. „ჩვენი სამყარო“ ამაღლებული ადგილია. „ჩვენი სამყარო“ კოსმოსია და გარედან თავდასხმა ქმნის მის ქაოსად გარდაქმნის საშიშროებას.³²⁷

მრავალ ძველ მითოსურ კულტურაში ტომის ბელადის, მეფის სამარხი წარმოგვიდგება როგორც ტაძარი, რადგან გარდაცვლილი მეფე წინაპარ ღვთაებად იქცევა. ამის ნათელი დასტურია ეგვიპტური პირამიდები, ან ხეთური მავზოლეუმები, რომელებიც ფაქტოპრივად იგივე ტაძრები იყო. ხოლო მეფე-დედოფლის გარდაცვალების აღმნიშვნელი ხეთური გამოთქმა „ღმერთი გახდა“ თავად გვიჩვენებს ამ მითოლოგიური თვალსაზრისის არსებობას.³²⁸

სარიტუალო გზები მიუთითებენ, რომ გარკვეული რიტუალი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგაც სრულდებოდა. ამაზე მიუთითებს სარიტუალო გზების გრანდიოზულობა; შრომითი დანახარჯების მასშტაბურობა, რაც არანაკლები იყო, ვიდრე თვით ყორლანის აგებისათვის განეული დანახარჯები; გზებისა და კრომლეხების შეერთების ადგილებში არტეფაქტების, მათ შორის ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნივთების აღმოჩენის ფაქტები, მენცირები და სხვა.

მიცვალებულის დაკრძალვა ურემზე დაკავშირებული იყო ძველ აღმოსავლეთში გავრცელებულ წარმოდგენებთან, რომ ეტლი (ურემი) ხელისუფლების ატრიბუტია. ხეთურ რიტუალურ ტექსტში „ახალი სასახლის მშენებლობის შესახებ“ მოცემულია მეფისა და ტახტის დიალოგი, რომელიც ეხება მეფის ხელისუფლების აღდგენას, მეფის ხელახალ დაბადებას: „მე, მეფეს, ტახტმა, ზღვის გალმა მხრიდან მომიტანა ძალაუფლება და სამეფო ეტლი. მე მეფე — ლაპარნა მიწოდეს“. ამ რიტუალურ ტექსტში ეტლი წარმოდგენილია რიგორუც სამეფო ხელისუფლების უცილობელი ატრიბუტი.³²⁹ ეტლი/ურემი ხეთურ ტექსტებში მოიხსენიება სიცოცხლის განახლების რიტუალთან მიმართებაშიც. ეტლით მიემგზავრებოდნენ ხეთების მეფე და დედოფალი საგაზაფხულო და საშემოდგომო რიტუალურ მოგზაურობაში, რომელიც ცხოვრების განახლებასთან იყო დაკავშირებული.

ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის და მეგალითური ძეგლების შემქმნელი საზოგადოება ერთი კულტურული პლასტის მატარებელია. მათ ერთიანი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები აქვთ, რაც სამყაროს სამგანზომილებიან (ქვესკნელი, შუასკნელი, ზესკნელი) მოდელს ეფუძნება.

ვფიქრობთ, რომ სტელები არა მხოლოდ წინაპართა კულტთან იყო დაკავშირებული, არამედ სკნელების დამაკავშირებელ სიმბოლოსაც წარმოადგენდა. ყორლანებთან და საკულ-

326. ელიაშ მ. 1994, ცმр. 23-22.

327. ელიაშ მ. 1994, ცმრ. 32, 37.

328. ბერიაშვილი გ. 1988, გვ. 189.

329. ტატიშვილი ი. 2001, გვ. 77; ბერიაშვილი გ. 1988, გვ. 190-191.

ტო კომპლექსებთან დაფიქსირებული სარიტუალო გზები, მიცვალებულთა მზეზე ორიენტირება, ყორდანების სოლარული (ნახევარმთვარის და სხივებიანი მზის) ფორმის ყრილები, მზის გამოსახელუბებით შემკული და მოხატული კერამიკა ასტრალური და წინაპართა კულტების არსებობას ადასტურებს.

ქართველთა უძველეს ღვთაებათა პანთეონში ასტარალური ღვთებებისა და წინაპართა კულტის არსებობის შესახებ ცნობებს „მოქცევად ქართლისა“ და „ქართლის ცხოვრება“ გვაწვდიან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული წანთეონის პირველი სრული სქემა ვახუშტი ბაგრატიონს აქვს მოცემული. ვახუშტის თხრობა ძირითადად „მოქცევად ქართლისა“ და ლეონტი მროველის მონაცემებს ეყრდნობა.³³⁰ თუმცა, მათგან განსხვავებით ვახუშტის ეს საკითხები ცალკე აქვს განხილული. მისი ნაშრომის ამ წანილის სათაურია „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი.“³³¹

ვახუშტის თხზულებაში გარკვეული ქრონოლოგიური თანამიმდევრობაა ასახული. ქართველთა უძველეს ზნე-ჩვეულებებს კაენისაგან აპელის მოკვლასთან დაკავშირებით გადმოვცემს. ვახუშტი წერს „... ძეთა ნოესთა, შესძინეს დატევება დამბადებლისა ღვთისა მისისა და ქმნეს ნივთიერნი ღმერთი: კერპნი უსულონი, უტყუნი და ყრუნი, და თაყვანის-ცემდნენ მას. ხოლო ესა ქართველთა ტომნი, ვითარცა გვაუწყებს მატიანე ჩუენი, იყვნენ ყოველთა ტომთა და წათესავთა უუბოროტესნი და უულთოესნი.“³³² შემდგომში, ქართლოსის შთამომავალთა,... სარწმუნოება..... იყო ერთისა დამბადებლისა ღვთისა თაყვანისცემა, და ფუცვიდიან ქართლოსის საფლავსა.“ ამასთან, ქართლოსიანნი მორჩილებდნენ მცხეთელ მამასახლისს. წეს-ჩვეულებებში მომხდარ დიდ ცვლილებას ვახუშტი ასე აღწერს „და იყნენ მრავალთა წელთა წესთა ამათ ზედა. ხოლო შემდგომად დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თვისი და თაყვანის სცემდნენ მზესა, მთოვარესა, ვარსკულავთა და ნივთიერთა და პირუტყვთა.“³³³ ეს ცვლილება ქართლოსის ძის, მცხეთოსის გარდაცვალების შემდეგ მოხდა. ქვეყანა შინააშლილობამ მოიცვა. ლეონტი მროველის მიხედვით „და მას უამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსის.“³³⁴ ვახუშტიც აღნიშნავს, რომ მცხეთოსის შვილებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და „განძლიერდა მათ შორის ესევითარი შური და წილმა, ვიდრე ღმერთიცა დამბადებელი თვისი დაუტევეს და მსახურებდნენ მზესა, მთოვარესა და ვარსკულავთა და უმეტეს იყო მათდა საფიცველად საფლავი ქართლოსისა.“³³⁵

ქართლოსიანთა ზნე-ჩვეულებებში მომხდარ შემდგომ ცვლილებას მემატიანები ალექსანდრე მაკედონელის მოქმედებას უკავშირებენ. ლეონტი მროველი ასე აღწერს ამ მოცლენებს, ალექსანდრებ „... მოსრნა ყოველი იგი ნათესავნი აღრეული ქართლის მყოფი, ... და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ. და უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატივსცემდნენ მზესა და მთოვარესა და ვარსკულავთა ხუთთა, და მსახურებდნენ ღმერთ-

330. ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 8-11, 18-26; 85-90.

331. ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 13-38.

332. ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 14.

333. ქართლის ცხოვრება 1973, გვ. 15.

334. ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 16.

335. ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 50.

სა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა. ³³⁶ ვახუშტი იმეორებს ლეონტის აზრს „ალექსან-დრემ დაუდვა რჯული საქართველოთა ერთისა დამბადებლისა ღვთისა თაყვანისცემა, და მზისა, და მთოვარისა, და ვარსკულავთა პატივი.“³³⁷

ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილისთანავე, აზომ „დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოცემული, იწყო კერპთმსახურებად, შექმნა ორნი კერპნი ვერცხლისანი: გაცი და გაიმ.“³³⁸ აზოს მცხეთის მამასახლისის ძმის შვილი ფარნავაზი დაუპირისპირდა, დაამარცხა აზო და სამეფო ტახტზე ავიდა. ფარნავაზმა „საშუალსა გაც და გაიმისა ამართა სახელისა თვისისა კერპი არმაზ მთასა ზედა და ჭექსა შინა, ქართლისისა საფლავსა ზედა ...“³³⁹ ამდენად, საის-ტორიო წყაროების მიხედვით, კარგად ჩანს, რომ სარწმუნოებაში მომხდარი კარდინალური ცვლილებების მიუხედვად, წინაპრის კულტი მუდმივად დომინირებს - ქართლისის საფლა-ვი ქართველთა უნინარესი სალოცავია.

მეურნეობა. თრიალეთის ძვ.ნ. II ათასწლეულის დასახლებათა აგრარული სივრცე სოფ-ლის მეურნეობის ორი ძირითადი დარგით - მესაქონლეობით და მინათმოქმედებით არის წარმოდგენილი. ძვ.ნ. II ათასწლეულის შუა ხანებსა და მეორე ხანევარში მინათმოქმედების აღმავლობაზე მიუთითებს წამოსახლარებზე (ჯინისი, ბეშთაშენი, საბეჭდავი/ელი-ბაბა) აღ-მოჩენილი მარცვლეული კულტურების წაშთები, ქვის სანაყები და სასრესები, ბაზალტის საფხევებისა და ხელსაფქვავების სიმრავლე. პალინოლოგიური და პალეობოტანიკური მო-ნაცემების მიხედვით ამ ეპოქის თრიალეთის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მარცვ-ლეული კულტურების მოყვანა წარმოადგენდა.



სურ. 192. თრიალეთის საძოვრები დღეს.

336. ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 18.

337. ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 16, 54.

338. ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 20.

339. ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 16.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე ჩატარებულმა პალინოლოგიურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ აქ დაკრძალული ადამიანების ერთ-ერთ მნიშვნელოვანა საქმიანობას მიწათმოქმედება და მევენახეობა წარმოადგენდა. ჭურჭლებში დადასტურებულია ხორბლის მტვრის დიდი რაოდენობა. ხშირია მარცვლეული კულტურების და ნათესების სარეველების მტვრის და-დასტურება სამარხებში. ხორბლის მტვრის გარდა დადასტურებულია ჭვავის, ღომის და ქერის მტვერი. აგრეთვე, ყურძნის მტვრის მარცვლები. სამარხებში ნაპოვნია ის სპეციფი-ური სარეველები, მაგ. თალგამულა (*Brasicaceae*), რომლებიც მხოლოდ ვენახში იზრდებიან.³⁴⁰

ნამოსახლარებსა და სამარხებში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალები მიუთითებს განვითარებულ მეცხოველეობაზე. ნამოსახლარებზე თითქმის თანაბრადა წარმოდგენილი მსხვილფეხა (ხარი, ძროხა) და წვრილფეხა (ცხვარი, თხა, სურ. 192) საქონლის ძვლები. პალეოზოოლოგიური გამოკვლევებით საფარ-ხარაბას სამაროვანზე დაკრძალული ადამიანების ცხოვრებაში მესაქონლეობას დიდი ადგილი ეკავა. ჰყავდათ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა რქოსანი საქონელი და ღორები. სამარხებში და ნამოსახლარზე მოპოვებული მასალები მიუთითებს, რომ მოსახლეობა ნადირობასაც მისდევდა (ნადირობდნენ კეთილშობილ ირემზე, შველზე, ქურციზე, ჯიხვზე, მაჩვზე). რაც შეეხება საფარ-ხარაბაში აღმოჩენილ ძროხის ჯიშს, ის პატარა ტანის იყო და ო. ბენდუქიძის აზრით, ახლოს იდგა ეგრეთ წოდებულ ხევსურულ ძროხასთან.³⁴¹ რძის ნაწარმის ფართო გამოყენებაზე მიუთითებს სადლებლების და საწურების დადასტურება გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე. საბეჭდავის ნამოსახლარზე, სავარაუდოდ, საქონელი დაბინავებული იყო სახლების დიდ სათავსოებში, რომლის იატაკი ბაზალტის ფილებით იყო მოგებული და სადაც მოთავსებული იყო „ბაგა“.

დიეტა. საკითხი, თუ როგორ და რით იკვებებოდნენ გვიანი ბრინჯაოს ხანის თრიალეთელები, რთულია და დღეისათვის ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს. თუმცა, პალინოლოგიური, პალეობოტანიკური და პალეოზოოლოგიური მასალები გარკვეული მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას იძლევა. საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი თხის ჭურჭლებიდან აღებული ნიმუშების პალინოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყოფაში სხვადასხვა სახის, როგორც ცხოველურ (მსხვილფეხა საქონელი, ბატკანი ან ციკანი), ისე მცენარეულ (ხორბალი, ღომი, ქერი, წაბლი, თხილი, კაკალი, ნინიბურასნაირი მცენარეები, ნაცარქათა-მა, ჭინჭარი) საკვებს იყენებდნენ. საკვების დასამზადებლად ცხოველურ ცხიმს იყენებდნენ, სანელებლებად კი ქოლგოსან მცენარეებს.³⁴² კვების რაციონი საქმაოდ მრავალფეროვანი ჩანს. მაგ. № 10 სამარხში აღმოჩენილ ქილაში თაფლი დადასტურდა, № 25 სამარხის დერგ-ში - ხორბალი, თხილი, ცაცხვის მტვერი; № 28 სამარხის იატაკზე, დამწვარ ნიადაგში, დიდი რაოდენობით დადასტურდა ხორბალი, ჭვავი და სხვა სათესი კულტურები, ჭინჭარი; აქვეა რცხილის, ცაცხვის, მუხის და ნიფლის მტვრის ნაშთები, № 29 სამარხის ქოთანში - ღვიის დამწვარი ნაშთები და მტვრის მარცვლები, ამავე სამარხის პირფართო ქოთანში ცხოველური ცხიმი, დიდი რაოდენობით ხორბალი, ნათესების სარეველები და საძოვრის ბევრი ელემენტი აღმოჩნდა. № 30-ე სამარხის თხის ჭურჭლები მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ცხოველური

340. ყვავაძე ე. 2004; ყვავაძე ე. 2005.

341. ბენდუქიძე მ. 2005.


342. ნარიმანიშვილი გ. 2010, გვ. 285.

ცხიმი, დიდი რაოდენობით ხორბალი და ქოლგოსანი მცენარეები (სანელებლები) დადასტურდა. ჭურჭელს აშკარად ეტყობა ცეცხლის კვალი; როგორც ჩანს, ჭურჭელი საჭმლის მომზადებისთანავე ჩადგეს სამარხში. №79 სამარხის ერთ-ერთ ჭურჭელში აღმოჩენილია ცხვრის ბეჭები, მეორეში - ხორბლეულის პროდუქტი უნდა ყოფილიყო, ხოლო მესამე ქოთანში ალბათ წყალი, რადგან აქ დადასტურდა წყალმცენარეების ნაშთები.³⁴³

ხელოსნობა. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების და მეორე ნახევრის თრიალეთში კარგად იყო განვითარებული მეთუნეობა, ქვის, ხის და ძვლის დამუშავება. ამ სახის არტეფაქტების დიდი უმეტესობა ადგილობრივადაა დამზადებული.

მეთუნეობა. ამ ეპოქის თიხის ნაწილიდან გამოირჩევა ორი სახეობის კერამიკა: ერთ ნაწილს წარმოადგენს სამეურნეო და სამზარეულო თიხის ჭურჭელი, რომლებიც უხეშკეციანია, უმეტესწილად ხელითაა ნაძერწი და ცეცხლის კვალი ეტყობა; მეორე ნაწილს ეკუთვნის კარგად განლექილი თიხისგან, მორგვზე დამზადებული სუფრის ჭურჭელი. ამ ჯგუფის კერამიკა ნატიფია, ზოგჯერ შავად არის გაპრიალებული, ზედაპირი კი ორნამენტითაა შემკული.

ხით ხუროობა და ტყავის დამუშავება. არქეოლოგიური, ტრასოლოგიური და პალინოლოგიური გამოკვლევებით საფარ-ხარაბას სამაროვანზე დაკრძალული ადამიანების ცხოვრებაში ხელოსნობას, განსაკუთრებით კი, ხის და ტყავის დამუშავებას, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ტყავის დამუშავების ტრადიციაზე მიუთითებს სამარხებში დადასტურებული ტყავის ნაშთები.



სურ. 193. თრიალეთი. საფარ-ხარაბას სამაროვანი. იარალი.

343. ყვავაძე ე. 2005.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე მიცვალებულთა ძვლები უმეტეს შემთხვევაში შავი ფერის მკვრივი მასითაა დაფარული. ასეთივე მასა დაფიქსირებულია ჩინჩხის ქვეშაც. ეს ფენა სწორი გეომეტრიული ფორმებით გამოირჩევა. მას წაგრძელებული ოთხუთხედის ფორმა აქვს. მისი სისქე $0.2\text{--}0.4$ მ აღნევს, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ხის ნაშთებს. აქვე შეინიშნება ტყავის ანაბეჭდებიც. როგორც ჩანს სამარხებში ხის სუსტი კონსტრუქციები იყო გამართული. ძელების განლაგება მიუთითებს, რომ სარეცლისა და მიცვალებულის თავზე წვრილი წნელები და ტყავი იყო გადაფარებული. საფარ-ხარაბას სამაროვანზე ზოგ შემთხვევაში მიცვალებულები ტყავში ყოფილან გახვეულები.³⁴⁴ ყოფა-ცხოვრებაში ტყავის გამოყენებაზე მიუთითებს სხვადასხვა მცირე ზომის ნივთები, მაგ. კაპარჭი №8 სამარხიდან. ის დამზადებულია ხის თხელი ფიცრებისაგან, რომელსაც გარედან ტყავი აქვს შემოკრული, ზედაპირი შემკულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტებით. კაპარჭში 8 ისარი იდო: 7 ობსიდიანის და 1 კაჟის. კაპარჭის მთელ სიგრძეზე აღმოჩნდა ისრის ხუთი ზრო.³⁴⁵

ორ სამარხში დაფიქსირდა მიწის საერთო ფონიდან გამორჩეული, მუქი ფერის ლაქები, სავარაუდოდ ტყავის ქისები, რომლებშიც შემჭიდროვებულად იდო სხვადასხვა, შესაძლოა მიცვალებულისათვის მნიშვნელოვანი ნივთები. ხის დამუშავებაზე მიუთითებს სამარხებში, დადასტურებული მუხის, ცაცხვის, სოჭის, ნაძვის, ძელქვას, ასევე სხვა ხეების მტვერი. სავარაუდოდ, ამ ხეებისგან გარკვეული კონსტრუქციები იყო დამზადებული.



სურ. 194. ხადას ხეობის საძოვრები დღეს.

344. ნარიმანიშვილი გ. 2010, გვ. 284.

345. ნარიმანიშვილი გ. 2010, გვ. 286.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოს ხანის სატრანსპორტო საშუალებების და მათი დეტალების აღმოჩენის ფაქტები. საფარ-ხარაბას სამაროვანის №30 სამარხში მიცვალებული და კრძალულია ხის ურემზე (სურ. 191). სამარხში აღმოჩენილი ურემი და მისი დეტალები სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასა და მათ რთულ კონსტრუქციაზე მიუთითებენ.

ურმის ძარას წინა ნაწილი რთული შედგენილობისა იყო. მისი ფორმის ზუსტი აღდგენა კვლევის ამ ეტაპზე ძნელია. თუმცა პერიკლდებსა და ლქაჭენში აღმოჩენილი მსგავსი, თანადროული სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც უკეთესადაა შემორჩენილი, საფარ-ხარაბას ურმის რეკონსტრუქციის გარკვეულ საშუალებას იძლევა. არ არის გამორიცხული, რომ საფარ-ხარაბას ურემსაც მსუბუქი გადახურვის კონსტრუქცია ჰქონდა.³⁴⁶ საფარ-ხარაბას სამაროვნის № 30 სამარხში აღმოჩენილი ურმის გამწევ ძალას ცხენი (სურ. 194) წარმოადგენდა, რადგან აქვე აღმოჩენილი ულელის ტიპი დადასტურდა ბერიკლდების სამარხშიც, სადაც ძვ.წ. XV-XIII სს-ით დათარიღებულ ურემში ცხენები იყო შექმული.³⁴⁷

სარეცელი. საფარ-ხარაბას სამაროვანზე, ზოგიერთ სამარხში მიცვალებული ხის სარეცელზე იყო დასვენებული (სურ. 188), რომელსაც წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. ზოგიერთი მათგანი ფიგურული სახელურებით იყო შექმული.³⁴⁸

ქვის იარალები მრავალფეროვნებით და სიმრავლით გამოირჩევა. ქვის დამუშავებაზე მიუთითებს სახლებში აღმოჩენილი ხელსაფქვავები, სანაყები, სასრესები, ასევე მძივები, კაფის ნამგალის პირები, ობსიდიანის ისრისპირები და დანები. ტრასოლოგიური გამოკვლევებით და ფუნქციონალური სტატისტიკით, საფარ-ხარაბას სამარხებში ნაპოვნი ქვის (ობსიდიანი, კაფი) ანატკეცების წარილი, აგრეთვე საჭრისები, საფართები, ქლიბები და წვეტანები ხის დასამუშავებლად გამოიყენებოდა. სამარხებში იარალებად გამოყენებულია ობსიდიანის ანატკეცები, რომლებითაც ადგილზე რაღაც კონკრეტულ სამუშაოს ასრულებდნენ და შემდეგ ტოვებდნენ სამარხში.

ქსოვილები და სამოსელი. პალინოლოგიური და არქეობოტანიკური კვლევებით საფარ-ხარაბას სამარხებში დადასტურებული იყო ტექსტილის ბოჭკოები.

შესწავლილი 200 ნიმუშის მიხედვით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება სამაროვანზე, დაკრძალული ადამიანების სამოსელზე, გამოყენებული ტექსტილის ნაირსახეობაზე, ქსოვილების ფერადოვნებაზე, რიტუალზე და გარკვეულნილად ჰიგიენაზე. სამარხებში ნაპოვნია სელის, ბამბის და შალის ქსოვილების ბოჭკოები, აქედან 55% ბამბის ქსოვილისაა.

მამაკაცის სამარხებში ბამბის ქსოვილის ბოჭკოების დიდი უმრავლესობა ბარძაყის ქველებთან აღმოჩნდა, რაც შეიძლება აიხსნას სამოსის სტილით. შესაძლოა, ეს იყო შარვლის ტიპის სამოსი, რომელიც ორივე მხრიდან ფარავდა ბარძაყებს. მამაკაცების ხელის არეში ასევე მრავლად იყო დადასტურებული ბამბის ქსოვილის ბოჭკოები, რაც გვავარაუდებინებს გრძელმკლავიან ზედა სამოსა. ცალკეული შალის ბოჭკოები ნაპოვნია მუხლების, ფეხების და თავის ქალას არეში. შესაძლოა, მიცვალებულს შალის წინდები, ან თექის ფეხსაცმელი ეცვა, თავზე კი შალის ქუდი ეხურა (სურ. 195).

346. ნარიმანიშვილი გ. 2010, გვ. 290.

347. Mansfeld G. 2001, p. 50.

348. ნარიმანიშვილი გ. 2010, გვ. 291-292.

საინტერესო სურათი გამოიკვეთა მიცვალებულების თავის ქალას არეში. აქ შედარებით მეტი ტექსტილის ბოჭკოს ნაშთი დედაკაცების თავის ქალას ქვეშ იყო ნაპოვნი, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყო ქალებისათვის დამახასიათებელი დიდი თავსაფრის ტარებასთან. აღსანიშნავია, რომ ქალთა თავის ქალასთან ნაპოვნია გრძელი, დაურთავი მაგარი ბოჭკოები, რაც გვავარაუდებინებს, რომ ეს იყო თავსაფრის დეკორატიული ფოჩები. დედაკაცების თავის ქალასთან აღმოჩენილი ქსოვილის ბოჭკოები მხოლოდ ბამბისაა და შეუღებავი. შესაძლოა ბამბის თეთრი თავსაფარი დაკრძალვის რიტუალში გამოიყენებოდა.

სამარხებში ნაპოვნია ფერადი ძაფების ბოჭკოებიც. ქალის №56 სამარხში, საკინძის ადგილთან ნაპოვნია ყავისფერი ქსოვილის ფრაგმენტი, რაც სავარაუდებელს ხდის, რომ ტანისამოსის ნაწილი ყავისფერი იყო. ამავე მიცვალებულს თავის ქალასთან თეთრი შეუღებავი ძაფები აღმოაჩნდა, ე.ი. თავზე თეთრი თავსაფარი ეხურა. მუხლებთან ლურჯი, ვარდისფერი, ნაცრისფერი და ყავისფერი, ფეხებთან კი შეუღებავი ძაფების ბოჭკოები დადასტურდა, საკინძის არეში მრავლად იყო ლურჯი, ყავისფერი და ვარდისფერი ბამბის ძაფების ბოჭკო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გრძელი კაბა ემოსა, რომელიც მოქარგული იყო ფერადი ძაფებით. მოქარგული სამოსი ეცვა, სავარაუდოდ, გარდაცვლილ ქალს №67 სამარხიდან. აქ ნაპოვნია ლურჯი, ნაცრისფერი, ყავისფერი, წითელი, მწვანე, მიცვალებულის ხელის თითებთან კი — ვარდისფერი, მწვანე და ყვითელი ფერის ძაფები. №85 სამარხში



სურ. 195. თრიალეთელთა სამოსი ბრინჯაოს ხანაში.

მიცვალებულის მარჯვენა ხელთან ნაპოვნია სხვადასხვა ფერის ძაფების ბოჭკო: ლურჯი, ყვითელი, ყავისფერი, ნაცრისფერი, ფირუზისფერი, ვარდისფერი. სამ სამარხში ნაპოვნია წითელი (მენამული) ფერის ქსოვილის ბოჭკოები. №33 სამარხში, ბავშვის თავის ქალასთან და ფეხებთან ფერადი ძაფები აღმოჩნდა. მრავლად იყო მძივებიც. შესაძლოა ტანისამოსი მოქარგული იყო ფერადი ძაფებით და მძივებით. ქალებს და ბავშვებს ფეხებთან და მუხლებთან უფრო მეტი ფერადი ბოჭკოს ნაშთებია ნაპოვნი, განსხვავებით მამაკაცების სამარხებში აღებული სინჯებისა.

განსხვავებაა ჭურჭლებთან აღებულ სინჯებს შორისაც. იმ ჭურჭლებში, სადაც მყარი საჭმელი (ხორცი) იდო, შედარებით ნაკლებია ქსოვილის ბოჭკოების ნაშთი, ხოლო, რომლებშიც სავარაუდო თხევადი საკვები (რძე, წყალი, ალკოჰოლური სასმელი) იყო, საკმაოდ ბევრია, რაც გვავარაუდებინებს, რომ ქოთანს გადაფარებული ჰქონდა ქსოვილი.³⁴⁹

ამდენად, სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში — თრიალეთში, ბრინჯაოს ხანის მეგალითური ძეგლების ერთ ნაწილზე, ჩატარებული მრავალმხრივი არქეოლოგიური და ინტერდისცილინარული კვლევები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებისა და მეორე ნახევრის თრიალეთის „ციკლოპური“ დასახლებების ტოპოგრაფია, მათი გეგმარება, ნაგებობათა არქიტექტურული სახე და ინტერიერი. ინტერდისცილინარულ კვლევებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვისაუბროთ ამ ეპოქის ადამიანების ყოველდღიურ ყოფაზე, მათ საქმიანობაზე, ტანსაცმელზე და დიეტაზე, ასევე გარკვეულ რწმენა-ზარმოდგენებზე. ბრინჯაოს ხანის თრიალეთელების ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. მათ მოჰყავდათ მარცვლოვანი კულტურები და მისდევლენ მევენახეობას. მესაქონლეობის მნიშვნელოვან დარგს მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის მოვლა და ცხენოსნობა წარმოადგენდა.

ძვ.წ. XV-XIV საუკუნეები ემთხვევა კლიმატის დათბობის მორიგ პერიოდს. ის არ არის ისეთი ძლიერი, როგორც ადრე ბრინჯაოს ხანაში, თუმცა ეს ცვლილებები ლანდშაფტზე არსებითად აისახა. კვლავ გაჩნდა მუხნარი და თელოვანი ტყეები, ცაცხვის მონაწილეობით. მიწათმოქმედება უფრო ინტენსიურად განვითარდა, ვიდრე წინა პერიოდში. ალორძინდა მებალეობა და მევენახეობა, რასაც ადასტურებს საფარ-ხარაბასა და იმერას სამაროვნების მდიდარი ფაქტობრივი მასალა. ამ დროს წალკის პლატოს ინტენსიურად ითვისებს ადამიანი. პალინოლოგიური მონაცემების გარდა ამას მოწმობს აქ არსებული მრავალრიცხოვანი ნამოსახლარები და სამაროვნები. არქეოლოგიური მასალა მიუთითებს ეკონომიკის მძლავრ განვითარებაზე. შუა და გვიანი ჰოლოცენის პერიოდში, დათბობის მაქსიმუმის დროს, რეგიონში გავრცელებული იყო ფართოფოთლოვანი ტყეები, სადაც ქართული მუხა, რცხილა და წიფელი დომინირებდა. გავრცელებული იყო ცაცხვი, ჯაგრცხილა, მურყანი, თხილი, ნეკერჩხალი, იფანი და ძელქვა, რაც დღეს რეგიონში აღარ გვხვდება.³⁵⁰ ტყის მცენარეულობის ფართო გავრცელებით აიხსნება ის ფაქტი, რომ თრიალეთის კულტურის და საფარ-ხარაბას სამაროვნის დასაკრძალავ კამერებში ხის

349. Kvavadze E., Narimanishvili G., Bitadze L. 2010, pp. 483-493.

350. ქავადვე ე., კონირ ც., ნარიმანიშვილი გ. 2007, ცმ. 21; Kvavadze E., Narimanishvili G. 2010, p. 591.

კონსტრუქციებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ძვ.წ. I ათასწლეულში თრიალეთი უკვე მჭიდროდ დასახლებული რეგიონი იყო. თითქმის ყოველ ბორცვსა და ხეობაში განლაგებულია დიდი, ან პატარა გამაგრებული, ან გაუმაგრებული ნამოსახლარი (საბეჭდავი, კნოლე, სანთა, ბეშთაშენი, დარაქო, აი-ილია). დასახლებათა ნაწილი უშესალოდ მდინარეულ პირველ ტერასაზე გვხდება. თუმცა, ძირითადად მაინც მეორე ან, უფრო მაღალ, მესამე ტერასაზე უცხოვრიათ. ციხე-სიმაგრეები კი ხევის ნაპირებზე, ქედის თხემზე ან მთის წვერზე გაუმართავთ (სურ. 212-215).

თრიალეთელების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხელოსნობის ისეთ დარგებს, როგორიცაა მეთუნეობა, მეტალურგია, ფეიქრობა, ხითხურობა, ქვის, ძვლის და ტყავის დამუშავება. თრიალეთელების ცხოვრებაში გარკვეული ადგილი ომის ნარმოებას და ვაჭრობას ეკავა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ამ ეპოქის სამაროვნებიდან, საფარ-ხარაბას სამარგვანი გამოირჩევა იმპორტული ნივთების მრავალრიცხოვნებით, რაც ბრინჯაოს ხანის თრიალეთელების ფართო საგარეო ურთიერთობაზე მიუთითებს (მითანიური საბეჭდავები, მინის, ფაიანსის მძივები, ეგვიპტური ქვები, სკარაბეითი, ბრინჯაოს იარალი, მენამული ფერის ქსოვილი).³⁵¹ საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი ნივთების ნაწილი მითანიური ეპოქის მესოპოტამიასა და ეგეოსურ სამყაროში დადასტურებულ მძივებთან და ამულეტებთან ავლენს მსგავსებას. ცილინდრული საბეჭდავები მითანიური სტილისაა და გავრცელებული იყო იმ ეპოქის თითქმის მთელ ახლო აღმოსავლეთსა და ეგეოსურ სამყაროში. საფარ-ხარაბას №5 სამარხში ნაპოვნი საბეჭდავი ანალოგიურია კვიპროსაზე, ჰალა სულთან თექეს ნამოსახლარზე მოპოვებული საბეჭდავის. მათ ანალოგი მოეპოვებათ მითანიური პერიოდის ნუზიში, თეპიპ-თილას არქივის ერთ-ერთ საბუთზე ანაბეჭდის სახით.³⁵² საფარ-ხარაბას №6 სამარხში ნაპოვნი მინის „თვალიანი“ მძივები კი ანალოგიურია ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების და მეორე ნახევრის მესოპოტამიასა და ირანში (ნიპური, ასური, ჩოგა ზანბილი) მოპოვებული მძივების. ახლო აღმოსავლეთში ეს მძივები ნაპოვნია სამარხებში და ტაძრებში. ისინი ითვლებოდა, და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ რეგიონში დღესაც ითვლება, ძლიერ თილისმად „ავი“ თვალის ნინააღმდეგ.³⁵³ ლურჯი მინის ადამიანის სახიან სკარაბეოიდს კი ზუსტი ანალოგი მოეპოვება მითანიური დროის ნუზიში.³⁵⁴ მენამული ფერის ქსოვილების ნარმოება და გავრცელება კი ძვ.წ. II ათასწლ. შუა ხანებში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის (ლევანტის) ქალაქების მონოპოლიას ნარმოადგენდა. თრიალეთში მოპოვებული არტეფაქტები სავარაუდო ხდის ამ ეპოქაში თრიალეთის მოსახლეობის ურთიერთობას ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონთან. რა სახის იყო ეს კონტაქტები, სამხედრო, სავაჭრო, უშუალო, თუ შუამავლების მეშვეობით, დღეს ძნელია რაიმეს თქმა. აღსანიშნავია, რომ საფარ-ხარაბას №№ 6, 56 და 84 სამარხებში ნაპოვნი ოქროს მძივები ანალოგიურია იმავე ეპოქის ლქაშენის №2 ყორღანში, ლორი ბერდის №15 სამარხში და ტაგავორანისტში

351. Narimanishvili G. 2010; ნარიმანიშვილი დ. 2010; Shanshashvili N., Narimanishvili G. 2015.

352. Shanshashvili N., Narimanishvili G. 2015.

353. Limper K., 1988, Abb. 5, Taf. 30, 42, 45, 53, S. 15-16.

354. Starr 1937, pl. 120-RR1.

მოპოვებული მძივების.³⁵⁵ ეგვიპტესთან ურთიერთობის მაჩვენებელია ქვის „ინსტრუმენტების“ ნაკრები საფარ-ხარაბას №8 სამარხიდან, რომლებიც ძველი ეგვიპტური „პირის გახსნის“ რიტუალისთვის განკუთვნილი ქვების მსგავსია.³⁵⁶ როგორ მოხვდა ეს სარიტუალო ნივთები თრიალეთში ეგვიპტიდან, დღეს ძნელი სათქმელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საფარ-ხარაბას სამაროვნის მახლობლად, XX საკუნის 30-იან წლებში პ. კუფტინმა გათხარა თრიალეთის კულტურის XIV ყორდანი, რომელიც ძ.წ. III ათასწლეულის მინურულით თარიღდება. ამ ყორდანში ნაპოვნია ეგვიპტური ამულეტები: სარდიონის ფეხის ფორმის საკიდი და ამეთვისტოს გულის ფორმის საკიდი.³⁵⁷ დღეისათვის ძნელია ითქვას თუ როგორ მოხვდა ეს ნივთები თრიალეთში; შესაძლოა ეს იყო საბრძოლო ნადავლი, ან აჭრობის გზით მოპოვებული ამულეტები, მაგიური საგნები, თუ მდიდრული სამკაული.

საქართველოს გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები საზოგადოების უფრო ღრმა დიფერენციაციაზე მიუთითებს. ჩნდება არქეოლოგიური კულტურების ლოკალური ვარიანტები. სამარხებში მატულობს იარაღის რაოდენობა (სურ. 193). მოგვეპოვება ამ ეპოქის პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი, როგორც ასურული და ურარტული წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური მონაპოვრები. წერილობითი წყაროები ფართო-მასშტაბიან საომარ მოქმედებებზე მიუთითებენ. ვერც სამხრეთ კავკასია და საქართველო ასცდა ამ პროცესს. ამის გამო ინტენსიურად იწყება ციკლოპური ციხესიმაგრეების აგება.



სურ. 196. „ციკლოპური“ სიმაგრეების და ნამოსახლარების არეალი.

ძ.წ. XIII საუკუნიდან, ასურეთის აგრესიული პოლიტიკის გამო, ახლო აღმოსავლეთში

355. Pertosyan L. 2007, pl. XXXVII-1; Devejyan S. 2007, pl. XLIX.

356. შანდაშვილი ბ., ნარიმანიშვილი გოდერძი, ნარიმანიშვილი გიორგი 2016, გვ. 50-52.

357. Нариманишвили Д. 2010.

როლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია შეიქმნა, რომელიც სამხრეთ კავკასიის მისახლეობასაც შეეხო. სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ახლო აღმოსავლური არტეფაქტები, ან მათი ასლები შედარებით იშვიათად ჩნდება. შედარებით მშვიდობიან სავაჭრო ურთიერთობებს სამხედრო ლაშქრობები და დაპყრობითი პოლიტიკა ცვლის. ძლიერდება ასურეთის ბრძოლა ჩრდილოეთით მდებარე „ნაირის ქვეყნების“ წინააღმდეგ. იზრდება ციკლოპური ციხესიმაგრეების რაოდენობა.

როგორც აღვნიშნეთ, „ციკლოპური“ ძეგლების გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია და მოიცავს ვანის და ურმიის ტბისპირეთს, ჩრდილო-აღმოსავლეთ ერაყს, აღმოსავლეთ ანატოლიას და ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთს, სომხეთს, სამხრეთ-დასავლეთ აზერბაიჯანს და სამხრეთ საქართველოს (სურ. 196). ქრონოლოგიურად ისინი ძირითადად ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში თავსდებიან. აღნიშნული ტერიტორია, მოცემულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, ასურულ წერილობით წყაროებში მოიხსენიება „ნაირი“-ს სახელწოდებით. ეს სახელი ხშირადაა მოიხსენიებული ასურულ წარწერებში თუქულთი ნინურთა I-დან (ძვ.წ. XIII-ის ბოლო) მოყოლებული სარგონ II-ის (ძვ.წ. 722-705 წწ.) ჩათვლით.³⁵⁸ აგრეთვე ურარტუს ზოგიერთი მეფის (სარდური I, იშპუინი, მენუა) მიერ ასირიულად შედგენილ წარწერებში. ასირიულ წყაროებში „ნაირი“ ყოველთვის იხმარება ერთი და იგივე მნიშვნელობით, ეს არის საერთო, განუსაზღვრელი დასახელება იმ ტერიტორიისა, რომელიც ასურეთიდან ჩრდილოეთით მდებარეობს.

„ციკლოპური“ სიმაგრეების მშენებლობის ახალი ტალღა უშუალოდ ურარტუს ექსპანსიის დაწყებას ემთხვევა. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადად ძვ.წ. VIII-VII სს) ახალი „ციკლოპური“ სიმაგრეების მშენებლობა მხოლოდ იმ ტერიტორიაზე შეიძლება ვივარაუდოთ, სადაც ურარტელებმა ფეხი ვერ მოიკიდეს. ასეთად მიგვაჩნია ბამბაკის ქედის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები (თრიალეთი, მესხეთ-ჯავახეთი, ისტორიული სამხრეთ საქართველო და სხვ.). ასევე აღსანიშნავია, რომ „ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და სიმაგრეების მშენებლობის ტექნიკა მკვეთრად განსხვავდება ურარტულისაგან. ურარტულ ნაგებობებში კედლების ქვედა ნაწილი ნაგებია დამუშავებელი, დაკუთხული ქვებით, რომელთა თავზე აღიზის აგურით ნაგები კედლებია ამოყვანილი, შემაკავშირებლად ალიზის ხსნარია გამოყენებული. არაურარტული არქიტექტურა დაუმუშავებელი, დიდი ზომის ანდეზიტ-ბაზალტის და იშვიათად, სხვა მაგარი ჯიშის ქვის გამოყენებით ხასიათდება. ალიზის აგურის გამოყენების ფაქტები არქეოლოგიურად არ დასტურდება. კედლების წყობაში არც შემაკავშირებელი მასალის გამოყენებაა დაფიქსირებული. არაურარტული მშენებლობის ტექნიკისათვის მშრალი წყობაა დამახასიათებელი. ასეთივე სიტუაციას ნაირის ქვეყნების მთელ ტერიტორიაზე, სადაც ორივე ტექნიკით აგებული სიმაგრეები და სასიმაგრო სისტემები გვხვდება. ნაირის ქვეყნების გაერთიანება აშეარად იყო მიმართული ასურეთის ჩრდილოეთით ექსპანსიის წინააღმდეგ. ამ გაერთიანებას, სხვადასხვა დროს, რომელიმე ერთი ქვეყანა ედგა სათავეში. ამჟამად მხოლოდ ერთ მათგანზე, ასურული წყაროების დაიავნის და ურარტული დიაუხის სამეფოზე შევჩერდებით, რადგან მისი ჩრდილოეთი პროვინციები (ქვეყნები) სამხრეთ კავკასიის ერთ ნაწილსაც

358. მელიკუშვილი გ. 1954, ცმр. 13.

მოიცავდა, ტერიტორიულად კი, „ციკლოპური“ ძეგლების გავრცელების გარკვეულ არეალსაც ფარავდა: ჩილდირის ტბის ჩრდილო-დასავლეთით, ჰანკაში აღმოჩენილმა ურარტულმა წარწერამ ამ ქვეყნის საზღვრები კიდევ უფრო ჩრდილოეთით გადმოწია.³⁵⁹

დაიაენი-დიაუხის სამეფო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, XIII ს-ის ბოლოდან მაინც, სათავეში ედგა ნაირის ქვეყნების გაერთიანებას.³⁶⁰ ძვ.წ. IX ს-დან, შეიძლება ცოტა უფრო ადრეც, წინა პლანზე გამოდის ურარტუ,³⁶¹ რომელიც ნაირის ერთ-ერთ ქვეყანას წარმოადგენდა. მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება აშკარაა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. სწორედ ის უდგება სათავეში ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლას. ამასთან, ურარტული წარწერების მიხედვით აშკარაა, რომ იგი ყოფილი მოკავშირეების დამორჩილებას ცდილობს და თავის გავლენას თანდათან ავრცელებს ჩრდილოეთით, რასაც საბოლოოდ ნაირის ქვეყნების დიდი ნანილის (თუ ყველასი არა) დაპყრობა და დაიაენი-დიაუხის განადგურება მოჰყვა. მეცნიერთა აზრით, ნაირის ქვეყნები იყო კოალიციური წარმონაქმნი, რომელიც მსხვილი პოლიტიკური გაერთიანებებისაგან შედგებოდა. ხოლო დიაუხის სახით საქმე გვაქვს დიდ გაერთიანებასთან, ვრცელ სამეფოსთან, რომელიც დროდადრო სათავეში ედგა ნაირის ქვეყნების უზარმაზარ კოალიციას. ლიდერის ფუნქციას დიაუხი-დაიაენის ძლიერი ეკონომიკა განაპირობებდა. წერილობითი წყაროებში არაერთხელაა აღნიშნული, რომ დიაუხი ურარტუს ყოველწლიურად დიდი რაოდენობით უზდიდა ოქროს, ვერცხლს და სპილენძს. ასევე ხარებს, ძროხებს, ცხვრებს და საჯდომ ცხენებს.³⁶² როგორც ჩანს, მეტალურგია დიაუხის ძლიერების და სიმდიდრის ძირითადი წყარო იყო, რაზეც, წერილობით წყაროებთან ერთად, არქეოლოგიური მონაცემებიც მიუთითებენ.

დაიაენი-დიაუხის სამეფოში სოციალური დიფერენციაცია აშკარადაა გამოხატული. ასურული და ურარტული წყაროების მიხედვით, იერარქიის სათავეში დგას მეფე, რომელ-საც ექვემდებარებიან უფრო მცირე ერთეულების მეფეები. საზოგადოების იერარქიაზე მეტყველებს ნამოსახლარების იერარქიაც. ამ იერარქიაზე შეიძლება ვისაუბროთ „ციკლოპურ“ ძეგლებში ო. ბელის მიერ გამოყოფილი სამი³⁶³ და ჩვენს მიერ დაფიქსირებული ხუთი ტიპის ძეგლების მიხედვით, რომელთა პროცენტული შეფარდება ო. ბელის ეკუთვნის. მან აღმოსავლეთ ანატოლიაში გამოვლენილი 100-მდე ძეგლის მიხედვით დაადგინა, რომ მათ შორის 6% სიმაგრეა, 24% ციხე-ქალაქი და 70% დირპე. ასეთივე სიტუაცია დასტურდება „ციკლოპური“ ძეგლების გავრცელების მთელ ტერიტორიაზე. ამ მონაცემებს კარგად ეხ-მიანება ურარტული წყაროები, სადაც საუბარია დასახლების ორ ტიპზე - სიმაგრეებსა და ქალაქებზე. საინტერესოა ამ ორი ტიპის დასახლების რიცხობრივი მაჩვენებელი. არგიშტი I დიაუხის ერთ მონაცემში იპყრობს 105 ციხესიმაგრეს და 453 „ქალაქს“, სარდური II ჩილდირის ტბის რაიონში ერთ დღეში იღებს 35 „სიმაგრეს“ და 200 „ქალაქს“ და ა.შ.³⁶⁴

359. Dinçol-Belkis A.M, Dinçol B. 1992, p. 112.

360. მელიკიშვილი გ. 1954, ცმр. 59.

361. არუთიუნი ჩ. 1970, ცმრ. 100.

362. მელიკიშვილი გ. 1951; მელიკიშვილი გ. 1954; მელიკიშვილი გ. 1959; მელიკიშვილი გ. 1960.

363. Belli O., 1993. pp. 265-255.

364. მელიკიშვილი გ. 1954, ცმრ. 335.

„ციკლოპური“ ძეგლების იერარქია აშკარად გვიჩვენებს საზოგადოების რთულ სტრუქტურასაც. ჩვენს მიერ შესწავლილ „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე (უწყლო, ბარეთი, საბეჭდავი, ახალდაბა, კნოლე) დაფიქსირებულია სიტუაცია, როდესაც გვაქვს ციტადელი, ან რამდენიმე გამაგრებული ნაწილი, მათ გარშემო არსებული გაუმაგრებელი ან ნაკლებად გამაგრებული დასახლება. უმეტეს შემთხვევაში, ციტადელის გარეთ არსებული, ნაკლებად გამაგრებული ნამოსახლარი მძლავრი კედლითაა გამოყოფილი ციტადელისაგან, თვით ციტადელი ორ ან სამ ნაწილადაა გაყოფილი (საბეჭდავი, კნოლე, უწყლო, ახალდაბა, კოხაჯი). ახალდაბაში ციტადელი ორ, ერთმანეთისაგან აბსოლუტურად იზოლირებულ ნაწილადაა გაყოფილი, რომელთაც დამიუკიდებელი შესასვლელები აქვთ. სიმაგრის გარეთ არსებულ დასახლებასთან მხოლოდ ციტადელის ერთი ნახევარია დაკავშირებული. ეს ფაქტი, შეიძლება, არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ სამხედრო იერარქიაზეც მიუთითებდეს. აღსანიშნავია, რომ ძ.წ. II ათაწლ. მეორე ნახევრითა და ძ.წ. I ათასწლ. პირველი ნახევრით დათარიღებულ სამაროვნებზე აშკარად შეინიშნება მიღლიტარიზაციის ნიშნები. „ციკლოპური“ ციხესიმაგრების ძირითადი ფუნქცია - სამხედრო კონტროლი და სუსტად გამაგრებული თუ გაუმაგრებელი პუნქტების მოსახლეობის და დოვლათის დაცვა იყო.

დიდი „ციკლოპური“ დასახლებები (პირველი და მეორე ტიპი) რთულ კომპლექსებს წარმოადგენენ. მათი ძირითადი მახასიათებელი ნიშანია მძლავრი გალავანი, ციტადელი და რეგულარულად დაგეგმარებული საცხოვრებელი კვარტლები. ისინი, როგორც წესი, რამდენიმე გამაგრებულ მონაკვეთს (საბეჭდავი, თეზი, ლოშო), ან ერთიანი გალავნის შიგნით მოქცეულ გამაგრებულ მონაკვეთებს (უწყლო, ბარეთი, ახალდაბა) შეიცავს და ცენტრალური, ერთიანი დაგეგმარების პრინციპით არიან აშენებული. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ძირითადად გალავნის შიგნითაა მოქცეული. გალავნის გარეთ დასახლების გაჩენა, როგორც ჩანს, ოდნავ მოგვიანოდ ხდება, მაშინ როდესაც მოსახლეობა გალავნის შიგნით ვეღარ ეტევა, ან არასტაბილური მდგომარეობის გამო, მოსახლეობა გამაგრებული ადგილის სიახლოვეს სახლდება. შიდა ციხის არსებობა კი, მმართველი ფენის საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან გამოყოფის მანიშნებელია. „ციკლოპურ“ ნამოსახლართა დაგეგმარების პრინციპები ურბანიზაციის მაღალი დონის მაჩვენებელია, რაც ცივილიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია.

დიდი „ციკლოპური“ დასახლებები (ბეშქენაშენი, თეზი, ლოშო, ბარეთი) სტრატეგიულ ადგილებში, თრიალეთიდან მეზობელი რაიონებისაკენ მიმავალ ძირითად გზებზე, მდებარეობენ. მხოლოდ ამ ძეგლებზე შეინიშნება ცხოვრების ხანგრძლივი კვალი. ყველა მათგანზე (გარდა ბარეთისა) მტკვარ-არაქსული ფენებია დადასტურებული. შუაბრინჯაოს ხანის ფენები კი, თითქოს მხოლოდ ბეშქენაშენის ნამოსახლარზე შეინიშნება, ძ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ყველა მათგანი ინტენსიურადაა ათვისებული. ძ.წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის ზოგიერთი მათგანი (მაგ. ცრიცი) არსებობას წყვეტს, სამაგიეროდ ჩნდება ახლები (მაგ. კნოლე). ცალკე მდგომი სიმაგრეები (ო. ბელის დირპე, ჩვენს მიერ გამოყოფილი მე-3 და მე-4 ტიპი), როგორც ჩანს ფორმისტებს წარმოადგენდნენ, იცავდნენ რა ერთ გარკვეულ მონაკვეთს, იმავდროულად „ციკლოპური“ ძეგლების გავრცელების მთელ ტერიტორიაზე (ნაირის ქვენები) გზებსაც აკონტროლებდნენ. შეი-

ძლება ვივარაუდოთ, რომ ცალკე მდგომი სიმაგრეები ცენტრალური ხელისუფლების მიერ შექმნილ თავდაცვის სისტემაში იყვნენ ჩართული, რომელსაც ალბათ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციები ჰქონდა, ვიდრე ერთი, კონკრეტული რეგიონის დაცვა იყო. თუ ასეთ შესაძლებლობას დავუშვებთ, მაშინ შეიძლება ნაირის ქვეყნების ტერიტორიაზე ერთიანი თავდაცვის სისტემაზეც ვისაუბროთ. ო. ბელის დაკვირვებით, დირპეები (ცალკე მდგომი სიმაგრეები), გზებსა და გზაჯვარედინების გარდა, სამთამადნო წარმოების ცენტრებსაც იცავდნენ. იგივე უნდა ითქვას სამხრეთ საქართველოში არსებულ ცალკე მდგომ სიმაგრეებზე, რომლებიც სპილენძის საბადოებთან და სამხრეთ კავკასია-წინა აზის დამაკავშირებელ გზებზე მდებარეობენ.

გზების და საბადოების დაცვა, დიდ ტერიტორიაზე თავდაცვის სისტემის ორგანიზება უკვე ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა და სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია. ცენტრალური აპარატის არსებობა აუცილებლად მოითხოვდა იმ გადასახადების აკრეფას, რაც აუცილებელი იყო თუნდაც იმ ხარკის შესაგროვებლად, რომელიც დიაუხი-დაიაენის მეფეებს ასურეთის თუ ურარტუსათვის უნდა გადაეხადათ. ვფიქრობთ, რომ დაიაენი-დიაუხი უნდა განვიხილოთ როგორც უძველესი ქართველური სახელმწიფოებრივი გაერთიანება.

ბოლოთქმა

